საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№40 (131)
9 – 15 ნოემბერი, 2011
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

# სიცრუე პირველი პირისგან



ბიძინა ივანიშვილის გამოჩენით დაფეთებულმა სააკაშვილმა მყისიერად გაიხსენა მისი ხელიდან «ჩარეცხილი» 45-60 წლის ადამიანები და მათ დამსაქმებლებს საგადასახადო შეღავათებს დაჰპირდა. მერე რა, რომ ეს ხალხი 8 წლის წინ გაცილებით ახალგაზრდა იყო?! ეს დაპირებაც ისეთივე ტყუილია, როგორიც — სხვა დანარჩენი და, აბა, ასაკს რა მნიშვნელობა აქვს?

11

# კობა ნაყოფია — სააკაშვილის პირადი GOLDEN CARD-ი

17




# სააკაშვილის მორიგი გაფაცება

6




# «პოპ დივა» ივანა მელაი სახელმწიფო ბიუჯეტს 500 000 ლარი უჯდება

3

## ექსპიბიძინიზმი, ანუ იგივევე და ივანიშვილი

## საქართველოს პერსპექტივა «ევრაზიულ კავშირში»

4

ლალი აფციაური:

## ძალიან ხშირია პატიმრების გაუპატიურების შემთხვევები

ანზორ მაისურაძე:

## ხელისუფლებას მიცემული აქვს ინსტრუქცია — ივანიშვილს ხელი არ ახლოთ!

9

დავით ონოფრიშვილი:

12

## ამ ხალხს ზამთარში გაყინვა ელის!

აკაკი ასათიანი:

## რომ არა ბუშის წაქეზება, იქნებ ამ ბიჭსაც ვერ გაებედა ომის დაწყება?!

14

ჯუმბერ პატიაშვილი:

## თანაჯდომა ყოველთვის არ ნიშნავს თანადგომას!

15

16

## როგორ გადაარჩინა ქართველი პროფესორი რაულ ხაჯიმბამ

**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საკაშვილმა უკვე გააკეთა ყველაფერი, რაც მოახერხა, ჩვენ კი უკვე ვთქვით ყველაფერი, რასაც მის ნამოქმედარზე ვფიქრობთ. კიდევ რაზე უნდა ვისაუბროთ? დანაწევრებული საქართველოს ნანგრევებზე? დანარჩენს საკაშვილი, სავარაუდოდ, თვითონ პენსიაზე, საკუთარ სინდისთან ხანგრძლივ, მომქანცველ დიალოგებში გაარკვევს.**

# მისი აღმატებულების შემოდგომა

**ბოლო დროს მიხეილ სააკაშვილი ყველას თითქოსდა გადაავიწყდა. მიუხედავად იმისა, რომ ის მეტ-ნაკლებად აქტიურად მოძრაობს და მთელ რიგ განცხადებებს აკეთებს, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოხვედრას ვერა და ვერ ახერხებს. მისი გამონათქვამების არსებითი განხილვა მედიაში პრაქტიკულად არ ხდება, თითქოსდა საქმე რომელიმე მინისტრის მოადგილის უშინაარსო და უინტერესო ბლუყუნს ეხებოდეს. საზოგადოება სხვა ადამიანზე საუბრობს, ხოლო მედია, ექსპერტებთან ერთად, სხვა განცხადებებს დასტრიალებს. საინფორმაციო თვალსაზრისით, სააკაშვილი მოედანზე კი დარჩა, მაგრამ აშკარად თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა.**

**შესაძლოა, სააკაშვილი თანახმა ყოფილიყო, მწვავედ გაეკრიტიკებინათ, თუნდაც გაელანძღათ ან დაეცინათ მისთვის, ოღონდაც ქვეყანაში ახალი ამბების მთავარ შემქმნელად, საინფორმაციო სივრცის ცენტრალურ ფიგურად დარჩენილიყო, მაგრამ ვითარება აშკარად შეიცვალა. თანაც ამჯერად საქმე, სავარაუდოდ, არა მოკლევადიან ტაქტიკურ ჩავარდნასთან გვაქვს, არამედ ყოვლისმომცველი პოლიტიკური შემოდგომის ერთ-ერთ უტყუარ ნიშანთან, რომელიც რეჟიმს, როგორც ჩანს, ნამდვილად დაუდგა.**

პოლიტიკური შემოდგომის ფენომენი, სხვადასხვა ავტორების მიერ არაერთგზის მრავალი, მათ შორის, მაღალმხატვრული ხერხის გამოყენებით აღიწერა. შეიძლება დასახელდეს უამრავი ფაქტი, რომელიც მის დაწყებაზე (რაღა დაწყებაზე?) ნათლად მიუთითებს, თუმცა ისევე, როგორც წელიწადის შესაბამისი დრო, ის, ალბათ, უპირველესად, უნდა შეიგრძნო მთელი თავისი სიცარიელით, შესაბამისი სევდითა და სუსხით, რომელსაც ვერსად გაექცევი.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი საზოგადოებას დღეს დიდად არ აინტერესებს, თუნდაც მრავალფეროვნებისთვის შევიაროთ ავლაბრის რეზიდენციაში და ვნახოთ, რას საქმიანობს მისი ამჟამინდელი ბინადარი. **სხვათა შორის, იმასთან დაკავშირებით, თუ რა ბედი ეწევა ამ შენობას მას შემდეგ, რაც სააკაშვილი მას დატოვებს, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. პირადად მე კვლავინდებურად იმ აზრს ვემხრობი, რომ რეზიდენცია ფსიქიატრიის ინსტიტუტს გადაეცეს.**

ამ დარგს საქართველოში მუდმივი გაძლიერება სჭირდება, მაგრამ, ცხადია, განსხვავებული მოსაზრებებიც არის. ნებისმიერ შემთხვევაში, ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოებისთვის, ალბათ, უსიამოვნო იქნება, თუ ქვეყნის მომავალი მმართველი იქ დაბინავდება. ასე რომ, ალბათ, **აჯობებს ამ შენობას, უფრო სწორად კი, „ერთი ამპარტავნების ძეგლს“, მომავალში განსხვავებული დატვირთვა მივანიჭოთ.**

**„სასახლის დათვალიერების მსურველებს შეუძლიათ თავიანთი ორგანიზაციის ბლანკზე დაბეჭდილი განაცხადი შემოიტანონ პრეზიდენტის ადმინისტრაციის კანცელარიაში 7 სამუშაო დღით ადრე,“** — აღნიშნულია სააკაშვილის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, რაც, სავარაუდოდ, იმას გულისხმობს, რომ, მაგალითად, მარტოხელა და მარტოსული უმუშევარი, ტურს სასახლეში ვერ ეღირსება, ისევე, როგორც სხვა ადამიანები, რომელთაც „თავიანთი ორგანიზაცია“ არ პატრონობს. არა უშავს, ვირტუალური ექსკურსიით შემოვიფაგლოთ, მითუმეტეს, რომ საუბარი არც თეთრ სახლს და არც ელისეს სასახლეს ეხება, სადაც დიდი პოლიტიკოსები ნამდვილად მოღვაწეობდნენ. **ისე, საინტერესო კი იქნებოდა უშუალოდ რეზიდენციაში მოხვედრა და ადგილზე შემოწმება, მართლაც დაძრწიან თუ არა მის დერეფნებში შიშისგან სახეწაშლილი აჩრდილები, როგორც ამაზე ფართოდ გავრცელებული ხმები მიუთითებენ. თუმცა არა უშავს, სააკაშვილის ოფიციალური ვებგვერდი დავათვალიეროთ, განსაკუთრებულს მაინც არაფერს დავკარგავთ.**

ვებ-გვერდის დიზაინი შეიცვალა, თუმცა მასში კვლავინდებურად წითელი და თეთრი ფერები დომინირებს. ალბათ, დროა, ვინმე გულისხმიერმა ურჩიოს, შედარებით მშვიდი, თერაპიული ეფექტის მქონე ფერების შეხამება შეარჩიოს. რაც შეეხება ინფორმაციას, რომელსაც ვებ-გვერდი შეიცავს, ის პრაქტიკულად არ შეცვლილა, მაგალითად, სააკაშვილის ბიოგრაფია ისევ მთელ რიგ უცნაურ პასაჟებს შეიცავს (სტილი დაცულია): **„1992 წელს მისი თაოსნობით ჩატარდა კონფერენცია ქართველი და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების მონაწილეობით ნორვეგიის ადამიანთა უფლებათა დაცვის ინსტიტუტში, რომლის შედეგად პირველად იქნა ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება“.** საერთოდ, მოუხეშო სტილის თაყვანისმცემელი არ გახლავართ, თუმცა მარტივი და კონკრეტული კითხვა „ჰა?!“, ალბათ, ერთადერთია, რომელიც წინარე ფრაზის წაკითხვის შემდეგ შეიძლება დაიბადოს. არაფერი სხვა სააკაშვილის როლზე ქართულოსურ ურთიერთობებში მის ოფიციალურ ბიოგრაფიაში არ წერია.



**საკაშვილს აინტერესებს მხოლოდ ის, რაც ბრჭყვიალებს მისთვის ესოდენ სათაყვანებელ, ყოვლად «გოიმურ» სტილში**

ცალკე გამოფენილ სააკაშვილის პრიორიტეტებზე **„ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესების დაცვა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა“** და ა.შ., დეტალური მსჯელობის გამართვა, ალბათ, არ ღირს. **სააკაშვილმა, ამასთან დაკავშირებით, უკვე გააკეთა ყველაფერი, რაც მოახერხა, ჩვენ კი უკვე ვთქვით ყველაფერი, რასაც მის ნამოქმედარზე ვფიქრობთ. კიდევ რაზე უნდა ვისაუბროთ? დანაწევრებული საქართველოს ნანგრევებზე? დანარჩენს სააკაშვილი, სავარაუდოდ, თვითონ პენსიაზე, საკუთარ სინდისთან ხანგრძლივ, მომქანცველ დიალოგებში გაარკვევს.**

სააკაშვილის ოფიციალური ვებ-გვერდის რუბრიკა „საქართველო უცხოურ მედიაში“ საინტერესოა იმით, რომ (8 ნოემბრის მდგომარეობით) ერთი თვის განმავლობაში არ განახლებულა, მიუხედავად იმისა, რომ უცხოური მედია ამ პერიოდში ჩვენს ქვეყანაზე ძალიან ბევრს წერდა. მხოლოდ Foreignpress.ge-მ ამ პერიოდში 40-ზე მეტი წერილი თარგმნა და გამოაქვეყნა, თუმცა სააკაშვილისთვის სასიამოვნო წასაკითხი, სავარაუდოდ, ძალიან ცოტა მათგანი იყო. **საკუთარ ვებ-გვერდზე კი ის მხოლოდ საკუთარ თავთან ინტერვიუებს ათავსებს ან იმდენად მაამებლურ ტექსტებს, რომ მათი წაკითხვა ნორმალურ ადამიანში, ალერგიული ზიზღის გარდა, სხვა რეაქციას ვერ გამოიწვევს. ამგვარად, უმჯობესია, რუბრიკას ეწოდოს „სააკაშვილი უცხოური მედიის იმ პუბლიკაციებში, რომლებიც სრულად შეესაბამება მის წარმოდგენას საკუთარი თავის შესახებ“.** აგრეთვე, ქვეყნის მეთაურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შესაძლებელია ამინდის სამი დღის პროგნოზისა და ვალუტის კურსის გაგება. საინტერესოა, რომ წინა პლანზე გამოტანილია სამი ვალუტა: აშშ დოლარი, ევრო და რუსული რუბლი. ასე რომ, თუ ვინმეს რუსული რუბლის ამბები აინტერესებს, შეუძლია სააკაშვილს მიმართოს; მან კურსი ნამდვილად იცის.

უცნაური რუბრიკაა „საუკუნის პროექტები“; იქ ჩამოთვლილია ბათუმის პიაცა და ბულვარი, დელფინარიუმი (მას, დამფინანსებლის ვინაობის გათვალისწინებით, ალბათ, მალე ჩამონათვალიდან ამოაგდებენ), „მშვიდობის ხიდი“ (იგულისხმება ე.წ. „ოლვეის ულტრა“, ძველი თბილისის შუაგულში რომ ჩადგა), მცხეთა, ანაკლია და სათაფლია. სურათებს კომენტარები არ ახლავს, ამიტომ ძნელი დასადგენია, თუ რას ნიშნავს „საუკუნის პროექტი — მცხეთა“. **იმედია, სააკაშვილის თაყვანისმცემლები არ ფიქრობენ, რომ მათმა ბელადმა ეს ქალაქი ააშენა ან სვეტიცხოველი ააგო. აქ სხვა რამ არის მთავარი — თუ რას აღიქვამს სააკაშვილი „საუკუნის პროექტად“.**

მაგალითად, ევროპაში „საუკუნის პროექტს“ 1994-ში გახსნილ საფრანგეთისა და ინგლისის დამაკავშირებელ გვირაბს უწოდებენ. ამერიკელები და რუსები XXI „საუკუნის პროექტად“ ციმბირისა და ალასკის რკინიგზით შესაძლო დაკავშირებას (და ბერინგის სრუტეში შესაბამისი ხიდის ან გვირაბის აგებას) მოიხსენიებენ. გასაგებია, რომ დიდ და პატარა ქვეყნებს განსხვავებული შესაძლებლობები აქვს, მაგრამ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროექტები საქართველოშიც ხორციელდება. მაგალითად, ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა; „საუკუნის პროექტად“, იდეაში, შეიძლება მოხსენიებულ იქნას, რომელიმე სტრატეგიული მილსადენი, მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი ან ჰიპოთეტური (თუ მითოლოგიური) „ნაბუქო“, ან რომელიმე მძლავრი საწარმო, რომელსაც სააკაშვილი აამოქმედებდა (თუნდაც საკუთარ წარმოსახვაში), ან სულაც „ასი ახალი საავადმყოფო“, ან რაიმე მსგავსი „ხუთასი ქარხანა“ (მერე რა, რომ სინამდვილეში არ არსებობს?). მაგრამ, როგორც ვხედავთ, **სააკაშვილს აინტერესებს მხოლოდ ის, რაც ბრჭყვიალებს მისთვის ესოდენ სათაყვანებელ,** (მომიტევეთ ჩემი ჟარგონი) **ყოვლად „გოიმურ“ სტილში, ხოლო „საუკუნის პროექტის“ ეკონომიკური ან გეოპოლიტიკური მნიშვნელობა მისთვის, როგორც ჩანს, მეორე თუ არა, მეცხრე პლანზე გადადის.**

სასახლის მუზეუმის ამსახველ ფოტოებზე დიდხანს ვეძებდი ჯორჯ ბუშის მიერ სააკაშვილისთვის ნაჩუქარ სპორტულ კოსტუმსა და ბოტასებს, რომლებსაც მუზეუმში საპატიო ადგილი უკავია. ვერსად ვნახე. სამაგიეროდ, ექსპოზიციის ცენტრში ვიპოვე თეთრი სპორტული მაისური წარწერით bwin, რომელიც მის ირგვლივ გამოფენილი ხმლების ფონზე ძლიერ შიზოფრენიულად გამოიყურებოდა. ალბათ, ამ მაისურს რაღაც განსაკუთრებული ისტორია აქვს, თორნიკე ერისთავის ჯაჭვის პერანგივით რომ გამოფინა.

ამ მცირე და, საბოლოო ჯამში, უმნიშვნელო დეტალებს, ამდენ ყურადღებას ნამდვილად არ დავუთმობდით, რომ არა ერთი გარემოება: ყველაფერს, რასთანაც სააკაშვილს რაიმე შეხება აქვს, თვალშისაცემი არასერიოზულობის კვალი ემჩნევა. სააკაშვილს, არც მეტი არც ნაკლები, რვა წელი ჰქონდა იმისთვის, რომ ოდნავ მაინც დალვინებულიყო, თუმცა ეს არ მომხდარა და, ალბათ, არ უნდა გაუკვირდეს, რომ საქართველოს მოსახლეობას სურს, მის შემცვლელად გაწონასწორებული, გონიერი, სწორედ რომ დალვინებული პიროვნება იხილოს.

**სააკაშვილის ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ის აქტიურად მოძრაობს და მრავალ განცხადებას აკეთებს, თუმცა ყოველივე ამას, საბოლოო ჯამში, 2008 წლის ლოზუნგამდე „საქართველო სიღარიბის გარეშე“ მივყავართ. დღეს ეს ლოზუნგი გარკვეულწილად საააკაშვილის წინააღმდეგ მუშაობს, რადგან პერიოდი იმ არჩევნების შემდეგ სწორედ სიღარიბის ზრდას დაუკავშირდა და ნაკლებად სავარაუდოა, ამომრჩეველმა იმავე მდინარეში მეორედ შესვლა მოინდომოს, უფრო სწორედ კი მასში მეტეხის ხიდიდან სააკაშვილთან ერთად გადაეშვას.**

**სააკაშვილმა ასევე შეიძლება სცადოს მხარდამჭერების დარაზმვა რუსული საფრთხის მოგერიების ლოზუნგით, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, ამან ეფექტურად იმუშაოს. ჯერ ერთი, გამოკითხვები ცხადყოფს, რომ მოსახლეობის უმრავლესობას რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება სურს.**

ამასთანავე, დასავლური ქვეყნების დედაქალაქებში ამ ლოზუნგის აქტიურ გამოყენებას სააკაშვილს ნამდვილად არ მოუწონებენ. თანაც ამ თემის მრავალჯერადმა გამოყენებამ ის იმდენად გააუფერულა, რომ მისი სამობილიზაციო პოტენციალი, სავარაუდოდ, ძლიერ შემცირდა.

რა რჩება სააკაშვილს? ალბათ, მხოლოდ უხეში ზეწოლა ამომრჩეველსა და პოლიტიკურ ოპონენტებზე ყველა (მათ შორის დაუშვებელი) მეთოდის გამოყენებით. ძნელად წარმოსადგენია, მის გარემოცვაში რაიმე სიცოცხლისუნარიანი იდეა დაიბადოს, რაზეც „ნაციონალური მოძრაობა“ მეტ-ნაკლებად პერსპექტიული საარჩევნო კამპანიის დაფუძნებას შეძლებს. მიუხედავად იმისა, რომ ფიგურანტის კონკრეტული ქმედებების პროგნოზირება ძნელია, ზოგადი მიმართულება, საერთო ვექტორი იოლად ამოსაცნობია და, აქედან გამომდინარე, სააკაშვილი ახლო პერსპექტივაში ერთობ უინტერესო იქნება. **მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება საჰაერო ბუშტით იფრინოს ან ნახევრადგაშიშვლებულმა ირბინოს, როგორც (არცთუ დიდი ხნის წინ) ბათუმის პლაჟზე, ნაკლებად სავარაუდოა, ის საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოხვდეს და ქვეყნის მთავარი ნიუსმეიკერის პოზიციის დაბრუნება მოახერხოს.**

ამიტომ დავტოვოთ ის ავლაბრის რეზიდენციაში მის საყვარელ სათამაშოებთან, იმ სუსხიან სიცარიელეში, რომელიც დღესდღეობით მის გარშემო სუფევს. ფორმალური თვალსაზრისით, დამშვიდობება მასთან ჯერ კიდევ ნაადრევია. თუმცა, როდესაც სათქმელი და სამსჯელო არაფერი რჩება, შეხვედრის გაწელვას არანაირი აზრი აღარ აქვს.

„ძველად აქ ჯარებს უხმობდნენ
დაფდაფითა და ბუკითა,
ახლა ბიძინა შემომხვდა
მილიარდების შუქითა“



ნანა დევდარიანის
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ექსპი-ბიძინიზმი, ანუ იგინივე და ივანიშვილი

## «მე ვხედავ ბიძინას» (კომენტარი ფეისბუქზე)

**ასი წლის წინ ქართველი დრამატურგები რემარკებში ახალი მოქმედი პირის შემოსვლისას უთითებდნენ – იგინივე და (მაგალითად, პელაგია, ტუფია, ნატალია...) დღეს ქართულ პოლიტიკაში ამ რემარკის ერთადერთი ვარიანტი მუშაობს: იგინივე და ბიძინა. მართლაც, მანამდე არსებული ყველა პოლიტიკოსი მის ორბიტაზე მიიზიდება და მხოლოდ მას შეუძლია გადაწყვიტოს, მიიღებს თუ არა მათ თანამგზავრებად.**



აქაც, როგორც მზის სისტემაში, მსხვილი პლანეტების გარდა, მცირე სხეულებიც ტრიალებენ, მათ კი, თავის მხრივ საკუთარი თანამგზავრები ჰყავთ. აქვე არიან ასტეროიდები, მეტეორიტები, კუდიანი ვარსკვლავები და კოსმოსური მტვერიც კი. ერთი სიტყვით, ყველაფერი მზის (უკაცრავად, — ბიძინას) გარშემო ტრიალებს, ხოლო მის ზედაპირზე მომხდარი აფეთქებები ქართულ მედიაში სერიოზულ მაგნიტურ ქარიშხალს იწვევს ხოლმე.

მზის შესახებ სრული ინფორმაცია დღემდე არ გვაქვს. პარადოქსია, მაგრამ არც ბიძინა ივანიშვილზე ვიცით ბევრი. განცხადებებიც და ის რამდენიმე ინტერვიუც, რომლებიც მან შერჩევით რამდენიმე ჟურნალისტს მისცა, არანაირად არ აზუსტებს მის მსოფლმხედველობას. ერთი, რაც ნათლად გამოიკვეთა, ის არის, რომ **ივანიშვილი ისევე ისწრაფვის ნატოსა და ევროკავშირისკენ, როგორც ხელისუფლება, და თითქმის მთელი ოპოზიციური სპექტრი: „ჩვენ ვიმუშავებთ და ვიმუშავებთ ძალიან აქტიურად ნატოში გაწევრიანებისთვის, რადგან მას ალტერნატივა არ აქვს“.**

უალტერნატივოა ასევე მემარჯვენე იდეოლოგიაც, თუმცა ის, რასაც ივანიშვილი დღემდე აკეთებდა, რეალური მემარცხენეობაა. მაშ, რა მივიღეთ? ერთიანად პროდასავლური, ნატოსკენ მომზირალი მემარჯვენე ოპოზიცია, ანუ იგინივე და ბიძინა ივანიშვილი?! **ზოგადად, საქართველოში აღარავის უკვირს ერთ ღამეში შეხედულებაშეცვლილი პოლიტიკოსების ქცევა; არც — ის, რომ სხვისი ხელიდან წყალობის მომლოდინენი გუშინდელ „მამა-მარჩენალს“ გაჭირვებაში სიტყვას არ შეაწევენ; არც — ის, რომ ჯერ ნათქვამი არ არის და უკვე იმ პარტიებს ემიჯნებიან, რომელთა სახეებსაც ჯერ კიდევ გუშინ წარმოადგენდნენ.**

ამ დაუფარავი ექსპი-ბიძინიზმის შემხედვარე, ბევრს ხასიათი უფუჭდება, მაგრამ არ იმჩნევს, რადგან დღეს ივანიშვილის მიმართ რაიმე საყვედურის თქმა ისეთივე მტრობაა, როგორიც 2003 წელს სააკაშვილის ძაგება. ადამიანები ამბობენ, რომ იმედი გამოჩნდა, თუმცა იქვე ივიწყებენ, რომ „იმედი“ 2007 წელს დაარბიეს და გაანადგურეს. აღარც იმას იხსენებენ, რომ დღეს მზის (უკაცრავად, ბიძინას!) ორბიტაზე მოტრიალე პოლიტპერსონები მაშინ „იმედიანი“ პატარკაციშვილის გარშემო ბზრიალებდნენ.

**პოლიტიკოსებისგან ქალწულებრივ კდემას არავინ მოითხოვს, მაგრამ არც უზომო გულუბრყვილობაა კარგი თანამგზავრი. გულწრფელობა, საზოგადოდ, კარგი თვისებაა, მაგრამ ისიც გვახსოვს, ხალხმა რა იმედიანად უძახა ლევან გაჩეჩილაძეს „ლევან გულწრფელი“ და მერე როგორი გულწრფელობით მოიძულა იგი. დღეს ყველა, ვის გამოც ქართულ საზოგადოებას უიმედობის სენი შეეპარა, ახალი იმედისკენ – ბიძინა ივანიშვილისკენ ისწრაფვის. ზოგსაც ლოდინმა გამოუღამა თვალები. რიგის გვერდის ავლითაც ბევრი შედის. დანარჩენები კი უიმედოდ ეკითხებიან ერთმანეთს: „ხომ არ დაურეკავს“?**

ის კი, ვისაც „ჯერ არ დაურეკავს“, პოლიტიკურ ანბანს შიფრავს: **„ეს ნაკლი კი არა, შეიძლება ჩემი კოზირიც იყოს. სიტყვის კაცი ვარ. ჩემგან ვერ გაიგონებთ ტყუილს. პოლიტიკოსისთვის, შესაძლოა, ეს გარკვეულწილად სისუსტედაც მივიჩნიოთ. გამოცდილ პოლიტიკოსებს ხშირად უწევთ უარის თქმა საკუთარ ნათქვამზე, კურსის შეცვლა. ჩემი ცხოვრების ეს წესი დამაბრკოლებელი იყო პოლიტიკაში ჩემი მოსვლისთვის, რადგან პოლიტიკოსს მანევრირება უნდა შეეძლოს. თუმცა არ ვაპირებ პოლიტიკაში ლავირებას, ვნახოთ, როგორ გამომივა“.**

**„წამოვიდა ცილისწამებები, რომ „ახალი მემარჯვენეები“ მილიონზე გაიყიდნენ და იმ ფონზე, როდესაც ქართულ პოლიტიკაში მილიარდები გამოჩნდა, ჩვენი კრიტიკოსები ისე ერთხმად და ისეთი აჟიოტაჟით გადაეშვნენ მილიარდერის უბეში, რომ პირდაპირ გაგვკვირვებია,“** — რამხელა სევდა და სინანულია დავით გამყრელიძის ამ სიტყვებში! მართლაც, მან ამჯერადაც იჩქარა და, როგორც ხალხური სიბრძნე გვეუბნება, „მოუგვიანდა“. დიახაც, **„რთულია მიიღო მილიონი ლარი დაფინანსება და ამისთვის არჩევნებში მინიმუმ 100 ათასი თანამოქალაქის მხარდაჭერაა საჭირო, მაშინ, როდესაც მილიარდებთან მიახლოებას მხოლოდ ერთი ადამიანის, ბიძინა ივანიშვილის მეხოტბეობა სჭირდება,“** — განაცხადა დავით გამყრელიძემ.

არც ასე იოლია „მილიარდებთან მიახლოება“, — მარტო მეხოტბეობა არ შველის. თუ არადა, გამყრელიძე პატარკაციშვილთანაც იყო დაახლოებული, მაგრამ საფლავში არ ჩაჰყოლია. მისი ორი დისთვის „მემარჯვენეების“ კარის გაღება აღმოჩნდა ის ოქროს გასაღები, რომელმაც 2004 წელს პარლამენტის კარი შეუღო. ისე, ბურჯანაძემაც დიდხანს არწმუნა სააკაშვილი, „ახლები“ პარლამენტში შეუშვი, თორემ ერთპარტიული პარლამენტის თავმჯდომარეობას არ ვაპირებო და ასე მოხვდა გამყრელიძე თავისი გუნდით იქ, საიდანაც იმავე სააკაშვილმა გამორეკა 2003 წლის 22 ნოემბერს.

გამოხდა ხანი და ერთპარტიული პარლამენტი ისევ იქ არის, ბურჯანაძე და გამყრელიძე კი — მის მიღმა. აჩქარდა გამყრელიძე და ერთ მილიონს დაყაბულდა, როცა თურმე მილიარდები კარს იყო მომდგარი. არადა, ბიძინა ივანიშვილი „ახალ მემარჯვენეებზე“ უფრო მემარჯვენეა; როგორც აცხადებს, ნატოსკენ მასაც გეზი აქვს აღებული (ამ გეზს გაცდენილი არც ჩვენი ხელისუფლებაა და არც ოპოზიცია) და, მაშ, რა განსხვავებაა მათ შორის? განსხვავება, როგორც ირკვევა, მაინც არის:

**„მე კადრების მომზადებისა და შერჩევის ოსტატი ვარ, სიტყვის კაცი ვარ, ჩემგან ვერ გაიგონებთ ტყუილს. არასოდეს სინდისისთვის არ მიღალატია, შვილებსაც ასე ვზრდი. სხვის უბედურებაზე კაპიკიც არ გამიკეთებია,“ — ასე დაახასიათა საკუთარი თავი ივანიშვილმა.**

კადრების საკითხი სულ მალე გაირკვევა. მით უფრო, რომ ამ კადრებს, ივანიშვილისგან განსხვავებით, ქართული საზოგადოება უკეთ იცნობს. რამდენადაც ჩვენთვის უცნობია, სრულყოფილად ახერხებს თუ არა გარემოცვა საზოგადოებაში არსებული განწყობების შესახებ მის ინფორმირებას, სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ზოგიერთ შეფასებას შემოგთავაზებთ:

ფიფქებს ბიძინას ფორმა აქვთ.
ბიძინოგენული მდგომარეობაა ქვეყანაში.
ბიძინას 11 მეგობარი
(„ოუშენის 11 მეგობრის მოტივებზე“).
309 სირცხვილი მიხოისა და
309 სიქველე ბიძინაისი.
ბიძინასთან შეხვედრის ადგილი უცვლელია!
სად არის შენი ბედნიერება, ბიძინა?
ბიძინა ყველას უნდა!
ვინ შეკაზმავს ბიძინას?!
„ჭორვილელო კაცო, რა დიდგულა ხარო,
წამოგყვები სახლში, დედა გავახარო...“
„ვარდზე მეტი ეკლები აქვს ბიძინას“.
ბიძინობის თვე.
გაბიძინებულს, ჯერ არნახულს,
ჯერ არგაგონილს...
ბიძინა, ბიძინა, ბიძინა ჩქარა!!!
ბიძინა გრიგორევიჩი იცვლის პროფესიას.
„მიშიკომ თქვა, ჩირგვში ვზივარ,
ვერვინ მოვა ჩემზედაო,
გაიხედა სერზედაო,
ბიძინა ზის ცხენზედაო“.
გზები მაინც გამინათე, ბიძინა...
„ბიძოს გულის ძგერა მესმის,
მთაწმინდაზე შენთან ერთად ვმაღლდები“.
„ძველად აქ ჯარებს უხმობდნენ
დაფდაფითა და ბუკითა,
ახლა ბიძინა შემომხვდა
მილიარდების შუქითა“.
ბიძინაა მთელი ჩემი ქონება...
„არ გეწყინოს, მიხუნა,
უცებ რომ გილალატო“ („ნაცმოძრაობის“ წევრების გულისთქმა).
„ვარდს შემოაჭკნა კოკორი,
გადახვეოდა მიხოსა,
ნუგზარსაც ჩასძინებოდა
და თავს უხრიდა ვანოსა.
აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ბიძინა, მოსვლითა
სამშობლო გაახარეო!“

ქართული საზოგადოების კეთილგანწყობა ხშირად მატყუარაა, მეტისმეტად დიდი იმედების მოლოდინი – სახიფათო, თუმცა საამისო გამოცდილება ბიძინა ივანიშვილს ნამდვილად უნდა ჰქონდეს. ჩვენთვის კი უფრო ის „იგინივე“ არიან საინტერესო, ვინც ამჯერადაც ყველას მიასწრო ახალ იმედთან და ისევ იმას გვთავაზობს, რასაც — ბოლო 20 წლის განმავლობაში.

მოკლედ

### მაიკლ ჯექსონის მკურნალი ექიმი დააპატიმრეს

**კონრად მიურეი სასამართლო დარბაზშივე დააპატიმრეს, საბოლოო განაჩენს კი მას 27 ნოემბერს გამოუტანენ. მიურეის თავისუფლების 4 წლით აღკვეთა და სამედიცინო ლიცენზიის ჩამორთმევა ემუქრება.**

მიურეის მომღერლისთვის პროპოფილის გადაჭარბებული დოზის მიცემა ედება ბრალად, რამაც პოპის მეფის გარდაცვალება განაპირობა.თავად მიურეი ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ ჯექსონმა ძლიერმოქმედი პრეპარატები მისგან დამოუკიდებლად მიიღო, თუმცა მოსამართლემ დაცვის მხარის არგუმენტები არადამაჯერებლად მიიჩნია.

### აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატს სექსუალური ძალადობის გამო მეოთხე ქალმა უჩივლა

**ამერიკელი პოლიტიკოსი ჰერმან კეინი სექსუალური ძალადობის შესახებ ბრალდებას უარყოფს. იგი საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის კანდიდატია. აღნიშნული ბრალდება ჰერმან კეინის უკვე მეოთხე ქალმა წაუყენა.** შერონ ბიალეკმა განაცხადა, რომ 14 წლის წინ, როდესაც მან კეინის მიმართა კარიერული ზრდის შესახებ კონსულტაციისთვის, კეინმა ის ჩაისვა მანქანაში და უხეშად მოექცა. ბიალეკის მტკიცებით, კეინი მას ეუბნებოდა: „ხომ გინდა, სამსახური გქონდეს“? კეინიმ ბრალდების პასუხად განაცხადა, რომ ამ სიტყვებში იოტისოდენა სიმართლეც არაა.

საქართველო და მსოფლიო
პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს ფსონის დადება რუსეთის და აშშ-ის (ნატოს) დაპირისპირებაზე, რომელიც თითქოსდა საქართველოს პრობლემებს გადაწყვეტს, აშკარა უგუნურებაა, მეტიც, ამ ახალ რეალობაში სააკაშვილის ხელისუფლება თავისი აკვიატებული გეოპოლიტიკური იდეებით ყოვლად უაზრო და უადგილო ხდება.**

# საქართველოს პერსპექტივა «ევრაზიულ კავშირში»

**საქართველოში შიდაპოლიტიკური შიზოფრენიის მორიგი გამწვავების გამო, ქვეყნის ფარგლებს გარეთ განვითარებულ მოვლენებს ყურადღებას ნაკლებად ვაქცევთ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჩვენი ქვეყნის მომავალზე შეიძლება უშუალო ზეგავლენა მოახდინონ. ადგილობრივი კომენტატორების უმრავლესობამ გვერდი აუარა ზბიგნევ ბჟეზინსკის 14 ოქტომბრის გამოსვლას ნორმანდიაში (ალექსის დე ტოკვილის პრემიის მიღების შემდეგ). არადა, რამდენიმე მეტად საგულისხმო იდეამ ამ გამოსვლაში ნამდვილად გაიჟღერა.**



**ბჟეზინსკი, ერთის მხრივ, აღიარებს რუსეთის პრიორიტეტულ მნიშვნელობას დასავლეთისთვის, თუმცა მეორეს მხრივ, მოსკოვის დამოუკიდებელ პოლუსად ჩამოყალიბების შესაძლებლობას უარყოფს**

## დრონი და არა მეფენი

ბჟეზინსკიმ დაწვრილებით აღწერა დღევანდელი კრიზისული ვითარება მსოფლიოში, თქვა, რომ **„დასავლეთი დაღმა მიდის, რადგან გაერთიანების ნება არ ჰყოფნის, ხოლო აღმოსავლეთი აღმავლობის გზას ადგას“**, შემდეგ კი განაცხადა: **„ეფექტური გლობალური პოლიტიკური თანამშრომლობა... ამერიკისთვის, რომელიც ერთდროულად ატლანტიკისა და წყნარი ოკეანის ზესახელმწიფოა, ჩემი აზრით, განახლებულ და ამბიციურ ძალისხმევას უნდა ნიშნავდეს, რომელიც მიმართული იქნება იმაზე, რომ შინაარსი შესძინოს ატლანტიკური თანამეგობრობის ცნებას, რომელმაც მოკლევადიან პერსპექტივაში ამერიკა და ევროკავშირი, ხოლო გრძელვადიანში, თანდათან, ასევე რუსეთი და თურქეთი უნდა მოიცვას“.**

**„ცხადია, რომ ამერიკა და ევროპა ერთმანეთს სჭირდებიან,** — დასძინა ბჟეზინსკიმ, — **ის, რომ ისინი ერთ ღირებულებებს იზიარებენ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ეპოქაში, როდესაც მსოფლიომ პოლიტიკური გაღვიძება გადაწყვიტა და თვითგამორკვევისკენ ისწრაფვის. სამწუხაროდ, ეს სწრაფვა ძალიან ხშირად „ეგოისტურად გააზრებულ პირად ინტერესზე, საკუთარ გამორჩენაზეა“ კონცენტრირებული. შესაბამისად, უფრო ამბიციური და სტრატეგიული ხედვა მხოლოდ ამერიკითა და ევროპით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. ჩემს წიგნში, რომელიც მალე გამოვა, ვამტკიცებ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, მომდევნო ორი-სამი ათწლეულის განმავლობაში, ამ ხედვამ რუსეთიც უნდა მოიცვას“.**

**ბჟეზინსკის გამოსვლა ნათლად ცხადყოფს, რომ ის მომავალში ხედავს რუსეთსა და თურქეთს, რომლებიც დასავლეთთან ძალიან მჭიდროდ ითანამშრომლებენ. ის აღარ საუბრობს რუსეთის დაშლაზე საბჭოთა კავშირის დარად. არადა ეს თემა მისთვის არცთუ დიდი ხნის წინ მეტად აქტუალური იყო.**

ფაქტია, ჩინეთი წინ მიიწევს და მისი შეკავებისთვის აშშ-ს ევრაზიაში ძლიერი მოკავშირეები სჭირდება. მაგრამ **რუსეთს ყოველთვის უფრო დიდი გეოპოლიტიკური ამბიციები ჰქონდა, ვიდრე დასავლეთის ფარის ფუნქციის შესრულებაა.** ბჟეზინსკი ირიბად ამ თემასაც ეხება და ამბობს: **„დღეს ცხადია, რომ რუსეთის ბედი „ნახევარ მსოფლიოზე“ კონტროლს აღარ გულისხმობს. საკითხი ცოტა სხვაგვარად დგას — როგორ გადაიტანოს რუსეთმა შიდა სტაგნაცია და დეპოპულაცია, მზარდი აღმოსავლეთისა და თუნდაც დაბნეული, მაგრამ უფრო მდიდარი დასავლეთის კონტექსტში. ამიტომ დასავლეთის პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს უკრაინისა და ევროკავშირის უფრო მჭიდრო კავშირს, არის აუცილებელი წინაპირობა და სტიმული რუსეთისა და დასავლეთის უფრო მჭიდრო დაახლოებისთვის. ეს შეიძლება არ მოხდეს პუტინის პრეზიდენტობის დროს, თუმცა შიდა წინაპირობები დემოკრატიული ევოლუციისთვის რუსეთში იზრდება და, ჩემი აზრით, საბოლოო ჯამში, ისინი გადაწონის“.**

ჩვენ ვხედავთ, რომ **ბჟეზინსკი, ერთის მხრივ, აღიარებს რუსეთის პრიორიტეტულ მნიშვნელობას დასავლეთისთვის, თუმცა მეორეს მხრივ, მოსკოვის დამოუკიდებელ პოლუსად ჩამოყალიბების შესაძლებლობას უარყოფს.** საბოლოოდ, საუბარი მიდის რუსეთის ეტაპობრივ ინტეგრაციაზე „დიდ დასავლეთში“, რომლის დროსაც მან, როგორც ჩანს, თანდათან გეოპოლიტიკური „განსხვავებულობა“ და პოლიტიკური ნებელობა უნდა დაკარგოს. საინტერესოა, რამდენად მიმზიდველია ეს პერსპექტივა თავად რუსებისთვის.

ვიდრე ამის დადგენას შევეცდებით, ალბათ, უნდა დავაფიქსიროთ, რომ, სავარაუდოდ, **მოვიდა დრო, როდესაც ქართული პოლიტიკური მითოლოგიიდან მთელი რიგი იდეებისა (ზღაპრები) უნდა ამოვაგდოთ; კერძოდ კი, მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დასავლეთი რუსეთის დაშლისკენ მიისწრაფვის.** დღეს არაფერი არც რეალურ პოლიტიკაში და არც ისეთი ავტორიტეტული მოღვაწეების, როგორიცაა ზბიგნევ ბჟეზინსკი ან ჰენრი კისინჯერი, განცხადებებში ამაზე არ მიანიშნებს. **რუსეთის დაშლა უმდიდრესი ციმბირისა და შუა აზიის ჩინეთის კონტროლქვეშ გადასვლას ნიშნავს და ეს პერსპექტივა დასავლეთში, ცხადია, არავის ხიბლავს.**

ერთი საგულისხმო ციტატა: **„სუსტი რუსეთი აშშ-ისთვის ყველაზე საშინელი კოშმარია, ამიტომ მთელი ჩვენი პოლიტიკა მოსკოვთან დაკავშირებით არა მხოლოდ აშშ-რუსეთის ურთიერთობების განმტკიცებას გულისხმობს, არამედ იმასაც, რომ რუსეთი უფრო ძლიერი და თავდაჯერებული გახდეს. სწორედ ასეთი პარტნიორი სჭირდება ამერიკას XXI საუკუნეში. ჩვენ მშვენივრად ვაცნობიერებთ იმ გამოწვევებს, რომლებიც ჩვენ წინაშე 2020 წლამდე დგას და მათთან გამკლავება მძლავრ პარტნიორებთან ერთად უნდა შევძლოთ,“** — განაცხადა აშშ-ის ელჩმა რუსეთში ჯონ ბაიერლიმ „Коммерсант“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. ვაშინგტონი არ ცდილობს რუსეთის იზოლირებას და მასთან სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაციის გაღვივებას. ჩვენი საგარეო პოლიტიკის დაგეგმვაში გაცილებით რეალისტური ამ მოცემულობიდან ამოსვლა იქნება და არა ჯონ მაკკეინის ან სხვა მსგავსი პერსონაჟების ექსტატური ხილვებიდან.

მეტიც, **„გადატვირთვისა“ და ბჟეზინსკის ახალი იდეების განვითარებაში უფრო შორს თუ წავალთ, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ ამ პერსპექტივაში საქართველო და უკრაინა რუსეთს ნატოში ვერ შეასწრებენ, რადგან ეს მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის გარდაუვალი, მწვავე კონფრონტაციის დაწყების მიზეზი გახდება.**

თუ საქმე რუსეთის ნატოში შესვლაზე მიდგება (დღეს ეს პერსპექტივა ერთობ შორეული და არარეალისტური ჩანს, თუმცა ბჟეზინსკის იდეებს „ორ-სამ ათწლეულზე“ სწორედ ამ მიმართულებით მივყავართ), მაშინ ნატოში საქართველოც და უკრაინაც მოხვდებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ, სავარაუდოდ, ან „ფინლანდიზაცია“, ან რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი ელით. ასეა თუ ისე, **დღეს ფსონის დადება რუსეთის და აშშ-ის (ნატოს) დაპირისპირებაზე, რომელიც თითქოსდა საქართველოს პრობლემებს გადაწყვეტს, აშკარა უგუნურებაა, მეტიც, ამ ახალ რეალობაში სააკაშვილის ხელისუფლება თავისი აკვიატებული გეოპოლიტიკური იდეებით ყოვლად უაზრო და უადგილო ხდება.**

## ...მაშასადამე, ევრაზიელი

„ცივი ომის“ ისეთი სახელგანთქმული ვეტერანისთვის, როგორიცაა ზბიგნევ ბჟეზინსკი, წარმოუდგენელი იქნებოდა იმის თქმა, რომ მოსკოვმა (მაგალითად) ყაზახეთში ჩინელები უნდა შეაკავოს, რადგან ეს ირიბად შუა აზიაში რუსეთის გავლენის სფეროს აღიარებასაც ნიშნავს. თუმცა, თუ მისი გამოსვლის თურქეთთან დაკავშირებულ მონაკვეთს განვიხილავთ, ერთ საინტერესო ფრაგმენტს აღმოვაჩენთ: **„თურქეთის სწრაფვა მშვიდობიანი თანამშრომლობისაკენ თავის ახლოაღმოსავლელ მეზობლებთან ემთხვევა დასავლეთის უსაფრთხოების ინტერესებს ამ რეგიონში. თურქეთი სულ უფრო დასავლური, სულ უფრო საერო ხდება და, ამავე დროს, ისლამური რჩება. ამ თანხვედრამ შეიძლება გაანეიტრალოს ისლამური ექსტრემიზმი ცენტრალურ აზიაში არა მხოლოდ თურქეთის, არამედ ევროპისა და რუსეთის სასარგებლოდ. ამასთანავე, დემოკრატიული, საერო თურქეთი შეიძლება გახდეს გავლენიანი ფაქტორი, რომელიც სტაბილური დემოკრატიისკენ არაბული ქვეყნების სწრაფვის მხარდაჭერას და სტიმულირებს მოახდენს“.**

თვალშისაცემია, რომ ბჟეზინსკის ამ მონაკვეთში თურქეთს აქტიური და გავლენიანი რეგიონული ▶

**რუსეთს ყოველთვის უფრო დიდი გეოპოლიტიკური ამბიციები ჰქონდა, ვიდრე დასავლეთის ფარის ფუნქციის შესრულებაა**

მოკლედ

## რუსეთი ირანზე შეტევის წინააღმდეგია

**„ირანზე სამხედრო შეტევის განხორციელება სერიოზული შეცდომა იქნება“,** — ეს განცხადება მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ისრაელის ოფიციალური პირების გამოსვლების კომენტირებისას გააკეთა. ლავროვის აზრით, ნებისმიერი კონფლიქტი უნდა გადაიჭრას იმ პრინციპების საფუძველზე, რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობა და გაერო აღიარებს.



## აჰმადინეჯადი აშშ-სა და ისრაელს აფრთხილებს

**ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი აშშ-სა და ისრაელს აფრთხილებს და ირანის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო აქციისგან თავის შეკავებას ურჩევს.** მისი თქმით, ირანი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ რაიმე სახის აქციებს არ დაუშვებს. „აშშ და ისრაელი ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად მსოფლიოს გაერთიანებას აპირებენ. ირანს კი ბირთვული იარაღი არ აქვს“, — აცხადებს აჰმადინეჯადი და აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით ისრაელი გაცილებით უფრო საშიშია რეგიონისთვის, ვიდრე ირანი.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გამორიცხული არაა, რომ გარკვეული დროის შემდეგ, რუსეთი საქართველოს „ევრაზიულ კავშირში" შესვლას შესთავაზებს. თუ იმ მომენტისთვის დასავლეთი რუსეთთან გლობალურ საკითხებზე სრულ ურთიერთგაგებას მიაღწევს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის რუსეთის ამ ინიციატივას არ აუმხედრდება.**

◀ ლიდერის როლი ენიჭება. როგორაა ამ მხრივ რუსეთის საქმე? ცხადია, რომ **არავის, რუსეთის გარდა, დღეს არ ძალუძს ჩინეთის შეკავება აზიის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში, მაგალითად ყაზახეთში, იმავე თურქეთს ამისთვის სათანადო რესურსები არ გააჩნია.**

თუმცა რუსეთი ამას ვერ მოახერხებს, თუ კონკურენცია ყაზახეთში ღია და ყველა მონაწილისთვის თანაბარი იქნება. ამიტომ, განხილულ შემთხვევაში, **წინა პლანზე ბუნებრივად გამოდის ისეთი პროექტები, როგორიცაა „ერთიანი ეკონომიკური სივრცე" და „ევრაზიული კავშირი", რომელიც ამ სივრცეს გარე მოთამაშეებისთვის ნაწილობრივ ხურავს და რუსეთს პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს.**

მართალია, თავის ბოლო წერილში, რომელიც ევრაზიულ კავშირს მიუძღვნა, ნურსულთან ნაზარბაევი ირწმუნება, რომ ეს გაერთიანება „ე. წ. ჩინური ეკონომიკური ექსპანსიის შეკავებისთვის ნამდვილად არ იქმნება", თუმცა კომენტატორების უმრავლესობა იმ დასკვნამდე მიდის, რომ რეალურად ყაზახეთმა უნდა გააკეთოს არჩევანი რუსეთის, ჩინეთის ან რადიკალი ისლამისტების გავლენის ზრდას შორის. საუბარი ყაზახებისთვის არა მყისიერ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ამონაგებზე, არამედ პრინციპულ, ცივილიზაციური ხასიათის არჩევანზე მიდის. ნაზარბაევის გამოსვლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყაზახეთი რუსეთთან სტრატეგიულ კავშირს ირჩევს (ამავე წერილში ნაზარბაევმა დაიწყო საუბარი ახალ „ევრაზიულ იდენტობაზე"). **რას მოიმოქმედებს დასავლეთი? შეეწინააღმდეგება ამას, რითაც რეალურად, პეკინს დასახული ამოცანების მიღწევას გაუადვილებს, თუ, ფაქტობრივად, დათანხმდება რუსეთისა და ყაზახეთის გაერთიანებას „ევრაზიულ კავშირში"?**

ზბიგნევ ბჟეზინსკიმ სავსებით სამართლიანად აღნიშნა, რომ **დღეს „რუსეთის ბედი „ნახევარ მსოფლიოზე" კონტროლს აღარ გულისხმობს", მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დასავლეთი ახლო მომავალში ეჭვქვეშ დააყენებს კრემლის (ცივილურ ფორმებში მოქცეულ) კონტროლს იმავე მსოფლიოს „ერთ მეექვსედზე", ანუ ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე.** უფრო შორს თუ წავალთ, ვნახავთ, რომ რუსეთ-ყაზახეთის გაერთიანება „ევრაზიულ კავშირში" და მისი გავლენის ორბიტაში სხვა აზიური რესპუბლიკების მოქცევა, შექმნის წარმონაქმს, რომელიც აზიისკენ იქნება გადახრილი (სიმძიმის ცენტრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ). **თუ ამ დროს დასავლეთი უკრაინას და მითუმეტეს ბელარუსს „ჩაეჭიდება" და მოსკოვისგან მის „გამოგლეჯას" დააპირებს, შეიქმნება სიტუაცია, როდესაც რუსეთი თავს დასავლეთთან დაპირისპირებული აღმოსავლეთის ნაწილად იგრძნობს და პეკინთან საერთო ენის გამონახვას შეეცდება.**

ამიტომ ამ კონტექსტში **დასავლეთმა უკრაინა შეიძლება განიხილოს მხოლოდ როგორც რუსეთთან დამაკავშირებელი ხიდი, რომელიც რუსეთსა და მისი გავლენის სივრცის აზიურ ნაწილს დასავლეთზე მიაბამს. ეს კი, მათ შორის, უკრაინაში რუსეთის პრივილეგირებული ინტერესების აღიარებას ნიშნავს.**

მართალია, დღეს დასავლეთი მზად არ არის, უკრაინა „ევრაზიული კავშირის" წევრად იხილოს, მაგრამ, სავარაუდოდ, გაგებით მოეკიდება მის მონაწილეობას მოსკოვის სხვადასხვა ინტეგრაციულ პროექტებში, მოძრაობა ამ მიმართულებით კი, გამორიცხული არაა, ადრე თუ გვიან „ევრაზიულ კავშირში" შესვლითაც დაგვირგვინდეს. შეიძლება სწორედ ეს გახდეს ის ძალიან დიდი საფასური, რომლის გაღება ვაშინგტონს ჩინეთის შეკავებისთვის მოუწევს. „ნარინჯისფერი რევოლუციის" ფაქტობრივი გაწირვა, რომელიც ახლახან ვიხილეთ, შესაძლოა, ამ გზაზე გადადგმული ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო.



> **დასავლეთმა უკრაინა შეიძლება განიხილოს მხოლოდ როგორც რუსეთთან დამაკავშირებელი ხიდი, რომელიც რუსეთსა და მისი გავლენის სივრცის აზიურ ნაწილს დასავლეთზე მიაბამს. ეს კი, მათ შორის, უკრაინაში რუსეთის პრივილეგირებული ინტერესების აღიარებას ნიშნავს**

## რა ვქნათ, რომელ წყალში გადავვარდეთ?

**რუსეთის გაძლიერების პარალელურად, ვაშინგტონი, სავარაუდოდ, შეეცდება, ის სულ უფრო კონტროლირებადი, „უფრო დასავლური" გახადოს. პასაჟები პუტინსა და „დემოკრატიულ ევოლუციაზე", ალბათ, აქედან მოდის. კრემლი კი, თავის მხრივ, შეეცდება ისარგებლოს ხელსაყრელი მომენტით და პოსტსაბჭოთა სივრცეზე კონტროლი განამტკიცოს, თანაც ისე, რომ გადაწყვეტილებებში დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს.**

შეგვიძლია გარკვეული პარალელი I მსოფლიო ომის წინარე პერიოდთან გავავლოთ. დასავლეთს მაშინ რუსეთი გერმანიასთან დაპირისპირებისთვის სჭირდებოდა. ის, ერთის მხრივ, მთელ რიგ გეოპოლიტიკურ დათმობებზე წავიდა (1907 წლის რუსულ-ბრიტანული კონვენცია და სხვ.), თუმცა, მეორეს მხრივ, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ რუსეთის იმპერია მაქსიმალურად მჭიდროდ მიბმულიყო დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთზე, პოლიტიკური მანევრის შესაძლებლობა დაეკარგა და ჩაბმულიყო ომში გერმანიასთან, რომელიც ობიექტურად მის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. **რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს, გამოიყენოს დასავლეთის სურვილი — ის თავის მოკავშირედ აქციოს, მაგრამ ისე, რომ მოქმედების დამოუკიდებლობა არ დაკარგოს და „ახალ გერმანიასთან", ჩინეთთან** (წამყვანი ამერიკელი პოლიტოლოგის ედვარდ ლუტვაკის განსაზღვრებაა) **მწვავე კონფრონტაციას თავი აარიდოს.**

მეტისმეტად ზედაპირული იქნებოდა იმის თქმა, რომ საქმე მხოლოდ ჩინეთის შეკავებას ან ისლამურ სამყაროში პროცესების მართვას (თურქეთის შემთხვევაში) ეხება. საუბარი ამასთანავე ევრაზიაში ბალანსისა და წონასწორობის შენარჩუნების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნაზე მიდის, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნები და ბლოკები, მათ შორის, ერთმანეთს დააბალანსებენ. კომბინაცია რუსეთთან და თურქეთთან, ალბათ, შეიძლება შევაფასოთ, როგორც XVIII-XIX საუკუნის პოლიტიკის ერთგვარი რიმეიკი, როდესაც ამ ორი, ნახევრადევროპული სახელმწიფოს ჩართვა (დროდადრო კი ჩათრევა) ევროპულ პოლიტიკაში კონტინენტზე ძალთა ბალანსს უზრუნველყოფდა. უბრალოდ, XXI საუკუნეში ამ თამაშის გეოგრაფიული ჩარჩოები გაფართოვდა, ხოლო დაფაზე ახალი ფიგურები გაჩნდა.

ყოველივე ამან შეიძლება მიგვიყვანოს დასკვნამდე, რომ „ევრაზიული კავშირი" ათიოდე წელიწადში შეიძლება რეალობად იქცეს. კიდევ ერთხელ გავიმეოროთ ერთ-ერთ წინა ნომერში გამოთქმული მოსაზრება: **პუტინი, ალბათ, არ გააჟღერებდა ამ იდეას, რომ სცოდნოდა, რომ დასავლეთი ამას სასიკვდილო საფრთხედ აღიქვამდა და მოსკოვის წინააღდეგ „ჯვაროსნულ ლაშქრობას" მოაწყობდა. ეს იდეა, ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ, კრემლმა წინა პლანზე მაშინ წამოსწია, როდესაც ხელსაყრელი მომენტი დადგა.**

ბჟეზინსკის მიერ წარმოდგენილ მოდელში, რომელიც რუსეთის (და თურქეთის) დასავლეთთან მჭიდრო თანამშრომლობას და „ახალ ატლანტიკურ თანამეგობრობაში" ინტეგრაციას გულისხმობს, საქართველოს, საწყის ეტაპზე, ალბათ, პრაქტიკულად გარდაუვალი „ფინლანდიზაცია" ელის. სხვათა შორის, ეს არ ნიშნავს „დასავლურ არჩევანზე" უარის თქმას, რასაც სახელისუფლო პროპაგანდა გვიმტკიცებს: ფინეთი სავსებით დასავლური, შესაბამისი ღირებულებების მატარებელი სახელმწიფოა, თუმცა, ამასთანავე, ნატოს წევრი არ არის, რუსეთთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება და გამორჩეული ეკონომიკური ურთიერთობები აქვს (ის, რომ პროპაგანდა, როდესაც „დასავლურ არჩევანს" ახსენებს, სინამდვილეში რაღაც ძლიერ ანტიდასავლურს, მეტიც, ანტიჰუმანურს გულისხმობს, ცალკე საუბრის თემაა).

ამ მხრივ, საქართველოს, როგორც უკრაინას, ერთგვარი ხიდის როლი დაეკისრება, ოღონდაც არა მხოლოდ (და, შესაძლოა, არა იმდენად) რუსეთსა და ევროპას შორის, რამდენადაც — რუსეთსა და თურქეთს, „დიდ ახლო აღმოსავლეთს" შორის. თუმცა „ფინლანდიზაცია", ისევე, როგორც უკრაინის შემთხვევაში, შეიძლება დანიშნულების ბოლო პუნქტი არ აღმოჩნდეს და, **გამორიცხული არაა, რომ გარკვეული დროის შემდეგ, რუსეთი საქართველოს „ევრაზიულ კავშირში" შესვლას შესთავაზებს. თუ იმ მომენტისთვის დასავლეთი რუსეთთან გლობალურ საკითხებზე სრულ ურთიერთგაგებას მიაღწევს** (დაახლოებით ისეთს, როგორც I მსოფლიო ომის წინ), **შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის რუსეთის ამ ინიციატივას არ აუმხედრდება. საქართველო, სავარაუდოდ, კრემლის პირისპირ დარჩება და არჩევანის გაკეთება დამოუკიდებლად მოუწევს.**

თუმცა ეს ჯერჯერობით ერთობ შორეული პერსპექტივაა, მანამდე კი, ალბათ, იმის გააზრება გვმართებს, რომ დასავლეთისა და რუსეთის კონფრონტაცია, როგორც ჩანს, ხანგრძლივი დროით წარსულს ბარდება და ისინი, სავარაუდოდ, თანამშრომლობის თვისობრივად ახალ ეტაპზე გადადიან. ამ მიმართულებით წასვლა, დასავლეთს დღევანდელმა, სინამდვილეში ძალზე საშიშმა, სისტემური ხასიათის კრიზისმა, ჩინეთის სიძლიერის ზვავისებურმა ზრდამ და რიგმა სხვა ნეგატიურმა ფაქტორებმა აიძულა. ლაროშფუკო რომ იტყოდა: **„არ არსებობს იმდენად ცუდი გარემოებები, რომ ჭკვიანმა ადამიანმა მათგან რაიმე სარგებლის გამონახვა ვერ შეძლოს. თუმცა არ არსებობს იმდენად კარგი გარემოებებიც, რაშიც უგუნური თავს ვერ გაიუბედურებს".**

**დიმიტრი მონიავა**

> **საქართველო, სავარაუდოდ, კრემლის პირისპირ დარჩება და არჩევანის გაკეთება დამოუკიდებლად მოუწევს**




## 300 ლეიბორისტის გმირობა და ელიას რისხვა

**როგორ არ ეხვეწნენ ლეიბორისტებს, ქუჩაში ნუ გახვალთ და ახლადგამოჩენილ იმედს ნუ აუხირდებითო, მაგრამ თავისი არ დაიშალეს და გამოცხადებული აქცია პარლამენტის წინ მაინც ჩაატარეს. როგორც მოსალოდნელი იყო, 300 კაცზე მეტი ვერ მოგროვდა, მაგრამ ლეიბორისტებმა იხტიბარი არ გაიტეხეს და ხალხის სიმცირე ამინდს გადააბრალეს. პაატა ჯიბლაძეს რომ უსმინო, „7 ნოემბერი ყველა ოპოზიციურ პარტიას დაავიწყდა და ამ ბრძოლაში „ლეიბორისტული პარტია" მარტო აღმოჩნდა". მარტო დარჩენა რომ ვერაფერი პოლიტიკური გათვლაა, ეს ლეიბორისტებისთვის არავის უსწავლებია. არც ის, რომ პარლამენტის მანდატით ქუჩა-ქუჩა კი არ უნდა დარბოდე, სხდომათა დარბაზში უნდა შეუძახო სააკაშვილს, – გადადექიო!**

„ჩვენ ყველას გვახსოვს 2007 წლის 7 ნოემბერი, როდესაც მშვიდობიანი მანიფესტანტები ძალის გამოყენებით დაარბიეს. ეს დღე ყველას უნდა გვახსოვდეს, მაგრამ რატომღაც დღეს „ლეიბორისტული პარტია" მარტო აღმოჩნდა. ბევრი ამბობდა, რომ დღევანდელი ჩვენი აქცია გარკვეული ძალების მიერ იქნებოდა მხარდაჭერილი და აქციაზე ხალხის მობოლიზება ყვითელი ავტობუსებით მოხდებოდა, თუმცა როგორც ხედავთ, აქ მსგავსი არაფერი ხდება. ეს აქციები უნდა გაგრძელდეს, რადგან როგორც წინა არჩევნებმა აჩვენა, ამ ხელისუფლების არჩევნების გზით დამარცხება შეუძლებელია", — განაცხადა ჯიბლაძემ. ყვითელი ავტობუსები ვისიც არის, ეს ამ ქვეყანაში პატარა ბავშვმაც იცის. გამოდის, რომ 300 გმირ ლეიბორისტს, არც მეტი და არც ნაკლები, თვით სააკაშვილი და ოპოზიციონერი ვიცესპიკერის — ლევან ვეფხვაძის ცოლისძმა უნდა დახმარებოდნენ. თუმცა იმათ თავისი გასჭირვებიათ და ხალხით სავსე ავტობუსების ნაცვლად ლეიბორისტებს ელიას რისხვა მოუვლინეს. ელია კი, როგორც ცნობილია, ცეცხლოვან ეტლზე ზის და ცაზე დადის. როცა ეტლი გრუხუნებს, მიწაზე ჭექა-ქუხილის ხმა ისმის. დღეს არც ჭექს, არც ქუხს, მაგრამ 300 ლეიბორისტის თავგანწირვა არავის დაავიწყდება. ხუმრობა ხომ არ არის უამინდობაში მარტო დგომა და ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნა!

მოკლედ

## როგორ მოკლეს ბინ ლადენი

**აშშ-ის ელიტური სპეცდანაყოფის წარმომადგენელთა მონათხრობი ბინ ლადენის გარდაცვალების ოფიციალური ვერსიისგან განსხვავდება.** სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ ისინი ცივსისხლიან მკვლელებად წარმოაჩინეს. მათთვის შოკისმომგვრელი იყო ისიც, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ იმ საღამოსვე გამოაცხადა ბინ ლადენის გარდაცვალების შესახებ და ამით მოპოვებული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი უსარგებლო გახადა. მეტიც, პრეზიდენტის როლი მოცემულ სიტუაციაში გაზვიადებული იყო — შტურმის დაწყებამდე 2 წუთით ადრე ობამა გოლფის თამაშით იყო დაკავებული.




## «ფემენი» მესაზე გაშიშვლდა

**მოძრაობა „ფემენის" საპროტესტო აქციების ტურნე იტალიაში ვატიკანით დასრულდა.** ნახევრად შიშველი აქტივისტები ქალაქი-სახელმწიფოს ცენტრში შეიკრიბნენ და რომის კათოლიკური ეკლესიის „ქალთმოძულე პოლიტიკას" პროტესტი გამოუცხადეს. ფემენის ერთ-ერთმა წევრმა წმინდა პეტრეს მოედანზე შემდგარ პაპის საკვირაო მესაზე გაშიშვლდა. აქტივისტების ფოტოებით შეიარაღებული სამართალდამცავები გოგონებს ქუჩაშივე აკავებდნენ. ორი გოგონა სამართალდამცავებმა მაშინ აიყვანეს, როცა ისინი ცენტრალურ მოედანს უახლოვდებოდნენ.

ნაც-რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

არ არის გამორიცხული, ეს 200 კაცი ამ ტელევიზიაში არსებულ ფინანსურ კრიზისს შეეწირა, არხის დეფოლტი კი, ადვილად შესაძლებელია, ტელევიზიაში ივანას გამოჩენას გამოეწვია, რადგან მისი გადაცემის ბიუჯეტი მართლაც უპრეცედენტოა საქართველოში.

# სააკაშვილის მორიგი გატაცება




# «პოპ დივა» ივანა მელაი სახელმწიფო ბიუჯეტს 500 000 ლარი უჯდება

**გაიცანით საქართველოს პრეზიდენტის მეგობარი, უკრანიელი „პოპ დივა“ ივანა მელაი. ის, უკვე ერთი წელიწადია, საქართველოში ცხოვრობს და, როგორც ამბობს, ჯერჯერობით მშობლიურ უკრაინაში დაბრუნებას არც აპირებს; ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ იმ სოლიდურ თანხას იღებს, რომლითაც სააკაშვილი მას დღემდე აფინანსებს.**

ქართველების სტუმართმოყვარეობით მოხიბლულმა ივანამ პირველად საქართველო მაშინ ნახა, როცა განახლებული მესტია გაიხსნა. იმღერა, იცეკვა და პირადად გაიცნო საქართველოს პრეზიდენტი. ამის შემდეგ მიატოვა მუსიკალური კარიერა, საავტორო გადაცემა პოპულარულ უკრაინულ არხზე და საცხოვრებლად თბილისში გადმობარგდა. ეს ის ოფიციალური ინფორმაციაა, რაზეც ივანა ღიად საუბრობს. სხვა დეტალები, რომლებიც საქართველოში ივანას ,,საინტერესო ცხოვრებას“ ეხება, ჩვენთვის ცნობილი მასთან დაახლოებული პირისგან გახდა. წყაროს ვინაობას, ცხადია, შეგნებულად არ ვახმაურებთ, ინფორმაციის უტყუარობაში კი ეჭვის შეტანის საფუძველი ამ ეტაპზე არ გაგვაჩნია.

**მაშ ასე, ივანა მელაი ,,მიშას გოგოა“. ასე იცნობენ მას ეგრეთ წოდებულ ქართულ ბომონდში. მიშას კარის მომღერლებმა ივანა პირველად სვანეთში გამართულ კონცერტზე ნახეს, რომლის შემდეგაც ივანას უკრაინისკენ გახედვაც აღარ უნდა. მიზეზი მარტივია: მეგობრობა პრეზიდენტ სააკაშვილთან, ნახევარმილიონიანი კონტრაქტი ტელეკოპანია „პირველ კავკასიურთან“, საქართველოს ბიუჯეტიდან დაფინანსებული სოლო კონცერტი ბათუმის პიაცაზე.** ამას გარდა, ივანა მელაი ითხოვს მაღალი დონის გასართობ ღონისძიებებზე საპატიო სტუმრის სტატუსით დასწრებას და, როგორც მასთან დაახლოებული პირი ამტკიცებს, მიშას უკრაინელ მეგობარ გოგოს უფასოდ ემსახურება ბათუმის „შერატონი“ და ,,ზარალას“ „რადისონი“, კერძოდ კი, იქ განთავსებული სპა ცენტრები და აუზი.

**ერთი სიტყვით, ის, რაზეც ბევრი ქართველი ვარსკვლავი მხოლოდ ოცნებობს, ივანასთვის რეალური ცხოვრების წესია საქართველოში. მიმზიდველ უკრაინელ ლამაზმანზე, რომლის შესახებაც ლეგენდები დადის, ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის შემოწმებას შევეცადეთ. ივანას ძალიან გაუკვირდა მის პირად ტელეფონზე ჩვენი ზარი, ინტერვიუ რუსულ ენაზე შედგა, ამ შემთხვევაში გთავაზობთ ამ საუბრის ქართულ ვერსიას.**

**— ივანა, მოგესალმებით გაზეთიდან ,,საქართველო და მსოფლიო“. შეგიძლიათ, რამდენიმე შეკითხვაზე გვიპასუხოთ?**

— გასაგებია... ასე ადვილი გახდა უკვე ჩემი ტელეფონის ნომრის მოპოვება საქართველოში? **(იცინის).**

**— ივანა, ჩვენ რამდენიმე შეკითხვა გვაქვს, პირველ რიგში, თქვენს გადაცემასთან დაკავშირებით: გვაინტერსებს, რამდენია ამ გადაცემის ბიუჯეტი?**

— ჟურნალისტი ხართ და, ალბათ, იცით, რომ მე ვარ მომღერალი, მსახიობი...

**— დიახ, მსმენია ამის შესახებ და როგორც ცნობილია, ასევე ხართ საქართველოს პრეზიდენტის მეგობარი...**

— არა, მე გითხარით, ხომ იცით, რომ მე ვარ მსახიობი, მომღერალი-მეთქი, ვწერ მუსიკას. მე ფულთან კავშირი არ მაქვს. არა იმიტომ, რომ არ მიყვარს ფულთან ურთიერთობა. ამას ჩემი ტელევიზიის ფინანსური მენეჯერი აკეთებს. მე ხომ არ ვარ ბუღალტერი?! ჰკითხეთ მას...

**— მე ვესაუბრე არხის ერთ-ერთ ხელმძღვანელს – კატია კოტრიკაძეს და ვერ გამცა ამ კითხვაზე პასუხი.**

— კატია კოტრიკაძე არხის გენერალური დირექტორია და, შესაძლოა, არც იცოდა...

**— ივანა, როგორც ამბობენ, თქვენ ამ არხზე საქართველოს პრეზიდენტის პროტექციით მოხვდით. თქვენ მას ძალიან ახლოს იცნობთ?**

— დიახ, ის ჩემი ნაცნობია.

**— მართალია, რომ პრეზიდენტი სვანეთში გაიცანით?**

— რა თქმა უნდა, სვანეთში. თქვენც გცოდნიათ ამის შესახებ **(იცინის).**

**იმედია, ეს სიცილი ივანას არ ჩაშხამდება და ეს მცირე მოცულობის ინტერვიუ სააკაშვილთან არსებულ მის ურთიერთობაზე ნეგატიურად არ აისახება. არ ვიცი, ხვალ რა ჭკუაზე დადგება სააკაშვილი, დღეს კი, როგორც ამბობენ, სიამოვნებით ზრუნავს ივანას სასიამოვნო განწყობაზე ქვეყნის ბიუჯეტის დახმარებით.**

## რატომ აქვს ივანა მელაის ერთ-ერთი ყველაზე მაღალბიუჯეტიანი გადაცემა «პირველ კავკასიურზე»?

**რატომ აქვს ივანა მელაის ერთ-ერთი ყველაზე მაღალბიუჯეტიანი გადაცემა საქართველოში? და ვისი მითითებით გადაწყვიტა ტელეკომპანია „პიკის“ ხელმძღვანელობამ უკრაინელი პოპ დივას არხზე მოწვევა?** ამის გასარკვევად თავდაპირველად არხის პიარსამსახურს, კერძოდ ინგა ნიკოგოსიანს დავუკავშირდით. მასთან საუბარში გავარკვიეთ, რომ ის ტელევიზიიდან გაუშვეს 200 კაცთან ერთად. ტელეკომპანია „პიკი“ არ დაუტოვებია ივანა მელაის; იგი არხზე მუშაობას აგრძელებს მაღალი ანაზღაურებით. ისე, კაცმა რომ თქვას, **არ არის გამორიცხული, ეს 200 კაცი ამ ტელევიზიაში არსებულ ფინანსურ კრიზისს შეეწირა, არხის დეფოლტი კი, ადვილად შესაძლებელია, ტელევიზიაში ივანას გამოჩენას გამოეწვია, რადგან მისი გადაცემის ბიუჯეტი მართლაც უპრეცედენტოა საქართველოში.** რა **მოხდა და როგორ, ამის გარკვევას არხის გენერალურ დირექტორთან შევეცადეთ. ცხადია, პირველ რიგში, ის ვიკითხეთ, ივანას ხომ არ შეექმნა რაიმე პრობლემა არხზე არსებული რეორგანიზაციის გამო.**

**ეკატერინე კოტრიკაძე, „პიკის“ გენერალური დირექტორი:**

— ივანა მელაი ისევ მუშაობს ჩვენს არხზე.

**— რამდენია მისი გადაცემის ბიუჯეტი, ხომ არ შეგიმცირებიათ?**

— იცით, რაა, არც მცალია და საერთოდ არც ვარ მზად ამ საკითხზე სასაუბროდ.

**— არხის გენერალური დირექტორი ხართ და არ იცით, რამდენია ამ გადაცემის ბიუჯეტი? ჩვენი ინფორმაციით, ივანას გადაცემას წლიურად ნახევარი მილიონი ლარი აქვს გამოყოფილი.**

— ვერ დავადასტურებ, არ ვიცი.

**— ქალბატონო ეკა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი თქვენი ყოფილი თანამშრომლისგან, 200 კაცი გაგიშვიათ სამსახურიდან.**

– 200 არა, მაგრამ რეორგანიზაცია მიმდინარეობს არხზე და, სავარაუდოდ, ერთ თვეში დასრულდება.

**— და ივანა მელაი დარჩა?**

— კი, რამდენიმე საინტერესო პროექტი დარჩა, მათ შორის — ივანას გადაცემაც.

**— ვინ მოიწვია არხზე და რა იყო ამის მიზეზი?**

— როგორ ფიქრობთ, რა უნდა გამხდარიყო მისი მოწვევის მიზეზი?

**— დიახ, სწორედ ამას გეკითხებით: რამ განაპირობა ივანას მოწვევის აუცილებლობა?**

— ივანა მელაი არის წარმატებული მომღერალი. მას ჰქონდა გადაცემა უკრაინულ არხზე. მე და წინა ხელმძღვანელობამ შევთავაზეთ ოდნავ განსხვავებული გადაცემა ჩვენს არხზე. ივანას ძალიან უყვარს საქართველო და დაგვთანხმდა.

**— რამდენადაც ცნობილია, სვენეთში პრეზიდენტის მოწვევით იყო ჩამოსული.**

— სვანეთში პრეზიდენტის თუ ვისი მოწვევით იყო, არ ვიცი. მესტიაში გამართული კონცერტის შემდეგ შევთავაზეთ გადაცემის გაკეთება. ჩემი აზრით, საინტერესო გადაცემა გამოვიდა, ყოველ შემთხვევაში, — იმაზე უკეთესი, უკრაინულ არხზე რომ კეთდებოდა.

**— ის პრეზიდენტის პროტექციით მოვიდა არხზე?**

— ამას მე მეკითხებით? ვერ დავადასტურებ... ივანა მელაი ჩვენთვის არის მომგებიანი პროექტი, საინტერესო მომღერალი და წამყვანი... მის პოპულარობას განსაზღვრავს მარკეტინგული კვლევები, რომლებიც ჩავატარეთ უკრაინაში...

**რამდენად პოპულარულია ივანა მელაი თავის ქვეყანაში, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ მისი პოპულარობა საქართველოში რომ ნულის ტოლია, ამის მაგალითად მისი უფასო სოლო კონცერტიც გამოდგება, ამ ზაფხულს ბათუმში რომ გაიმართა და მაყურებლის სიმცირის გამო ლამის ჩაიშალა. როგორც ცნობილია, კონცერტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა, ისევე, როგორც ივანას სხვა კაპრიზები.**

პიაცაზე გამართული კონცერტის მსგავსად, ივანას კიდევ ერთი წარუმატებელი პროექტის შესახებ გახდა ჩვენთვის ცნობილი. ამბიციურ უკრაინელ ტელეწამყვანს ჰოლივუდის ცნობილი ვარსკვლავის — შერონ სტოუნის მოწვევა მოუნდომებია თავის გადაცემაში, რაზეც მას უარი უთხრეს. ამის შემდეგ გაბრაზებულ ივანას მისი მეგობარი პრეზიდენტისთვის დაურეკავს და დახმარება უთხოვია. როგორც ამბობენ, ეს ის ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ივანას ყოვლისშემძლე მფარველმა უარი უთხრა. შერონ სტოუნთან ჩავარდნილი ინტერვიუს ფაქტი ჩვენთან საუბარში არხის გენდირექტორმაც დაადასტურა.

მაგრამ ეგ არაფერი, **რაც მთავარია, ივანას სააკაშვილთან არ ჩაუვარდეს პროექტი, რომელიც ჩვენი ბიუჯეტის ხარჯზე ხორციელდება და სანაცვლოდ მიშა რას სთხოვს ივანას, კაცმა არ იცის. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, შორიდან ვუცქიროთ, როგორ ანებივრებს ოთხმილიონიანი მშიერი ქვეყნის პრეზიდენტი მიმზიდველ უკრაინელ „პოპ დივას“.** ერთი ბედნიერი შეხვედრის შემდეგ, რომელიც მესტიაში შედგა, უკრაინელი მომღერლის შემოქმედება გაცილებით მეტად დაფასდა, ვიდრე რეალურად იმსახურებდა. პატარა საქართველოში მას დღეს 2-ჯერ მეტ თანხას უხდიან, ვიდრე მრავალმილიონიან უკრაინაში სთავაზობდნენ.

**ირაკლი მამალაძე**

ის, რაზეც ბევრი ქართველი ვარსკვლავი მხოლოდ ოცნებობს, ივანასთვის რეალური ცხოვრების წესია საქართველოში

ნაც-წარსული
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ერთ-ერთი მოწმე, რომელიც ამ ფაქტს უშუალოდ შეესწრო, ამბობდა, უდანაშაულო ბავშვები მოკლეს და ყველაფერს ვიტყვიო, მაგრამ, საქმე საქმეზე რომ მიდგა, თავი შეიკავა... „მერსედესის“ მარკის მანქანაში, რომელიც ჩემს შვილს დაეჯახა, ნასვამი ქალბატონები ისხდნენ. მთელმა თბილისმა იცის, რომ იმ ავტომანქანას ალანა გაგლოევა მართავდა...“**

# სად იყო ალანა გაგლოევა, როცა რუსთაველის პროსპექტზე ავარიამ ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა?

**ამ შემზარავ ფაქტზე თავის დროზე მთელი თბილისი ლაპარაკობდა, პრესაშიც დაიწერა, რომ ამ დანაშაულში პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვის წევრები იყვნენ გარეულნი, მაგრამ ყოვლისშემძლე ხელისუფლებამ ორი ადამიანის მკვლელობა ჩაფარცხა, საქმე ისე შეკერა, დაზარალებულნი — ორი უდანაშაულოდ დახოცილი ადამიანი, დამნაშავეებად გამოაცხადა და პასუხიც, ცხადია, არავის უგია.**

შეგახსენებთ ამ საშინელ ისტორიას — საქმე 2005 წლის 19 დეკემბერს უნივერმაღ „თბილისის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ ავარიას ეხება, რომლის შედეგადაც 28 წლის ლევან შერაზადაშვილი და მის გვერდით მჯდომი, 25 წლის ალიონა თვაური ადგილზე გარდაიცვალნენ, ხოლო ნათია დიდებაშვილი და ლაშა ბუთურიშვილი უმძიმესი ტრავმებით საავადმყოფოში გადაიყვანეს, რომელთაც ხანგრძლივი მკურნალობა და არაერთი ოპერაცია დასჭირდათ. ეს ოთხეული „ალფა-რომეოს“ მარკის ავტომობილში იჯდა, რომელსაც, თვითმხილველთა თქმით, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი „მერსედესის“ მარკის ავტომობილი შეეჯახა. **ავარია ღამის 00:45 საათზე მოხდა. მაშინ თვითმხილველები ამტკიცებდნენ, რომ „მერსედესის“ საჭესთან პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის იმჟამინდელი პრესსამსახურის უფროსი ალანა გაგლოევა იჯდა.**

საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით აღიძრა. გამოძიებას თბილისის საპატრულო პოლიცია აწარმოებდა, კერძოდ, გამომძიებელი ნუგზარ გულიაშვილი. თავდაპირველად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებმა დიდი ხმაური ატეხეს. ისინი აცხადებდნენ, რომ სამართალდამცავები ამ საქმის მიჩქმალვას ცდილობდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ავტოავარიაში დაღუპული „ალფა-რომეოს“ მძღოლი, ლევან შერაზადაშვილი დაედანაშაულებინათ — ვითომ ის დაეჯახა „მერსედესს“. პირველად დაზარალებულთა ოჯახის წევრებმა გაახმაურეს მედიით, რომ „მერსედესს“ ალანა გაგლოევა მართავდა და რომ ის მთვრალი იყო. მაგრამ შემდეგ რაღაც მოხდა — შერაზადაშვილისა და თვაურის ოჯახის წევრებისა და ახლობლების პროტესტი ნელ-ნელა ჩაცხრა, მერე კი საერთოდ გაქრა. არც დასახიჩრებულების — ნათია დიდებაშვილისა და ლაშა ბუთურიშვილის ოჯახებს გამოუხატავთ პროტესტი. მოკლედ, გამოძიებამ საწადელს მიაღწია — მიცვალებულს აჰკიდა დანაშაული, „მერსედესის“ მძღოლად კი, რომელიც, ჩვენი ინფორმაციით, ალანა გაგლოევა იყო, ვინმე ქეთინო ხავთასი გამოაცხადა და საქმეც ჩაიფარცხა.

**მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული უსამართლოდ გამოძიებულ საქმეს და დამდგარ შედეგს შეეგუა, „საქართველო და მსოფლიომ“ გადაწყვიტა, რომ ამ ავარიის შესახებ დაეწერა. ამ თემას მომავალშიც განვავრცობთ, რადგან ეს არ იყო კერძო შემთხვევა — საქმე პრეზიდენტის პრესსამსახურის ყოფილ უფროსს, ამჟამადაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანს, ალანა გაგლოევასა და მის შესაძლო დანაშაულს ეხება. მეტიც, „საქართველო და მსოფლიოს“ აქვს ინფორმაცია, რომ იმ „მერსედესში“, რომელიც „ალფა-რომეოს“ დაეჯახა, ალანა გაგლოევას მეგობარი, პარლამენტარი, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი იჯდა.**

იმ ინფორმაციებზე დაყრდნობით, ჩვენ რომ ვფლობთ, თუ საქმე ხელახალ გამოძიებაში დაბრუნდა, დიდი შანსია, ალანა გაგლოევა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ ავტოავარიის შედეგად ორი ადამიანის სიკვდილისთვის, ხოლო პრეზიდენტის პარლამენტარ მეგობარს დანაშაულის დაფარვისთვის, ანალოგიური წესით, — მოუხდეს პასუხისგება.

ახლა ავტოავარიასა და თავისუფლების მოედნის დავუბრუნდეთ. შეგახსენებთ, რომ „ალფა-რომეოში“ მჯდომი ოთხი ადამიანიდან ორი დაიღუპა, ორი კი დასახიჩრდა. ლევან შერაზადაშვილის დედა, ეკატერინე შერაზადაშვილი, გაზეთ „რეზონანსისთვის“ (18 აპრილი, 2006 წ.) მიცემულ ინტერვიუში აცხადებს: **„იმ დღეს ლევანს თავის მანქანაში მეზობლის ბავშვები უსხდნენ და მეგობარი გოგონა, ალიონა თვაური სახლში მოჰყავდა, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. ის, ფაქტობრივად, ააწყვეს. ჩემი შვილის დაღუპვის ამბავი ღამის 3 საათზე გავიგე. ლევანი ნასვამი საერთოდ არ ყოფილა. ის კი არა, წინა დღის ნასვამიც არ იყო. ლევანის მანქანაში იყო ჩაჭედილი მეორე მანქანა, რომელიც საპირისპირო მიმართულებით მოძრაობდა და მთელი თბილისი ამბობს, რომ ამ მანქანას ალანა გაგლოევა მართავდა“.**

ლევან შერაზადაშვილის და, ბელა შერაზადაშვილი აცხადებს, რომ საქმის ობიექტურად გამოძიება ხელოვნურად ჭიანურდება. ქალბატონი ეკატერინე შერაზადაშვილი იმავე პერიოდში „ასავალ-დასავალისთვის“ (17-23 აპრილი, 2006 წ. № 16) მიცემულ ინტერვიუში აცხადებს: **„ავარია 19 დეკემბერს რუსთაველის გამზირზე მოხდა და იმხელა ხმა ჰქონდა, შემთხვევის ადგილზე იმავე წამს უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ბევრი თვითმხილველია იმისა, თუ ვინ დაეჯახა ჩემი შვილის მანქანას, მაგრამ დღეს ისე ჰყავს ხელისუფლებას ხალხი დაშინებული, რომ... ერთ-ერთი მოწმე, რომელიც ამ ფაქტს უშუალოდ შეესწრო, ამბობდა, უდანაშაულო ბავშვები მოკლეს და ყველაფერს ვიტყვიო, მაგრამ, საქმე საქმეზე რომ მიდგა, თავი შეიკავა... „მერსედესის“ მარკის მანქანაში, რომელიც ჩემს შვილს დაეჯახა, ნასვამი ქალბატონები ისხდნენ. მთელმა თბილისმა იცის, რომ იმ ავტომანქანას ალანა გაგლოევა მართავდა...** ის ქალბატონები, რომლებმაც ასეთ დღეში ჩამაგდეს, უვნებლად გადარჩნენ. მაშინვე გადმოვიდნენ მანქანიდან, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მომაკვდავებისთვის დახმარება აღმოეჩინათ, ზედაც არ შეუხედავთ. მეტიც, ალანა გაგლოევამ თურმე მობილურს დაუწყო ძებნა, შეუგინებია კიდეც, სად არის ჩემი ტელეფონიო. როგორც კი იპოვა, იმავე წამს დაურეკა დაცვას და წაიყვანეს. შემთხვევის ადგილას მხოლოდ ჩვენი მანქანა იყო. სხვათა შორის, მყისვე მოხსნეს „მერსედესზე“ ნომრები, თუმცა იგი ჩვენთვის ცნობილია — 005. კარგა ხანს ეყარნენ მიცვალებულები ბორდიურზე, მიუხედავად იმისა, რომ სპეცნაზი და მთელი თბილისის პატრული მაშინვე გაჩნდა შემთხვევის ადგილას, სასწრაფო მხოლოდ 40 წუთის შემდეგ მოვიდა“.

ალანა გაგლოევა და მარიკა ვერულაშვილი



## იმ «მერსედესში», რომელიც «ალფა-რომეოს» დაეჯახა, ალანა გაგლოევას მეგობარი, პარლამენტარი, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი იჯდა

ბელა შერაზადაშვილი, „რეზონანსთან“ ინტერვიუში ადასტურებს, რომ ალანა გაგლოევა ნასვამი უჯდა საჭეს: **„ჩემს ძმასთან მივიდნენ და უთხრეს: გაგლოევა ჩვენი თვალით დავინახეთ, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, მოწმედ ვერ გამოგყვებითო“.** ბელა შერაზადაშვილიც იმავეს იმეორებს, რომ ალანა გაგლოევა „სპეცნაზმა“ წაიყვანა. „სპეცნაზს“ კი, მოგეხსენებათ, ავარიის დროს თავმოყრილი უამრავი ადამიანი დაინახავდა. ისე, საინტერესოა, როდის აქეთ იძახებს ავტოავარიის დროს პატრული სპეცრაზმს, თუ რაღაც განსაკუთრებულ შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე?

ჩვენი ინფორმაციით, ამ საქმის გამოძიება ისე წარიმართა, როგორც გამოძიებას აწყობდა. მათ მხოლოდ ის მოწმეები დაკითხეს, რომელთაც ალანა გაგლოევა „თვალითაც არ უნახავთ“ და ამტკიცებდნენ, რომ საჭესთან სხვა ქალბატონი იჯდა. მანქანა მის სახელზე იყო გაფორმებული, მაგრამ იმ დროს ის იქ იყო, მართლა იჯდა საჭესთან თუ მერე სასწრაფოდ მოიყვანეს, ეს გასარკვევია. გამორიცხული ისიც არ არის, რომ მანქანის პატრონი არა თუ საჭეს არ უჯდა, საერთოდ არ იყო შემთხვევის ადგილას და არ მჯდარა იმ მანქანაში, ხოლო ავტოავარიის შესახებ ალანა გაგლოევასგან გაიგო და საკუთარ თავზე აიღო ყველაფერი, ოღონდ იმის გარანტიით, რომ არ დაისჯებოდა.

**რეალურად ასეც მოხდა: სხვა ქალბატონი დაფიქსირდა მძღოლად საგამოძიებო მასალებში. მანქანაში იჯდა კიდევ ერთი ქალბატონი ნინო ჯალიაშვილი. ალანა გაგლოევა და მისი დაქალი დეპუტატი გამოძიებამ საერთოდ გააქრო. მეტიც, საქმე უკუღმა შეაბრუნა და გამოძიებამ ექსპერტიზის შედეგები გააყალბა და დამნაშავედ გარდაცვლილი ლევან შერაზადაშვილი აღიარა, თითქოს, „ალფა-რომეო“, რომელსაც შერაზადაშვილი მართავდა, დაეჯახა „მერსედესს“, რომელიც საათში 30 კმ სიჩქარით მოძრაობდა. კიდევ კარგი, ნამუსი ეყოთ და მიცვალებულთა ოჯახებს კომპენსაცია არ დააკისრეს დამტვრეული „მერსედესის“ საფასურად.**

მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ალანა გაგლოევა და მისი კამპანია „ჯეობარიდან“ მოდიოდნენ, იქ მოულხინეს და ნასვამები იყვნენ. „რეზონანსის“ ჟურნალისტის შეკითხვას, 2005 წლის 19 დეკემბერს მომხდარი ავარიისას „მერსედესის“ საჭეს ხომ არ უჯექითო, ალანა გაგლოევამ უპასუხა, 19 დეკემბერს საქართველოში, მგონი, საერთოდ არ ვყოფილვარ, „მთელი დეკემბერი მივლინებებში გახლდითო“. მერე ჟურნალისტმა შეახსენა, რომ 2005 წლის 19 დეკემბერს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მეორე ვაჟი შეეძინა — ნიკოლოზი და გაგლოევა ამ მოვლენას „არ დააკლდებოდა“. აი, მაშინ „გაახსენდა“ ალანას, რომ თბილისში იყო, მაგრამ მთელი დღე სახლში გაატარა. ის კატეგორიულად უარყოფს „ჯეობარში“ ყოფნას და მთელ ამ ხმაურს, მის გარშემო რომ ატყდა, ჭორი უწოდა.

**„საქართველო და მსოფლიოს“ აქვს ინფორმაცია, რომ ხელისუფლებამ დიდი ფული დახარჯა, ყველა სხვა საშუალება გამოიყენა საიმისოდ, ეს საქმე რომ ჩაეფარცხა. საგულისხმოა, რომ ლევან შერაზადაშვილის ოჯახის წევრები — დედა, და, ძმა პრესით მაინც იბრძოდნენ სიმართლის გასარკვევად, ალიონა თვაურის ოჯახის წევრებს დიდად არ უაქტიურიათ, მიუხედავად იმისა, რომ 25 წლის გოგონა დაიღუპა. არ უაქტიურიათ არც ნათია დიდებაშვილისა და ლაშა ბუთურიშვილის ახლობლებს.** „საქართველო და მსოფლიო“ შეეცდება, ამ თეთრი ძაფით ნაკერი საქმის ლაბირინთებში გზის გაგნებას — ჟურნალისტური გამოძიების მეშვეობით მაინც დავადგინოთ, რეალურად რა მოხდა 2005 წლის 19 დეკემბერს — წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღეს, მართლა ალანა გაგლოევა უჯდა თუ არა „მერსედესის“ საჭეს, „ალფა რომეო“ დაეჯახა „მერსედესს“ თუ — პირიქით და ვინ არის ალანა გაგლოევას მეგობარი პარლამენტარი, რომლის ძალისხმევითაც, ჩვენი ინფორმაციით, ეს საქმე ისე გამოიძიეს, როგორც მას და გაგლოევას აწყობდათ.

## გამოძიებამ ექსპერტიზის შედეგები გააყალბა და დამნაშავედ გარდაცვლილი ლევან შერაზადაშვილი აღიარა

**ლევან ჯავახიშვილი**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სრული აბსურდია, როცა ხელისუფლება აცხადებს, რომ პატიმრებს მკურნალობენ. იმას სამკურნალო დაწესებულება არ ჰქვია, რაც საპატიმროებში არსებობს. ესაა საწამებელი დაწესებულება. ყველა პატიმარი თანასწორია კანონის წინაშე, არ აქვს მნიშვნელობა, პოლიტიკური ნიშნითაა დაკავებული თუ სხვა.“



## ბრიტანეთი ირანზე შეტევისთვის ემზადება

**გავრცელებული ინფორმაციით, დიდი ბრიტანეთი ირანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის გეგმას ამზადებს.** გეგმა მაშინ ამოქმედდება, თუ აშშ-სა და მისი მოკავშირეების მიერ ირანის ბირთვულ ობიექტებზე სარაკეტო დარტყმები განხორციელდება. ირანი აცხადებს, რომ მისი ბირთვული პროგრამა სამშვიდობო მიზნებისთვისაა განკუთვნილი, აშშ და მისი მოკავშირეები კი თვლიან, რომ პროგრამა ბირთვული იარაღის შექმნას ითვალისწინებს. აშშ-ს, ცხადია, არ სურს, დაუშვას ირანში ბირთვული იარაღის შექმნა. ბრიტანეთის გეგმა ითვალისწინებს ბრიტანეთის სამხედრო ხომალდებისა და წყალქვეშა გემების ირანის ახლომდებარე წყლებში განთავსებას. ამას გარდა, იგეგმება ავიაციის გამოყენებაც და არ არის გამორიცხული ირანის ტერიტორიაზე სპეცრაზმის გადასმაც.

## აშშ-ში 84 ათასმა ადამიანმა საბანკო ანგარიშები დახურა

**აშშ-ში 84 ათასმა ადამიანმა საკუთარი საბანკო ანგარიშები დახურა.** ისინი საბანკო სისტემას უცხადებენ პროტესტს. „მე დავიღალე საპროცენტო განაკვეთების ზრდით, დავიღალე იმით, რომ საჭირო დროს არ შემიძლია საკუთარი ფულის მიღება,“ — განაცხადა აქციის ორგანიზატორმა კრისტენ კრისტიანმა. კრისტიანი „ბენკ ოფ ამერიკას“ ერთ-ერთი კლიენტი იყო, რომელმაც უარი თქვა, ბანკის მომსახურებაში ყოველთვიურად 5 დოლარი გადაეხადა. საკრედიტო კავშირების ეროვნული ასოციაციის მონაცემებით, მას შემდეგ, რაც „ბენკ ოფ ამერიკამ“ საკრედიტო ბარათების მომსახურებისთვის დამატებითი საპროცენტო განაკვეთი დააწესა, ბანკის მომსახურებაზე 650 ათასმა ადამიანმა თქვა უარი.



# «ეტაპირების დროს პატიმრებს არაადამიანურად აწამებენ»

ლალი აფციაური:

# ძალიან ხშირია პატიმრების გაუპატიურების შემთხვევები, ბევრი მათგანი დაინვალიდებული ტოვებს ციხეს

**სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე „საქართველო და მსოფლიოს“ ადვოკატი ლალი აფციაური ესაუბრა:**

**— ბოლო დროს მედიასაშუალებებით ხშირად ვრცელდება ინფორმაციები პატიმართა სიკვდილიანობასა და მათ მიმართ არაადამიანურ მოპყრობაზე. სახალხო დამცველმაც თავის ერთ-ერთ დასკვნაში აღნიშნა, რომ პატიმართა სიკვდილიანობა კატასტროფულად გაიზარდა.**

— ასეთი შეფასება ზუსტად შეესაბამება არსებულ მდგომარეობას. სასჯელაღსრულების სამინისტრო ოფიციალურ საიტზე განახევრებულ ან უფრო ნაკლებ ციფრს გვაწვდის. ეს არაა პირველი შემთხვევა, როდესაც პატიმართა სიკვდილიანობას მალავენ. **ფაქტობრივად, არ არსებობს მკურნალობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ხელისუფლება გაიძახის საავადმყოფოები ავაშენეთო, თუმცა ეს ყველაფერი სიცრუეა. ელემენტარული მკურნალობის საშუალების არქონის გამო, უამრავი ადამიანი დაავადდა.** აქედან გამომდინარე, სიკვდილიანობაც მეტია. მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, შეუძლიათ ამის გამო მიჩივლონ კიდეც, თუ რაიმე გადამეტებულს ვამბობ. უფრო მეტს გეტყვით: **როდესაც ესა თუ ის ადამიანი მკურნალობას და ექიმს ითხოვს, კარგად ვიცით, როგორც უმასპინძლდებიან, ანუ ცემა, წამება, არაადამიანური მოპყრობა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა და ა.შ.** აქედან გამომდინარე, სულაც არ მიკვირს, როდესაც სახალხო დამცველი აცხადებს, რომ კატასტროფულად დიდია პატიმართა სიკვდილიანობის მაჩვენებელი.

**— ქვეყანაში საგრძნობლად მოიმატა პატიმართა რაოდენობამაც. შესაძლოა, ეს სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის ეფექტურობით აიხსნას?**

— მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ 45 ათასი პატიმარი გვყავს, თუ მეტი არა; უკვე აღარ ვლაპარაკობ პრობაციონერებზე. ესაა არა სამართალდამცავი სტრუქტურების ეფექტური მუშაობის „დამსახურება“, არამედ მიშას ნულოვანი ტოლერანტობის შედეგი. ხელისუფლება ამ ყველაფრით რამდენიმე კურდღელს იჭერს. დავიწყოთ იქიდან, რომ ციხეების მშენებლობას მიშა თავისი ჯიბიდან არ აფინანსებს, განსხვავებით ივანიშვილისგან. **შემოდის გრანტები, შენდება ახალი ციხეები, ათეთრებენ ფულს. უამრავი ასეთი ფაქტი ვიცით. ესეც არ შენდება ხარისხიანად, ერთ კვირაში ნგრევას იწყებს. მაგალითად, მერვე საპყრობილეში კარი კინაღამ თავზე დამეცა, ძლივს გადავრჩი. და ესაა ევროსტანდარტებით აშენებული ციხე?! ფული კეთდება ასევე საპროცესო გარიგებებშიც, პატიმრის განცხადებებში, მინდობილობების გამოტანაში, პატიმრებთან სატელეფონო საუბრებში და ა.შ. ფაქტობრივად, ხელისუფლებამ ეს დაწესებულებები ფულის საჭრელ დაზგად აქცია.**

ქალთა კოლონიიდან დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ ქალებს საკვები პროდუქტების მიწოდება შეუზღუდეს. ქალები განსაკუთრებით არ ღებულობენ ციხეებში გაკეთებულ საკვებს, რადგან იმის ჭამა შეუძლებელია. არ შეიძლება იმ საკვების მიღების შემდეგ ჯანმრთელი გამოხვიდე ციხიდან. ამიერიდან ქალებს გარედან თვეში მხოლოდ 30 კილოგრამი საკვები პროდუქტების მიღება შეეძლებათ. ამაში შედის წყალიც. წყალსაც ხომ ყიდულობენ. რუსთავის კოლონიაში სასმელი წყალი უვარგისია. უსაშინელეს პირობებში მყოფ ადამიანებს კიდევ უფრო გაურთულეს ცხოვრება. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფიც, ალბათ, შიმშილობას დაიწყებს. **„აზრი არ აქვს იმას, რომ ამათი მომზადებული საკვები მივიღო, რადგან მოვკვდები და, თუ არ შევჭამ, მაინც მოვკვდები. ჯობია, არ ვჭამო და ისე მოვკვდე,“** — მითხრა მან.

გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეტაპირების დროს ცემაში მოკლეს ზუგდიდელი პატიმარი კალანდია. ეტაპირების დროს რომ პატიმრებს არაადამიანურად აწამებენ, ახალი ამბავი არაა.

**– ხშირია ღირსების შემლახველი მოპყრობაც...**

– ღირსების შემლახველი არაა, როდესაც გეუბნებიან – გაიხადე, ჩაიხადე; გაგაშიშვლებენ, გადაიკუზე, გადმოიკუზე; გისინჯავენ უკანა ტანს და გაფურთხებენ, დედას გაგინებენ?! ელემენტარულ გაცინებაზე შეიძლება ცემით მოგკლან. ხშირია პატიმრების გაუპატიურების შემთხვევებიც, ბევრი მათგანი სასჯელის მოხდის შემდეგ დაინვალიდებული ტოვებს ციხეს. **ენით აუწერელიაო, რომ ამბობენ, ზუსტად ასეთ კონტექსტში ჯდება სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმართა მიმართ მოპყრობა.**

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ციხეში „ავერსის“ აფთიაქი გახსნეს.**

— კიდევ ერთი შემოსავლის წყარო გაუჩნდა ხელისუფლებას. მე მას კალმახელიძის კერძო ბიზნესი ვუწოდე. ამ დრომდე, სანამ აფთიაქები გაიხსნებოდა, ოჯახის წევრები პატიმრებს გარედან აწოდებდნენ მედიკამენტებს. შეიძლება ვიღაცას საშუალება არ ჰქონდა და წამალს სხვა აჩუქებდა ან ჰუმანიტარული იყო. დღეს როგორც კვების პროდუქტებზეა აქცენტი გაკეთებული, რომ ყველა პროდუქტი შიგნით უნდა იყიდოს პატიმარმა, ამ მიზნით გაიხსნა აფთიაქებიც. პატიმრები ვალდებულები იქნებიან, მედიკამენტები ადგილზევე იყიდონ. რა ფასებში იქნება, ეს კიდევ სხვა თემაა. ხელისუფლება ხომ ციხეებიდან, პატიმართა ოჯახის წევრების ჯიბეებიდან ავსებს ბიუჯეტს.

**— რამდენად გამართლებულია ხელისუფლების მხრიდან იმ ადამიანების არასამართლიან სიტუაციაში ჩაყენება?**

— მე თუ მკითხავთ, დღეს ყველა პატიმარი პოლიტიკური ნიშნითაა დაკავებული. გამომდინარე იქიდან, რომ თვითონ სახელმწიფოს ნებაა ასეთი. მათივე ფრაზებს თუ მოვიშველიებთ, გამოდის, რომ ხელისუფლებას, ბოდიში და, სულ ფეხებზე ჰკიდია პატიმრების მდგომარეობა. ის ადამიანები, რომლებიც პატიმრები არ არიან და სოციალურად დაბალ ფენას წარმოადგენენ, ვერ უზრუნველყოფენ მკურნალობას და მსჯავრდებულებს ექნებათ მკურნალობა? ზღაპარია. **სრული აბსურდია, როცა ხელისუფლება აცხადებს, რომ პატიმრებს მკურნალობენ. იმას სამკურნალო დაწესებულება არ ჰქვია, რაც საპატიმროებში არსებობს. ესაა საწამებელი დაწესებულება. ყველა პატიმარი თანასწორია კანონის წინაშე, არ აქვს მნიშვნელობა, პოლიტიკური ნიშნითაა დაკავებული თუ სხვა.**

**— ხშირად იწერება და ქვეყნდება უარყოფითი დასკვნები საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესახებ, რასაც ხელისუფლება დიდ ყურადღებას არ უთმობს. ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი — თომას ჰამერბერგი საქართველოშიც იმყოფებოდა და პირადად გაეცნო სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობას...**

— საერთაშორისო ორგანიზაციები სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე რეალურ ინფორმაციას ფლობს. მე მაქვს პატიმარ უჩა გოდელაძის წამების ფოტომასალა, რომელიც პირადად გადავეცი საქართველოში ვიზიტისას ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს — თომას ჰამერბერგს. ყველა ნაწამები და ნაცემი პატიმრის ექსპერტიზის დასკვნა მაქვს, რითაც დასტურდება, რა ვითარებაა დღეს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში. **მიუხედავად იმისა, რომ ამდენს ვსაუბრობთ უფლებადამცველები, კონკრეტულ ფაქტებს ვასახელებთ, საჩივრები შეგვაქვს პროკურატურაში, რათა სისხლის სამართლის საქმე აღიძრას და გამოძიება დაიწყოს, ამ დრომდე ერთი ადამიანიც კი არ დასჯილა.** შევშფოთდებით, შევიცხადებთ, რაიმე ფაქტი თუ მოხდება, და აქ დამთავრდება ყველაფერი. ხელისუფლებას არც აინტერესებს საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები, სასაცილოდაც არ ჰყოფნის.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**



მოკლედ

## ბხუტოს მკვლელობაში ეჭვმიტანილებს ბრალი წაუყენეს

**პაკისტანის პროკურატურამ ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბენაზირ ბხუტოს მკვლელობაში ეჭვმიტანილ შვიდ ადამიანს ბრალი წაუყენა.** პროკურორის განცხადებით, მათ შორის ხუთი ბოევიკი და ორი პოლიციელია. მათ ბრალად ედებათ შეთქმულების მომზადება და მკვლელობის ხელშეწყობა. უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, სასამართლოს სხდომა დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა. შეგახსენებთ, ბხუტო ერთადერთი ქალი იყო, რომელსაც ქვეყნის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა. იგი 2007 წლის 27 დეკემბერს თავის მომხრეებთან გამართულ მიტინგზე მოწყობილი ტერაქტის შედეგად დაიღუპა.

## ყველაზე გავლენიანები

**ჟურნალ ფორბსის მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანების რეიტინგში აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ლიდერობს.** რეიტინგში მეორე ადგილი რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა დაიკავა. შარშანდელ რეიტინგში პუტინი მეოთხე ადგილზე იყო. გავლენიანი ადამიანების რეიტინგში სულ 70 ადამიანია. რუსეთის მოქმედი პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი 59-ე ადგილზეა. მესამე ადგილი შარშანდელი რეიტინგის ლიდერმა — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხუ ძინტაომ დაიკავა. შარშან ის რეიტინგის პირველ ადგილზე იყო.

„დასავლეთის სპეცსამსახურებმა და, უწინარეს ყოვლისა, აშშ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ დეტალური ანალიზის შედეგად დაასკვნეს, რომ ბიძინა ივანიშვილი არ არის ცალმხრივად რუსული ორიენტაციის მოღვაწე, მიუხედავად იმისა, რომ მისი ბიზნესი რუსეთშია, თითქმის მთელი ქონება იქ შეიძინა“.

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ანზორ მაისურაძე:**

# ხელისუფლებას მიცემული აქვს ინსტრუქცია — ივანიშვილს ხელი არ ახლოთ!



**ბიძინა ივანიშვილის გამოჩენით საქართველოში შექმნილი ახალი პოლიტიკური ვითარება არაერთ შეკითხვას ბადებს, მათ შორის ისეთებიცაა, რომლებზეც პასუხის მიღება სპეცსამსახურების პროფესიონალებისგან იქნებოდა კომპეტენტურიც და საინტერესოც.**
**დღეს „საქართველო და მსოფლიოს“ სტუმარია უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე.**

**— სიტუაცია, რბილად რომ ვთქვათ, ფრიად არაკომფორტულია დღევანდელი ხელისუფლებისთვის: ხალხის მასობრივმა სიმპათიამ მყისიერად ბიძინა ივანიშვილისკენ გადაინაცვლა. უნდა ველოდოთ თუ არა, რომ ამ დისკომფორტის გასანეიტრალებლად, მაშასადამე, ძალაუფლების შესანარჩუნებლად ძლიერნი ამა ქვეყნისა მიმართავენ რეპრესიულ ღონისძიებებს ბიძინა ივანიშვილისა და ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ? რას გიკარნახებთ თქვენი პროფესიული ალღო და გამოცდილება?**

— მოდით, ერთ რამეზე შევთანხმდეთ: ამ ქვეყანაზე თავისთავად არაფერი ხდება. მიმაჩნია, რომ **ბატონ ბიძინა ივანიშვილის მოსვლა პოლიტიკაში შეთანხმებულია იმ ძალებთან, რომლებიც მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეს განაგებს, წარმართავს მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებს.**

ბიძინა ივანიშვილი პრაგმატული მოღვაწეა, ანალიტიკური აზროვნების კაცია და საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილებას ჰაიჰარად არ მიიღებდა.

**— ესე იგი, ბიძინა ივანიშვილი მაინც პროექტია?**

— ასე თქმა არ შეიძლება. **ეს არის ის იშვიათობა, როცა ინტერესების დამთხვევა მოხდა — მსოფლიო თანამეგობრობის განმსაზღვრელი პოლიტიკური ძალისა და პერსონალურად ბიძინა ივანიშვილის ინტერესების, მისი პატრიოტული, მოქალაქეობრივი მისწრაფებების ურთიერთდამთხვევა.** ამ ორიდან რომელი იყო პირველადი და რომელი მომდევნო, ამაზე მსჯელობა იგივე იქნება, რაც ამაო კამათი — კვერცხი გაჩნდა პირველად თუ ქათამი.

და რახან შეთანხმებულია, მაშასადამე, დღევანდელ ჩვენს ხელისუფლებას მიცემული აქვს ინსტრუქცია — ივანიშვილს ხელი არ ახლოთ!

**— და, მიუხედავად ამისა, როგორც ვნახეთ, მას და მის ცოლს საქართველოს მოქალაქეობა წაართვეს, ე.ი. ქვეყნის სათავეში მოსვლის გზა მოუჭრეს.**

— დაუბრუნებენ მოქალაქეობას.

**— გამორიცხავთ, რომ გამწარებულმა ხელისუფლებამ ჯავრი ხალხზე იყაროს?**

— არა მგონია, ასეთ სისულელეზე წავიდეს. ჯერ ერთი, არ მინდა, ასე მოხდეს; მეორეც, არა მგონია, არ ესმოდეთ უაზრობა ისეთი ნაბიჯების, რასაც ქართული ანდაზა მიესადაგება: ცხენს ვერ მისწვდნენ და უნაგირს დაუწყეს მტვრევაო. ხალხი რა შუაშია, თუ მართლა სურთ სიკეთე ხალხისთვის?!

**— რასაც ყოველ დღე გვიმტკიცებენ.**

— ცდილობენ, რომ დაგვიმტკიცონ... დღეს რეალურად გაჩნდა შანსი ახალ ეტაპზე მშვიდობიანი გადასვლის. ამჟამად დაპირისპირებული მხარეები ხომ იყვნენ წლების მანძილზე ერთად? მაშასადამე, ერთმანეთის უნდა ესმოდეთ. მოილაპარაკონ და ნუ დააყენებენ ხალხს, ქვეყანას კატასტროფის წინაშე.

**— თქვენ შესანიშნავად იცით, რომ მსოფლიოში სააკაშვილის ხელისუფლება მიჩნეულია არაპროგნოზირებად ხელისუფლებად. ეს, ალბათ, ნიშნავს, რომ ვერ გამოვრიცხავთ ალოგიკურ მოქმედებას მისი მხრიდან. აქედან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილის საქართველოში ყოფნა გარკვეულ საფრთხეებთან არის დაკავშირებული.**

— გამორიცხვა, არაფრის შეიძლება. მაგრამ... მოდით, ერთად განვსაჯოთ.

როგორც ვიცი, ყველა ქვეყნის სპეცსამსახურები ბიძინა ივანიშვილისთანა პიროვნებებს განსაკუთრებული გამოწვლილვით შეისწავლიან: მისი მოღვაწეობის პრინციპულ დეტალებს, პოლიტიკურ სიმპათიებს, სუსტსა თუ ძლიერ მხარეებს, მის ნიჭიერებას და ა.შ.

ასეთ შესწავლას, ბუნებრივია, დაექვემდებარა ის ადამიანი, რომელზეც ვლაპარაკობთ. დასავლეთის სპეცსამსახურებმა და, უწინარეს ყოვლისა, აშშ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ დეტალური ანალიზის შედეგად დაასკვნეს, რომ ბიძინა ივანიშვილი არ არის ცალმხრივად რუსული ორიენტაციის მოღვაწე, მიუხედავად იმისა, რომ მისი ბიზნესი რუსეთშია, თითქმის მთელი ქონება იქ შეიძინა.

ბატონი ბიძინა პროქართულად მოაზროვნეა, ფიქრობს ქვეყნის სუვერენიზაციის გაძლიერებაზე, ქვეყნის სიკეთის გამრავლებაზე, თანამემამულეთა ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე, ჭეშმარიტი დემოკრატიის აღზევებაზე.

უმაღლეს დონეზეა შესწავლილი.

გვინდა თუ არ გვინდა, საქართველოს პრეზიდენტობა მხოლოდ ორი ვადით არის შესაძლებელი. ეს ვადა იწურება და თავისთავად დგება ახალი ძალის მოსვლის საკითხი.

ადვილი შესაძლებელია, რომ ფსონი სწორედ ბიძინა ივანიშვილზეა დადებული (*პაუზა*). დარწმუნებული ვარ, რომ ასეა!

**— თქვენი მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა ქართულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენაა და არა კერძო ფაქტი. ასეა?**

— დიახ, ასეა.

ვიმეორებ, ეს იდეა შეთანხმებულია ყველა წამყვანი ქვეყნის ხელისუფლების ხელმძღვანელებთან, მათ შორის, რუსეთის ხელმძღვანელობასთანაც.

**— თქვენ მიიჩნევთ, რომ რუსეთი მხარს დაუჭერს ბიძინა ივანიშვილს?**

— მე მგონი, დაუჭერს მხარს. ასე ვფიქრობ.

**— შეთანხმება შეთანხმებად, მაგრამ უსაფრთხოების გარანტია?**

— თქვენს მკითხველებს კარგად მოეხსენება, რომ საქართველოს ხელისუფლება პრაქტიკულად ყველა ნაბიჯს დგამს აშშ-ის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. ამიტომ, თუ ისინი ჩვენს ხელმძღვანელობას ნებას არ დართავენ, გაკეთდეს ის, რაც გასაკეთებელი არ არის, ესენი ვერ გაბედავენ ურჩობას.

**— ესე იგი, საქართველოს სპეცსამსახურები დაიცავს ბიძინა ივანიშვილის უსაფრთხოებას?**

— დარწმუნებული ვარ, რომ ასე იქნება.

**— მაგრამ მისი დაცვის წევრებს იარაღი რომ წაართვეს?**

— მე მგონი, ეს ვიღაცის ერთპიროვნული შეცდომაა, ან ტაქტიკური ლაფსუსია. ეს არ უნდა გაეკეთებინათ, არც მოქალაქეობა არ უნდა ჩამოერთმიათ, „ბანკი ქართუს“ ფული არ უნდა გაეტაცათ და სხვა ასეთი უაზრობა არ უნდა ჩაედინათ.

არაპროფესიული გადაწყვეტილებებია.

**— იქნებ, ეგოისტური გაბრძოლებაა სკამის შესანარჩუნებლად და ივანიშვილის პოზიციების შესარყევად? თუმცა რა შერყევაა, როცა ხალხი ბატონ ბიძინას მასობრივად მხარდაჭერას უცხადებს!**

— ფაფხურია, რაც, სხვათა შორის, არ მუშაობს ქვეყნისა და ხელისუფლების სასარგებლოდ.

**— შეიძლება დავასკვნათ, რომ უსაფრთხოების გარანტორად წარმოგვიდგება აშშ ელჩი საქართველოში ჯონ ბასი, რომელიც ბიძინა ივანიშვილს რეზიდენციაში ეწვია?**

— თვრამეტი ელჩი მივიდა. ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს. ქვეყნების პირველი დიპლომატები ესტუმრნენ იმ კაცს, რომელმაც საკუთარი თავი წამოაყენა ქვეყნის მომავალ ხელმძღვანელად.

**— თანაც — ამ ქვეყნის მოქალაქეობა ჩამორთმეულმა.**

— მიდიან მასთან, საუბრობენ, მსჯელობენ. მართალია, არ ვიცი, რა საუბარი გაიმართა, მაგრამ თვით ფაქტია იმის დამადასტურებელი, რომ ბიძინა ივანიშვილს ანთებული აქვს მწვანე შუქი.

**— ამერიკის ელჩის მისვლა მაინც განსაკუთრებულია.**

— არ შეგეკამათებით. იცით, რა უძღოდა წინ მის სტუმრობას ბიძინა ივანიშვილთან?

**— აბა, საიდან?**

— პირველ ინფორმაციას, როგორც ყოველთვის, დაზვერვის სამსახური აწვდის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ლენგლიში, ინფორმაცია სამხედროების ხაზით იგზავნება პენტაგონში, დიპლომატები უგზავნიან სახელმწიფო დეპარტამენტს, მათი მოხსენებები შედის ამერიკის ეროვნული უშიშროების საბჭოში, რომელსაც უზარმაზარი ანალიტიკური სამსახური აქვს. მზადდება დასკვნები, რის საფუძველზეც იღებენ გადაწყვეტილებას. ამ გზით მიღებულმა გადაწყვეტილებამ გაუხსნა გზა ჯონ ბასს ბიძინა ივანიშვილისკენ.

მაგრამ მარტო სხვის იმედად ყოფნა, მოგეხსენებათ, დამღუპველია. **წინა კაცი უკანას ხიდიაო, ნათქვამია. დარწმუნებული ვარ, რომ ეს შესანიშნავად იცის ბატონმა ბიძინამ და რა შეცდომებიც დაუშვა ცხონებულმა ბადრი პატარკაციშვილმა, ისეთს არ გაიმეორებს.**

**— რა შეცდომებს გულისხმობთ?**

— ბადრიმ დასავლეთს ვერ დაუმტკიცა, რომ იგი პრორუსული ორიენტაციის არ იყო.

დღეს ყველას დაგვავიწყდა, როგორი უმძიმესი წლები გადავიტანეთ — არ იყო პური, სინათლე, გაზი... ჩვენი მოქალაქეები სადარბაზოებში, ეზოებში კოცონს ანთებდნენ და მის ცეცხლზე ამზადებდნენ საჭმელს. ქალაქში ტრანსპორტი არ მოძრაობდა, ქურდობა და ყაჩაღობა დღისით, მზისით ხდებოდა და ა.შ.

ჩვენ შეიძლება დაგვავიწყდა, მაგრამ ახსოვს ამერიკას, რომელმაც ხელი გაგვიმართა, დაგვეხმარა და, რა თქმა უნდა, გავლენაც მოიპოვა საქართველოში.

ამ გავლენას შტატები არ შეელევა, არ დაკარგავს, ყველაფერს გააკეთებს, რათა კავკასიაში თავისი პოზიციები შეინარჩუნოს.

**— მაგრამ რუსეთის იგნორირება შეიძლება?!**

— იგნორირებაზე ლაპარაკი არ არის. ჩვენ დიდ მეზობელს ანგარიში უნდა გაეწიოს. მაგრამ არა კურსის შეცვლით — ჩრდილოეთისკენ დასავლეთის ნაცვლად.

**— რუსეთიც დასავლეთთან დასაახლოებელ კურსს მიჰყვება.**

— გონიერ ბალანსზეა ლაპარაკი. გაიხსენეთ, რომ საბჭოთა კავშირი დაშალეს ელცინმა, შუშკევიჩმა და კრავჩუკმა, რომლებმაც ბელოვეჟსკაია პუშჩაში ხელი მოაწერეს შესაბამის შეთანხმებას.

**— და ეს იყო ამერიკის პროექტი?**

— რა თქმა უნდა! რუსეთს მაშინ თავისი გასჭირვებოდა და ჩვენს პატრონობაზე ვერც იფიქრებდა. ასე არ იყო?

**— იყო ასე.**

— უფრო მეტიც — შემდეგ ჩვენ დაგვაბრალეს, რომ არაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ საბჭოთა კავშირი არ დაშლილიყო! ვინ ეკითხებოდა საქართველოს საბჭოთა კავშირის დაშლა-არდაშლას?!

**— დავიშალეთ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, მათ შორის, სამხრეთ კავკასიაში — საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი. მინდა, შეგეკითხოთ თქვენი პროფესიიდან — დაზვერვიდან გამომდინარე: აგზავნიან თუ არა ეს სახელმწიფოები ჯაშუშებს მეზობელ ქვეყნებში?**

— ამას ოფიციალურად არც ერთი სახელმწიფო არ აცხადებს. საერთოდ არ ხდება ამის გასაჯაროება, მაგრამ ფარულად ხორციელდება.

**— სომეხს, დაზვერვის მიზნით, აზერბაიჯანში ვინ შეუშვებს და პირიქით — აზერბაიჯანელს სომხეთში აგენტობას ვერ დაავალებ, საზღვარზევე დააკავებენ. მოგეხსენებათ, ორივე ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ საქართველოში. ხომ შეიძლება, რომ ისინი გამოიყენონ ჯაშუშებად?**

— რა თქმა უნდა, შეიძლება გამოიყენონ ინფორმაციის მისაღებად.

**— თუ გაიშიფრება, არ იმოქმედებს ეს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაზე? კერძოდ, საქართველოს პრესტიჟზე?**

— ამის გაკონტროლება პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ საქართველოს ვერავინ დაადანაშაულებს, თუმცა არასასიამოვნო ფაქტი იქნება.

**— გამორიცხავთ პროვოკაციებს კოჭოიების მონაწილეობით?**

— არა მგონია, რომ გამეორდეს, რადგან „ოპერაციები“, სადაც მთავარ ჯაშუშებად კოჭოია და მისთანანი იყვნენ წარმოდგენილები, არასერიოზულად მეჩვენება. მათი გახმაურება კი საღ აზრს იყო მოკლებული, მიმაჩნია, რომ ეს მომგებიანი არ იყო ჩვენი ქვეყნისთვის.

ასეთ რამეს სხვა არ გაიმეორებს, იმედი მაქვს, — არც ჩვენ.

ასეთი სკანდალები საჯაროდ არსად არ გამოაქვთ. საზღვარგარეთ რომ ვმუშაობდი, მახსოვს მსგავსი შემთხვევა, რამდენიმე კაცზე ეჭვი გაუჩნდა ადგილობრივ სპეცსამსახურებს. დაუძახეს ჩვენს ელჩს და უთხრეს, რომ ეს ხალხი ხელს უშლის სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობას და თანამშრომლობას და ამიტომ გთხოვთ, ორი კვირის განმავლობაში გაიწვიოთ ისინი ჩვენი ქვეყნიდანო. ერთდროულად ხუთი კაცი გამოუშვეს ისე, რომ ამას არ გამოუწვევია ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის გართულება.

ასეთია მიღებული წესი, და იგი უნდა დაიცვა, თუ არ გინდა შეურაცხყო სხვა ქვეყანა.

**— ისევ ივანიშვილს დავუბრუნდეთ, ბატონო ანზორ, კერძოდ, გახმაურებულ ფაქტს, როცა თვით ბატონმა ბიძინამ განაცხადა, რომ მისი ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი გიგა ჩრდილელი ვანო მერაბიშვილის მიერ ჩანერგილი აგენტი იყო. ესე იგი, ადამიანს, რომელიც ახალი ხელისუფლების არა მარტო მომხრე, არამედ უდიდესი ფინანსური ინიექციების წყარო იყო, თავიანთი ჯაშუში ჩაუსვეს?**

— ხელისუფლების მხრიდან ასეთი რამ მოსალოდნელია. ბიძინა ივანიშვილი გამონაკლისი ვერ იქნებოდა, რადგან, მიუხედავად მისი განცხადებებისა, რომ არ აპირებდა პოლიტიკაში მოსვლას, ყოველთვის მიჩნეული ჰყავდათ შესაძლო კონკურენტად, რომელიც, ადრე თუ გვიან, მაინც ჩაებმებოდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამიტომაც აკონტროლებდნენ. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ **ბიძინამ გადაბირებული კაცი არა მარტო გაშიფრა, არამედ თავისი — ბიძინასეული თამაში ათამაშა და მოიგო კიდეც.**

**— თქვენს დროსაც იყო ასეთი „ჩანერგვები“?**

— რა თქმა უნდა.

**— მინისტრების დონეზე, მაგალითად?**

— დიახ. როგორ არ იყო.

**— ყველაზე მაღალი თანამდებობის პირი ვინ იყო, ვისაც უთვალთვალებდით?**

— ყველა (*იცინის*).

**— სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში მყოფი პირებიც?**

— წესით, არ შეიძლებოდა. კანონიც კი მიიღეს, რომლითაც აკრძალული იყო პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მომუშავე ნომენკლატურული მუშაკების მოსმენა და თვალთვალი.

არაოფიციალურად კი კეთდებოდა.

**— რადგან უშიშროება ქვეყნის თვალი და ყური იყო?**

— რა თქმა უნდა. ყველგან ასეა, ყველა ქვეყანაში.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

ქრონიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქმეს ისეთი პირი უჩანს, „ნაცმოძრაობის მამამთავარს“ მალე მოუწევს გადაწყვეტილების მიღება, არჩევანი კი ასეთია – დალიოს ჩაი და წავიდეს სახლში ან გამოიყენოს ძალა და ბოლოს მაინც წავიდეს, ოღონდ კადაფივით ხიშტზე გაფრიალებული...**



## ბაკურციხეში დევნილებს სახლებში წყალი ჩასდით

**კახეთში, სოფელ ბაკურციხეში, ყოფილი პროფესიული სასწავლებლის ახლადრეაბილიტირებულ საერთო საცხოვრებელში შესახლებულ დევნილებს, სახლებში წყალი ჩასდით. შენობაში დაზიანებულია წყალგაყვანილობის სისტემაც, რის გამოც 40-მდე ოჯახი სინესტეში ცხოვრობს.**

„რაც აქ გადმოვსახლდით, ორივე კორპუსში სახურავიდან წვიმის წყალი ჩამოდის. წყალი სართულებს შორისაც ჩამოდის, რადგან შიდა წყალგაყვანილობა დაზიანებულია და მუდმივად სინესტეა, კედლები კი დაობებულია. ცუდ პირობებში გვიწევს ცხოვრება და ჩვენი პატრონი არავინაა. ჩვენი საკუთარი ძალებით დაზიანებული წყლის სისტემის შეკეთება არ შეგვიძლია. თავიდან გვპირდებოდნენ, რომ ნორმალური საცხოვრებელი პირობები გვექნებოდა, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი პირიქით არის. დასახმარებლად ადგილობრივ გამგეობას რამდენჯერმე მივმართეთ, მაგრამ უშედეგოდ“, — განუცხადეს კახეთის საინფორმაციო ცენტრს აფხაზეთიდან დევნილებმა.



## ექიმები გრიპის ეპიდემიის მოლოდინში არიან

**ამჟამად ვირუსის გართულებული ფორმით ინფექციურ საავადმყოფოში 2 ადამიანია მოთავსებული.**

„წელსაც სეზონური გრიპის ეპიდემია მოსალოდნელია. შესაბამისად, ჩვენი რეკომენდაციები უცვლელია ჰიგიენურ რეჟიმთან და ვაქცინაციასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ე.წ. H1N1 ვირუსით დაავადების შემთხვევები იქნება წელსაც, თუმცა ბევრად უფრო ნაკლები მასშტაბით, ვიდრე შარშან“, — განაცხადა დაავადებული კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ, მაია ბოწოშვილმა.

# სიმართლე პირველი დიპლომატისგან

## ჯონ ბასი: სასურველია, ჟურნალისტებმა მეტი კითხვა დასვან და ნაკლები განცხადებები გააკეთონ

**1 ნოემბერს ბიძინა ივანიშვილის მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე პროვოკაციის მოსაწყობად მისულმა სააკაშვილის ზოგიერთმა ჯიბის ჟურნალისტმა იმდენი იყაყანა, რომ თვით ამერიკის ელჩმა ჯონ ბასმაც კი, რომელიც „ნაცმოძრაობის“ უკანასკნელ იმედად მოიაზრებოდა, შეშფოთება ვერ დამალა და გასულ კვირას ერთ-ერთ გამოსვლაში პირდაპირ განაცხადა: „სასურველია, ჟურნალისტებმა მეტი კითხვა დასვან და ნაკლები განცხადებები გააკეთონო“. ამით მან, ფაქტობრივად, ხაზი გაუსვა იმას, რომ ქვეყანაში დამოუკიდებელი მედია არ არსებობს და ის ჟურნალისტები, რომლებსაც განცხადებების გაკეთება უფრო ეხერხებათ, ვიდრე კითხვის დასმა, ხელისუფლების მზა ტექსტებით საუბრობენ.**



### სააკაშვილსა და მის ამერიკელ პარტნიორებს შორის განხეთქილების ვაშლი უკვე გაგორდა ან სადაცაა, გაგორდება

შეიძლება, გაგიკვირდეს, მაგრამ ამერიკის ელჩმა მარტივად და გასაგებად უთხრა სააკაშვილის ავტორიტარულ რეჟიმს, **ჟურნალისტიკა მერცხლებზე და პინგვინებზე სჯა-ბაასი არ არის და ტინგიცა გოგო-ბიჭებს ტყუილად ნუ აყაყანებო...**

თავისთავად ამ განცხადებაში ახალი და დღემდე ართქმული, ცხადია, არაფერია. საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა უბასოდაც კარგად იცის, რომ დღესდღეობით საქართველოში თავისუფალი მედია მკვდარია, მაგრამ ჯონ ბასისგან, რომელიც, ელჩად გამწესების დღიდან ლამის სააკაშვილის პირად მცველად და მეხოტბედ გვევლინებოდა, რა თქმა უნდა, ამ განცხადებას სულ სხვა წონა და მნიშვნელობა აქვს; ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ამით ხელისუფლებამ ისეთ მომენტში ისეთი დარტყმა მიიღო, რომლის დროსაც ლოგიკურია ხოლმე ისტორიული ფრაზა: „შენც ბრუტუს?!“, თუმცა სააკაშვილს, რომელსაც პოლიტიკურ ასპარეზზე ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ იმის თავიც კი არ აქვს, რომ ქოჩორი შეიღებოს, ბასის განცხადებისთვის არ ცხელა და ამიტომ რეაგირებაც არ მოუხდენია.

მეტიც, იმ დღეს, როცა ბასმა ეს განცხადება გააკეთა, „ნაცმოძრაობის ბელადი“ ყვარელში საკუთარი ვენახებიდან ჩაგვერთო და ამაყად მოგვახსენა, რომ **ის, რასაც რუსეთთან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე თანხმობის სანაცვლოდ მივაღწიეთ, თურმე ჩვენი უდიდესი დიპლომატიური გამარჯვება ყოფილა. ამით სააკაშვილმა არამხოლოდ ბასის განცხადების გადაფარვა სცადა, ზოგადად ბოლოდროინდელ მნიშვნელოვან მოვლენებს გაუკეთა იგნორირება, თუმცა მსგავსი „დიპლომატიური გამარჯვებებით“ განებივრებული საზოგადოებისთვის, ცხადია, ამ „გამარჯვებას“, მით უმეტეს დღევანდელ ვითარებაში, ჩალის ფასიც არ ჰქონდა.**

მოკლედ, მთელი ის თითქმის **ერთსაათიანი შოუ, რომელიც ელდანაცემმა პრეზიდენტმა, ზაზა გოროზიას თანხლებით, ყვარლიდან პირდაპირ ეთერში შემოგვთავაზა, სრული ამაოება აღმოჩნდა და საბოლოოდ ამან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ მიხეილ სააკაშვილს რეალობის შეგრძნება სრულიად დაკარგული აქვს.**

რაც შეეხება ისევ ბასის შეფასებას, ეს კომენტარი რომ მოვისმინე, ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილის, უილიამ ბერნსის მიერ ამასწინათ გაკეთებული განცხადება გამახსენდა, — 2012-2013 წლების არჩევნების შედეგად უნდა მოხდეს ხელისუფლების სრულად დემოკრატიული გადაცემაო; თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ორივე განცხადებამ (განსაკუთრებით ბერნსის გაკეთებულმა) „ნაცმოძრაობის“ რიგებში ერთგვარი პანიკა და ისტერიული კომენტარების ბუმი გამოიწვია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილსა და მის ამერიკელ პარტნიორებს შორის განხეთქილების ვაშლი უკვე გაგორდა ან სადაცაა, გაგორდება. მხოლოდ ერთია საკითხავი — **ეს ვაშლი მალე იქცევა თუ არა ქვად, რომელსაც ვაშინგტონი შემდგომ ეტაპზე უკვე პირდაპირ გამოიყენებს სააკაშვილის ჩასაქოლად?** დიდწილად ეს, რა თქმა უნდა, თავად სააკაშვილზეც იქნება დამოკიდებული, ამიტომ, ბუნებრივია, მას უკვე პირდაპირ აფრთხილებენ თავისი უახლოესი პარტნიორებიც, თუ არ გინდა, კადაფივით ხიშტზე გაფრიალებულს მოგიწიოს პოსტის დატოვება, ჩაი დალიე და სახლში დროზე წადიო.

მოკლედ, **საქმეს ისეთი პირი უჩანს, „ნაცმოძრაობის მამამთავარს“ მალე მოუწევს გადაწყვეტილების მიღება, არჩევანი კი ასეთია – დალიოს ჩაი და წავიდეს სახლში ან გამოიყენოს ძალა და ბოლოს მაინც წავიდეს, როგორც უკვე გითხარით კადაფივით ხიშტზე გაფრიალებული...**

ნებისმიერ შემთხვევაში, ცხადია, სააკაშვილს ხალხის რისხვა არ ასცდება, მაგრამ, რისხვაც არის და რისხვაც... თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში ჩაიდალეულებს (მათ შორის მათაც, ვინც დალევა ვერ მოასწრო) არ ასამართლებენ და ჯერჯერობით არც საქართველო დამსგავსებია ლიბიას, ვფიქრობ, „ბელადს“ არჩევანის გაკეთება არ უნდა გაუჭირდეს...

**ჯაბა ჟვანია**

### საქართველოში თავისუფალი მედია მკვდარია, მაგრამ ჯონ ბასისგან, რომელიც, ელჩად გამწესების დღიდან ლამის სააკაშვილის პირად მცველად და მეხოტბედ გვევლინებოდა, რა თქმა უნდა, ამ განცხადებას სულ სხვა წონა და მნიშვნელობა აქვს

**P.S. იმ განცხადების შემდეგ, რომელიც გასულ კვირას ჯონ ბასმა გააკეთა, იმედს ვიტოვებ, მასაც რუსეთის აგენტად არ შერაცხავენ და კოჭოიას ბიძაშვილს ან მამიდაშვილს, ამჯერად უკვე აშშ-ის დავალებით, შვეიცარიის საელჩოსთან ტერაქტის მოწყობის ბრალდებით არ დააკავებენ; ასევე, იმედს ვიტოვებ, რომ 1 ნოემბერს ივანიშვილის პრესკონფერენციაზე უკიდურესად აღგზნებულ მდგომარეობაში წარმოდგენილი გოგო-ბიჭები ცივილიზებულმა სამყარომ ჟურნალისტებად არ აღიქვა — საბედნიეროდ, ბასის განცხადებამ ნაწილობრივ უკვე დაგვარწმუნა ამაში და სამწუხაროა, რომ ეს, ლამის ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც პირველი დიპლომატი სიმართლეს ამბობს...**

მოკლედ

## ბერლუსკონიმ ოცეულის სამიტზე გამოიძინა

**კანში გამართულ დიდი ოცეულის სამიტზე ბერლუსკონის ორჯერ ჩაეძინა, მათ შორის ერთხელ — იტალიის საკითხის განხილვისას.** იტალია საბერძნეთის შემდეგ პირველი ქვეყანაა ევროზონაში, რომელსაც ეკონომიკური კრიზისი ემუქრება. სირცხვილისგან გაწითლებული თანაშემწე იძულებული გახდა, სილვიო ბერლუსკონისთვის გამოსაფხიზლებლად მუჯლუგუნი ეკრა. იტალიის ოპოზიცია, რომელიც ბოლო დღეებია ბერლუსკონისგან გადადგომას სულ უფრო დაჟინებით მოითხოვს, ალბათ, პრემიერის მორიგი კონფუზით ისარგებლებს და მასზე წნეხს გააძლიერებს.



## საბერძნეთს ახალი პრემიერ-მინისტრი ეყოლება

**საბერძნეთს ახალი კოალიციური მთავრობა და პრემიერ-მინისტრი ეყოლება.** პრეზიდენტის კანცელარიამ გაავრცელა განცხადება, რომ ქვეყნის მოქმედი პრემიერ-მინისტრი გეორგიოს პაპანდრეუ დათანხმდა, რომ ახალ მთავრობას ის არ ჩაუდგება სთავეში.

პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე სამი კანდიდატი დასახელდა. ესენი არიან: ევროპის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე ლუკას პაპადიმოსი, მოქმედი ევროპელი ომბუდსმენი ნიკიფოროს დიამანდურასი და ყოფილი ევროკომისარი სტავროს დიმასი.

ბიძინა ივანიშვილის გამოჩენით დაფეთებულმა პირველმა პირმა მყისიერად გაიხსენა მისი ხელიდან „ჩარეცხილი“ 45-60 წლის ადამიანები და მათ დამსაქმებლებს საგადასახადო შეღავათებს დაჰპირდა. მერე რა, რომ ეს ხალხი 8 წლის წინ გაცილებით ახალგაზრდა იყო. ეს დაპირებაც ისეთივე ტყუილია, როგორიც — სხვა დანარჩენი და, აბა, ასაკს რა მნიშვნელობა აქვს?

ჩეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სიცრუე პირველი პირისგან

**ნომერი პირველი რეფორმატორი ქვეყნის ნომერი პირველი პირის სიცრუეს საზღვარი აღარ აქვს. აგერ ახლახან, საქართველო-რუსეთის საზღვარზე მესაზღვრეებისა და მებაჟეების ჩაყენებას რომ გვპირდებოდა, რუსეთის მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში შეშვებას ისე დათანხმდა, რომ კერძო აუდიტორული კომპანიის მიერ „დერეფნის“ ბოლოებში ტვირთების გაკონტროლება იკმარა, თურმე ეს ყოფილა „ქართული დიპლომატიის გამარჯვება“!**



**დერეფანი ფსოუსა და ზუგდიდს შორის „გაიდო“, მეორე — „ზემო ლარსსა“ და ყაზბეგს შორის, მესამე – როკის გვირაბიდან ქალაქ გორამდე. ჩვენი სამშობლო რომ მავანისთვის ოდენ „დერეფანია“, ვიცოდით, მაგრამ, თუ ამ სავაჭრო დერეფნების დაკანონება დიდი დიპლომატიური გამარჯვება იყო, ეს მართლაც აღმოჩენაა.**

ახლა ამ დერეფნის გამოსასვლელებში ბადით ხელში უნდა დავდგეთ და სხვა ქვეყნებიდან გამოქცეული ინვესტიციები დავიჭიროთ. იგივე პირველი პირი თავისი ტყუილებით, ახლა უკვე მარტო მოსახლეობას კი არა, საკუთარ საპარლამენტო უმრავლესობასაც ასულელებს:

**„ვერც ერთი ქვეყანა ახლოს ვერ მოვა საქართველოსთან საინვესტიციო ფონით, კორუფციის არქონით, უსაფრთხოების უმაღლესი დონით. ეს არის ზუსტად ის მომენტი, როცა სხვა ქვეყნიდან კაპიტალი გარბის და საქართველოს აქვს შანსი, პირიქით, თავისი ეკონომიკური პოტენციალი გაზარდოს ამ გაქცეული კაპიტალის ხარჯზე“.** ახლა გაიხედეთ დერეფნის ბოლოს, — მოჩანს ინვესტიციები? არა? არა უშავს, ინფორმაციის ელექტრონული გაცვლა ჩაირთვება და დაინახავთ!

**ბიძინა ივანიშვილის გამოჩენით დაფეთებულმა პირველმა პირმა მყისიერად გაიხსენა მისი ხელიდან „ჩარეცხილი“ 45-60 წლის ადამიანები და მათ დამსაქმებლებს საგადასახადო შეღავათებს დაჰპირდა. მერე რა, რომ ეს ხალხი 8 წლის წინ გაცილებით ახალგაზრდა იყო?! ეს დაპირებაც ისეთივე ტყუილია, როგორიც — სხვა დანარჩენი და, აბა, ასაკს რა მნიშვნელობა აქვს?**

პირველი პირი აყალბებს საკუთარ ბიოგრაფიას, ცრუობს, ვიდრე აირჩევენ, და თავდავიწყებით ცრუობს არჩევის შემდეგაც. ცრუობს მსხვილ და წვრილმან საკითხებზე. გვპირდება 100 საავადმყოფოს, ათასობით სამუშაო ადგილს, ტურისტულ სამოთხეს. სინამდვილეში კი საავადმყოფოები და სკოლები იხურება (ტყუილის ენაზე ამას „ოპტიმიზაციას“ ეძახიან), ახლადლენტგაჭრილი საწარმოები პირველი პირის გამგზავრებისთანავე ჩერდება, ხოლო ზარ-ზეიმით გამოცხადებული „მუხრანის წყარო“ — სახანძრო მანქანით მდინარიდან ამოქაჩული წყლის დამთავრებისთანავე შრება.

„ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო,“ — ამბობს ხალხი, ოღონდ ჩვენი პირველი პირი ახერხებს, საკუთარ ტყუილს გაექცეს ხოლმე. სწრაფად დარბის და იმიტომ. რუსულ თვითმფრინავსაც გაექცეოდა, მაგრამ დაცვამ ძალად დააგდო ძირს! აბა, გჯერათ, რომ „მოგებული ომის მთავარსარდალი“ ბრძოლის ველიდან გაიქცეოდა?!

გარბის, გარბის, მაგრამ ტყუილების მარაგიც არ არის უსაზღვრო. ერთი და იგივე ტყუილი კი ველარ მუშაობს. ამიტომ იგი ისე გაუგებრად უნდა ჩამოაყალიბო, რომ აზრი ვერავინ გამოიტანოს:

**„პირველად 1993 წლის შემდეგ ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მუდმივ რეჟიმში მივიღებთ ინფორმაციას ყველა ტვირთის შესახებ, რომელიც საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე შემოდის. მიმაჩნია, რომ ეს ჩვენი დიპლომატიური გამარჯვებაა. რა თქმა უნდა, ჩვენი საბოლოო გამარჯვება იქნება, როცა არა მხოლოდ საერთაშორისო მონიტორები, არამედ საქართველოს საბაჟო და სასაზღვრო სამსახური განლაგდება საზღვრის აქეთ, რასაც ჩვენ, ყველანი მივაღწევთ, მაგრამ ის, რასაც დღეს მივაღწიეთ, არის პირველი ძალიან მნიშვნელოვანი დაფიქსირება იმისა, რასაც საქართველოს საბაჟო საზღვრები, საქართველოს ტერიტორიის საბაჟო კონტროლი, ამ შემთხვევაში, მონიტორინგი ჰქვია საერთაშორისო მხარის მიერ, რომელიც, სხვათა შორის, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს“.**

**ბიძინა ივანიშვილის გამოჩენით დაფეთებულმა პირველმა პირმა მყისიერად გაიხსენა მისი ხელიდან «ჩარეცხილი» 45-60 წლის ადამიანები და მათ დამსაქმებლებს საგადასახადო შეღავათებს დაჰპირდა. მერე რა, რომ ეს ხალხი 8 წლის წინ გაცილებით ახალგაზრდა იყო?! ეს დაპირებაც ისეთივე ტყუილია, როგორიც — სხვა დანარჩენი და, აბა, ასაკს რა მნიშვნელობა აქვს?**

გაიგეთ რამე? ვერა? სიტყვების ეს რახა-რუხი ერთადერთ რამეს ემსახურება: გამგონი ვერ მიხვდეს, რომ ბრტყელ-ბრტყელი დაპირებების ნაცვლად, ამის მთქმელს ევროპელებმა ყური აუწიეს და რუსეთის მვო-ში შესასვლელად თანხმობა მიაცემინეს! თუმცა მას იმდენჯერ და იმდენ რამეზე მიაცემინეს თანხმობა, რომ თავადაც აერია სათვალავი.

სამაგიეროდ, ბოლო ერთი თვის განმავლობაში სააკაშვილს არც ერთხელ არ უხსენებია ბიძინა ივანიშვილი. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა დუმილით ცრუობენ. ივანიშვილი თითქოს არის და არც არის. პირველი პირი ვიღაც მოქალაქეობაჩამორთმეულ ადამიანზე ხომ არ ილაპარაკებს? ამიტომ ახალი ტყუილების კასკადი მოამზადა.

**„საქართველოს მთავრობა განაგრძობს მსჯელობას სტრატეგიული განვითარების „ათპუნქტიან გეგმაზე“, რომელიც 2011-2015 წლებზეა გათვლილი და მიზნად ისახავს წინსვლას მოდერნიზაციისა და დასაქმების მიმართულებებით“.** პირველი პირის „ათპუნქტიანი გეგმა“ ასე გამოიყურება:

**1. მაკროეკონომიკური სტაბილურობა;**

**2. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესება;**

**3. საუკეთესო საინვესტიციო და ბიზნესგარემოს შექმნა-შენარჩუნება;**

**4. რეგიონულ სავაჭრო და ლოჯისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბება;**

**5. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;**

**6. სოფლის მეურნეობის განვითარება;**

**7. განათლების სისტემის გაუმჯობესება;**

**8. სოციალური პოლიტიკის დახვეწა;**

**9. ხელმისაწვდომი, მაღალხარისხიანი ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბება;**

**10. ურბანული და რეგიონული განვითარება.**

აკი, ყველა ეს პუნქტი შესრულებული ჰქონდა ჩვენს პირველ პირს?! თუ არა? **მის ხელისუფლებაში „რევოლუციურ მოსვლამდე“ მისმა მხარდამჭერმა (დღეს – ივანიშვილის მეგობარმა) არასამთავრობო ორგანიზაციებმაც შექმნეს დოკუმენტი სახელად „10 ნაბიჯი თავისუფლებისკენ“. მაშინ მან მხოლოდ დღევანდელ პირველ პირს მოუტანა თავისუფლება. იქნებ ამ 10-პუნქტიანმა სიცრუის გეგმამ ამჯერად ქვეყანა გაათავისუფლოს მისგან?!**

**თამარ დავითულიანი**

**ბოლო ერთი თვის განმავლობაში სააკაშვილს არც ერთხელ არ უხსენებია ბიძინა ივანიშვილი. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა დუმილით ცრუობენ. ივანიშვილი თითქოს არის და არც არის**



## გოდერძის უღელტეხილზე თოვლში რამდენიმე ავტომანქანა მოყვა

**აჭარაში, გოდერძის უღელტეხილზე თოვლის საფარმა ერთ მეტრს მიაღწია. დიდთოვლობის გამო უღელტეხილზე თოვლში ოთხი ავტომანქანა მოყვა, თუმცა ავტომობილებიდან ყველა მგზავრის გადმოყვანა მოხერხდა. უღელტეხილის ცენტრალურ მაგისტრალზე ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობა აკრძალულია.**

ძლიერმა თოვლმა ელექტროგადამცემი ხაზებიც დააზიანა, რის გამოც რამდენიმე სოფელი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, თოვლს ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის განსაკუთრებული პრობლემები არ შეუქმნია, რადგან ადგილზე პროდუქტები და პირველადი საჭიროების საგნები საკმარისია. მოძრაობა აღდგენილია რიკოთის უღელტეხილზეც, თუმცა რეგიონებში თოვა გრძელდება. მოძრაობა არ არის შეზღუდული თბილისშიც. მთელი ღამის განმავლობაში სპეციალური სამსახურები, გზებზე ტექნიკურ მარილს ყრიდნენ. სულ თბილისში 50 ერთეული ტექნიკა მუშაობდა.



## ტყიბულში ორი მაღაროელი დაიღუპა

**კომპანია „საქნახშირი“ ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ტყიბულის მინდელის სახელობის მაღაროში გუშინ ორი მაღაროელი დაიღუპა.** „ტყიბულის მინდელის სახელობის მაღაროში, ნომერ მეოთხე მომპოვებელ უბანზე 6 ნოემბერს, 21:25 საათზე წმენდით სანგრევში მოხდა ჭერის უეცარი ჩამონგრევა. უბედურმა შემთხვევამ ორი მაღაროელის გარდაცვალება გამოიწვია. წინასწარი ინფორმაციით, უბედური შემთხვევის მიზეზი, სავარაუდოდ, სამთო მასივის შერყევა (სამთო დარტყმა) გახდა“, — ნათქვამია განცხადებაში.

## შიდსით დაავადებული განიკურნა

**კალიფორნიელი ექიმების ცნობით, შესაძლებელი გახდა, ადამიანი, რომელიც შიდსით იყო დაავადებული, ამ სენისგან განკურნებულიყო. სასწაულით გადარჩენილი, რომელმაც მეორე სიცოცხლე დაიწყო, სან–ფრანცისკოელი ტიმოტი რეი ბრაუნია.**

შიდსის ნიშნები მას 15 წლის წინ აღმოუჩინეს. მაშინ ის 30 წლის იყო. ამ დაავადების აღმოჩენიდან ცოტა ხანში მას ლეიკემიაც დაუდგინეს.

2007 წელს ბრაუნს, რომელიც მაშინ ბერლინში ცხოვრობდა, ზურგის ტვინის უჯრედების ტრანსპლანტირება გაუკეთეს. ერთი წლის შემდეგ ანალიზების შედეგად მის ორგანიზმში ლეიკემიის და შიდსის კვალიც არ აღმოჩნდა.

## დურუჯის ტბის მშენებლობაზე ბიჭი დაიღუპა

**ყვარელში, დურუჯის ტბის და დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობაზე, რომელიც ხვალ პრეზიდენტმა სააკაშვილმა უნდა გახსნას, 29 წლის გივი ხიზანიშვილი დაიღუპა. ხიზანიშვილი მუშა იყო. მას დენმა დაარტყა და ადგილზე გარდაიცვალა. გარდაცვლილს მეუღლე და 2 მცირეწლოვანი შვილი დარჩა.** „ობიექტზე რომ მივედით, ახალგაზრდა უკვე გარდაცვლილი დაგვხვდა. სხეულზე სილურჯეები აღენიშნებოდა. მიუხედავად ამისა, გულის დახურული მასაჟი ჩავუტარე, მაგრამ უშედეგოდ. სიკვდილი ელექტროტრავმამ გამოიწვია“, - განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ყვარლის სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ექიმმა ვალოდია გელაშვილმა.

ეკონომიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დავოსის ეკონომიკური ფორუმის ბოლო მონაცემებით, საკუთრების უფლების დაცვით, 160 ქვეყანას შორის საქართველო 120-ე ადგილზეა; მცირე აქციონერთა დაცვის, ანუ იმ ადამიანთა დაცვის კუთხით, რომლებიც რომელიმე ფირმაში 2-3 პროცენტ წილს ფლობენ, 119-ე ადგილზე ვართ; ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციით 128-ე ადგილი გვიჭირავს; 135-ე — ანტიმონოპოლიური ეფექტურობით...“

## დავით ონოფრიშვილი:

# ამ ხალხს ზამთარში გაყინვა ელის!

**ქართული ეკონომიკის სამართავი ბერკეტები პატარა გოგო-ბიჭებმა ჩაიგდეს ხელთ და იმას, რაც კოლეჯებსა და ინსტიტუტებში უნდა ესწავლათ, ახლა სწავლობენ პრაქტიკაში — თან „მართავენ“ ეკონომიკას და თან თეორიაშიც ნელ-ნელა ერკვევიან.**

**პრეზიდენტი სააკაშვილი ამას წინათ გამოვიდა და ქულების ჩაწერა სცადა მთავრობის სხდომაზე — ვინც ჰიბრიდული სიმინდი დათესა 1 ჰექტარზე, იმას კრედიტად გაცემული სიმინდის თესლის საფასურს ჩამოვაწერთო.**

**კი, მაგრამ, ვინც 1 ჰექტარზე მეტ ფართობზე დათესა, იმათ რა ქნან? რა ქნას იმ ხალხმა, რომელმაც ათასობით ლარი მარტო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს მიახარჯა და ამ „პიარ-სიმინდს“ თავს ევლებოდა? და, საერთოდ, რა ეშველება არა მარტო სოფელს, მთლიანად, ქართულ ეკონომიკას? როდემდე უნდა გვატყუოს ხელისუფლებამ დაქირავებული კვლევითი ჯგუფების მიერ გაყალბებული სოციალური და ეკონომიკური კვლევებით?**

**ამ და სხვა თემებზე „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს ყოფილი ფინანსთა მინისტრი, დავით ონოფრიშვილი გვესაუბრება.**



**— ბატონო დავით, თქვენთან საუბარი, ფინანსთა ამჟამინდელი მინისტრის, დიმიტრი გვინდაძის განცხადებით მინდა დავიწყო: საქართველო მოსალოდნელი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისგან 100 პროცენტით დაცულიაო. რა ხდება, დაგვცინის გვინდაძე? 100 პროცენტით მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური თუ ნებისმიერი სახის გლობალური კრიზისისგან, ამაზონიის ჯუნგლებში მობინადრე ტომები არიან დაცულნი და მათ არც ეკონომიკური კრიზისი შეეხებათ. ფინანსთა მინისტრმა ველურ ტომებთან გაგვათანაბრა ქართველები თუ მართლა გვაქვს იმდენად მყარი და ძლიერი ეკონომიკა, რომ ვერანაირი გარე ქარტეხილი ვერ შეგვარყევს?**

— ფინანსთა მინისტრის ეს განცხადება ემსახურება პიარსა და ხალხისთვის თვალის ახვევას. საქართველო მსოფლიოს ეკონომიკის ნაწილია და, თუ კრიზისი განვითარდა, ჩვენ ვერ აგვცდება. ცოტა ხნის წინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ქადაგიძემ განაცხადა, ინფლაცია იმიტომაა მაღალი, რომ მსოფლიოში სურსათზე ფასებმა იმატაო. გამოდის, გარე ფაქტორები მყისიერად აისახება ქართულ ეკონომიკაზე და ამას აღიარებს ქადაგიძე, მაგრამ ფინანსთა მინისტრი რატომღაც არ აღიარებს.

**— სადამდე არ აღიარებს? ეს ის შუბია, ხალთაში რომ არ დაიმალება.**

— არასგზით არ დაიმალება. თუ მსოფლიოს ფინანსურმა კრიზისმა გადაუარა, ჩვენც ძალიან დავზარალდებით. სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ფსევდოლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებს, რამაც ისედაც მძიმე დღეში ჩააგდო ხალხი და ქვეყანა. ამ ფონზე, თუ გარედანაც იქნება რყევები, უმძიმესი შედეგები გველის.

**— ბატონო დავით, რა ჰქვია იმას, რასაც ჩვენ ქართულ ეკონომიკას ვუწოდებთ?**

— სახელისუფლო ენაზე ეს ლიბერალური საბაზრო ეკონომიკაა. რეალურად კი, ხელისუფლების ცალკეული პირების, მათ ხელთარსებული ფინანსური ინსტიტუტების მიერ მართვადი, კონტროლირებადი ეკონომიკაა. ქვეყანაში არ არსებობს კონკურენცია, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა. ანტიმონოპოლიური სამსახური ფორმალურადაც კი არ არსებობს — გააუქმეს. **მონოპოლისტებმა ჩაიგდეს ყველა ბიზნესსფერო, კარტელური გარიგებების შედეგად, თითქმის ნებისმიერ სფეროში ხელისუფლების ფავორიტი კომპანიები აწესებენ ფასებს, გნებავთ, ფარმაცევტულ ბაზარზე, გნებავთ — ნავთობპროდუქტების, კომუნიკაციებისა და ნებისმიერ სამომხმარებლო სფეროში. იგივე ხდება სასურსათო პროდუქტებთან დაკავშირებით.** თუ ვინმემ გაბედა რომელიმე სფეროში კონკურენციის გაწევა, ფასის დაგდება, მას წამსვე მიახრჩობენ — საგადასახადო და სხვა სამსახურები შევლენ ამ კომპანიაში და ორ დღეში, უკეთეს შემთხვევაში, გააკოტრებენ ან უარესიც შეიძლება ქნან — მთელი ბიზნესი წაართვან და მის კერძო ქონებასაც მისდგნენ.

**— სახელმწიფო რეკეტზე რას იტყვით? საგადასახადო სამსახურსა და ფინანსურ პოლიციას ლეგალური დამყაჩაღებლების სტატუსი აქვთ მინიჭებული. არ გამიკვირდება, მალე ფინანსური პოლიციის ან საგადასახადო თანამშრომლები ობიექტების შესამოწმებლად ნიღბებში და „კალაშნიკოვის“ ავტომატებით რომ გამოცხადდნენ.**

— ყველაფერია ამათგან მოსალოდნელი. ბიზნესს ახრჩობენ, რაც შეუძლიათ, არ აძლევენ განვითარების საშუალებას. გადასახადები მაღალია, მათი ამოღების მეთოდები — არაცივილიზებული. **ხელის გადაგრეხის პოლიტიკამ ჩაკლა მცირე და საშუალო ბიზნესი. ბიზნესმენს იმ ფულად რესურს არ უტოვებენ, რომლითაც უნდა განავითაროს თავისი ბიზნესი. რასაც ოფიციალურად იხდის, ეს ერთია, მეორეა, ძალით შეწერილი ხარჯი, რომელსაც ნებისმიერი რანგის არჩევნებზე „ნაცმოძრაობის“ სხვადასხვა ანგარიშზე არიცხინებენ ან აფინანსებენ სახელისუფლო პროექტებს, რომელთაც მერე ხელისუფლება საპიაროდ იყენებს — აი, რა მაგრები ვართ, ესა და ეს გავაკეთეთო.** უკეთეს შემთხვევაში, მცირე და საშუალო ბიზნესი ვერ ვითარდება. მათ მხოლოდ იმდენ თანხას უტოვებენ, რამდენიც ბიზნესის შესანარჩუნებლადაა საჭირო, რეინვესტიციისთვის საჭირო თანხას კი „ნაციონალები“ ართმევენ.

**— და რატომ არ იღებენ ხმას ჩვენი ბიზნესმენები მანამდე, ვიდრე გააკოტრებენ და დასაკარგი აღარაფერი აქვთ?**

— მხოლოდ ერთეულები ბედავენ ხმის ამოღებას, მაგრამ, ვინც ხმას იღებს, მათაც შავ დღეში ყრიან.

**— გამოდის, გამოსავალი არ არის?**

— არის გამოსავალი და ისევ ბიზნესმენებმა უნდა იაქტიურონ. მათ ვერავინ დაიცავს, თუ არ გაიგო ხალხმა, პოლიტიკურმა პარტიებმა, უფლებადამცველებმა, რომ მათ ატერორებენ, ბიზნესს ართმევენ. მერე, როცა ყველაფერი დამთავრდება, ძალიან გვიანი იქნება.

**— თქვენი პოლიტიკური პარტია ხომ არ აპირებს, გააქტიუროს ამ მიმართულებით მუშაობა — ხელისუფლების მსხვერპლი ან პოტენციური მსხვერპლი ბიზნესმენები დაარწმუნოს, რომ დროულად სჯობს ხმის ამოღება?**

— კი, ჩვენთან მოდიან ბიზნესმენები, რომელთაც მეტი აღარ შეუძლიათ. ყველანაირად ვუდგავართ გვერდით. ჩვენც იმასვე ვურჩევთ — ხმა ამოიღონ დროულად, მიმართონ მედიას თავის დასაცავად. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ არის მათი და მათი ბიზნესის უსაფრთხოების გარანტი.

**— ბატონო დავით, ამ ყველაფრის საპირისპიროდ, ხელისუფლება აქვეყნებს კვლევებს, რომელთა მიხედვითაც, საქართველოში ეკონომიკა ყვავის.**

— რაც ხელს აძლევთ, მარტო იმას აქვეყნებენ. კი, კარგია, ბიზნესის დაწყების გამარტივებით, მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, მეორე ადგილზე რომ ხარ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ბიზნესის დაწყების გამარტივება, ბიზნესმენისთვის ნიშნავს, რომ, თუ სხვა ქვეყანაში 10 დღეში შეძლებს დარეგისტრირებასა და საჭირო დოკუმენტაციის მოკრებას, აქ 5 დღეში გააკეთებს იმავეს; თუ სხვაგან 500 დოლარი დაუჯდება ეს პროცესი, აქ — 200 დოლარი. ეს არაფერია სოლიდური ბიზნესისთვის. ეს 5-დღიანი და 300-დოლარიანი სხვაობა, როცა მილიონი დოლარის ინვესტირებას აპირებს ვინმე, მისთვის სასაცილოა. ეს არის სატყუარა ისევ ჩვენი ხალხისთვის. მსოფლიოს ბანკის კვლევაში მეორენი ვართო. მერე? კარგი, ამ გამარტივებული წესით დაიწყო ვიღაცამ ბიზნესი, მერე რა ხდება? სახელმწიფო რომ უკონტროლებს თავიდან ბოლომდე იმ ბიზნესს, ათასგვარ ოფიციალურ და არაოფიციალურ გადასახადს რომ ახდევინებს, თუ მისი ბიზნესი ვინმეს მოეწონა ხელისუფლებიდან, უსიტყვოდ რომ ართმევენ, ამაზე რატომ არ ლაპარაკობენ? **რატომ არ აქვეყნებენ დავოსის ეკონომიკური ფორუმის ბოლო მონაცემებს? აი, ეს მონაცემები: საკუთრების უფლების დაცვით, 160 ქვეყანას შორის საქართველო 120-ე ადგილზეა; მცირე აქციონერთა დაცვის, ანუ იმ ადამიანთა დაცვის კუთხით, რომლებიც რომელიმე ფირმაში 2-3 პროცენტ წილს ფლობენ, 119-ე ადგილზე ვართ; ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციით 128-ე ადგილი გვიჭირავს; 135-ე — ანტიმონოპოლიური ეფექტურობით... ახლა ამბობენ, ინვესტორები შემოვლენო. არავინ არ წამოვა. ეს მონაცემები, ახლა რომ გითხარით, განა იმ პოტენციურმა ინვესტორებმა არ იციან? თუ მათ მარტო ბიზნესის დაწყება აინტერესებთ და მერე რა ელის მათ ბიზნესს, არ აინტერესებთ?**

ან რომელი ქვეყნის ეკონომიკის აყვავებაზე ლაპარაკობენ? უმუშევრობა გაიზარდა, სიღარიბის დონემ აიწია, საშინაო და საგარეო ვალმა მოიმატა, ინფლაცია გაიზარდა, ინვესტიციები შემცირდა, ფასებმა საგრძნობლად იმატა... აი, ეს არის არაპროფესიონალი ხალხის საქმიანობის შედეგი. დანგრეულია სოფლის მეურნეობა. 80 პროცენტი სოფლის მეურნეობის პროდუქციისა უცხოეთიდან შემოდის. არადა, რესურსი არის, პირიქით უნდა იყოს — 80 პროცენტი ექსპორტზე უნდა გაგვქონდეს.

**— „ნაციონალები“ არ ახმაურებენ, რომ აზიის განვითარების ბანკს 500 მილიონი დოლარი სთხოვა მთავრობამ კრედიტი და მხოლოდ 80 მილიონი მისცეს. უცხოური გრანტებისა და კრედიტების ეპოქა მთავრდება, ეკონომიკა ვერ ვითარდება, ბიზნესი ჩაკლეს, საგარეო ვალი მატულობს და უკვე გაისად სოლიდური თანხებია გასასტუმრებელი. რისი იმედი აქვთ, როცა მთელ მსოფლიოს თავისი გასჭირვებია და ამათ დასახმარებლად არავის სცხელა?**

— ვერ გეტყვით, რისი იმედი აქვთ. ვიცი, რომ საგარეო ვალი 5 მილიარდი გახდა. ეს უმძიმესი ტვირთია ქვეყნისთვის. 2008 წელს, აგვისტოს ომის მერე, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებმა და საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტებმა 4,5 მილიარდი დოლარი გამოუყო ხელისუფლებას კრედიტებისა და გრანტების სახით. ახლა ▶

**«რატომ მალავს ხელისუფლება დავოსის ფორუმის მონაცემებს საქართველოს შესახებ?»**

**«ქართლში, კონფლიქტის ზონის სიახლოვეს, ათობით სოფელია. ხალხი ტყეში ვერ შედის, გასაგები მიზეზის გამო, რომ შეშა გამოიტანოს. ამ ხალხს ზამთარში გაყინვა ელის ან იძულებული გახდება, სოფელი მიატოვოს»**

ზუგდიდის პოლიტექნიკური კოლეჯის ტერიტორიაზე უმოკლეს ვადაში აშენდა პრეზიდენტის რეზიდენცია „მეგრული ოდა“, თუმცა პრეზიდენტი ამ რეზიდენციაში, რომლის მშენებლობაც კოლოსალური თანხა დაჯდა, ორჯერ თუ სამჯერ იყო მხოლოდ. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ამ რეზიდენციაში რუსი გენერალი ჩაბანი დაბინავდა. ამის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი ამ რეზიდენციას არ გაჰკარებია




რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ იმ დახმარებიდან 150 მილიონი დოლარი გრანტის სახით დარჩა ასათვისებელი და ბოლო ტრანში კრედიტიდან — 850 მილიონი ლარი, დაახლოებით 500 მილიონი დოლარი. მორჩა, საქართველოს კორუმპირებულ ხელისუფლებას, სოლიდური რომ ჰქვია, ასეთ დახმარებას აღარავინ გაუწევს. მარტო წელს 450 მილიონი დოლარი საგარეო ვალია გადასახდელი, გაისად მეტი იქნება. თანაც, ამ კრედიტებს რომ იღებენ, ის პროცენტითაა გადასახდელი.

**— გამოდის, მთავრობა ახალ პროცენტიან ვალს იღებს, რომ ძველი ვალი გაისტუმროს?**

— კი, ასეა დაახლოებით. ახლა პროცედურულად ასე არ ხდება, რომ, ერთი კრედიტით მეორე იფარება, მაგრამ, ძველ ვალებს ახალი ვალებით რომ ისტუმრებენ, ფაქტია.

**— ბატონო დავით, ამას წინათ თბილისის მერიამ ისეთ ვირეშმაკობას მიმართა, იშვიათად კაცმა მაგდაგვარი რამ მოიფიქროს. ხომ გახსოვთ, 5 ლარი რომ ჩაურიცხეს სამგზავრო პლასტიკურ ბარათზე ყველა მფლობელს სასწრაფოდ?**

— კი, მახსოვს. სხვათა შორის, ეგ თანხა, თუ არ ვცდები, 5 მილიონი ლარი, ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული და ბიძინა ივანიშვილის პირველი პოლიტიკური განცხადების მყისიერი და სრულიად უაზრო პასუხი იყო ხელისუფლებისგან.

**— კი, მაგაში გეთანხმებით, მაგრამ მოდით, გავშიფროთ, რეალურად რა მოხდა — მერიამ 5 ლარი მომცა ბიუჯეტიდან, რომელიც მუნიციპალურ ტრანსპორტში უნდა დავხარჯო და ისევ მერიას დაუბრუნდება, ანუ 5 ლარი მასესხა უპროცენტოდ. ის 15 მილიონი, ამ პროექტში რომ ჩადო მერიამ, უკან დაუბრუნდება. გამოდის, ჩემი ფული მასესხა და მადლობა უნდა ვუთხრა, თან ხმაც ამათ უნდა მივცე.**

— ჰო, საინტერესო სქემაა, მე არ ჩავღრმავებივარ ასე დეტალურად. არც ბიუჯეტი კარგავს ამით რამეს და ხალხსაც ვითომ იმადლიერებს. არადა, ცოტა თუ მიხვდება, რომ მას რაღაც ფორმით ბიუჯეტის ფული ასესხეს, პრაქტიკულად. აი, ასეთი იაფფასიანი ხერხებით ცდილობენ ხალხის გაბრიყვებას. ეს იყო არაეფექტური, გააზრებული აქცია.

**— სააკაშვილმა ჰიბრიდულ სიმინდს ბაკურ კვეზერელი გადააყოლა, იმ ხალხს კი, ვისაც ამ სიმინდის მოსავალი არ მოუვიდა, კრედიტად მიცემული სიმინდის თესლის თანხას აღარ სთხოვენ უკან. რა უნდა უთხრას ამ ხალხმა მთავრობას — მადლობა? არადა, იტყვიან, უმადურები არიან, ამათ ვერაფერი დავანახეთო.**

— სულ არაფერს ეს სჯობს, მაგრამ, მოდით, ვნახოთ, რა მოხდა. ჯერ ერთი, მთავრობა ამ სიმინდის თესლის ფულს არ ართმევს იმ გლეხებს, ვინც 1 ჰექტარზე დათესა და არ მოუვიდა მოსავალი. ეს არის 250 ლარი. მაგრამ ვინც 4-5 ჰექტარზე დათესა, 1000 ლარზე მეტი კრედიტი აიღო და მოსავალი არ მოუვიდა საერთოდ, იმ ხალხმა რა ქნას? ვინც ცოტა იზარალეთ, იმათ გპატიობთ, ვინც საერთოდ დაიქეცით და წაიქეცით, თქვენი ბედი არ მაინტერესებსო — აი, ხელისუფლების პოზიცია. ახლა მეორე პრობლემაცაა. მარტო სიმინდის თესლზე და კრედიტზე არაა საქმე. თითო გლეხს თითო ჰექტარი მიწის დამუშავება, სიმინდის დათესვა, მისი მორწყვა, მოვლა-პატრონობა მინიმუმ 1000 ლარი დაუჯდა. ამ თანხის კომპენსირებაზე ხმას არ იღებს არავინ. არადა, ხომ ყველამ იცის, ბევრს ძალით დაათესინეს ეს სიმინდი, ზოგი შეცდომაში შეიყვანა ამათმა პიარკამპანიამ. მთელი წელი იძახდნენ, რომ წარმატებული პროექტია, 8-10 ტონას მოიწევთ ჰექტარზე, ვინც ქართულ სიმინდის ჯიშებს თესდა მანამდე და 2-3 ტონა მოჰყავდა ჰექტარზე, ამ ხალხსაც ეს ჰიბრიდული სიმინდი დაათესინეს. ხალხი დალუპეს. საერთოდ არ მოუვიდათ მოსავალი. ასეულობით ოჯახი იყო ამ სიმინდის იმედად. უნდა გაეყიდათ, სარჩო ეყიდათ, საზამთროდ შეშა, საქონლის საკვები უნდა შეეძინათ. რა ქნან ახლა იმ ადამიანებმა?

**— საშიმშილოდ გაწირეს ამ ზამთრისთვის, ეგრე გამოდის.**

— კი, ფაქტია, რომ საშიმშილოდ გაწირეს, ამათმა უგნურმა ექსპერიმენტებმა ხალხი უმძიმეს დღეში ჩააგდო. ჩვენ, „თავისუფალმა დემოკრატებმა“, ვიანგარიშეთ და დაახლოებით 5-7 მილიონი ლარია საჭირო, რომ ამ ხალხს სრული კომპენსაცია მისცენ, მიუხედავად იმისა, რამდენ ჰექტარზე დათესეს სიმინდი და გაწეული ხარჯიც აუნაზღაურდებათ.

**— არ არის დიდი თანხა და, თუ ჭკუა აქვს ხელისუფლებას, უნდა მისცენ კომპენსაცია გლეხებს — 5-7 მილიონი სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ერთკვირიანი ტაშფანდური ჯდება ევროპაში.**

— ან ერთი კონცერტი ბათუმში, სადაც ხშირად საეჭვო გემოვნების მომღერლები ჩაჰყავთ და ისევ „ნაციონალური მოძრაობა“ და მათი ახლობლები ატარებენ დროს. ამ უაზრო ფულის ფანტვას, ცხადია, უმჯობესია, მოტყუებულ გლეხებს დაეხმარონ და ერთი კონცერტით ნაკლები გამართონ. საერთოდ, მიხედონ სოფლის მეურნეობას, სოფელს. **გაჩანაგებულია სოფელი და ეს დანაშაულია ხალხის წინაშე. 7-8 წლის წინ 520 ათასი ჰექტარი მიწა იხვნებოდა, ახლა 280 ათასი ჰექტარი მუშავდება. მიზანმიმართულად მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის ნგრევა. ქართლში, კონფლიქტის ზონის სიახლოვეს, ათეულობით სოფელია. ხალხი ტყეში ვერ შედის გასაგები მიზეზის გამო, რომ შეშა გამოიტანოს. ამ ხალხს ზამთარში გაყინვა ელის, ან იძულებული გახდება, სოფელი მიატოვოს. ამ ზამთარს შეიძლება ათეულობით სოფელი დაიცალოს, არადა, რის გამო? ხელისუფლებას შეუძლია ამ ოჯახებს შეშა მიუტანოს, მაგრამ მას ხალხი არ ადარდებს, მთავარია, ბათუმში კონცერტი გამართოს და თვითონ იყოს ბედნიერი.**

ესაუბრა
**ლევან ჯავახიშვილი**

# ვინ იყო დაინტერესებული ზუგდიდის პოლიტექნიკური კოლეჯის გაუქმებით?

**საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სისტემაში ჩატარებულმა ცრუ რეფორმამ შედეგად მოგვცა მოშლილი და დეზორიენტირებული უმაღლესი, პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები. „ვარდოსანთა“ ე. წ. წარმატებულმა რეფორმამ სრული კრახი განიცადა — დაწყებით, საშუალო, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილია სრული ქაოსი. ამის მაგალითია 80 წლის ისტორიის მქონდა ზუგდიდის პოლიტექნიკური კოლეჯის დახურვა.**







1930 წლიდან ლიკვიდაციამდე სახელოვანი ტრადიციების მატარებელმა სასწავლებელმა მრავალი კვალიფიციური სპეციალისტი მოუმზადა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს. ამ პოლიტექნიკური კოლეჯის ყოფილმა დირექტორმა, ქალბატონმა იზოლდა ხასიამ, გადაწყვიტა თავისი კოლექტივის გულისტკივილი ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის გაეზიარებინა.

**„გვინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია ხელისუფლებაში მყოფ მაღალჩინოსანთა ორგანიზებული, თაღლითური დაჯგუფების მიერ ადამიანის უფლებების, პიროვნების ღირსების შემლახველ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რაც იწვევს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში პროტესტს ხელისუფლებისადმი. მეოთხე წელია, სსიპ ზუგდიდის პოლიტექნიკური კოლეჯისადმი განხორციელებული მიზანმიმართული, უკანონო, დანაშაულებრივი ქმედებები ყველა უწყების მხრიდან უპასუხოდ რჩება და მისი უმუშევარი პედაგოგები სამართალს ტყუილად ეძებენ.**

**დღეს ჩვენ ვართ გულდაწყვეტილები, გვაქვს პროტესტის გრძნობა, რომ 1991-92 წლებში სიცოცხლის ფასად გადარჩენილ შენობას, სახელმწიფო ქონებას ვუყურებთ განადგურებულს, გაპარტახებულს, გაქურდულს. ჩვენ კი ყველა უწყების მხრიდან უფლებაშელახული, აბუჩადაგდებული, სულში ჩაფურთხებული დავრჩით უმუშევრად, რის გამოც ვიმყოფებით უმძიმეს სოციალურ და ეკონომიურ პირობებში,“**

— განაცხადა ქალბატონმა იზოლდა ხასიამ. მისი განმარტებით, 2007 წლის ივნისში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შეიქმნა „პროფესიული განათლების სისტემის საგანმანათლებლო დაწესებულებათა ოპტიმიზაციისა და რეორგანიზაციის კომისია“, რომელმაც არაპროფესიონალურად იმუშავა და ბევრ ისეთ პროფესიულ სასწავლებელს გაუკეთა იგნორირება, რომელთაც ბაზაც ჰქონდათ და გამოცდილებაც პროფესიული მუშახელის მოსამზადებლად. მათ შორისაა ზუგდიდის პოლიტექნიკური კოლეჯი, სადაც იმ დროისთვის სამასზე მეტი მოსწავლე ირიცხებოდა და რომელთა თითქმის 90% აფხაზეთიდან დევნილი იყო.

1996 წელს კოლეჯი დაეხმარა თსუ ზუგდიდის ფილიალს (ამჟამად შოთა მესხიას სასწავლო უნივერსიტეტი) დაფუძნებაში, რამაც სასწავლებლის სასწავლო პროცესზე სერიოზული გავლენა მოახდინა. ზუგდიდის ფილიალს 4333 კვ.მ ფართიდან დაუთმეს 1260 კვ.მ. **„ფილიალს ზუგდიდში ჯანაშიას ქუჩაზე გადაეცა ხუთსართულიანი შენობა ჩუქებით, შემდგომ წლებში სასწავლო პროცესის გასაგრძელებლად და დასაფუძნებლად. ნაცვლად იმისა, რომ თსუ ზუგდიდის ფილიალს საკუთარი ქონების შესაძენად ეზრუნა, 2004 წლიდან პირდაპირ გადავიდა იერიშზე კოლეჯის ბალანსზე რიცხული ქონების დასაუფლებლად. თსუ ზუგდიდის ფილიალი, რომლიც 11 წელი იჯარის გადახდის გარეშე სარგებლობდა პოლიტექნიკური კოლეჯის უძრავ-მოძრავი ქონებით, გაუქმდა. ამის შემდეგ, ბუნებრივია, კოლეჯს უნდა ჩაბარებოდა ინვენტარიზაციის საფუძველზე ბალანსზე რიცხული ქონება, მაგრამ, მიუხედავად არაერთგზის სიტყვიერი თუ წერილობითი მოთხოვნისა, ფილიალის ადმინისტრაცია შეგნებულად არიდებდა თავს კოლეჯისათვის ქონების დაბრუნებას. ამის თაობაზე მრავალჯერ მივმართეთ სხვადასხვა ინსტანციას, მაგრამ ამაოდ,“** — აცხადებს ქალბატონი იზოლდა ხასია.

ზედმეტი აქტიურობისა და კოლეჯის ინტერესების დაცვის გამო, ქალბატონი იზოლდა გაათავისუფლეს დირექტორის თანამდებობიდან და მის ადგილზე დაინიშნა მის მიერ კოლეჯში მოყვანილი მისი მოადგილე, რომელთანაც განათლების სამინისტრომ საერთო ენა გამონახა კოლეჯის დასანგრევად და გასანადგურებლად.

კოლეჯის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება დაევალა ზუგდიდის განათლების რესურსცენტრს. კანონით კი, თუ სახელმწიფო ინტერესებში შედიოდა სასწავლებლის ლიკვიდაცია, უნდა შექმნილიყო სალიკვიდაციო კომისია განათლების სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და კოლეჯის პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით.

**„ჩვენ გვინდა, გაეცეს პასუხი არაერთგზის დასმულ კითხვას: რატომ და ვისი ინტერესების დასაკმაყოფილებლად მოახდინეს სასწავლებლის ლიკვიდაცია? ან რატომ არ მიეცა ზუგდიდის პოლიტექნიკურ კოლეჯს პროფესიული სწავლების ცენტრად დაფუძნების უფლება, როცა საამისო ბაზა (ადამიანური რესურსებიდან დაწყებული, ტექნიკური აღჭურვილობით და ფართით დამთავრებული) მას გააჩნდა; მაშინ, როდესაც ამის თაობაზე ოფიციალურად ჰქონდა განათლების სამინისტროს კოლეჯისთვის წერილი გაგზავნილი. ჩვენი სასწავლებელი იყო იმ სასწავლებელთა სიაში, რომლებსაც ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობა ჰქონდათ. ჩვენ, კოლეჯის რეაბილიტაციისთვის შექმნილი საინიციატივო ჯგუფის წევრები, მთელი კოლექტივის სახელით მოვითხოვთ, შესწავლილ იქნეს ზუგდიდის პოლიტექნიკური კოლეჯის ლიკვიდაციის კანონიერება, რამაც დიდი ტრადიციების მქონე სასწავლებელი სრულ განადგურებამდე მიიყვანა.**

გასარკვევია, ვინ უნდა აგოს პასუხი სახელმწიფო ქონების განადგურებაზე, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტებისა და ბიბლიოთეკის განადგურებაზე და ასევე რატომ მოხდა ყოველივე ეს მიზანიმართულად,“ — დასძინა ქალბატონმა იზოლდა ხასიამ.

**ასე რომ, 4 წელზე მეტია, 4-სართულიანი შენობა, გაპარტახებული და გაჩანაგებული, პატრონის მოლოდინშია.**

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წელს ზუგდიდის პოლიტექნიკურ კოლეჯს განათლების სამინისტროდან მოუვიდა შეტყობინება კოლეჯის ტერიტორიიდან საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობისთვის 3410 კვ.მ ფართის დათმობაზე. კოლეჯმა ეს ტერიტორია იმ პირობით დათმო, რომ სახელმწიფო აუნაზღაურებდა იმ უძრავი ქონების საფასურს, რომელიც განადგურდა რეზიდენციის მშენებლობის დროს. ეს იყო სასწავლო სახელოსნოები, სპორტული კომპლექსი, საქვაბე მეურნეობა და სხვ. თუმცა კოლეჯისთვის არავის არაფერი აუნაზღაურებია.

**უმოკლეს ვადაში ამ ადგილზე აშენდა პრეზიდენტის რეზიდენცია „მეგრული ოდა“, თუმცა პრეზიდენტი ამ რეზიდენციაში, რომლის მშენებლობაც კოლოსალური თანხა დაჯდა, ორჯერ თუ სამჯერ იყო მხოლოდ. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ამ რეზიდენციაში რუსი გენერალი ჩაბანი დაბინავდა. ამის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი ამ რეზიდენციას არ გაჰკარებია,** მისი გაყიდვის თუ სხვაზე გადაცემის შესახებ განცხადებაც კი გააკეთა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს რეზიდენცია არავისთვის არ გადაუციათ, არის უფუნქციოდ და დიდძალი ფული იხარჯება მისი დაცვის თანამშრომლების შენახვაზე.

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„პუტინის ამ ინიციატივის ფარგლებში საქართველოს ეძლევა სერიოზული შანსი, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების პროცესი რეალურად დაიწყოს. ამასთან, ეს კავშირი ჩვენთვის ძალიან მომგებიანი იქნება როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.“

### აკაკი ასათიანი:

# რომ არა ბუშის წაქეზება, იქნებ ამ გიჟსაც ვერ გაებედა ომის დაწყება?!

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**





**— ბატონო აკაკი, დღესდღეობით საზოაგადოებაში დიდია მოლოდინი იმისა, რომ 2012-2013 წლების არჩევნების შედეგად ხელისუფლება შეიცვლება. თქვენი აზრით, ამ ეტაპზე რამდენად იკვეთება ამის რეალური პერსპექტივა?**

— ვფიქრობ, დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების შეცვლა გარდაუვალია, მეტიც, საზოგადოებაში იმის მოლოდინიც კია, რომ ეს მოხდება სააკაშვილის კონსტიტუციური ვადის ამოწურვამდე, ანუ საპარლამენტო არჩევნების შედეგად. რაც მთავარია, მოსახლეობაში არის სერიოზული მუხტი იმისა, რომ ხალხმა ხელისუფლებას დაუფიქსიროს საკუთარი უკმაყოფილება და პროტესტი. ასეთი მუხტი და მოტივაცია, ჩემი აზრით, დიდი ხანია, საზოგადოებაში არ ყოფილა. ასე რომ, არა მგონია, ვინმემ ან რამემ შეძლოს იმ პროცესების შეჩერება, რაც უკვე დაწყებულია და რამაც, ვფიქრობ, უკვე მიიღო გარკვეულწილად შეუქცევადი ხასიათი...

**— ერთია მოლოდინი, მაგრამ, თქვენი აზრით, რამდენად დიდია საფრთხე, რომ ეს მოლოდინიც ისეთივე იმედგაცრუებად იქცეს, როგორც ეს იყო წინა შემთხვევებში, როცა ოპოზიცია იწყებდა აქტიურობას და შემდეგ ყველაფერი სრულდებოდა მოწოდებით — დავიშალოთ, წავედით სახლში.**

— ცხადია, ეს საფრთხე ყოველთვის იქნება, ვინაიდან არანაირი გარანტია იმისა, რომ ესა თუ ის პროცესი თავის დასასრულამდე მივა, არ არსებობს, თუმცა, მეორე მხრივ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ადამიანს, ბიძინა ივანიშვილს ვგულისხმობ, რომელიც დღესდღეობით პოლიტიკური პროცესების სათავეშია, ჯერ შეცდომა არ დაუშვია და, შესაბამისად, რეალური საფუძველი, რამე იმედგაცრუების საფრთხეზე ვისაუბროთ, ფაქტობრივად, არ გაგვაჩნია. გარდა ამისა, **მუდმივად მანიპულირება იმ საკითხით, რომ ოპოზიციამ ბევრჯერ გაუცრუა ხალხს იმედი და ივანიშვილმაც შეიძლება იგივე გააკეთოს, ვფიქრობ, მხოლოდ ხელისუფლების წისქვილზეასხამს წყალს. ასე რომ, სიფრთხილე, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს საზოგადოებისთვის შემაფერხებელი, მითუმეტეს, როგორც გითხარით, ივანიშვილის შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, ეჭვის არანაირი საფუძველი არ არსებობს...**

**— თქვენ თქვით, რომ ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელია სააკაშვილის კონსტიტუციური ვადის ამოწურვამდე, ანუ საპარლამენტო არჩევნების შედეგად. როგორ ფიქრობთ, უმრავლესობით მოსვლის შემთხვევაშიც კი, დღევანდელი კონსტიტუციის პირობებში, რამდენად შეძლებს ოპოზიცია პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის დაყენებას?**

— იმპიჩმენტის საკითხის დაყენება, ჯერ ერთი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რანაირი უმრავლესობით მოვა ოპოზიცია პარლამენტში და მერე კიდევ, თუ ხელისუფლება ისე გააგრძელებს, როგორც დღეს იქცევა, ცხადია, უმრავლესობა მისთვის იქნება კატასტროფული. ამასთან, მორალური და პოლიტიკური ატმოსფერო ცგახდება იმდენად გაუსაძლისი, რომ ამის ატანა, ხელისუფლების მხრიდან შეუძლებელი იქნება. ასე რომ, რაც არ უნდა ეცადონ, კონსტიტუცია თავიანთ ინტერესებს მოარგონ, საბოლოოდ ეს მაინც ვერ იხსნის ხელისუფლებას, პირიქით, ამით ხელისუფლებამ შეიძლება კიდევ უფრო სწრაფად დაკარგოს მმართველობის სადავეები და აღმოჩნდეს გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაში...

**— ოპოზიციურ სპექტრში ყველა ერთხმად თანხმდება იმაზე, რომ ხელისუფლების შეცვლა უნდა მოხდეს მხოლოდ მშვიდობიანი გზით. როგორ ფიქრობთ, რამდენად შესაძლებელია ეს ყველაფერი იმ ხელისუფლების პირობებში, რომელმაც 26 მაისს აბსოლუტურად მშვიდობიანი მანიფესტაცია სისხლში ჩაახშო?**

— საზოგადოების რაღაც

**«მთავარია, საზოგადოება იყოს ერთიანი და პრინციპული თავის მოქმედებაში, თორემ სააკაშვილს არავინ გადაჰყვება და მერწმუნეთ, არც ამერიკა შესწირავს თავის ინტერესებს ერთ ადამიანს...»**

ნაწილში დამკვიდრებულია აზრი, რომ ეს შეუძლებელია და, რა თქმა უნდა, ამას თავისი მიზეზიც აქვს. მე კი მიმაჩნია, რომ **ეს ხელისუფლება დღემდე სულს ვერ მიატანდა, რომ არა ის საბედისწერო შეცდომები, რომლებიც ოპოზიციამ დაუშვა და რომელმაც საბოლოოდ დაძსაძსა ჩვენი მოსახლეობა. ანუ იმის თქმა მინდა, რომ, თუ იქნება სოლიდარობა და ერთიანობა საზოგადოების მხრიდან, ხალხის ნებას წინ ვერაფერი აღუდგება, ხოლო, თუ მოხდა და ხელისუფლება გაგიჟდა, რისი ნიშნებიც, სხვათა შორის, უკვე არის, ამით ის საკუთარ თავს თვითონ გამოუტანს განაჩენს;** ოღონდ, ვიმეორებ, თუ იქნება ერთიანობა და სოლიდარობა საზოგადოებაში...

**— თავის მხრივ, საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ, თუ ამერიკის მხრიდან ნება არ იქნება, ხელისუფლების შეცვლა შეუძლებელია. რამდენად ლოგიკურად მიგაჩნიათ ეს შეხედულება?**

— არანაირი ლოგიკა ამ მოსაზრებაში არ არის, ვინაიდან, ვინ იქნება საქართველოს პრეზიდენტი, უპირველესად, ეს უნდა გადაწყვიტოს ქართველმა ხალხმა და არა — რომელიმე სხვა სახელმწიფომ. კი, **ამერიკას აქ აქვს სერიოზული ინტერესები, რომ ის არც მალავს და ხშირად აშკარადაც ერევა ჩვენს საშინაო საქმეებში, მაგრამ იმდენი ნამდვილად ესმის, რომ ხალხის საყოველთაო ნების გამოხატვას წინ თუ აღუდგება, ამით შეიძლება საბოლოოდ დაკარგოს გავლენა ამ ქვეყანაზე;** ასე რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მთავარია, საზოგადოება იყოს ერთიანი და პრინციპული თავის მოქმედებაში, თორემ სააკაშვილს არავინ გადაჰყვება და მერწმუნეთ, არც ამერიკა შესწირავს თავის ინტერესებს ერთ ადამიანს...

**— დღესდღეობით ოპოზიციის უდიდესი ნაწილი პირდაპირ აცხადებს, რომ 2008 წლის აგვისტოში ომი დაიწყო საქართველომ; ამას ამბობს ივანიშვილიც. რამდენად სწორად მიგაჩნიათ ეს მიდგომა, ხომ არ ფიქრობთ, რომ მომავალში ეს ძალიან მძიმე ტვირთად შეიძლება დააწვეს ჩვენს ქვეყანას?**

— ადრე თუ გვიან, საქართველოს მაინც მოუწევს იმ პასუხისმგებლობის აღება, რომელიც მას რეალურად აკისრია. ასე რომ, დღეს მოხდება ეს თუ ცოტა მოგვიანებით, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. გარდა ამისა, **არსებობს ევროსაბჭოს რეზოლუცია, რომელშიც შავით თეთრზე წერია, რომ 2008 წლის აგვისტოში პირველმა ცეცხლი გახსნა საქართველომ და ამ რეზოლუციას მხარი დაუჭირა ჩვენმა დელეგაციამაც. ანუ ამ ხელისუფლებამ, რომელიც ლამის ერის ღალატად გვიცხადებს იმის აღიარებას, რომ ომი დავიწყეთ ჩვენ, თვითონ უკვე მოაწერა ხელი ამ აღიარებას;** ამდენად, განსხვავება მხოლოდ ერთ რამეშია — ოპოზიცია პირდაპირ ამბობს, რომ ომი დაიწყო საქართველომ, ხელისუფლება კი, უბრალოდ, ამის ხმამაღლა დაფიქსირებას ერიდება. მიმაჩნია, რომ, თუ ჩვენ გვინდა, რეალურად მოვაგვაროთ ის პრობლემები, რომლებიც ამ ომის შედეგად შეექმნა და დღესაც ექმნება ჩვენს ქვეყანას, საქართველომ თვალი უნდა გაუსწოროს რეალობას და უნდა აღიაროს ის, რაც იყო სინამდვილეში.

**— და, თქვენი აზრით, რას შეცვლის ეს აღიარება იმავე აფხაზებთან, ოსებთან და რუსეთთან ურთიერთობაში?**

— მინიმუმ, გაჩნდება შანსი, რომ ურთიერთობა დაპირისპირებულ რეგიონებთან დავიწყოთ სუფთა ფურცლიდან, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ხელისუფლების პირობებში ამის შანსი მინიმალურია, ვინაიდან, სანამ სააკაშვილი იქნება ქვეყნის სათავეში, სულ რომც ვაღიაროთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ვფიქრობ, ჩვენთან დიალოგზე წამომსვლელი არავინაა.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, თუ საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია, რომ ომი დაიწყო საქართველომ, რატომ აქამდე არავინ დასვა ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი?**

— ვერც ვერავინ დასვამს ამ საკითხს, იმიტომ, რომ ომის დაწყებაში მარტო სააკაშვილი არ არის დამნაშავე. გაიხსენეთ, რა განცხადება გააკეთა ბუშმა თბილისში, — წითელი ხაზი გავავლე, კავკასიაზე ვერავინ გადმოვაო. ეს იყო პირდაპირ წაქეზება ამ ხელისუფლებისთვის და, რომ არა მსგავსი გაუაზრებელი განცხადებები, რომელთაც ბუშისგან ხშირად ვისმენდით ხოლმე, იქნებ ამ გიჟსაც ვერ გაებედა ომის დაწყება?! სააკაშვილი რაც არის, ეგ არის, ბოლოსდაბოლოს, ერთი გადარეული კაცია...

**— ამას წინათ გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა ვლადიმერ პუტინის წერილი. მასში საუბარია ევრაზიული კავშირის შექმნაზე. თქვენი აზრით, რას ნიშნავს საქართველოსთვის ეს ინიციატივა?**

**— ვფიქრობ, ეს არის ერთგვარი შეთავაზება მთელი რიგი ქვეყნებისთვის და, მათ შორის, ცხადია, ჩვენთვისაც. ამიტომ, ბუნებრივია, ამას სერიოზული განხილვა და ადეკვატური რეაგირება სჭირდება. ჩემი აზრით, პუტინის ამ ინიციატივის ფარგლებში საქართველოს ეძლევა სერიოზული შანსი, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების პროცესი რეალურად დაიწყოს. ამასთან, ეს კავშირი ჩვენთვის იქნება ძალიან მომგებიანი როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისითაც.**

**— ეკონომიკურად მომგებიანში რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ იმას, რომ, თუ აღმოსავლეთის ენერგორესურსები საქართველოზე გაივლის, ჩვენი ეკონომიკისთვის ეს იქნება ერთგვარი ბუმის დასაწყისი. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამით ქვეყანა საერთაშორისო გეოპოლიტიკურ ასპარეზზე უფრო მეტად მნიშვნელოვან ფუნქციასაც შეიძენს.

**— როგორ წარმოგიდგენიათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მომავალში, თუ საქართველოს საგარეოპოლიტიკური კურსი უცვლელი დარჩება? ბევრი ფიქრობს, რომ ხელისუფლებაში პუტინის მოსვლის შემთხვევაში ომის საფრთხე გაიზრდება.**

— ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანი მაგ საფრთხეს მოხსნის და ვფიქრობ, ამას გენიოსობა ნამდვილად არ სჭირდება. რაც შეეხება ვლადიმერ პუტინს, არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ის არის პატრიოტი ადამიანი და რასაც აკეთებს, აკეთებს თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ ჩვენ გვინდა მუდმივად დაპირისპირებაში არ ვიყოთ მეზობელ ქვეყანასთან, მარტივად რომ ვთქვათ, არ უნდა გადავაბიჯოთ მის ინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბუნებრივია, დაძაბულობა მომავალშიც იქნება და ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავების საფრთხეც, ცხადია, გაიზრდება...

**— ერთია, რომ არ უნდა გადავაბიჯოთ მეზობელი ქვეყნის ინტერესებს, მაგრამ, მეორეს მხრივ, რამდენად თანხვედრია ეს ინტერესები ჩვენს სახელმწიფოებრივ ინტერესებთან?**

— რუსეთსაც და საქართველოსაც ისტორიულად ბევრი რამ აკავშირებთ ერთმანეთთან, ბევრი რამ გვაქვს ჩვენ საერთო, რაზეც ხელახლა შეიძლება აიგოს ჩვენი კეთილმეზობლური ურთიერთობები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მხრიდან არანაირი სახელმწიფოებრივი ინტერესების გაწირვას ამ ურთიერთობის მოგვარება არ მოითხოვს. **ის, რომ ნატო უნდა დავივიწყოთ, სახელმწიფოებრივ ინტერესებზე უარის თქმას არ ნიშნავს, უბრალოდ, ქვეყანა უნდა ატარებდეს იმ პოლიტიკას, რომელიც, უპირველესად, მეზობელ სახელმწიფოს არ შეუქმნის საფრთხეს და, ბუნებრივია, მერე თვითონაც არ შეექმნება პრობლემები. ჩვენი მხრიდან ამის გაუთვალისწინებლობა იყო სწორედ ის საბედისწერო შეცდომა, რომელმაც მიგვიყვანა 2008 წლის აგვისტოს ომამდე;** და კიდევ უფრო დიდი უბედურებაა ის, რომ საბოლოოდ, ამ ხელისუფლებისთვის ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი გაკვეთილი...

ესაუბრა
**ჯაბა ჭვანია**

„რაც შეეხება ნატოს: ნებისმიერი სამხედრო თუ პოლიტიკური გაერთიანება და მასში გაწევრიანება ჩვენთვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს და არა თვითმიზანს. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე ნატოში შესვლა, ეს იგივეა, რომ ჩვენი ქვეყნის სასიკვდილო განაჩენს მოვაწეროთ ხელი!“.

ექსკლუზივი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ჯუმბერ პატიაშვილი:

# თანაჯდომა ყოველთვის არ ნიშნავს თანადგომას!



**მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა, საზოგადოება, ისევე, როგორც პოლიტიკური სპექტრი, ორად გაიყო. ბევრს საუბრობენ ბიზნესმენის მეცენატობაზეც, თუმცა ის, რაც ჯუმბერ პატიაშვილმა პირად საუბარში გვიამბო, 1994 წელს, ანუ ჯერ კიდევ იმ პერიოდს ეხება, როდესაც ივანიშვილისა და მისი შესაძლებლობების შესახებ ფართო საზოგადოებამ არაფერი იცოდა, მათ შორის, არც ჯუმბერ პატიაშვილმა.**

— ზუსტად ჩვიდმეტი წლის წინ ჩემთან მოვიდა რამდენიმე ადამიანი და მითხრა, რომ არსებობდა უცხოეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი, რომელსაც სურვილი ჰქონდა, ყოველგვარი ანგარებისა და პირადი დაინტერესების გარეშე, დახმარებოდა სოფლის მეურნობას, კერძოდ, ქართველ გლეხკაცს.

იმჟამად მე მიწათმოქმედების ინსტიტუტის დირექტორი ვიყავი. 1994 წელია. ეს ის პერიოდია, როდესაც ტერიტორიებდაკარგული, სამოქალაქო ომგამოვლილი ქვეყანა სულს ღაფავს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ყველაფერი განადგურებული და გაჩანაგებულია, მათ შორის, სოფლის მეურნეობაც. ხელისუფლებიდან დაწყებული, რიგითი მოქალაქეებით დამთავრებული ახლის შექმნაზე არავინ ფიქრობს; ყველა იმაზეა გადასული, ქვეყნიდან რა გაზიდოს და გაყიდოს, როგორ გადარჩეს ან როგორ შეინარჩუნოს ძალაუფლება... სასოფლო სამეურნეო ტექნიკა კი არა, ჭანჭიკს ვერ ნახავდით ორღობეში ძირს დაგდებულს, ყველაფერი დაიშალა და ჯართად გაიყიდა. ოცდაათი ათასი ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკიდან ერთეულებიც აღარ იყო ექსპლუატაციაში.

**ყოველივე ამის ფონზე კი ჩემთან მოვიდნენ და მეუბნებიან, რომ არსებობს ადამიანი, რომელსაც სურვილი აქვს, რამდენიმე მილიონი დოლარის ღირებულების მქონე ხუთასი ახალი ტრაქტორი და კომბაინი შემოიტანოს საქართველოში და უსასყიდლოდ გადასცეს ქვეყანას. სიმართლე გითხრათ, არ დავიჯერე და ეს ბუნებრივიც იყო.**

**უფრო გამაოგნებელი იყო პირობა – ამ ადამიანს საკუთარი ვინაობის გამხელა არ სურდა!**

რაღაც პერიოდში ისიც კი ვიფიქრე, რომ ავანტურასთან მქონდა საქმე. შევარდნაძის „მეორედ მოსვლის“ პერიოდში არაფერი იყო გამორიცხული. თანაც, როდესაც ხელისუფლება ქვეყანას მიზანმიმართულად ანგრევს და საკუთარ მოსახლეობას ურცხვად უცხადებს, ქვეყანას ვაშენებო, ამის ფონზე ინკოგნიტო მეცენატი ან გამოცხადებას ჰგავდა, ან — აბსურდსა და ავანტიურას.

მაინც გადავხედე პირობებს, ჩემთვის უცნობი ადამიანი რომ გვთავაზობდა. მის მიერ შემოტანილი ტექნიკა მთელი საქართველოს მასშტაბით უნდა გადანაწილებულიყო. იყო რამდენიმე პრიორიტეტული რაიონი, მათ შორის, საჩხერე და აბაშა. ხუთი წლის განმავლობაში მექანიზატორი უნდა მომსახურებოდა სოფელს, ყველა მცხოვრებს, ამის შემდეგ კი მას პირად მფლობელობაში უსასყიდლოდ გადაეცემოდა ტექნიკა.

დათქმულ დროს მივედით სართიჭალაშიც, სადაც ტექნიკა უნდა გადმოგვეტვირთა. დღესაც არ გამნელებია ის ემოცია... ეს არ იყო მხოლოდ სიკეთით გამოწვეული მადლიერება. ეს იყო შოკისმომგვრელი სიკეთე!

წარმოიდგინეთ, გაპარტახებული, დაუმუშავებელი სავარგულები... ლამის პირველყოფილი სასოფლო-სამეურნეო იარაღის ანაბარა დარჩენილი, გაუბედურებული და დათრგუნული გლეხობა და ყოველივე ამის ფონზე დგას ახალთახალი, ალაპლაპებული უახლესი ტექნიკა, ხუთასი ერთეული ტრაქტორი და კომბაინი... და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი ეკუთვნის საქართველოს და ქართველ გლეხს!

**— არც ამის შემდეგ შეხვედრიხართ ბიძინა ივანიშვილს?**

— შევხვდი. კატეგორიულად მოვითხოვე ამ ადამიანის ვინაობის გამხელა. ბოლოს და ბოლოს, მადლობა ხომ მაინც უნდა გადამეხადა ამ განუზომელი სიკეთისთვის! ტექნიკის გადანაწილების მიზნით, რამდენიმე ადამიანმა (მათ შორის, მე და ბიძინა ივანიშვილიც ვიყავით) მალევე ჩამოვაყალიბეთ ფირმა „იმედი“.

**გარდა ტექნიკისა, ბიძინა ივანიშვილი სოფლის მეურნეობის სხვა დარგებითაც დაინტერესდა. იმჟამად წეროვანში ვამუშავებდით სოიოს გადამუშავების ტექნიკას. ბატონმა ბიძინამ ინტელექტუალური დახმარებაც აღმოგვიჩინა და ჩვენი წარმომადგენელი ჯერ საფრანგეთში, მოგვიანებით კი ესპანეთში მიავლინა ტექნოლოგიების შესასწავლად. ასევე დაინტერესდა სანერგე მეურნეობითაც. ყველაფერ ამას უანგაროდ, საკუთარი ინტერესებისა და ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე, უთქმელად, საქმით აკეთებდა.**

**გაოგნებული ვიყავი ამ ახალგაზრდა კაცის გონებრივი და ადამიანური შესაძლებლობებით.**

მოგვიანებით სტუმრად გახლდით მიპატიჟებული მის მშობლიურ სოფელში. გავიცანი მისი ოჯახის წევრები, უბრალო, სადა, იმერული გულღიაობითა და სტუმარმასპინძლობით გამორჩეული ოჯახი. მადლობა გადავუხადე ბიძინას მშობლებს ასეთი შვილის გაზრდისთვის.

**— პოლიტიკაში მის გამოჩენას როგორ შეხვდით?**

— სიხარულით, ისევე, როგორც ნებისმიერი ჭკუათმყოფელი ადამიანი, რომელიც, ერთის მხრივ, აცნობიერებს იმ სავალალო მდგომარეობას, რომელშიც დღეს საქართველოა, და მეორეს მხრივ, ბიძინა ივანიშვილის ადამიანურ და პროფესიულ შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარება.

**მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ის, რაზეც მე დღეს თქვენ და თქვენს მკითხველს ვესაუბრე, ჩემი მხრიდან არანაირ მერკანტილურ ინტერესს არ შეიცავს. არ განვეკუთვნები პოლიტიკოსთა იმ კატეგორიას, რომლებიც მოცემულობის მიხედვით აკეთებენ შეფასებებს. ბიძინა ივანიშვილი მე გავიცანი ძნელბედობის ჟამს, გავიცანი როგორც დიდი პატრიოტი, რომელიც სიტყვით კი არა, სიკეთით, საქმით ადასტურებს საკუთარი ქვეყნისა და ერისადმი დამოკიდებულებას.**

**მას იმდენი კარგი რამ აქვს ამ ქვეყნისთვის გაკეთებული, საქართველოს მოქალაქეც რომ არ ყოფილიყო, აქეთ უნდა შეგვეთავაზებინა, გამხდარიყო საქართველოს მოქალაქე და ეს დიდ პატივადაც უნდა მიგვეღო; მით უფრო, მაშინ, როცა ათასი რჯულის, გაურკვეველი წარმომავლობისა და ორიენტაციის უცხოელი ისე გახდა საქართველოს მოქალაქე, არც საქართველოს და არც ქართველებისთვის სასარგებლო არაფერი გაუკეთებია!**

**მიუღებელია ჩემთვის მისი რუს ოლიგარქად მოხსენიებაც. იმის მაგივრად, რომ გვეამაყებოდეს და ვაფასებდეთ მის უანგაროდ გაწეულ ღვაწლს, კომპრომატად უთვლიან იმას, რომ იმერეთის სოფლის ერთი ჩვეულებრივი ოჯახიდან გასულმა ბიჭმა უცხო ქვეყანაში ამდენს მიაღწია და, რაც მთავარია, ის, რაც მისი პირადი საკუთრება იყო, ისევ საკუთარ ხალხსა და ქვეყანას მოახმარა.**

**მილიონერები არ უკვირს საქართველოს! არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ვერ დამისახელებთ მეორე კაცს, არამარტო საქართველოს, მსოფლიო მასშტაბითაც, რომელსაც იმდენი სიკეთე გაუკეთებია საკუთარი ქვეყნისთვის, რამდენიც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა საქართველოსთვის.**

და ბოლოს, ყველაზე მთავარი: დღეს ბევრს საუბრობენ ივანიშვილის მიერ განხორციელებულ ქველმოქმედებაზე. უსასრულოა ჩამონათვალთა ნუსხა — სამების ტაძრის მშენებლობით დაწყებული, კულტურის მოღვაწეთა და ინტელიგენციის წარმომადგენლებისთვის ფინანსური დახმარების აღმოჩენით დამთავრებული.

საქართველო მიწათმოქმედების ქვეყანაა. ოდითგან ასე იყო და, ვიდრე ვიარსებებთ, ასე იქნება. მინდა იცოდეს ყოველმა ქართველმა გლეხმა, ყოველმა ქართველმა ფერმერმა, რომ ბიძინა ივანიშვილი არ არის ის კაცი, მხოლოდ ცნობილ და ცნობად სახეებზე რომ ზრუნავდეს. მისთვის სოფელი ისეთივე მნიშვნელოვანია როგორც ქალაქი; გლეხიც ისეთივე პატივსაცემია, როგორც ინტელიგენტი.

**ქართველმა გლეხკაცმა უნდა იცოდეს, რომ ყველასთვის უცნობი ბიძინა ივანიშვილი ჩვიდმეტი წლის წინ, ჯერ კიდევ მაშინ ზრუნავდა ქართული სოფლისა და ქართველი გლეხის კეთილდღეობაზე, როცა არათუ იმჟამინდელი ხელისუფლება, თავად ქართველი გლეხიც ვერ იაზრებდა ვერც თავს დატეხილ უბედურებას და ვერც იმ გზებს, რა გზითაც ჯერ თავად უნდა წამომდგარიყო და შემდეგ ქვეყანა დაეყენებინა ფეხზე.**

**— ბატონო ჯუმბერ, სახელისუფლო ტელევიზიების „ფანტაზია“ იქამდე წავიდა, რომ ივანიშვილი ლამის 9 აპრილის ტრაგედიის ერთგვარ თანამონაწილედ აქციეს. მხედველობაში მაქვს გენერალ ლებედთან მეგობრობა...**

— ვისაც 9 აპრილის ტრაგედიაში პირდაპირი თუ არაპირდაპირი წილი მოუძღვის, ნაწილი გმირობის შარავანდედით შეიმოსა და ნაწილს დღემდე არ უგია თავის წილ პასუხისმგებლობაზე პასუხი. თვით როდიონოვმაც კი გაცილებით მეტი სიმართლე თქვა, ვიდრე საქართველოს იმჟამინდელი და შემდგომი ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა. როდიონოვმა დაადასტურა, რომ 9 აპრილის ტრაგედიამდე მე მას აქციის დაშლის გადადება ვთხოვე და იქვე განმარტა: „მე მქონდა ბრძანება მიღებული, რომლის შეცვლა არც მე და არც პატიაშვილს არ შეგვეძლო. მე რიგითი ჯარისკაცი ვიყავი, პატიაშვილი – რიგითი კომუნისტი“. ამის შემდეგაც კი არავინ დაინტერესებულა, ვინ იყო მთავარი „სცენარისტი“ და ვინ შეასრულა დამკვეთის „დავალება“...

**ახლა ცდილობენ, ბიძინა ივანიშვილის სახელი რაღაც ფორმით გააჟღერონ იქ, სადაც ამის არანაირი კვალი არ არსებობს. ეს აბსურდის თეატრიც აღარაა უკვე, რაღაც უარესია...**

**— თავადვე ბრძანებთ, რომ ბიძინა ივანიშვილს კომპრომატად უთვლიან იმას, რაც მისი ერთ-ერთი ღირსებაა. ამაში, რუსეთში დაგროვილი კაპიტალის გარდა, რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან ახლო ურთიერთობასაც გულისხმობთ?**

— რასაკვირველია. თუ ნებისმიერი ქართველის უპირველეს მიზანსა და ვალდებულებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა წარმოადგენს, მაშინ იმასაც უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ ეს რუსეთთან პოლიტიკური და კეთილმეზობლური ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია. **თუ ჩვენ გვინდა ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან მისვლა, ამ გზას რუსეთის გვერდის ავლით, მით უფრო რუსეთის ლანძღვა-გინებით, ვერ გავივლით. არც ქართველ და არც რუს ხალხს არაფერი დაუშავებია, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების დაძაბვასა და დეგრადირებაში პოლიტიკოსებს მიუძღვით ბრალი. პირადად ჩემთვის ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში მოსვლა არის ქართულ-რუსული ურთიერთობებისა და, შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტი.**

ბიძინა ივანიშვილს კარგად აქვს გააზრებული ისიც, რომ, პოლიტიკური ურთიერთობების გარდა, ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენაცაა საჭირო და დარწმუნებული ვარ — მისი შესაძლებლობების, გავლენისა და გამოცდილების ადამიანი უთუოდ დაუბრუნებს საქართველოს რუსულ ბაზარზე ხელოვნურად დაკარგულ და ამავე დროს ასე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ადგილს.

**რაც შეეხება ნატოს: ნებისმიერი სამხედრო თუ პოლიტიკური გაერთიანება და მასში გაწევრიანება ჩვენთვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს და არა თვითმიზანს. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე ნატოში შესვლა, ეს იგივეა, რომ ჩვენი ქვეყნის სასიკვდილო განაჩენს მოვაწეროთ ხელი!**

ევროინტეგრაცია და რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა არის ის, რაც ტერიტორიულმთლიანობააღდგენილ საქართველოს ევროპული მოდელის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შანსს იძლევა. ბიძინა ივანიშვილს შესწევს უნარი, ეს მძიმე და საპატიო მისია წარმატებით შეასრულოს საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

**— თავად თუ აპირებთ ამ პროცესებში ჩართვას?**

— ამ ეტაპზე მე ვმუშაობ მემუარული ჟანრის ავტობიოგრაფიულ წიგნზე, რომელმაც აქამდე პასუხგაუცემელ ბევრ კითხვას უნდა გასცეს პასუხი და ერთხელ და სამუდამოდ დაარქვას ყველაფერს თავისი სახელი. ეს წიგნი აუცილებლად ითარგმნება რუსულ ენაზეც.

თუ თქვენ პროცესებში ჩართვაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირებას გულისხმობთ, ამ პროცესში ყოველთვის ვიყავი ჩართული და ვიქნები, ვიდრე სასურველი შედეგი არ დადგება. ეს ჩემი, ისევე, როგორც ნებისმიერი ქართველის, პირდაპირი მოვალეობაა.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენას, ჩემი ჩართულობა ამ შემთხვევაში თანადგომით გამოიხატება.

პოლიტიკაში მრავალწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში (ცეკას მდივნობიდან მოყოლებული საქართველოს პარლამენტის სამგზის დეპუტატობის ჩათვლით) ერთ მარტივ ჭეშმარიტებამდე მივედი — **თანაჯდომა ყოველთვის არ ნიშნავს თანადგომას!**

**ჩემ გვერდით სავარძელში, გნებავთ, კაბინეტშიც, ისხდნენ ადამიანები, რომლებიც ჩემი თანამდგომები არასდროს ყოფილან, პირიქით, ხშირად ყველაზე დიდი საფრთხე მათგან მოდიოდა...**

**ასე რომ, მე თანამდგომთა რიგებში ვრჩები!**

«ბიძინა ივანიშვილი მე გავიცანი ძნელბედობის ჟამს, გავიცანი როგორც დიდი პატრიოტი, რომელიც, სიტყვით კი არა, სიკეთით, საქმით ადასტურებს საკუთარი ქვეყნისა და ერისადმი დამოკიდებულებას»

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აფხაზეთში ჯარის შეყვანა გაუთვლელი ნაბიჯი იყო. იურიდიულად ამის სრული უფლება გვქონდა, მაგრამ არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ძალიან დიდი სიფრთხილე იყო საჭირო. სამწუხაროდ, ეს სიფრთხილე საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ვერ გამოიჩინა.“**

# როგორ გადაარჩინა ქართველი პროფესორი რაულ ხაჯიმბამ

**როგორ გადაარჩინეს აფხაზმა მეგობრებმა სიკვდილს და როგორ ვერ მოახდინა ომმა ადამიანურ ურთიერთობებზე ზეგავლენა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ პაპასკირი დღეს „საქართველო და მსოფლიოსთან“ იხსენებს.**

— ყველაფერი დაიწყო იმით, რომ მე დროულად ვერ მოვახერხე სოხუმიდან გამოსვლა. რატომღაც 25 სექტემბრამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ ქალაქს დავიცავდით, ომი მალე დასრულდებოდა და ქართველები და აფხაზები შევრიგდებოდით. 1 სექტემბერს სოხუმში სწავლაც კი განახლდა (რასაც, სხვათა შორის, ბევრი დღემდე ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების შეცდომად მიიჩნევს), არადა, ეს ადგილობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წრეების ინიციატივა იყო. ამ ნაბიჯით გვსურდა, მსოფლიოსთვის გვეჩვენებინა, რომ სამშვიდობოდ ვიყავით განწყობილნი.

27 სექტემბერს, დილით, აფხაზმა სეპარატისტებმა ბოლო, ე. წ. ახალი რაიონის მეორე მიკრორაიონიც დაიკავეს, სადაც მე ვცხოვრობდი, და სოხუმიც დაეცა. იმავე დღეს **ჩემთან მოვიდა აფხაზი მეზობელი, დაურ კვიწინია, ხელში ავტომატი ეჭირა, გადამეხვია და მითხრა, — ზურაბ, მაპატიე, რომ იარაღით მოვედი, იძულებული ვიყავი, ასე მოვქცეულიყავიო. ეს კაცი დღედაღამ ავტომატით მიცავდა. ჩემი ოჯახი სწორედ ჩემმა აფხაზმა მეზობლებმა გადაარჩინეს — დააფასეს ჩემი ზრუნვა მათზე, როდესაც სოხუმს ჩვენი ჯარი აკონტროლებდა. პირველი ორი თვე მე, როგორც იტყვიან, მკერდით ვიცავდი აფხაზ მეზობლებს, მათ ქონებას, მაგრამ გაგრის დაცემის შემდეგ ეს უკვე სულ უფრო მიჭირდა.** აფხაზი მეზობლებიც მოვიდნენ ჩემთან და მითხრეს, — ზურაბ, აქ აღარ დაგვედგომებაო, ბოდიში მომიხადეს, იარაღი აისხეს და გუდაუთაში წავიდნენ, სადაც უკვე ქართველების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში აქტიურად ჩაებნენ.

**— ბატონო ზურაბ, იმ წლებში თქვენ საკმაოდ აქტიურობდით, აფხაზების თვალში იდეოლოგადაც კი მოიაზრებოდით. ქართველების მხრიდან მკვეთრად გამოხატულ ქართულ ეროვნულ პოზიციას დღეს ბევრი შეცდომად მიიჩნევს.**

— აფხაზური მხარისთვის მე მართლაც ყოველთვის ოდიოზური ფიგურა ვიყავი. 1977 წლიდან ჩავები ერთგვარ „ისტორიოგრაფიულ ომში“ სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური ინტელიგენციის წინააღმდეგ, რის გამოც იმთავითვე დაიწყო ჩემი დევნა. მე მადანაშაულებდნენ აფხაზეთის ისტორიის გაყალბებაში. არადა, მთელი ეს „გაყალბება“ იმაში მდგომარეობდა, რომ აფხაზ სტუდენტებს საქართველოს სიყვარულს ვუნერგავდი; ვასწავლიდი მათ, რომ აფხაზებსა და ქართველებს საერთო ისტორია გვაქვს, და რომ ისტორიულად ჩვენ ერთად ვქმნიდით ერთიან ძლიერ საქართველოს, რომლის ორგანული ნაწილიც იყო აფხაზეთი. ახლა თქვენ თავად განსაჯეთ, იყო თუ არა ამგვარი პოზიცია შეცდომა.

ამ დევნა-შევიწროებამ პიკს 1982-83 წლებში მიაღწია, როდესაც აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოკალათებულმა სეპარატიზმის იდეოლოგებმა აფხაზი სტუდენტები ამიჯანყეს და ჩემი სამსახურიდან გათავისუფლება და აფხაზეთიდან გაძევება მოითხოვეს. 1989 წლიდან უკვე ღიად დავუპირისპირდი სეპარატისტულ მოძრაობას. ყოველივე ეს კარგად იცოდნენ ჩემმა აფხაზმა მეზობლებმა, მიუხედავად ამისა, მათი დამოკიდებულება არ შეცვლილა. მაინც ადამიანურმა სითბომ გადასწონა.

**— როდის და როგორ დაგაპატიმრეს?**

— სოხუმის დაცემის შემდეგ, ათი დღე ჩემს სახლში გავატარე. ამ პერიოდში რამდენიმეჯერ მომაკითხეს სეპარატისტული რეჟიმის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებმა, მაგრამ ჩემმა აფხაზმა მეზობლებმა დამიცვეს და დროებით გადაავადეს ჩემი დაპატიმრება, თუმცა ბოლოს, დარწმუნდნენ რა, რომ ვერ გამიყვანდნენ სამშვიდობოს, ჩამსვეს მანქანაში და, ფაქტობრივად, თვითონ ჩამაბარეს უშიშროების სამსახურს. საინტერესოა, რომ გზად მოვითხოვე მეზობლის ქალი (აფხაზი) გამოეყოლებინათ და, როგორც აღმოჩნდა, სწორადაც მოვიქეცი, რადგან გზაში შეიძლებოდა დავეხვრიტეთ. მძღოლმა, რომლის შვილიც ჩემმა ექიმმა მეუღლემ რამდენიმეჯერ გადაარჩინა სიკვდილს, გზაში საქმის გარჩევა დაიწყო, მეუბნებოდა, დასახვრეტი ხარო. რომ არა ჩემი მეზობელი ქალბატონი, არავინ იცის, მივაღწევდი თუ არა „ციხის კარამდე“. იმ დღეს მე მეორეჯერაც გადავურჩი სიკვდილს. ამჯერად უკვე აფხაზეთის შსს დროებითი დაკავების იზოლატორის უფროსმა ოთარ დელბამ გადამარჩინა. მას უშიშროების სამსახურიდან იზოლატორში გადავყავდით მე და ჩემი კარის მეზობელი რენო სურმავა, რომელიც უშიშროების სამსახურმა ჩემთან ერთად აიყვანა. ეზოში აფხაზი „ბოევიკები“ დაგვხვდნენ. როგორც მოგვიანებით გავარკვიე, ისინი წინასწარ შეამზადა ერთ-ერთმა ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა ნოდარ კვარჩიამ, რომელმაც იცოდა სეპარატისტებთან ჩემი ადრინდელი „ბატალიების“ შესახებ. **„ბოევიკებმა“ ავტომატები მოიმარჯვეს და ჩვენს დახვრეტას აპირებდნენ, მაგრამ აქ ივარგა ოთარ დელბამ, რომელმაც სასწრაფოდ გაგვიყვანა უსაფრთხო ადგილას. უკვე საკანში ყოფნისას კვარჩიას ხალხმა სამჯერ მომაკითხა, ჩემი წაყვანა და დახვრეტა უნდოდათ, მაგრამ ამჯერადაც დელბამ დამიცვა.**

**7 ოქტომბრიდან 14 იანვრამდე, ზუსტად ასი დღე გავატარე იზოლატორში. ვერ ვიტყვი, რომ იქ ცუდად მექცეოდნენ, ერთი იყო მხოლოდ, ვინმე იური გონჯუა — ზედამხედველი, რომელიც ცდილობდა, დავემცირებინე — ხან შემაფურთხებდა, ხან შემაგინებდა, სხვა არავინ არაფერს მიშავებდა.**

ზურაბ პაპასკირი



იზოლატორში აფხაზმა თანამდებობის პირებმა მომინახულეს. ესენი იყვნენ ჩემი ყოფილი სტუდენტები: იმჟამინდელი სეპარატისტული რეჟიმის ერთ-ერთი მინისტრი ბესლან კობახია, სოხუმის გარნიზონის მეთაურის მოადგილე დაურ მარღანია (მათთან ომამდე თბილი მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა), აგრეთვე, ჩემი უნივერსიტეტელი კოლეგა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დაურ ბარგანჯია. ეს ბევრს ნიშნავდა მაშინ. დამპირდნენ, ვეცდებით შენს გათავისუფლებასო.

**— ვიცი, რომ თქვენ იქ შეხვდით აფხაზური ოპოზიციის დღევანდელ ლიდერს, აწ უკვე „პრეზიდენტობის“ ყოფილ კანდიდატს — რაულ ხაჯიმბას.**

— რაულ ხაჯიმბა ჩემთან დაახლოებით დაპატიმრებიდან თვე-ნახევარში გამოჩნდა. რაული ჩემი სტუდენტი იყო, ის არის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის პირველი გამოშვების (1984წ.) კურსდამთავრებული. მის კურსს ერთი წლის განმავლობაში ვასწავლიდი საქართველოს ისტორიას. მე ის დამამახსოვრდა როგორც უაღრესად ნიჭიერი და გონებაგახსნილი სტუდენტი, რომელმაც გამოცდაზე სრულიად დამსახურებულად მიიღო ფრიადი შეფასება. მას და მის ამხანაგებს ძალიან ვუყვარდი. ამის გამოხატულება იყო ისიც, რომ გამოსაშვებ საღამოზე მე ვიყავი ერთადერთი არაიურისტი ლექტორი, რომელიც მათ დაპატიჟეს. სხვათა შორის, შემორჩენილია იმ დღეს გადაღებული ფოტოსურათი, მასზე მე ზოგიერთ ჩემს იურისტ კოლეგასთან, აგრეთვე, სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარესთან, პროფესორ გივი ინწკირველთან და სტუდენტებთან – მათ შორის რაულ ხაჯიმბასთან – ერთად ვარ აღბეჭდილი...

რაულს – იმჟამად უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსანს – აფხაზური ტელევიზიით ჩემი გამოსვლის უზრუნველყოფა ჰქონდა დავალებული, მაგრამ მე პირობები წამოვაყენე, რაც მიუღებელი აღმოჩნდა ტელევიზიის მესვეურთათვის და ეს ინტერვიუც არ შედგა. მაშინ და შემდგომაც მან არაერთხელ დააფიქსირა ჩემდამი თბილი დამოკიდებულება, რისთვისაც მე მუდამ ვიქნები მისი მადლიერი. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ მან და მისმა კოლეგებმა, პირველ რიგში, ზურაბ აგუმავამ — უშიშროების სამსახურის კონტრდაზვერვის (რ. ხაჯიმბა სწორედ ამ განყოფილების თანამშრომელი იყო) განყოფილების უფროსმა, რომელსაც თავდაპირველად მიჰყავდა ჩემი საქმე, აგრეთვე, ასტამურ თარბამ (უშიშროების სამსახურის მაშინდელმა შეფმა, ცნობილი აფხაზი მოღვაწის, პროფ. ბორის თარბას ვაჟმა, რომელთანაც ყოველთვის თბილი მეგობრული ურთიერთობა მქონდა), ფიზიკური განადგურების მუქარით არ დამაძალეს „მონანიებითი“ ჩვენების მიცემა. **რაულ ხაჯიმბასთან მე დღესაც მაქვს ურთიერთობა სოციალური ქსელის მეშვეობით (ზოგჯერ მოვიკითხავთ ერთმანეთს), თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, ის არიდებს თავს ჩემთან უფრო აქტიურ კონტაქტს.**

ორი ბრალდება წამომიყენეს — ერთა შორის შუღლის გაღვივება და ომის პროპაგანდა. არადა, ჩემ წინააღმდეგ არავითარი მტკიცებულებები არ ჰქონდათ. დაპატიმრებიდან 41-ე დღეს მოვიდნენ ჩემთან საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლები. ამის შემდეგ შედარებით ამოვისუნთქე, რადგან ვიცოდი, რომ განუკითხავად დახვრეტის საშიშროება აღარ არსებობდა. ჩემი გათავისუფლების საკითხი საბოლოოდ ჟენევაში გადაწყდა 1994 წლის 13 იანვარს. მეორე დღეს – 14 იანვარს სეპარატისტული რეჟიმის შს მინისტრთან, გივი აგრბასთან შემიყვანეს, რომელიც თბილად მესაუბრა. აშკარად ცდილობდა, ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა. გალისკენ (რუხის ხიდამდე) მიმავალ ავტობუსს გაგაყოლებთო, მითხრეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „წითელი ჯვარი“ გალში არ მიდიოდა. მათ რომ გავყოლოდი, იმ დღეს, ალბათ, დამხვრეტდნენ. გადავწყვიტე და ისევ „წითელ ჯვარს“ გავყევი ადლერში, სადაც პერსონალური თვითმფრინავი დამხვდა და თბილისში ჩამომიყვანეს.

**— ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობის დასაწყებად, პირველ რიგში, ალბათ, შეცდომები უნდა გავაანალიზოთ. როგორ ფიქრობთ, რატომ დაიწყო ომი, რა შეცდომები დავუშვით?**

— აფხაზეთში ჯარის შეყვანა გაუთვლელი ნაბიჯი იყო. იურიდიულად ამის სრული უფლება გვქონდა, მაგრამ არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ძალიან დიდი სიფრთხილე იყო საჭირო. სამწუხაროდ, ეს სიფრთხილე საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ვერ გამოიჩინა. **შევარდნაძე თავად უნდა ჩასულიყო, დალაპარაკებოდა არძინბას და ერთობლივად უნდა გადაეწყვიტათ ყველაფერი და არა ტელეფონით. ეს იყო ტაქტიკური შეცდომა.** ტელეფონით ვითომდა ყველაფერი შეთანხმებული და მოგვარებული იყო, რასაც დღევანდელი „პრეზიდენტი“ ალექსანდრე ანქვაბიც აღიარებს, რომელიც მაშინ შს მინისტრი გახლდათ, მაგრამ ვითარება სხვანაირად წარიმართა...

**— წელან ახსენეთ, რომ აფხაზი მეგობრები გყავდათ, დღეს თუ გაქვთ მათთან ურთიერთობა და როგორია საერთოდ მათი დამოკიდებულება ქართველებისადმი?**

— დღეს აფხაზებს ინტერნეტით ვეკონტაქტები. სოციალურ ქსელებში დებატები გვაქვს ხოლმე (პირველ რიგში, იმავე ბესლან კობახიასთან). ისინი კატეგორიულად მოითხოვენ საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, რაც ჩემთვის მიუღებელია. **წარმოუდგენელია, აფხაზეთი სხვა სახელმწიფოდ ვაღიაროთ, როცა იქ საქართველოს გამაერთიანებლის, ბაგრატ მეფის საფლავია. იქ არის ბიჭვინთის კათედრა, რომელიც ისტორიულად დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს ცენტრი იყო. სამწუხაროდ, თბილისშიც მეგულება ხალხი, რომელიც დღესვე მზადაა, აღიაროს აფხაზეთი.**

**— ამ ხნის მანძილზე თუ მოახერხეთ აფხაზეთში ჩასვლა?**

— მხოლოდ სიზმრებში ჩავდივარ აფხაზეთში და ვგრძნობ, როგორ მეშინია, რომ ისევ დამიჭირენ და სამშვიდობოს ველარ გამოვაღწევ.

**«ჩემთან მოვიდა აფხაზი მეზობელი, დაურ კვიწინია, ხელში ავტომატი ეჭირა, გადამეხვია და მითხრა, — ზურაბ, მაპატიე, რომ იარაღით მოვედი, იძულებული ვიყავი, ასე მოვქცეულიყავიო. ეს კაცი დღედაღამ ავტომატით მიცავდა»**

**«შევარდნაძე თავად უნდა ჩასულიყო, დალაპარაკებოდა არძინბას და ერთობლივად უნდა გადაეწყვიტათ ყველაფერი და არა ტელეფონით. ეს იყო ტაქტიკური შეცდომა»**

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

**ნაც-ძარცვა**

**გენერალ სერგეი ჩაბანს სააკაშვილის გარემოცვიდან 1 მილიონი დოლარი გადაუხადეს, განმუხურში ეს სპექტაკლი რომ გაეთამაშებინა. ეს თანხა კი კობა ნაყოფიამ გაიღო. მან ნაღდი ფული შავნაბადას რეზიდენციაში მიუტანა სააკაშვილს, რომელმაც თანხა გივი თარგამაძეს გადასცა. სცენარის ავტორიც და თანხის გადამცემიც თარგამაძე ყოფილა, ოღონდ მან გალელი ქართველი შუამავლის ხელით გაუგზავნა ფული ჩაბანს ორ ნაწილად: 200 000 — წინასწარ და 800 000 — ოპერაციის დასრულებიდან ორი დღის შემდეგ, 29 ოქტომბერს.**

# კობა ნაყოფია — სააკაშვილის პირადი GOLDEN CARD-ი




**ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, მულტიმილიონერი კობა ნაყოფია საქართველოში 2005 წელს გამოჩნდა. ის რუსეთში კახა ბენდუქიძის მეგობრად და ბიზნეს-პარტნიორად ითვლებოდა. ბენდუქიძემ მოიყოლა ნაყოფია, როცა ქვეყნის ეკონომიკის მინისტრად დაინიშნა. მათმა წყვილმა დიდი მარიფათი გამოიჩინა — ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების ნაწილი ჩალის ფასად ჩაიგდეს ხელთ. ნაყოფია სახელმწიფო აუქციონებსა და ტენდერებში მონაწილეობდა, კახა ბენდუქიძე და რუსი ბიზნესმენი გენერალოვი კი ჩრდილში რჩებოდნენ, თუმცა შეძენილ ქონებასაც და მოგებასაც იყოფდნენ.**

ერთ დროს ხელისუფლების ფავორიტმა ბიზნესმენმა კობა ნაყოფიამ (იგივე — ბენდუქიძე და გენერალოვი), სს „მადნეულის“ 97 პროცენტი 40 მილიონად იყიდა. ამ კომპანიის ყიდვა ბადრი პატარკაციშვილსაც ჰქონდა განზრახული და ეკონომიკის სამინისტროში მისმა კომპანიამ „ენერგოინდუსტრია-კომპლექტმაც“ შეიტანა ტენდერში მონაწილეობის განაცხადი. ამ დროს ბენდუქიძე სახელმწიფო მინისტრია; ეკონომიკის მინისტრი ნაყოფიას კლასელი ირაკლი ჩოგოვაძეა. ბადრი პატარკაციშვილი 36 მილიონ დოლარს იხდიდა „მადნეულში“, ხოლო ნაყოფიას კომპანია „პრომინვესტორი“ — 35 მილიონს.

**მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ჩოგოვაძემ ფარულად გახსნა „ინდუსტრია-კომპლექტის“ პაკეტი, ნახა პატარკაციშვილის სატენდერო პირობები და ბენდუქიძე-ნაყოფიას აცნობა. იმავე დღეს „პრომინვესტორმა“ ახალი პაკეტი შეიტანა სამინისტროში. როცა ტენდერი ჩატარდა, „პრომინვესტორმა“ გაიმარჯვა — ის 4 მილიონით მეტს იხდიდა „მადნეულის“ 97 პროცენტში. აი, ასე გააცურეს პატარკაციშვილი.**

საინტერესოა, რომ ნაყოფიას ამ 40 მილიონში „კვარციტის“ აქციათა 50 პროცენტიც ერგო — „მადნეული“ სწორედ „კვარციტის“ წილის ნახევარს ფლობდა. არადა, „მადნეულის“ შეძენა, თანაც გაცილებით უკეთესი პირობებით, სურდათ უკრაინულ, ამერიკულ, გერმანულ, იტალიურ და სამ ბრიტანულ კომპანიას. თუმცა „ბენდუქიძემ და კომპანიამ“ რეალურ ინვესტორებსა და იმჟამად ხელისუფლების არცთუ მორჩილ პატარკაციშვილს უსიტყვოდ მორჩილი ნაყოფია აირჩიეს.

**ამის შემდეგ კობა ნაყოფიამ უკვე „ეროვნული ზარაფხანა“ იგდო ხელთ. ესეც ჩოგოვაძისა და ბენდუქიძის მინისტრობისას მოხდა. რადგან „ეროვნული ზარაფხანა“ სტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფო ობიექტი იყო, მისი გაყიდვა ბენდუქიძეს არ შეეძლო, ამიტომ კომუნისტებისგან ისესხა ძველი სახელი და „საიუველირო ნაწარმის ქარხანა“ დაარქვა — „ეროვნული ზარაფხანა“ ამოვარდა სახელწოდებიდან და ობიექტს სტატუსიც მოეხსნა.**

ამის მერე, 2006 წლის მაისში, გაიმართა „ზარაფხანის“ აუქციონი, რომელშიც ისევ ნაყოფია-პატარკაციშვილი დაეჯახნენ ერთმანეთს. ნაყოფიამ ტენდერამდე 1 კვირით ადრე დააფუძნა კომპანია „გოლდ ინვესტი“, სასწრაფოდ 2 მილიონი დოლარი აიღო სესხად „საქართველოს ბანკიდან“ და ასე მიიღო ტენდერში მონაწილეობა. ცხადია, „გაიმარჯვა“ და **2 მილიონ 40 ათას დოლარად** ჩაიგდო „ზარაფხანა“ ხელში. **არადა, ეკონომიკის სამინისტრომ წინა წელს „ეროვნულ ზარაფხანაში“ ჩაატარა აუდიტი და მისი ქონება 40 მილიონ დოლარად შეფასდა.** ტენდერის მერე აუდიტის დასკვნა გაქრა ეკონომიკის სამინისტროდანაც, იმჟამინდელი პრემიერის — ზურაბ ნოღაიდელის ოფისიდანაც და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ეკონომიკური სამსახურიდანაც. ამბობენ, ეს ყველაფერი ბენდუქიძის ნამოქმედარიაო.

ორიოდე სიტყვით იმ ქონებაზეც მოგახსენებთ, 2 მილიონ 40 ათას დოლარად რომ მოიხელთეს ნაყოფიამ და მისმა მაფიოზმა ოლიგარქებმა. „ზარაფხანა“ დიღომში, ლუბლიანის ქუჩაზე მდებარეობს: 4-სართულიანი შენობა, დამხმარე სათავსონაგებობები, ასამდე უნიკალური, ძვირადღირებული დაზგა-მაგიდა, 8 მილიონი დოლარის ოქროსა და ძვირფასი თვლების მარაგი, რომელიც „მხედრიონის“ პირობებშიც კი ხელუხლებლად დარჩა „ზარაფხანაში“, და კიდევ „ზარაფხანის“ კუთვნილი 30 ათასი კვ.მ მიწა დიღომში, ლუბლიანის ქუჩაზე; მის მიმდებარე ტერიტორიაზე 2006 წელს 1 კვ.მ მიწის მინიმალური ფასი 230 ათასი დოლარი იყო. თუ 30 ათას კვ.მ-ს 230 დოლარზე გავამრავლებთ, აღმოჩნდება, რომ მარტო მიწა 6 მილიონ 900 ათასი დოლარი ღირდა. აი, ამხელა ქონება ჩაიგდო ხელში მართლაც და ჩალის ფასად კობა ნაყოფიამ. თუმცა ეს არ არის ყველაფერი.

**ტენდერის პირობების თანახმად, „გოლდ-ინვესტს“ უნდა დაეფარა „ზარაფხანის“ 6 მილიონი ვალი, რომელიც სახელმწიფოს მიმართ დაუგროვდა საწარმოს. თქვენც არ მომიკვდეთ, კაპიკი არ გადაუხდია ნაყოფიას.** არადა, ვალის გადახდის გრაფიკიც გაწერილი იყო. ნაყოფიამ თანაკლასელ ირაკლი ჩოგოვაძეს ცალკე მისწერა, ცალკე — ზურაბ ნოღაიდელს, — ქართული ოქროს წარმოება უნდა ავაღორძინოთო.

მათაც ერთობლივად გადაწყვიტეს — ოღონდ ეგ საშვილიშვილო საქმე გააკეთე, 6 მილიონი რა სალაპარაკოაო, და ჩამოაწერეს სახელმწიფო ვალი. რა ბექა ოპიზარი კობა ნაყოფია გამოდგა, ყველას კარგად მოგვეხსენება — ქართულ მედიაში არაერთი ჟურნალისტური გამოძიება ჩატარდა, რითაც, პრაქტიკულად, დადასტურდა, რომ **ნაყოფია და მისი ჯგუფი ინდოეთიდან და არაბეთიდან ეზიდებიან იაფფასიანი ოქროს ნაკეთობებს და მერე „ზარაფხანის“ დამღით ჰყიდიან ვითომ ქართულ ნაწარმს. წალეკა ქართული ოქროს ბაზარი უხარისხო ოქრომ. „მადნეულში“ მოპოვებულ, „კვარციტში“ გადამუშავებულ ოქროს კი ნაყოფია უცხოეთში ეზიდება, რადგან მაღალი ხარისხისაა და ევროპაში კარგად იყიდება.**

კობა ნაყოფიას არაოფიციალურ მილიარდერად მოიხსენიებენ და ეს არ არის გადაჭარბებული. **ეს კაცი სოლიდურ წილებს ფლობს იმ კომპანიებში, რომელთაც ქართული ოქროს მოპოვება-გადამუშავება-დამზადება, ანუ სრული ციკლი („მადნეული“-„კვარციტი“-„ზარაფხანა“) ჩაიგდეს ხელთ.** უცნობია, ამ სამ კომპანიაში ვის რამდენი წილი აქვს, არც ერთი არ აქვეყნებს დამფუძნებელთა თუ აქციონერთა სიას. „გოლდ ინვესტი“ კი, რომელსაც „ზარაფხანა“ აჩუქეს, 2007 წელს ოფშორულ ზონაში გადარეგისტრირდა და სახელიც შეიცვალა, ახლა „კუენტრო პორტფელიო“ ჰქვია. **დიახ, როცა ოქროს მომპოვებელ ქვეყანაში ერთადერთი მონოპოლისტი ხარ, 50 პროცენტს ფლობ ოქროს გადამუშავების კომპანიაში და ოქროს ნაკეთობათა ბაზარზეც „ზარაფხანის“ სახით, სრული მონოპოლისტი ხარ, მაშინ ძალიან რეალურია ასეთი კაცის მილიარდებზე ლაპარაკი. დიახ, ოქროზეა ლაპარაკი და არა — ბადრიჯანზე!**

ეს არის მცირე ბექგრაუნდი ნაყოფიას ბიზნეს-საქმიანობისა საქართველოში, მაგრამ მას სხვა უამრავი ბიზნესი და კერძო ქონებაც აქვს და ამაზე სხვა დროს მოგითხრობთ. მოდით, ბიზნესმენ ნაყოფიაზე ლაპარაკი აქ დავასრულოთ და უკვე გაპოლიტიკოსებულ — წმინდა წყლის ოლიგარქ კობა ნაყოფიაზე გადავიდეთ.

**ნაყოფია სისტემატურად, 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებიდან დღემდე, აფინანსებდა „ნაციონალური მოძრაობის“ ყველა დონის არჩევნებს. ამბობენ, რომ მან, კახა ბენდუქიძის ერთ-ერთი კომპანიის საბანკო ანგარიშის მეშვეობით, რუსეთში ცხოვრებისას 1 მილიონი დოლარი ჯერ კიდევ 2003 წელს „ვარდების რევოლუციას“ შესწირა.**

თავიდან ის ჟვანია-ბენდუქიძის ფავორიტი იყო, მაგრამ ჟვანიას სიკვდილის მერე, უკვე უშუალოდ სააკაშვილის თოჯინად იქცა. გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ კობა ნაყოფიას უკავშირდება 2007 წლის 30 ოქტომბერს სოფელ განმუხურში მომხდარი ინციდენტი. გეხსომებათ, აფაზეთში განლაგებული დსთ-ს მანდატის მქონე რუსეთის სამშვიდობო ძალების რამდენიმე მებრძოლმა სამი ჯავშანტრანსპორტიორით განმუხურის პატრიოტთა ბანაკს ალყა შემოარტყა, როცა იქ ახალგაზრდები ისვენებდნენ. მათ აფხაზეთში სამშვიდობო მისიის ხელმძღვანელი, გენერალი სერგეი ჩაბანი მეთაურობდა. რუსმა ჯარისკაცებმა სასტიკად სცემეს ზუგდიდის პოლიციის ხუთი თანამშრომელი, რომლებიც ბანაკის დაცვაში მსახურობდნენ. მიხეილ სააკაშვილმა ეს რომ გაიგო, სასწრაფოდ ჩაფრინდა განმუხურში, ლამის შეტაკება მოხდა სააკაშვილის დაცვას, ადგილობრივ მოსახლეობასა და რუს ჯარისკაცებს შორის. სააკაშვილმა ჩაბანი გამოლანძღა და პერსონა ნონ-გრანტად გამოაცხადა: ხვალვე წაეთრიე აფხაზეთიდან — საქართველოს ტერიტორიიდანო. რუსი სამხედროები ნაცემი ძაღლებივით იდგნენ „საქართველოს მთავარსარდლის“ წინაშე.

რუსი სამხედროები ქართველმა პოლიციელებმა რომ განაიარაღეს, ამას მიშა უშიშრად უყურებდა. ჰოდა, მაშინ სააკაშვილის რეიტინგი, რომელიც კრიტიკულ ზღვარს ქვემოთ იყო, უცებ ავარდა.

**ეს ამბავი ხდება 2007 წლის 27 ოქტომბერს, ზუსტად 6 დღის შემდეგ გაოპოზიციონერებული ირაკლი ოქრუაშვილი გამოვა „იმედით“ ინგა გრიგოლიას გადაცემაში და სააკაშვილს პატარკაციშვილის მკვლელობის შეკვეთასა და სხვა დანაშაულში ამხელს. აი, რატომ სჭირდებოდა მიშას სასწრაფოდ რეიტინგის აწევა და თან იმგვარად, რომ გმირად გამოჩენილიყო. მან უკვე იცოდა, რომ მალე ლამის ჰეროიკულ გმირებს გატოლებულ, რეიტინგულ ოქრუაშვილს უნდა შეტოქებოდა და არა სოზარ სუბარის ან დავით უსუფაშვილის დარ „თეთრხელთათმანიან“ პოლიტიკოსებს.**

მაშინვე გავრცელდა ხმები, რომ განმუხურის ინციდენტი დადგმული სპექტაკლი იყო. „საქართველოს და მსოფლიოს“ ეს კიდევ ერთხელ დაუდასტურა წყარომ, რომელიც ადრე ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მსახურობდა. მისი თქმით, **გენერალ სერგეი ჩაბანს სააკაშვილის გარემოცვიდან 1 მილიონი დოლარი გადაუხადეს, განმუხურში ეს სპექტაკლი რომ გაეთამაშებინა. ეს თანხა კი კობა ნაყოფიამ გაიღო.** მან ნაღდი ფული შავნაბადას რეზიდენციაში მიუტანა სააკაშვილს, რომელმაც თანხა გივი თარგამაძეს გადასცა. სცენარის ავტორიც და თანხის გადამცემიც თარგამაძე ყოფილა, ოღონდ **მან გალელი ქართველი შუამავლის ხელით გაუგზავნა ფული ჩაბანს ორ ნაწილად: 200 ათასი — წინასწარ და 800 ათასი — ოპერაციის დასრულებიდან ორი დღის შემდეგ, 29 ოქტომბერს.**

ამის მერე სააკაშვილმა ნაყოფია პოლიტიკაში მოიყვანა. ბოლნისის მაჟორიტარობა 1,5 მილიონი დოლარი დაუჯდა კობას. 1 მილიონი „ნაციონალებს“ მისცა, ნახევარი — საარჩევნო კამპანიას დაახარჯა.

ნაყოფიას დიდი ფული აშოვნინა ხელისუფლებამ და მეწველ ფურადაც აქცია. ამბობენ, ბოლო სახელისუფლო პროექტი, ჰოლივუდური ბლოკბასტერი 2008 წლის ომის შესახებ — „აგვისტოს 5 დღე“ — 20 მილიონი დაუჯდა ნაყოფიას შერონ სტოუნის ვიზიტიანადო. ნაყოფია აფინანსებდა მიხეილ სააკაშვილის უამრავ ახირებასა და ხუშტურს. ნაყოფია, პრაქტიკულად, მიხეილ სააკაშვილის „საკრედიტო ბარათი“ იყო, ბანკომატი — ნაყოფიას საბანკო ანგარიშები, თანაც როგორი ბარათი — „გოლდენ ქარდი“! ნაყოფია ყველა სურვილს უსრულებდა სააკაშვილს, თავისი ფულით დამატებითი კომფორტით უზრუნველყო პრეზიდენტის ისედაც სუპერკომფორტული „ბოინგი“, რომლის ინტერიერის შეცვლა არც ერთ სხვა პრეზიდენტს აზრად არ მოსვლია. **ნაყოფიამ გადაუხადა ქორწილი სააკაშვილის ბიძაშვილს — ნიკა ალასანიას.**

**შორს წაგვიყვანს იმ ოქროს და ძვირფასი ქვებით მოჭედილი ნივთების ჩამოთვლა, რომელთაც სააკაშვილი სხვადასხვა სტუმრებს თუ, უბრალოდ, ფავორიტ ქალბატონებს უძღვნის. ყველაფერ ამას ნაყოფია კისრულობს.** წყარო ამტკიცებს, რომ ყველა იმ ქართველ თუ უცხოელ ქალბატონს, რომელთაც მიშასთან ერთი ღამე მაინც გაუტარებია, შინ „ზარაფხანის“ დამღიანი ერთი ძვირფასი ნივთი ან სამკაული მაინც აქვს. მოკლედ, მიშა გრიალებს, ნაყოფია — იხდის.

**თუმცა, დიდი ხანი არ არის, რაც კობა ნაყოფია ამ ხელისუფლებამ მოიძულა. პირველი ამ ბოლო ხანს არჩილ გეგენავა იყო, შემდეგ — კობა ნაყოფია. მას ჩამოართვეს „მადნეულისა“ და „კვარციტის“ ლიცენზიები, რომლებიც თავის დროზე უვადოდ გადასცეს. ამბობენ, რომ მალე ხელისუფლება მთელ სახელისუფლო ბერკეტს აამუშავებს, რათა ნაყოფიას ფინანსური დარღვევები უპოვონ, სისხლის სამართლის საქმე აღძრან, მერე კი, თავისუფლების საფასურად, რაც აქუჩეს და უშოვია, საპროცესო გარიგებით ყველაფერს წაართმევენო.**

ამის მიზეზი კი ფინანსურ-პოლიტიკურია. კობა ნაყოფია ცალსახად ითვლებოდა სააკაშვილის მხარდამჭერად. ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდეც „ნაციონალები“ ღიად აფიქსირებდნენ, რომ 2013 წლის არჩევნების მერე, სააკაშვილი პრემიერ-მინისტრი გახდებოდა, ხოლო გიგი უგულავა — პრეზიდენტი. მაგრამ სააკაშვილს მართლა დიდი დრო რომ არ უწერია ხელისუფლებაში, „საკრედიტო ბარათიც“ მიხვდა და მან სხვაზე ადრე საკუთარი ბიზნესის უცხოეთში ფორსირებულად გატანა დაიწყო. ცხადია, ამას ბენდუქიძესთან შეთანხმების გარეშე ვერ იზამდა. **არსებობს ინფორმაცია, რომ ბოლო თვეებში განსაკუთრებულად იკლო „მადნეულში“ ოქროს მოპოვებამ, რეალურად კი ნაყოფია ცალკე მიშას უტეხავდა ფულს, ცალკე — ბიუჯეტს და ლონდონის ბირჟაზე, იქაურ ტრეიდერთა დახმარებით, სულ სხვა, ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიის სახელით ჰყიდდა, თანხას კი მარშალის კუნძულზე დარეგისტრირებულ სხვა კომპანიაში რიცხავდა.**

ეს სქემა ვანო მერაბიშვილმა გაშიფრა და სააკაშვილს მოახსენა — სააკაშვილმა ნაყოფიას ღალატში დასდო ბრალი და განადგურებით დაემუქრა. მიშას ისიც გაახსენდა, რომ **2 თვის წინ ნაყოფიამ ზრდილობიანი უარი უთხრა სააკაშვილს ერთ-ერთი ფსევდოოპოზიციური პარტიის მოსაქრთამი ფულის — 2 მილიონი დოლარის მიცემაზე, იმ მიზეზით, რომ ფული არ ჰქონდა იმ მომენტისთვის და მერე მეტს გადაიხდიდა.** ამბობენ, რომ ეს ფული იმ ოპოზიციონერ ლიდერს დავით კეზერაშვილმა გადაუხადა. ასევე, **ნაყოფიამ ჩაშალა ანაკლიაში ერთი სასტუმროს აშენების პროექტი, რომელიც 7 მილიონი დოლარი ჯდებოდა** და აქაც იგივე მოიმიზეზა — გაისად ავაშენებ, ახლა მიჭირსო.

მოკლედ, კობა ნაყოფია მოტეხვას აპირებდა. სააკაშვილი მას მაფიოზური კანონებით უსწორდება და არა — სამართლებრივად. მართალია, ამ **ანგარიშსწორებისთვის სააკაშვილი სახელმწიფო ბერკეტებსაც გამოიყენებს, მაგრამ ნაყოფიას ცივილიზებული სასამართლო წესით არ დასჯიან. ისე მოექცევიან, როგორც ფული აშოვნინეს — მაფიოზური კანონებით. ასეთია ქართული „კოზა ნოსტრას“ თამაშის წესები.**

ოფშორული ზონების ბანკებიდან ნაყოფიას საბანკო ანგარიშებიდან რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი უკვე გადმორიცხულია ქართულ ბანკებში და მათ სააკაშვილი და მერაბიშვილი აკონტროლებენ. **ნაყოფიას გამო სააკაშვილს ურთიერთობა კახა ბენდუქიძესთანაც გაფუჭებია,** თუმცა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს, შერიგდნენ, რადგან ახლა საერთო ინტერესი უფრო მეტი აქვთ, ვიდრე „ნაყოფიას პრობლემაა“ — მათ საერთო მტერი გამოუჩნდათ.

**ლევან ჯავახიშვილი**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სპეკულაციებით გართული ფინანსისტების შეჩერება არავის შეუძლია. ვითარება, რომელიც ყალიბდება, ხელს უწყობს მასების კლასიკურ რევოლუციონიზებას.**




# აშშ და ევროპა: კლასობრივი ბრძოლის აჩრდილი

**უოლ-სტრიტის პატრონები ხედავენ, რომ მათი ფანჯრების ქვეშ თავმოყრილი არიან ის ადამიანები, რომლებიც მიხვდნენ — „კაპიტალიზმის“ გამო პასუხს ფანჯრებიდან მომზირლები აგებენ.**
**აშშ-ის ნაღდი ფულის კონტროლის სამმართველოს ბოლო მოხსენების მიხედვით, თუ ორი წლის წინათ ხუთ ბანკს ხელთ ეპყრა აშშ-ის მეორადი ბაზრის 80 პროცენტი, დღეს ამ ბაზრის 95 პროცენტი ოთხი ბანკის ხელშია. ესენია JP Morgan Chase & CO, Citigroup inc, Bank ob America Corp., Goldman Sachs Croup inc.**




მსოფლიო ეკონომიკის ნგრევაში მთავარ როლს აქტივების მეორადი ბაზარი თამაშობს, იმიტომ, რომ სწორედ იგი ოპერირებს არა რეალური ფულით, არამედ მისი ელექტრონული ფიქციით. მიჩნეულია, რომ მსოფლიო დერივატივების („ფასიანი“ ქაღალდების) ღირებულება 600 ტრილიონ ამერიკულ დოლარს უდრის. მსოფლიოში წარმოებული პროდუქტის (GDP) ღირებულება კი მხოლოდ 65 ტრილიონი დოლარია. ამას ხაზგასმით აღნიშნავს ბრიტანული The Economist-ი. ამრიგად, **თუ ბანკების მიერ დერივატიკების სპეკულაციის საქმემ წაიფორხილა, მთელ მსოფლიოში არ მოიძებნება იმდენი ცოცხალი ფული, მსოფლიო საფინანსო სისტემა რომ გადაარჩინოს.**

**სამ კვირაზე მეტია, პროტესტანტებს დაპყრობილი აქვთ უოლ-სტრიტი, რაც მეტყველებს, რომ მოგების მისაღებად ბანკების გაუმაძღრობა მდიდარ ამერიკაშიც კი უმუშევრობის, კორუფციის, კორპორაციების მოძალების, განათლების მიღების სიძვირის წინააღმდეგ სოციალური პროტესტის მიზეზი გახდა.**

ყველაფერი სტუდენტების პროტესტით დაიწყო, როცა ისინი 17 სექტემბერს შესაბამისი ლოზუნგებით მანჰეტენში — ნიუ იორკის საქმიან ცენტრში — გამოჩნდნენ. ამჟამად ოკუპირებულია პორტლენდი, ფილადელფია, მაიამი. კანადელები ოტავის, ტორონტოს, ვანკუვერის, კალგარის, მონრეალის „დასაპყრობად“ ემზადებიან. დღეს ამერიკა აღმდგარია კაპიტალიზმის წინააღმდეგ. და არა მხოლოდ ამერიკა. **მსოფლიოს ათობით დიდი ქალაქის მცხოვრებნი ქუჩაში გამოდიან მოძრაობის „დაიპყარი უოლ-სტრიტი!“ მხარდასაჭერად. აქცია მათ გააზრებული აქვთ, როგორც საერთაშორისო სოლიდარობის დღე ერთი პროცენტი უმდიდრესი ადამიანების სიხარბისა და კორუმპირებულობის წინააღმდეგ.**

**ამერიკაში აღარ უკვირთ, რომ მიტინგებზე გაისმის მოწოდებები «რევოლუციისკენ» და «კლასობრივი ბრძოლისკენ»**

რომში ამ ღონისძიებაში 200 ათასი კაცი მონაწილეობდა. პროტესტის ტალღას „უკიდურესნიც“ შეუერთდნენ და დემონსტრაცია გადაიზარდა პოლიციისა და აგრესიულად განწყობილი შავოსანი ადამიანების შეტაკებაში, რომლებმაც წესრიგის დამცველთ დაუშინეს ბოთლები, ქვები, პეტარდები, ცეცხლი წაუკიდეს რამდენიმე მანქანას. პასუხად პოლიციელებმა ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლის მანქანები გამოიყენეს.

ლონდონში ათასამდე ადამიანი შეეცადა, ხელთ ეგდო საფონდო ბირჟა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ვერ მოახერხეს ალყის გარღვევა, მიმდებარე კვარტლებში განაგრძეს მსვლელობა. მათი მთავარი მოთხოვნა დევიდ კემერონის მთავრობის დათხოვნა იყო.

ზემდიდრების ძალაუფლების წინააღმდეგ მიმართული აქციები გაიმართა გერმანიაში, საფრანგეთში, ესპანეთსა და სხვა ქვეყნებში. ჟურნალისტები თავიანთ პუბლიკაციებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ **ხალხი ქუჩაში ხელისუფლების მცდარმა ეკონომიურმა პოლიტიკამ გამოიყვანა. საამისო მიზეზები ამერიკაშიც საკმაოდ არის: უმუშევრობა 9 პროცენტზე დაბლა არ ეშვება, აფროამერიკელ ახალგაზრდებში კი 46 პროცენტზე მაღალია, ხოლო პრეზიდენტ ობამას დაპირება, რომ გადაწყვეტდა ამ პრობლემას, დაპირებადვე დარჩა.**

**სიმპტომატურია, რომ დემონსტრანტები გამოდიან „მმართველი კლასის მზარდი ძალის“ წინააღმდეგ, პოლიტიკაზე კორპორაციების არაკონტროლირებადი გავლენის, ბანკების წინააღმდეგ, რომლებმაც კრიზისამდე და კრიზისის პერიოდში არნახულად დიდი ფული იშოვეს, ღარიბები კიდევ უფრო გაღარიბეს, მდიდრები კიდევ უფრო გაამდიდრეს.**

ღიმილის მომგვრელია, რომ ბირჟის სპეკულანტმა, მილიარდერმა ჯორჯ სოროსმა მხარი დაუჭირა პროტესტის მონაწილეებს. მან ღრმააზროვნად შენიშნა, რომ გადასახადის გადამხდელთა ფული საზოგადოებას კი არ ხმარდება, არამედ ფინანსური ელიტის გასაძლიერებლად იხარჯება: ბანკების, კომპანიებისა და კორპორაციების მხარდასაჭერად, რომლებიც „ეკონომიკას ასტაბილიზებენ“ მხოლოდ იმით, რომ ხაზინიდან მილიარდების მიღების შემდეგ, მოქალაქეებს აძლევენ კრედიტებს და პროცენტულ გამოსავალს იჯიბავენ, აფინანსებენ საქონლის მწარმოებლებს და მომსახურების სფეროს პატრონებს, რომლებიც სამუშაოდან ათავისუფლებენ ადამიანებს, ამით ზარალს უმცირებენ და მოგების დონეს უნარჩუნებენ.

ეს ანტაგონიზმი კარგად ჩანს ქუჩებში. **ამერიკაში აღარ უკვირთ, რომ მიტინგებზე გაისმის მოწოდებები „რევოლუციისკენ“ და „კლასობრივი ბრძოლისკენ“, თუმცა ამერიკელების უმრავლესობა დოლარზე პარატიზირებულ სისტემაში ცხოვრებას ამჯობინებს და მხარს არ უჭერს რევოლუციურ მოწოდებებს. თავისთავად ფაქტი, რომ „თვით ამერიკა“ „კაპიტალიზმის წინააღმდეგ“ პროტესტებამდე „ამაღლდა“, ბევრისთვის აღმაფრენის საფუძველი ხდება.**




იტალიაში მანიფესტანტებმა მოაწყვეს დარბევები, რაც იმას ნიშნავს, რომ სოციალური პროტესტი შეიძლება ხელისუფლების წინააღმდეგ სრულმასშტაბიან გამოსვლებში გადაიზარდოს. აშშ-ში ჩატარებული გამოკითხვები ცხადყოფს, რომ ახალმა მოძრაობამ შეიძლება სერიოზულად შეცვალოს პოლიტიკური ლანდშაფტი, თუმცა საეჭვოა, ამან შეცვალოს აშშ-ის პოლიტიკა.

ამერიკელი ექსპერტები აღნიშნავენ, ბოლო სამი წლის საფინანსო ძვრებმა გააშიშვლა კაპიტალისტური მოდელის საბაზო წინააღმდეგობანი. ფსონის დადებამ მსხვილ კორპორაციებზე, მათი ინტერესების დაცვამ საშუალო და მცირე ბიზნესის ინტერესების საზიანოდ, საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური პროცესების იგნორირებამ გამოიწვია მასობრივი პროტესტი აშშ-ში და იმ ქვეყნებში, რომლებიც ცდილობენ, განვითარდნენ ამერიკული მაგალითის მიბაძვით. მაგრამ **სპეკულაციებით გართული ფინანსისტების შეჩერება არავის შეუძლია. ვითარება, რომელიც ყალიბდება, ხელს უწყობს მასების კლასიკურ რევოლუციონიზებას.**

**აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომელთაც შეინარჩუნეს სოციალისტური წარსულის სოციალური პოლიტიკის ბევრი პრინციპი, მოსახლეობის პროტესტები საერთო სურათს არ აფუჭებს. სკანდინავიის ქვეყნებში კი, სადაც მთავრობების პოლიტიკაში მოქალაქის ინტერესები პრიორიტეტად არის მიჩნეული, სრული სიმშვიდეა.**

მოდურ „სოციალურ პროტესტში“ რომ ჩაწერილიყო, ევროკომისიის ხელმძღვანელმა ჟოზე მანუელ ბაროზომ კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატეხა ბანკირებს. სწორედ ფინანსისტები მიიჩნია კრიზისის გამომწვევ მიზეზად და მათთვის განსაკუთრებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებაც კი მოითხოვა.

**ბერძნებმა პირველებმა გაიგეს, რა ძვირად უჯდებათ დასავლეთის ფინანსური სისტემის გადარჩენა, რასაც ეწირება მათი პენსიები, სტიპენდიები, ხელფასების დანამატები. რიგში იტალიელები დგანან. რისკის ზონაში დიდი ბრიტანეთიც უნდა ვივარაუდოთ, სადაც სოციალური ამბოხებანი ბოლო წლებში რეგულარულად ხდება. შემდეგ მოდის საფრანგეთი, დაბოლოს — გერმანია, ვის ხარჯზეც დღეს ძლიერდება ევრო.**

მაგრამ არც ყალთაბანდი ბანკირები სხედან გულხელდაკრეფილები. მათ ხელშია საზოგადოებაზე პოლიტიკური ზემოქმედების მძლავრი აპარატი. ბრძანება გაცემულია, ბორბლები ტრიალებს... **ვაშინგტონში უკვე მონახეს განტევების ვაცი — მილიონერი და პრეზიდენტობის პოტენციური კანდიდატი რესპუბლიკური პარტიიდან, მიტ რომნი. ევროპაში სოციალისტებს თავიანთი პოზიციების გაძლიერების იმედი აქვთ.** მაგრამ „დაიპყარი უოლ-სტრიტის“ მსგავს აქციებს ძალა არ შესწევს, შეარყიოს ამერიკული საზოგადოების საფუძვლები თუნდაც იმიტომ, რომ თვით ეს საზოგადოება არ გამოაცლის ქვებს იმ საძირკველს, რომელზეც დგას.

**ელენა პუსტოვოიტოვა**

**მოკლედ**

## სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ევროკავშირში ვერ შევლენ

**ლიტველი ანალიტიკოსის — ელდორადას ბუტრიმასის ვარაუდით, მომდევნო 15-20 წლის განმავლობაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ევროკავშირში გაწევრიანებას ვერ შეძლებენ.** როგორც ექსპერტმა განაცხადა, თუ უახლოეს მომავალში ევროკავშირში რომელიმე სახელმწიფო გაწევრიანდება, ეს სერბეთი ან ხორვატია იქნება. „სანამ ევროპა თავის ეკონომიკურ პრობლემებს არ გადაჭრის, ევროგაერთიანებაში ახალ წევრებს არ მიიღებენ,“ — განაცხადა ანალიტიკოსმა და დასძინა, რომ, ევროკავშირში გაწევრიანების თვალსაზრისით, სავარაუდოდ, სამხრეთ კავკასიური ქვეყნების ანალოგიურ ბედს გაიზიარებს თურქეთიც.

## საბერძნეთი ტრანშს რეფერენდუმამდე ვერ მიიღებს

**საბერძნეთი 8 მილიარდი ევროს ოდენობის მორიგ ფინანსურ დახმარებას მხოლოდ ქვეყნის პრემიერ-მინისტრ გეორგიოს პაპანდრეუს მიერ გამოცხადებული რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ მიიღებს.**

ამის შესახებ ევროზონის ქვეყნების ლიდერებმა განაცხადეს. პაპანდრეუს თქმით, ევროკავშირისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარების პაკეტის შესახებ რეფერენდუმის გამართვა მთავრობას მკაცრი ეკონომიკური ზომების გატარების „მკაფიო მანდატს“ მისცემს. სწორედ ამას მოითხოვენ ათენისგან ევროზონის წევრი ქვეყნები.

ოცდამეერთე საუკუნის გარდამტეხ ზღურბლზე სულ უფრო აშკარა გახდა, რომ სუვერენული ქვეყნების განვითარება წარმოუდგენელი იქნება საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებს შორის ტრადიციული კავშირების აღდგენის გარეშე, პოლიტიკური და ეკონომიკური ახალი თვალსაზრისისა და კონცეფციების გათვალისწინებით.

## დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ახალი ევრაზიული პროექტი: დაბრუნება პირველსაწყისთან?

**ეს დღეებია, მიმომხილველების ყურადღების ცენტრში მოექცა ახალი ინტეგრაციული პროექტი ევრაზიისთვის, რომელიც მოიცავს რუსეთის ფედერაციას, ბელარუსსა და ყაზახეთს. იგი ღიაა სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის.**




ევრაზიის ეკონომიკური სივრცე, ავტორთა წარმოდგენით, ისტორიული „აბრეშუმის გზის" ტრადიციებს უნდა დაეფუძნოს და განვითარდეს „ცივილიზაციის იმ ხიდის" პრინციპებით, რომლებიც ძველთაგანვე ატლანტისა და წყნარი ოკეანეების დამაკავშირებელ არტერიად მოიაზრებოდა.

დღეს ამ ისტორიულ რელიქტს მიიჩნევენ რგოლად, რომელიც ლოგიკურად აუცილებელია, მაგრამ რეალურად აკლია მსოფლიო სამეურნეო და ორგანიზებულ სივრცეს, რომელიც „ცივი ომის" აჩრდილის გავლენით დაყოფილი და დანაწევრებულია სოცკულტურული წინააღმდეგობებით, გეოეკონომიკური და პოლიტიკური ანაქრონიზმებით, ზბიგნევ ბჟეზინსკის კოშმარული ხილვებით.

**ლაპარაკია ერთიანი და ღია სატრანსპორტო, საბაჟო, სავიზო, ეკონომიკური, საინვესტიციო და ინფორმაციული სივრცის შექმნაზე,** რომელსაც გააჩნია კოლოსალური ბუნებრივი, ენერგეტიკული, საბაზრო და ადამიანების (170 მილიონამდე) რესურსი და ეფუძნება მსოფლიო და ევროპული საუკეთესო ნიმუშებისა და სტანდარტების მიხედვით შექმნილ შეთანხმებულ საკანონმდებლო ბაზას.

**ისტორიული მემკვიდრეობითობის თვალსაზრისით, ასეთი ნოვაცია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ბუნდოვან კონცეფციას, რომელიც 20 წლის წინათ შეიქმნა, ახალი რეალიებით, განვითარებული და წინწაწეული პრინციპებით ჩაენაცვლება.**

მართალია, დსთ-ს მეშვეობით პოსტსაბჭოთა სივრცეში შესაძლებელი გახდა ხალხების გამაერთიანებელი **„მირიადი ცივილიზებული, სულიერი კავშირების შენარჩუნება"** (ვლადიმერ პუტინი), მაგრამ იმავე თანამეგობრობის არსებობის ოცწლიან პერიოდში ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მოიშალა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურა, რესპუბლიკათა შორის სამეურნეო და ფინანსური კავშირები, დაკნინდა და, ზოგიერთ შემთხვევაში, გაქრა მოძმე ხალხების ურთიერთპატივისცემის ტრადიცია და ა. შ.

**ოცდამეერთე საუკუნის გარდამტეხ ზღურბლზე სულ უფრო აშკარა გახდა, რომ სუვერენული ქვეყნების განვითარება წარმოუდგენელი იქნება საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებს შორის ტრადიციული კავშირების აღდგენის გარეშე, პოლიტიკური და ეკონომიკური ახალი თვალსაზრისისა და კონცეფციების გათვალისწინებით.**

ახალ პროექტში ყურადღება კონცენტრირებულია ვაჭრობისა და სამრეწველო კავშირების მოდერნიზაციასა და განვითარებაზე იმ მიზნით, რომ ერთიანი ეკონომიკური სივრცის პროექტი რაც შეიძლება მდგრადი იყოს მსოფლიო კონიუნქტურული რყევების მიმართ, 15 ქვეყნის უდიდესი პოტენციალის ერთობლივად ამოქმედების ლოგიკა ამის გარანტი შეიძლება იყოს. პროექტი დაეფუძნება ერთობლივად შეთანხმებულ მოქმედებას მაკროეკონომიკის უმთავრეს სფეროებში; განხორციელდება ერთიანი სავიზო და საემიგრაციო პოლიტიკა; გაუქმდება სასაზღვრო კონტროლი ამ გაერთიანებაში შემავალ ქვეყნებს შორის.

ამ პერსპექტიულ გეოეკონომიკურ პროექტს საფუძვლად უდევს ევროკავშირის შემოქმედებითად გააზრებული გამოცდილება, კერძოდ კი, შენგენის შეთანხმებანი, რაც მომავალი გაერთიანების მოქალაქეებს საშუალებას მისცემს, მოცემულ სივრცეში თავიანთი ნების მიხედვით აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი და წესი.

**ბიზნესისთვის ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა გამოიხატება ახალი დინამიკური ბაზრების ჩამოყალიბებაში წარმოებული საქონლის, მომსახურებისადმი წაყენებული ერთიანი მოთხოვნებისა და ერთიანი სტანდარტების პირობებში, რომლებიც ძირითადი პარამეტრებით ევროპულთან იქნება გათანაბრებული.**

პროექტის ავტორთა ჩანაფიქრით, ასეთი სიახლე ეროვნულ ბიუროკრატიებს სერიოზულ სტიმულს მისცემს საბაზრო ინსტიტუტების, ადმინისტრაციული პროცედურების, საქმიანი და საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად წარმართულ საქმიანობაში.

**მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ახალი ევრაზიული პროექტი გარკვეულწილად ევროკავშირის პროექტის მსგავსია.**

ხოლო რას შეიძლება შევადაროთ ევროკავშირი, ევროსაბჭო? რა თქმა უნდა, — წარსულს ჩაბარებულ საბჭოთა კავშირს თავისი დადებითი (ერთიანი ვალუტა, ერთიანი სულისკვეთება, ადამიანების, საქონლის თავისუფალი გადაადგილება და ა. შ.) **და უარყოფითი** (ბიუროკრატიული აპარატი, იდეოლოგიური კონტროლი და ა. შ.) **მხარეებით. დასავლეთის საღად მოაზროვნე ანალიტიკოსები სულ უფრო იზიარებენ ამ შეხედულებას.**

პირველსაწყისისკენ ხომ არ შემობრუნდება მსოფლიო ახალი ურთიერთობები?

**ვიქტორ ბორშევიჩის**
**სტატიის „Back to the USSR თუ დროის კარნახი?" მიხედვით**

# ზბიგნევ ბჟეზინსკი — მსოფლიო რევოლუციის მაცნე



**ზბიგნევ ბჟეზინსკის ამასწინანდელმა გამოსვლამ რუსეთში, იაროსლავლში, გამართულ მსოფლიო პოლიტიკურ ფორუმზე მიმომხილველთა ყურადღება იმით მიიქცია, რომ „საბჭოთა კავშირისა და რუსეთის დაშლის იდეოლოგმა" ფორუმზე შეკრებილ საზოგადოებას მიმართა არა როგორც ამერიკის პოლიტიკის სტრატეგმა, არამედ როგორც ბილდერბერგის კლუბისა და სამმხრივი კომისიის — მსოფლიო ელიტის ამ ორი პირმშოს თანადამფუძნებელმა. ელიტას კი, ჩინოვნიკებისგან განსხვავებით, რომლებიც მოდიან და მიდიან, ბჟეზინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იძულებული არიან, არსებით პრობლემებზე, უთანხმოებებსა და კონფლიქტებზე გაამახვილონ ყურადღება", თავისი საზრუნავი აქვს.**

ბჟეზინსკიმ უმდიდრესი ადამიანების პოზიციიდან ილაპარაკა. მის ამჟამინდელ შეხედულებებში უკეთ რომ გავერკვეთ, უპრიანი იქნება, 2010 წელში დავბრუნდეთ და გავიხსენოთ მისი სიტყვა, რომელიც მონრეალში, საგარეო პოლიტიკის საკითხების საბჭოს სხდომაზე წარმოთქვა.

მიმომხილველების შეხედულებით, ბჟეზინსკიმ საბჭოს წევრებს ხასიათი გაუფუჭა ორი, მისი აზრით, „ახალი რეალობის" წარდგინებით. პირველი: **„გლობალური პოლიტიკური ლიდერობა", რაშიც იგი „გარკვეული ლიდერი ქვეყნების როლს" გულისხმობს, ამჟამად „გაცილებით უფრო მრავალმხრივი გახდა".** თუ ცოტა ხნის წინათ „მსოფლიოზე დომინირებდა ატლანტიკური სამყარო და ასე იყო ასწლეულების განმავლობაში", დღეს „ასე აღარ არის". შორეული აღმოსავლეთის მზარდმა სიძლიერემ გლობალურ პოლიტიკურ ლიდერობაში არსებითი ცვლილებები შეიტანა.

**ბჟეზინსკიმ შეცვალა „ლიდერი პოლიტიკური მოთამაშეების" თანმიმდევრობა, რომელთა შორის აშშ კვლავ პირველ ადგილზე დატოვა. შემდეგ მოდის ევროკავშირი, „თუმცა იგი ჯერ კიდევ არ არის პოლიტიკური სიდიდე", ჩინეთი, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, ინდოეთი, რომელიც „ფეხზე დგება", და „მათ ფონზე ახალი წარმონაქმნი — G20". ახსენა რუსეთიც და დასძინა, რომ ამას ერთი გარემოების გათვალისწინებით აკეთებს: „რუსეთი ბირთვული სახელმწიფოა, რომელიც ამ მხრივ აშშ-ის ფარდია, თუმცა სხვა მხრივ იგი დეფექტური ქვეყანაა, თუ მხედველობაში მივიღებთ ფაქტორებს, რომლებიც სახელმწიფოს გლობალურ ძალად აქცევს"...**

ბჟეზინსკის აზრით, სიტუაციას ართულებს ის, რომ მსოფლიო ლიდერების ამ ჯგუფს აკლია „შიდა ერთიანობა". მას აშფოთებს და აშინებს ახალი გარემოება, რომელსაც ქმნის ისტორიაში არნახული „კაცობრიობის გამოღვიძების" პროცესი. **„ეს აბსოლუტურად ახალი რეალობაა,"** — ორჯერ გაიმეორა მან, რითაც შეეცადა, საბჭოს წევრების ყურადღება მიექცია ამ სიტყვებისთვის.

მონრეალში ბჟეზინსკიმ გააფრთხილა მსოფლიო ელიტა, რომ **„საზოგადოებრიობა პოლიტიკაში ერთვება", „ადამიანების უმრავლესობამ ზოგადად უწყის, რაც ხდება მსოფლიოში. მათ გათვითცნობიერებული აქვთ სოციალური უთანასწორობა, ექსპლუატაცია, უპატივცემულო დამოკიდებულება".** ამიტომ, ბჟეზინსკის აზრით, **„ორი ახალი რეალობის კომბინაცია",** ანუ ატლანტიკური ლიდერობის დასასრული და კაცობრიობის პოლიტიკური გაღვიძება — **„გაცილებით ძნელი კონტექსტია".**

გავიდა წელიწად-ნახევარი. ერთმანეთს შევადაროთ მისი ორი გამოსვლა.

იაროსლავლში ბჟეზინსკიმ გადაადგილა აქცენტები. ამჯერად პირველ ადგილზე ის **„გლობალური ძალების"** იერარქიას კი არ აყენებს, არამედ **„ტურბულენტურ სირთულეს, რომელიც გლობალურ პოლიტიკურ გაღვიძებას ახასიათებს".** იგი **„ემუქრება გლობალურ მსოფლიოს",** ნაცვლად **„უტოპიური ფანატიზმისა",** რომელიც XX საუკუნეს თან გასდევდა. მაგრამ, აქედან გამომდინარე, აკეთებს უცნაურ, „მეორე ახალ რეალობასთან" დაუკავშირებელ დასკვნას: **„ყოვლისმომცველი და ხანგრძლივი სოციალური პროგრესის მიღწევა უფრო მეტად შესაძლებელია დემოკრატიული მონაწილეობით, ვიდრე ავტორიტარული მობილიზაციით. გლობალური სტაბილურობის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ ფართო კოოპერაციით და არა იმპერიული დომინირებით".**

ბჟეზინსკის და მის თანამოაზრეთ აშფოთებს ის გარემოება, რომ „გამოღვიძებას" თან ახლავს კაპიტალიზმის ყველა წყლულის გამოაშკარავება.

ბჟეზინსკის გამოსვლებით თუ ვიმსჯელებთ, გლობალურ ელიტას აშკარად ეშინია, რომ „გამოღვიძებულ კაცობრიობაში" აღმოჩნდებიან ძალები, რომლებიც პოლიტიკურ ლაყბობას „პოლიტიკური მობილიზაციით" შეცვლიან, რაც ამ ელიტისთვის დიდ უსიამოვნებად შემობრუნდება.

ბჟეზინსკი ერიდება, ახსენოს „კლასობრივი ბრძოლა" და მას „მდიდრების წინააღმდეგ ღარიბების ბრძოლით" ცვლის. მაგრამ არსი ამით არ იცვლება.

**ბჟეზინსკის ამ ვითარებიდან გამოსვლის გზების ძიება აწუხებს, ამიტომ მოუწოდებს „ცივი ომის" სტრატეგი „გლობალურ ლიდერებს", „დაივიწყონ ადრინდელი უთანხმოებანი" და შეუდგნენ საკუთარ მობილიზაციას, სანამ გვიან არ არის.**

აქ წამოწევს იგი „ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე" ახალი კავშირის შექმნის იდეას, რომლის სტრატეგიის შემუშავებისთვის მიზანშეწონილად მიიჩნევს პატივცემული კერძო პირების მოწვევას, „უპირველესად, ევროკავშირიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, უკრაინიდან და ამერიკიდან".

**ბჟეზინსკი და იაროსლავლის ფორუმის მონაწილე ბრიტანეთის ლორდი რობერტსონი თავგამოდებით ცდილობდნენ რუსეთის მიწვევას ახალ „საღვთო კავშირში" ევროკავშირსა და ნატოში რუსეთის მიღების დაპირებით. ბჟეზინსკის თქმით, ეს რუსეთს ევროპულ ქვეყნად აქცევს, რომელიც შევა ერთ დიდ თანამეგობრობაში.**

თავისთავად ცხადია, რომ რუსეთის ხელმძღვანელობაში ასეთ მიწვევას დიდი ნდობითა და სიხარულით არ მოეკიდებიან.

**ალექსანდრ სავჩენკოს**
**პუბლიკაციის მიხედვით**

ლიბერთველი და მსოფლიო
დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც ციურიხელი მეცნიერები ამბობენ, ძალაუფლების კონცენტრირება თავისთავად არც ცუდია და არც კარგი, მაგრამ „ბირთვის“ შიგნით მჭიდრო ურთიერთკავშირები, შესაძლოა, პრობლემად იქცეს. როგორც მსოფლიომ უკვე იწვნია 2008 წლის კრიზისით, ამგვარი ქსელები არამდგრადობით ხასიათდება. თუ ერთი კომპანია ინგრევა, ეს ვრცელდება ყველა იმ კომპანიაზე, რომლებთანაც ისაა დაკავშირებული.**

# 147 კომპანია, რომელიც მსოფლიოს აკონტროლებს

**იმ დროს, როდესაც მთელ მსოფლიოს გადაუარა ფინანსური გიგანტების საწინააღმდეგო ტალღამ, მეცნიერებამ პროტესტანტების ყველაზე უარესი ვარაუდი დაადასტურა.
43 000 ტრანსნაციონალური კორპორაციის ანალიზმა შესაძლებელი გახადა, გამოვლენილიყო კომპანიების შედარებით მცირე ჯგუფი, ძირითადად, — ბანკები, რომელთაც უზომოდ დიდი გავლენა აქვს მსოფლიო ეკონომიკაზე.**




კვლევის შედეგები გარკვეულ კრიტიკულ შენიშვნებსაც ბადებს, მაგრამ რთული სისტემების ანალიზის სპეციალისტები აცხადებენ, რომ ეს უნიკალური ნაშრომი და მსოფლიო ეკონომიკის კონტროლირების ლაბირინთში გავლის მცდელობაა. მათივე თქმით, ამგვარი ანალიზის გაგრძელება შესაძლებელს გახდიდა გლობალური კაპიტალიზმის გაცილებით უფრო მტკიცე სისტემის შექმნის გზების დადგენას.

**იდეა, რომ მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს რამდენიმე ბანკირი აკონტროლებს, მოძრაობის „დაიკავე უოლ-სტრიტი“ მონაწილეთათვის და მსოფლიოს სხვა ადგილებში პროტესტანტი ადამიანებისათვის სიახლე ნამდვილად არ არის. მაგრამ კვლევა, რომელიც ციურიხის ფედერალური ტექნოლოგიური ინსტიტუტის კომპლექსური სისტემების სამმა მეცნიერ-თეორეტიკოსმა აწარმოა, პირველი მცდელობაა იმისა, რომ ეს ყოველივე გასცდეს იდეოლოგიის საზღვრებს და ემპირიულად განსაზღვროს ძალაუფლების ამგვარი ქსელი. იმისათვის, რომ საკუთრების რუკაზე დაეტანათ მსოფლიო ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შორის კავშირები, ნაშრომში გაერთიანებულ იქნა ბუნებრივი სისტემების დიდი ხნის ნაცადი მათემატიკური მოდელი კორპორატიული მონაცემების ყოვლისმომცველი ბაზით.**

„რეალურობა იმდენად რთულია, რომ უნდა შევეშვათ დოგმებს, შეთქმულების თეორია იქნება ეს თუ თავისუფალი ბაზრის კანონები. ჩვენი ანალიზი რეალობას ეფუძნება,“ — აცხადებს ჯეიმს გლატფელდი.

წინამორბედმა კვლევებმა აჩვენა, რომ გლობალური ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს რამდენიმე ტრანსნაციონალური კომპანია ფლობს, მაგრამ ამ კვლევებში განიხილებოდა კომპანიების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა და არ იყო გათვალისწინებული ირიბი მფლობელები, ამიტომ მათი შედეგების მიხედვით შეუძლებელი იყო იმის თქმა, თუ როგორ მოქმედებს ეს ყოველივე მსოფლიო ეკონომიკაზე, მაგალითად, გახდა თუ არა ის მეტად ან ნაკლებად სტაბილური.

ციურიხელ მეცნიერებს მთელ მსოფლიოში გაბნეული 37 მილიონი კომპანიისა და მათი მფლობელების ინტერესებისაგან შემდგარი მონაცემთა ბაზის საშუალებით ამის განსაზღვრის საშუალება ჰქონდათ. მათ მოაგროვეს მონაცემები უკლებლივ ყველა — 43 060 ტრანსნაციონალურ კომპანიაზე და მათ დამაკავშირებელ ფლობის წილებზე. ამის შემდეგ მათ ააგეს ეკონომიკური ძალაუფლების გადანაწილების სტრუქტურული მოდელი, რომელშიც კომპანიათა ერთ წყებას მეორე აკონტროლებს აქციათა პაკეტების ქსელის საშუალებით. გარდა ამისა, ასახულია ყველა კომპანიის ოპერაციული შემოსავლებიც.

ნაშრომმა, რომელიც სრულად გამოქვეყნდება, წარმოაჩინა იმ ბირთვის არსებობა, რომელიც ჯვარედინი მფლობელობის 1318 კომპანიისაგან შედგება. ამ 1318 კომპანიიდან თითეული დაკავშირებულია ორ ან რამდენიმე სხვა კომპანიასთან, საშუალოდ — ოცთან. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სამრეწველო საქმიანობის მსოფლიო შემოსავლიდან 20 პროცენტს თავად იღებენ, ეს 1318 კომპანია მსხვილი მეწარმეების უმრავლესობის აქციების ფლობით საერთო ჯამში მსოფლიო შემოსავლების კიდევ 60 პროცენტს ისაკუთრებს.

**მეცნიერები, ცდილობდნენ რა საკუთრებასთან დაკავშირებული ხლართების გახსნას, დაადგინეს, რომ არსებობს მტკიცე სუპერ-ჯგუფი, რომელიც 147 კომპანიისაგან შედგება. ამ კომპანიების მთელი ქონება ამავე სუპერ-ჯგუფის სხვა წევრებს ეკუთვნით და ისინი მთელი მსოფლიოს კაპიტალის 40 პროცენტს აკონტროლებენ.** როგორც გლატფელდერი ამბობს, სინამდვილეში კომპანიების მთელი ქსელის 1 პროცენტზე ნაკლები აკონტროლებს ამავე ქსელის 40 პროცენტს. სუპერ-ჯგუფში შემავალი კომპანიების უმეტესობა ფინანსური ინსტიტუტებია, მათ შორის „Barclays Bank“-ი, „JPMorgan Chase & Co“ და „Goldman Sachs Group“-ი.

ლონდონის უნივერსიტეტის მაკროეკონომიკის ექსპერტი ჯონ დრიფილი აცხადებს, რომ ამ ანალიზის მნიშვნელობა მხოლოდ იმის დანახვა არაა, თუ როგორ აკონტროლებს მსოფლიო ეკონომიკას ადამიანთა პატარა ჯგუფი. მთავარი იმის გაგებაა, თუ როგორ მოქმედებს ეს მსოფლიო ეკონომიკის სტაბილურობაზე.

**როგორც ციურიხელი მეცნიერები ამბობენ, ძალაუფლების კონცენტრირება თავისთავად არც ცუდია და არც კარგი, მაგრამ „ბირთვის“ შიგნით მჭიდრო ურთიერთკავშირები, შესაძლოა, პრობლემად იქცეს. როგორც მსოფლიომ უკვე იწვნია 2008 წლის კრიზისით, ამგვარი ქსელები არამდგრადობით ხასიათდება. თუ ერთი კომპანია ინგრევა, ეს ვრცელდება ყველა იმ კომპანიაზე, რომლებთანაც ისაა დაკავშირებული.**

„ნამდვილი შოკი იყო, როდესაც დავინახეთ, თუ რამდენადაა ეს ყველაფერი ერთმანეთთან დაკავშირებული“, — აცხადებს კალიფორნიის ლახოიას ოკეანოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, კომპლექსური სისტემების ექსპერტი, „Deutsche Bank“-ის კონსულტანტი ჯორჯ სუგიხარა.

ახალი ინგლისის რთული სისტემების ინსტიტუტის ხელმძღვანელი იანიირ ბარ-იამი იმაზე მიანიშნებს, რომ **ანალიზის მიხედვით „ფლობა უდრის კონტროლს“, ეს კი ყოველთვის სწორი არაა. კომპანიების აქციების უდიდესი ნაწილი, როგორც წესი, ეკუთვნის მენეჯერებს, რომლებიც ან აკონტროლებენ, ან — ვერა, თუ რას აკეთებს სინამდვილეში მათ საკუთრებაში არსებული კომპანია.** სისტემაზე ამ სიტუაციის ზემოქმედების დადგენა კი გაცილებით უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვს.

უნდა აღინიშნოს, რომ გლობალური ეკონომიკური ძალაუფლების არქიტექტურის განსაზღვრის გზით ანალიზი მისი გაცილებით სტაბილურად ქცევის საშუალებას იძლევა. სისტემის სუსტი რგოლების გამოვლენით ეკონომისტებს შეუძლიათ განსაზღვრონ წინასწარი ზომები მთელ მსოფლიო ეკონომიკაზე განვრცობადი მომავალი კრიზისების თავიდან ასაცილებლად.

გლატფელდერი ამბობს, რომ შესაძლოა, გლობალური ანტიმონოპოლიური წესების შემოღება გახდეს საჭირო. ამგვარი წესები ამჟამად მხოლოდ ნაციონალურ დონეზე მოქმედებს და ვერ აკონტროლებს ტრანსნაციონალურ კომპანიებს შორის მჭიდრო კავშირებს. სუგიხარა მიიჩნევს, რომ ანალიზის მიხედვით, ერთ-ერთი შესაძლო გამოსავალი მსგავსი რისკების თავიდან ასაცილებლად იმ კომპანიების გადასახადებით დატვირთვაა, რომლებიც ურთიერთკავშირების დადგენილ ზღვარს გადაამეტებენ.

## «დაიკავე «უოლ-სტრიტის» მტკიცება, რომ ადამიანთა ერთი პროცენტი სიმდიდრის უდიდეს ნაწილს ფლობს, ეკონომიკის თვითორგანიზების ლოგიკურ ფაზას ასახავს»

მომიტინგეთა მოთხოვნებიდან ზოგიერთთან დისონანსურად ჟღერს ერთი რამ: საეჭვოა, რომ „სუპერ-ჯგუფების“ ჩამოყალიბება მსოფლიო ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით მოწყობილი შეთქმულების შედეგი იყოს. როგორც სუგიხარა ამბობს, „ამგვარი სტრუქტურები ბუნებაში ფართოდაა გავრცელებული“.

ნებისმიერ ქსელში ახალბედები წევრებს კავშირის მაღალი დონით უერთდებიან, ტრანსნაციონალური კომპანიები ერთმანეთის აქციებს — კომერციული მიზეზებისა და არა მსოფლიო ძალაუფლების მოპოვების მიზნით. მსგავს მოდელებში ფულადი ნაკადები იმ წევრებისაკენ მიედინება, რომელთაც მეტი კავშირები აქვთ. სუგიხარას მტკიცებით, შვეიცარიელი მეცნიერების კვლევა იმის „ნათელი დადასტურებაა, რომ ტრანსნაციონალური კომპანიების მარეგულირებელი წესები სპონტანურად განაპირობებს მჭიდროდ დაკავშირებული ჯგუფების ჩამოყალიბებას“, ანუ, როგორც კიდევ ერთი მეცნიერი დენ ბრახა ამბობს, „დაიკავე უოლ-სტრიტის“ მტკიცება, რომ ადამიანთა ერთი პროცენტი სიმდიდრის უდიდეს ნაწილს ფლობს, ეკონომიკის თვითორგანიზების ლოგიკურ ფაზას ასახავს“.

**ამრიგად, „სუპერ-ჯგუფის“ გაჩენა შეთქმულების შედეგი არაა, თუმცა, როგორც ციურიხელი მეცნიერები ამბობენ, სხვა საკითხია, განახორციელებს თუ არა ის შეთანხმებულ პოლიტიკურ ქმედებებს. მეორე მხრივ, 147 ძალზე დიდი რაოდენობაა შეთქმულების განსახორციელებლად. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს კომპანიები ბაზარზე ერთმანეთის კონკურენტებიც იქნებიან, მაგრამ, როდესაც საქმე საერთო ინტერესებს შეეხება, ისინი აუცილებლად ერთად იმოქმედებენ. ეკონომიკურ სტრუქტურაში რაიმე ცვლილებების განხორციელებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, შესაძლოა, ერთ-ერთი ამგვარი საერთო ინტერესის საგანი იყოს.**

## მსოფლიოს ყველაზე მჭიდრო კავშირების მქონე 147 კომპანიის ტოპ-50 ასე გამოიყურება:

1. Barclays plc
2. Capital Group Companies Inc
3. FMR Corporation
4. AXA
5. State Street Corporation
6. JP Morgan Chase & Co
7. Legal & General Group plc
8. Vanguard Group Inc
9. UBS AG
10. Merrill Lynch & Co Inc
11. Wellington Management Co LLP
12. Deutsche Bank AG
13. Franklin Resources Inc
14. Credit Suisse Group
15. Walton Enterprises LLC
16. Bank of New York Mellon Corp
17. Natixis
18. Goldman Sachs Group Inc
19. T Rowe Price Group Inc
20. Legg Mason Inc
21. Morgan Stanley
22. Mitsubishi UFJ Financial Group Inc
23. Northern Trust Corporation
24. Sociლtლ Gლnლrale
25. Bank of America Corporation
26. Lloyds TSB Group plc
27. Invesco plc
28. Allianz SE 29. TIAA
30. Old Mutual Public Limited Company
31. Aviva plc
32. Schroders plc
33. Dodge & Cox
34. Lehman Brothers Holdings Inc*
35. Sun Life Financial Inc
36. Standard Life plc
37. CNCE
38. Nomura Holdings Inc
39. The Depository Trust Company
40. Massachusetts Mutual Life Insurance
41. ING Groep NV
42. Brandes Investment Partners LP
43. Unicredito Italiano SPA
44. Deposit Insurance Corporation of Japan
45. Vereniging Aegon
46. BNP Paribas
47. Affiliated Managers Group Inc
48. Resona Holdings Inc
49. Capital Group International Inc
50. China Petrochemical Group Company

*New Scientist*

**როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ბრძანა, კადაფის სიკვდილი ნიშნავს, რომ „ჩვენ ვხედავთ მსოფლიოში ამერიკის ლიდერობის ძალას“. ვაშინგტონმა აანაზღაურა შტერი ნატოელების ოპერატიული ხარჯების, სულ მცირე, 80% — 1 მილიარდ დოლარზე მეტი. უცნაურია ახლა იმის ძახილი, რომ „ჩვენ ეს გავაკეთეთ“. თეთრი სახლი ხომ მუდამ აცხადებდა, რომ ეს არ იყო ომი და ამას ისინი არ ხელმძღვანელობდნენ.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ დაიპყრო დასავლეთმა ლიბია

**ისინი გვამისთვის სვავებივით ჩხუბობენ. საფრანგეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ მათ იგი გამანადგურებელი „რაფალის“ მიერ მისი მანქანების დაცხრილვის შედეგად მოკლეს. პენტაგონმა განაცხადა, რომ ის რაკეტა „ჰელფაირის“ საშუალებით გაანადგურეს. მას შემდეგ, რაც დაჭრილმა პოლკოვნიკმა მოამარ კადაფმა სცადა, თავშესაფარი გზის ქვეშ გამავალ ბინძურ მილში ეპოვა, ის გარდამავალი ნაციონალური საბჭოს „ამბოხებულებმა“ აღმოაჩინეს და დროულად მოუღეს ბოლო.**



აბდელ-ჯალილ აბდელ-აზიზმა, ლიბიელმა ექიმმა, რომელიც სასწრაფო დახმარების მანქანით აცილებდა კადაფის ცხედარს და მისი დათვალიერებაც განახორციელა, განაცხადა, რომ პოლკოვნიკი ორი ტყვიით მოკვდა. მათგან ერთი თავში ჰქონდა მოხვედრილი, მეორე კი — მკერდში.

გარდამავალი ნაციონალური საბჭო, რომელიც უკანასკნელი თეების მანძილზე დაკავებული იყო მხოლოდ ტყუილის გავრცელებით, იფიცება, რომ კადაფი ჯვარედინი სროლოს მსხვერპლი გახდა, მაგრამ, შესაძლოა, ის ბრბომ მოკლა. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ნიუ იორკის იანკების ბეისბოლის ქუდში გამოწყობილი ოცი წლის ბიჭი მუჰამედ ალ-ბიბი, რომელიც კადაფის ოქროს პისტოლეტს იქნევდა და მთელი მსოფლიოს წინაშე პოზირებდა; ამის წყალობით, შესაძლოა, ის 20 მილიონი დოლარიც კი მიიღოს, რომელიც იმისათვის დანიშნეს ჯილდოდ, ვინც კადაფის ცოცხალს ან მკვდარს შეიპყრობდა.

**სიტუაცია ბევრად უფრო საინტერესო გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ სწორედ ამის თაობაზე განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ტრიპოლში თავისი ელვისებური ვიზიტისას მომხდარამდე 48 საათზე ნაკლებით ადრე. საჭიროა კადაფის „შეპყრობა ან მოკვლა,“ — ამბობდა იგი და ჯადოსნურმა ფერიამ უმალ დააკმაყოფილა კლინტონის სურვილი. ამ უკანასკნელმა კი მომხდარის შესახებ „ბლექბერის“ ეკრანიდან შეიტყო და წამოიძახა — „ვაუ!“**

**ნადავლი გამარჯვებულებს. ეს მათ ყველამ ერთად ჩაიდინეს — ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა, პენტაგონმა და ნაციონალურმა გარდამავალმა საბჭომ. იმ მომენტიდან, როდესაც ლიბიის თავზე არასაფრენი ზონის შემოღების შესახებ გაეროს რეზოლუცია ქვეყანაში რეჟიმის შეცვლის „მწვანე შუქად“ იქცა, გეგმა „ა“ ყოველთვის ითვალისწინებდა კადაფის შეპყრობასა და მოკვლას. მიზანმიმართული მკვლელობა ბარაკ ობამას ადმინისტრაციის ოფიციალური პოლიტიკაა, გეგმა „ბ“ კი არც არასდროს არსებობდა.**

რაც შეეხება სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის ვალდებულებას, ნებისმიერი, ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, უნდა გაეცნოს ნატოს გენერალური მდივნის — ანდერს ფოგ რასმუსენის განმარტებას: „ნატომ და მისმა პარტნიორებმა წარმატებით განახორციელეს ნატოს ისტორიული მანდატი ლიბიის ხალხის დაცვის საქმეში“. ის, ვისაც სურს, გადაამოწმოს ნატოს მიერ სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა, უბრალოდ, უნდა ჩაჯდეს პიკაპში და გაეშუროს სირტის — ახალი ფალიჯისკენ.

მოვლენებზე რეაგირება ჭკუისსასწავლებელი იყო. გარდამავალი ნაციონალური საბჭოს ბიუროკრატმა აბდელ გოგამ რომის იმპერიაში კოლიზიუმის ვარიანტი შეარჩია და გამოაცხადა: „რევოლუციონერებმა ტირანის თავი მიიღეს“.

**როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ბრძანა, კადაფის სიკვდილი ნიშნავს, რომ „ჩვენ ვხედავთ მსოფლიოში ამერიკის ლიდერობის ძალას“. ვაშინგტონმა აანაზღაურა შტერი ნატოელების ოპერატიული ხარჯების, სულ მცირე, 80% — 1 მილიარდ დოლარზე მეტი. უცნაურია ახლა იმის ძახილი, რომ „ჩვენ ეს გავაკეთეთ“. თეთრი სახლი ხომ მუდამ აცხადებდა, რომ ეს არ იყო ომი და ამას ისინი არ ხელმძღვანელობდნენ.**

აშშ-ის ვიცე პრეზიდენტ ჯო ბაიდენს, ამ გრანდიოზულ საგარეოპოლიტიკურ სტრატეგს, მოუწია, ობამაზე ბევრად უფრო გაცნობიერებული ყოფილიყო და გამოაცხადა: „ამ შემთხვევაში ამერიკამ დაკარგა ორი მილიარდი დოლარი და არც ერთი — ადამიანის სიცოცხლე. ეს იმის რეცეპტია, თუ როგორ უნდა დავიჭიროთ საქმე მსოფლიოსთან წარსულთან შედარებით ჩვენი განვითარების შესაბამისად“.

ასე რომ, მსოფლიო, შენ უკვე გაგაფრთხილეს, ამ წუთიდან იმპერია სწორედ ასე მოგეპყრობა.

ამრიგად, ვულოცავთ „საერთაშორისო საზოგადოებას“, რომელიც, როგორც ყველასათვის ცნობილია, შედგება ვაშინგტონის, არავისთვის საჭირო ნატოს რამდენიმე წევრი ქვეყნისა და სპარსეთის ყურის დემოკრატიული სახელმწიფოების — ყატარისა და არაბეთის გაერთიანებული საემიროებისაგან. უკიდურეს შემთხვევაში შედეგი ამ თანამეგობრობას მაინც მოეწონა. ევროკავშირი, თავის მხრივ, „დესპოტიზმის ერის დასასრულს“ მიესალმა. არადა, უკანასკნელ წუთამდე ისინი კადაფის მანტიის კიდეებს უსვამდნენ ხელს, ახლა კი ლამის საკუთარი კანიდან გამოძვრნენ ამ „მასხარის“ 42-წლიან მმართველობაზე საუბრისას.

## მიზანმიმართული მკვლელობა ბარაკ ობამას ადმინისტრაციის ოფიციალური პოლიტიკაა

**კადაფი ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ყველაზე უხერხული სტუმარი იქნებოდა, ვინაიდან დიდი სიამოვნებით გაიხსენებდა ხელზე ყველა ამბორს, ყველა გულთბილ ჩახუტებას და სარფიან გარიგებას, რომელიც დასავლეთმა მას შემდეგ გამოსძალა, რაც რონალდ რეიგანის დროინდელი „ცოფიანი ძაღლიდან“ „ჩვენს არამზადამდე“ აამაღლეს. იგი ასევე ისიამოვნებდა იმ უპრინციპო მოღვაწეების შავბნელი მომავლის გახსენებით, რომლებიც ახლა „რევოლუციონერებად“ და „დემოკრატებად“ პოზირებენ.**

**რაც შეეხება საერთაშორისო სამართლის კონცეფციას, ის ისეთსავე ბინძურ თხრილში გდია, როგორშიც კადაფი იმალებოდა. ირანელი დიქტატორის — სადამ ჰუსეინის საქმე სასამართლო ფარსის დროს გაყალბებულად მაინც გაირჩა მისი და ჯალათის შეხვედრამდე. უსამა ბენ ლადენი პაკისტანის ტერიტორიაზე შეჭრის შემდეგ, უბრალოდ, განადგურდა ტერორისტული აქტის სტილში, კადაფმა კი ყველას აჯობა, რადგან ის საჰაერო დარტმისა და მკვლელობის შერწყმის შედეგად გაანადგურეს.**

ძლევამოსილმა სვავებმა ცა გადაავსეს. ლონდონში ბაზირებული მუჰამედ ელ-სენუსი, ლიბიის ტახტის მემკვიდრე, უკვე მზადაა ტელეეკრანებზე მსხვილი კადრით გამოჩენისთვის, რამეთუ უკვე დაადგინა, რომ „ლიბიელი ხალხის მსახურია და ხალხი თავად წყვეტს, რა სურს“. ეს „ტახტზე ასვლა მინდა“-ს ნიშნავს. ის საუდთა კონტრრევოლუციური დინასტიის ყველაზე სასურველი კანდიდატია.

მაგრამ რა ეშველებათ ვაშინგტონის ანალიტიკური ცენტრების იმ ვირებს, რომლებიც ბუტბუტებდნენ, რომ ეს „არაბული გაზაფხულის“ „ჩაუშესკუს მომენტი“ იყო? ნეტავ, რუმინელ დიქტატორს თავის ქვეყანაში ცხოვრების დონე გაეუმჯობესებინა, დაემკვიდრებინა უფასო განათლება, უფასო სამედიცინო მომსახურება, შეღავათები ახლადდაქორწინებულთათვის და ა. შ., ანუ გაეკეთებინა იოტისოდენა იქიდან, რასაც კადაფი თავისი ხალხისთვის აკეთებდა. გარდა ამისა, ნიკოლაე ჩაუშესკუ ნატოს ჰუმანიტარული დაბომბვების შედეგად არ დამხობილა. **მხოლოდ სულელებს შეეძლოთ გადაეყლაპათ პროპაგანდა ნატოს 40 ათასზე მეტი ჰუმანიტარული დაბომბვის შესახებ, რის შედეგადაც განადგურდა ლიბიის ინფრასტრუქტურა და ქვეყანა ქვის ხანაში დაბრუნდა. ამას საერთო არაფერი ჰქონდა „დაცვის ვალდებულებასთან“, რასაც ადასტურებს კიდეც სირტის სამოქალაქო მოსახლეობის დაუნდობელი დაბომბვა.**

როგორც სწრაფად განვითარებადი ქვეყნების კავშირის ძირითადი ოთხი ქვეყანა გაეროს №1973 რეზოლუციასთან დაკავშირებით კენჭისყრამდეც ხვდებოდა, საუბარი იყო ნატოს ბატონობაზე ხმელთაშუა ზღვაში, „აფრიკომის“ ომზე ჩინეთის წინააღმდეგ და საკვანძო სტრატეგიული ბაზების შექმნაზე, იმაზე, რომ ფრანგებსა და ბრიტანელებს მიეღოთ შემოსავლიანი კონტრაქტები ლიბიის ბუნებრივი რესურსების გადასამუშავებლად, რომ დასავლეთს „არაბულ გაზაფხულზე“ შთაბეჭდილების ფორმირება მოეხდინა მას შემდეგ, რაც ეგვიპტისა და ტუნისის მოვლენების დროს იძინეს.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ახალ ლიბიაში. შეუწყნარებელი ისლამისტი ბოევიკები ლიბიელი ქალების ცხოვრებას ნამდვილ ჯოჯოხეთად აქცევენ. **საჰარიდან სამხრეთით მდებარე ქვეყნების ასი ათასობით აფრიკელი, რომელთაც გაქცევა ვერ მოახერხეს, დაუნდობელი დევნის მსხვერპლი გახდება, ლიბიის ბუნებრივი სიმდიდრე გაიძარცვება. ისლამისტების მიერ მითვისებული საზენიტო რაკეტების კოლექცია უმაღლესი ხარისხის სარწმუნო არგუმენტია, რომ „ტერორთან ბრძოლა“ ჩრდილოეთ აფრიკაში სამუდამოა. იქნება სისხლი, სამოქალაქო ომის სისხლი, იმიტომ, რომ ტრიპოლიტანია კირენაიკას მმართველობას ვერ შეეგუება.**

რაც შეეხება მსოფლიოში შემორჩენილ დიქტატორებს, მათ შპს „ნატო“-სგან სიცოცხლის დაზღვევის პოლისი უნდა მიიღონ. ეგვიპტელი ხოსნი მუბარაქი, ტუნისელი ზინ ალ-აბიდინ ბენ ალი და იემენელი ალი აბდალა სალეხი საკმაოდ ჭკვიანები იყვნენ, რომ ეს გაეკეთებინათ. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ „დაცვის ვალდებულება“ არასდროს ჩნდება ტიბეტელებისა და უიგურების, მიანმეს ხალხის, თურქეთის ქურთებისა და სხვათა განთავისუფლებისთვის.

ჩვენ ისიც ვიცით, რომ **ობამას წინასაარჩევნო სლოგანისეული გარდაქმნები, რომლებისაც მსოფლიოს სჯერა, იმ დღეს დაიწყება, როდესაც ნატო არასაფრენ ზონად გამოაცხადებს საუდის არაბეთს, რათა აღმოსავლეთ პროვინციაში შიიტები დაიცვას, პენტაგონი კი „ჰელფაირების“ ხალიჩას გაშლის საუდების შუასაუკუნოვანი კორუმპირებული დინასტიის ათასობით პრინცის ფეხქვეშ.**



Asia Times online

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეს მოქმედი პრეზიდენტი არამც თუ არ შველის, არამედ ანგრევს ამერიკის ეკონომიკას და ამით წირავს ქვეყანასაც და საკუთარ ხალხსაც. თავის მხრივ კი, უბრალოდ, სკანდირებენ ორთოდოქსულ-რესპუბლიკურ ლოზუნგებს გადასახადების შემცირების, ხელისუფლების ხარჯების შემცირების, სახელმწიფო რეგულირებაზე უარის თქმისა და ვაჭრობის განვითარებისათვის ხელის შეწყობის თაობაზე.**

# ვინ ესვრის ხელთათმანს ბარაკ ობამას

**მომდევნო საყოველთაო არჩევნებამდე ამერიკის შეერთებულ შტატებს წელიწადზე მეტი დრო რჩება. მიუხედავად ამისა, ამერიკელი პოლიტოლოგები და მასმედია ახლავე თავდაჯერებულად პროგნოზირებენ, თუ ვინ იქნება დემოკრატი პრეზიდენტის — ბარაკ ობამას კონკურენტი თეთრი სახლისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში. სხვაზე მეტი შანსი მასაჩუსეტსის შტატის ყოფილ გუბერნატორს, რესპუბლიკელ მით რომნის აქვს. ზოგიერთ დამკვირვებელს მიაჩნია, რომ მისი კანდიდატურის წამოყენება „თითქმის გარდაუვალია“.**



ცხადია, ამგვარი დასკვნების წინასწარ გაკეთება ნაადრევია. ოთხი წლის წინ ყველას ეგონა, რომ ჰილარი კლინტონს დიდი წარმატება ელოდა, მაგრამ ამომრჩეველმა ჯერ პარტიის შიგნით, შემდეგ კი მთელი ქვეყნის მასშტაბითაც უპირატესობა ბარაკ ობამას მიანიჭა. რესპუბლიკელები კი ახლა კიდევ უფრო მეტად ოცნებობენ ძლიერ და ქარიზმატულ ლიდერზე, რომელიც ოპოზიციას შეაკავშირებს და ერთი წლის შემდეგ ნოემბრის გამარჯვებისკენ წაიყვანს.

კონსერვატიულ ხალხთა მასების ბელადის როლში რიგრიგობით მოიაზრებოდნენ ბიზნესმენი დონალდ ტრამპი, გუბერნატორები მიჩ დენიელსი, ჰარლი ბარბური და კონგრესმენი პოლ რაიანი. ზოგიერთ მათგანს ეგზალტირებული მხარდამჭერები ლამის ევედრებოდნენ, საკუთარ მხრებზე ეტვირთათ ლიდერობა. მიუხედავად ამისა, ყველა მათგანმა თავის არიდება არჩია. **ახალი სახეები, თითქმის დაზუსტებით შეიძლება ითქვას, აღარ გამოჩნდებიან. ჯერ ერთი, ისინი, უბრალოდ, არ ჩანან ჰორიზონტზე; მეორეც, კალენდარზე დრო იწურება: ცალკეულ შტატებში „პრაიმერიზი“ — კანდიდატთა პირველადი არჩევნები იანვრის პირველი დღეებიდან იწყება.**

არადა, აგვისტოს შუა რიცხვებში ამერიკელ „მემარჯვენეებს“ მოეჩვენათ, რომ მათ ვედრებას შეისმენდნენ. **ხანგრძლივი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ ტეხასის შტატის გუბერნატორი რიკ პერი დათანხმდა, საპრეზიდენტო მარათონში ჩართულიყო. პერი მთელ რიგ წინასაარჩევნო დებატებში გამოვიდა და თავისი ელექტორატისთვის მნიშვნელოვან მთელ რიგ სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით კონსერვატორული დოგმებიდან უკან დახევით მალევე დაიტეხა თავს კრიტიკის ქარ-ცეცხლი. გარდა ამისა, მას პოლიტკორექტულობის ნორმების დარღვევაში დასდეს ბრალი. ითქვა ისიც, რომ ის ჯერ კიდევ „არ მომწიფებულა“ პოლიტიკურ ოლიმპზე ასამაღლებლად. მიუხედავად ამისა, ძირითადად თავისი საორგანიზაციო-ფინანსური შესაძლებლობების წყალობით, სწორედ ის რჩება ამ ეტაპამდე რომნის მთავარ საფრთხედ მარჯვნიდან.**

უკანასკნელი მონაცემებით, ვაშინგტონის კვლევითმა ორგანიზაციამ — პოლიტიკური ორგანიზაციების დაფინანსების შემსწავლელმა ინსტიტუტმა რომ გამოაქვეყნა, მიმდინარე წლის მესამე კვარტალში პერიმ თავის მთავარ მოწინააღმდეგე რომნიზე მეტი (17,1 მილიონი დოლარი 14,2 დოლარის წინააღმდეგ) შეაგროვა. **ადრე მოზიდული სახსრების გათვალისწინებით, ასევე მიმდინარე ხარჯების გათვალისწინებით, მათ ახლა 15,1 და 14,7 მილიონი დოლარი რჩებათ. შედარებისათვის: ობამამ ერთი კვარტლის განმავლობაში თავისი წინაასარჩევნო ფონდის ყულაბაში 39,7 მილიონი დოლარი შეაგროვა, ახლა კი მის შტაბს ხელზე 61,4 მილიონი დოლარი აქვს. ეს ჯერ კიდევ არაა მთელი ფული, ეს მხოლოდ ისაა, რაც „პრაიმერიზის“ ეტაპზე შეიძლება დაიხარჯოს.**

რაც შეეხება დანარჩენ პრეტენდენტ რესპუბლიკელებს, მათგან ერთიც ვერ გაბედავს, თუნდაც მიუახლოვდეს ზემოხსენებული წყვილის ფინანსურ მდგომარეობას. **კონგრესმენ-ლიბერტარიანელ რონ პოლს ხელზე 3,7 მილიონი აქვს, კონგრესში მის კოლეგა მიშელ ბაკმანსა და ბიზნესმენ გერმან კეინს — 1,3-1,3 მილიონი დოლარი. დანარჩენების ანგარიშზე რამდენიმე ასეული ათასია, კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ყოფილ სპიკერ ნიუტ გინგრიჩს და იუტას შტატის ექს-გუბერნატორსა და აშშ-ის ელჩს ჩინეთში, ჯონ ჰანტსმანს, შესაბამისად, 1,2 მილიონი და 3,1 მილიონი დოლარი ვალად ადევთ. თუმცა ჰანტსმანისთვის ეს პირადი სახსრებია, რადგან ის ძალზე მდიდარი ოჯახის შვილია.**

საქმე, რა თქმა უნდა, მხოლოდ ციფრები არაა. ისინი შეიძლება ძალზე სწრაფად შეიცვალოს. უბრალოდ, ბუღალტრული აღრიცხვა ხელს უწყობს ძალთა რეალურ გადანაწილებაში გარკვევას. მაგალითად, იმის გაგებას, თუ რატომ დაეწია ფორმალურად და შეიძლება გაუსწრო კიდეც რომნის კეინმა, რომელიც, საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, ამ დრომდეც პრაქტიკულად არ აღიქმება სერიოზულად. ადგილობრივი პოლიტოლოგები მიანიშნებენ, რომ ის არა მხოლოდ არ ფლობს სერიოზულ ფინანსურ და ორგანიზაციულ რესურსებს, არამედ არც არასდროს ეკავა საპასუხისმგებლო არჩევითი თანამდებობები და საერთოდაც, ჯერჯერობით თავის კამპანიას ისე აწარმოებს, თითქოს ეს მისი წიგნის რეკლამირების უბრალო დანამატი იყოს.

თუმცა მის საბოლოოდ ჩამოწერას ჯერ მაინც არავინ ჩქარობს. კეინი, რომელსაც მოსწონს, საკუთარ თავს გერმანატორი უწოდოს, „ნათლიმამის პიცის“ კომპანიის ყოფილი ხელმძღვანელი, მოძღვარი და რადიოკომენტატორი დღეისათვის რესპუბლიკურ პარტიაში ლიდერობის ერთადერთი შავკანიანი პრეტენდენტია. **მომხიბვლელი, კეთილმოუბარი და იუმორის გრძნობით დაჯილდოებული კეინი მომგებიანად გამოიყურება ტელედებატებში, სადაც მას მომავალი აუტსაიდერობაც შველის. მის უკან იკვეთება აშშ-ში უმსხვილესი კერძო ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფ „ჩოკ ინდასტრის“ აჩრდილი. ამასთან, მან აშშ-ში გადასახადებით დაბეგვრის ყველაზე რადიკალური რეფორმირების იდეა წამოაყენა. გარეგნული უბრალოებისა და ხელმისაწვდომობის წყალობით, ამ იდეამ უმალ მოიხვეჭა სახელი და გაცხარებული განხილვის საგნად იქცა.**

ამ იდეის მთავარი ლოზუნგია „9+9+9“ და ყველა ახლანდელი გადასახადების მოქალაქეთა შემოსავლებისა და კორპორატიული შემოსავლების 9%-იანი დაბეგვრით ჩანაცვლებას, ასევე გაყიდვების საერთონაციონალური 9%-იანი გადასახადის შემოღებას ითვალისწინებს. ძნელი წარმოსადგენია, რომ კრიზისის პირობებში ამომრჩეველს, ვთქვათ, მაღაზიებში, ზედმეტი ფულის გადახდის პერსპექტივა გაახარებდა, მით უფრო, რომ, ავტორის აზრით, გაყიდვების ფედერალური გადასახადი დროთა განმავლობაში 30%-მდე უნდა გაიზარდოს. **დამოუკიდებელმა სპეციალისტებმა უკვე დაიანგარიშეს, რომ მისი პროგრამა საერთო ჯამში მომგებიანი იქნება მდიდარი ადამიანებისათვის, ღარიბების ჯიბეს კი მორიგი დარტყმით ემუქრება.**

კარგია კეინის გეგმა თუ ცუდი, ის არსებობს და მისი განხილვა შესაძლებელია. დანარჩენი რესპუბლიკელები კი ადგილობრივი ანალიტიკოსების სწორი შენიშვნის შესაბამისად კონკრეტულს არავის არაფერს სთავაზობენ. ერთადერთი, რასაც ისინი აკეთებენ, მოქმედი პრეზიდენტის გუნდური ლანძღვაა. მათი აზრით, **ეს მოქმედი პრეზიდენტი არამც თუ არ შველის, არამედ ანგრევს ამერიკის ეკონომიკას და ამით წირავს ქვეყანასაც და საკუთარ ხალხსაც. თავის მხრივ კი, უბრალოდ, სკანდირებენ ორთოდოქსულ-რესპუბლიკურ ლოზუნგებს გადასახადების შემცირების, ხელისუფლების ხარჯების შემცირების, სახელმწიფო რეგულირებაზე უარის თქმისა და ვაჭრობის განვითარებისათვის ხელის შეწყობის თაობაზე.**

რომნიც კი, რომელსაც უკვე აქვს 59-პუნქტიანი ეკონომიკური პროგრამა, მასზე საუბარს კერძო ბიზნესში მუშაობით დაგროვილ საკუთარ გამოცდილებაზე საუბარს არჩევს. ამ კერძო ბიზნესში ხომ „პირადად ქმნიდა სამუშაო ადგილებს“. ამავე კონტექსტში მოიხსენიებს იგი 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის ფინანსურ გადარჩენაში საკუთარ მონაწილეობას მისი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე მუშაობისას.

**მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყანაში ჯანდაცვის უნივერსალური სისტემის არარსებობა სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა, რისგანაც პროპაგანდისტური კლიშეებით თავს ვერავინ დაიძვრენს**

**მოქმედ ხელისუფლებაზე თავდასასხმელად ოპოზიციას კიდევ ერთი პოპულარული თემა აქვს — აშშ-ში სამედიცინო მომსახურების** ▶

მოკლედ

## ბაჰრეინის პოლიციამ მრავალათასიანი მსვლელობა დაშალა

**ბაჰრეინის დედაქალაქ მანამში პოლიციამ მრავალათასიანი მსვლელობა დაშალა. ხალხი ქალაქის ცენტრის — მარგალიტის მოედნისკენ მიემართებოდა.** მსვლელობა ქვეყნის ოპოზიციის ლიდერის ჰუსეინ დეჰის მამის დაკრძალვის გამო მოეწყო. ჰუსეინ დეჰის თანაპარტიელების მტკიცებით, ოპოზიციონერის მამა პოლიციის მიერ იქნა მოკლული. თუმცა ბაჰრეინის სამეფოს ხელისუფლება აღნიშნულს კატეგორიულად უარყოფს. მსვლელობის მონაწილეთა წინააღმდეგ პოლიციამ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენა. დაღუპულთა შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

## რუსეთი მზადაა, ევროკავშირს დაეხმაროს

**დიდი ოცეულის წევრი სახელმწიფოების მეთაურები და მთავრობის ხელმძღვანელები კანში, ძირითადად, საბერძნეთის პრობლემასთან დაკავშირებით მსჯელობდნენ.** სამიტზე რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა აღნიშნა, რომ რუსეთი მზადაა, ფინანსური დახმარება აღმოუჩინოს ევროკავშირს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მექანიზმის ფარგლებში. სამიტზე საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ განაცხადა, რომ, თუ „აფეთქდება ევრო, აფეთქდება ევროპაც“. ევროს სტაბილურობის შესახებ განცხადება აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამაც გააკეთა.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკანასკნელი გამოკითხვებით, ამომრჩეველთა შორის ობამა თავის ყველა სავარაუდო კონკურენტზე, მათ შორის რომნიზე, პერისა და კეინზე, მეტი პოპულარობით სარგებლობს. პრეზიდენტს ყველაზე მტკიცედ მხარს ამერიკელი ქალები უჭერენ. მოკლედ, ქვეყანაში ნორმალური სიტუაციის შემთხვევაში, ობამას ხელახლა გაპრეზიდენტებასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემა არ ექნებოდა, მით უფრო, რომ ოპოზიციას საყოველთაოდ აღიარებული ლიდერი არ ჰყავს.**

# ამერიკაში სიტუაცია ნორმალურისგან ძალიან შორსაა და მოულოდნელი მკვეთრი გაუარესებებით ხასიათდება

◀ **სისტემის შარშანდელი რეფორმა, რაც შიდა პოლიტიკაში პრეზიდენტ ობამას მთავარ მიღწევად ითვლება.** რესპუბლიკელებმა მას გამანადგურებელი სახელი „ობამაკერი", ანუ „ობამადაცვა" უწოდეს და პირობას დებენ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში სრულიად გააუქმებენ.

სხვა საკითხია, რომ ეს მომხიბვლელი თემაა. **მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყანაში ჯანდაცვის უნივერსალური სისტემის არარსებობა სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა, რისგანაც პროპაგანდისტური კლიშეებით თავს ვერავინ დაიძვრენს. ფინანსური თვალსაზრისით, „კატასტროფული" ავადმყოფობა — ეს ის ტერმინია, რომელიც სწორედ ამერიკაში გაჩნდა.**

რესპუბლიკური დებატების ერთ-ერთი რაუნდისას წამყვანმა იკითხა, რა უნდა უყონ ახალგაზრდას, რომელსაც შეეძლო საკუთარი თავისთვის სამედიცინო დაზღვევის შეძენის უფლება მიეცა, მერე კი კატასტროფულად დაავადდა? უბრალოდ, სიკვდილი უნდა აცადონ? მოულოდნელად კითხვაზე პასუხად დარბაზიდან, რომელიც ერთი შეხედვით აბსოლუტურად ნორმალური ხალხით იყო სავსე, გაისმა ოვაციები და შეძახილები: „დიახ!", „სწორია!", „ეგრე მოუხდება!". ეს ეპიზოდი ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი გახდა რესპუბლიკელების წინასაარჩევნო დისკუსიებიდან და, ცხადია, განაპირობა გაცხარებული კომენტარები ამერიკულ მასმედიაში, როგორც წესი, მწარე ტონში.

სხვათა შორის, პარტიელი მეგობრების მხრიდან რომნის მიმართ არსებული იდეოლოგიური პრეტენზიები დიდწილად იმასთანაა დაკავშირებული, რომ **მასაჩუსეტსის გუბერნატორობისას რომნიმ იქ გაატარა ჯანდაცვის რეფორმა, რომელიც მნიშვნელოვნად ჰგავს დემოკრატების ახლანდელ ინიციატივას. გარდა ამისა, მას ახსენებენ კონსერვატორებისთვის პრინციპულ ტაბუსთან — აბორტებთან და ერთსქესიან ქორწინებებთან დაკავშირებულ რყევებს. მრავალი მორწმუნე ადამიანი, განსაკუთრებით ქრისტიან-დემოკრატები, დიდი ეჭვით უყურებენ მის მორმონულ რწმენას.**

საერთოდაც, რესპუბლიკელი „ავტორიტეტები" ბუზღუნებენ, რომ პარტიამ შემთხვევით არ უარყო ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ ახლანდელი ფავორიტი და უპირატესობა მხცოვან ჯონ მაკკეინს მიანიჭა. **საერთოეროვნულ პარტიულ გამოკითხვებში რომნის მხარდაჭერის დონე იშვიათად აღემატება 30 პროცენტს, ისეთ საკვანძო სასტარტო შტატში კი, როგორიც აიოვაა, ეს რეიტინგი კიდევ უფრო დაბალია. ისტორიული გამოცდილებით, მემარჯვენე ფრთაზე ძლიერი დაყრდნობის გარეშე რესპუბლიკელთაგან პოლიტიკაში დიდი წარმატების მიღწევა ვერავინ შეძლო.**

მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად რომნის ცალსახად დადებითი თვისებებიც აქვს. ოთხი წლის წინანდელმა წარუმატებლობამ მას ბევრი რამ ასწავლა. მის ახლანდელ კამპანიას პარტიული პოლიტსტრატეგები ორგანიზაციულად თითქმის უნაკლოდ მიიჩნევენ. მას ნამდვილად კარგი კავშირები აქვს ამერიკულ ბიზნესში, განსაკუთრებით უოლ-სტრიტზე, რომელიც ახლაც ლამის უფრო მეტად უჭერს მას მხარს, ვიდრე ობამას. და თავად რომნიც არაა ღატაკი ადამიანი, სხვა თუ არაფერი, მის ზურგს უკანაა საინვესტიციო ფირმა „ბეინ კეპიტალი", რომელიც ქვეყანაში ერთ-ერთი უმსხვილესია.

**ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ იგივე ცენტრისტული გადახრები, რომელთა გამოც კონსერვატორები ეჭვის თვალით უყურებენ, მას საერთოეროვნულ არჩევნებზე ძლიერ კანდიდატად აქცევს. საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების თანახმად, რესპუბლიკელების მნიშვნელოვანი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ თეთრი სახლისთვის ბრძოლაში სწორედ რომნის შეუძლია სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს ობამას.**

„არჩევითობა" ძალზე სერიოზული უპირატესობაა, მით უფრო „შვიდი ჯუჯის" საკმაოდ უფერულ ფონზე. სწორედ ასე უწოდა ამერიკულმა პრესამ ახლანდელ რესპუბლიკელ-პრეტენდენტებს. ფიფქიას როლში არც თუ ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ ეფექტური, ბაკმანია წარმოდგენილი. ამერიკული მედიის მტკიცებით, მას შემდეგ, რაც კრისტიმ და პეილინმა უკან დაიხიეს, რომნის დროშებქვეშ პოლიტიკური და ფინანსური „მძიმეწონოსნები" დაირაზმნენ. მათ შორის იყო, მაგალითად, სენატორი ტედ კოკრენი, წარმომადგენელთა პალატის ყოფილი სპიკერი დენის ჰასტერგი, რესპუბლიკური პარტიის ნაციონალური კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ჯიმ ნიკოლსონი.

აშშ-ის კონგრესის კონსერვატორი წევრების ჯგუფის მსგავსი გადაწყვეტილებების კომენტირებისას, ერთ-ერთი გაზეთი წერდა: **„საქმე ის კი არაა, რომ რომნის წარსული დავიწყებას მიეცა. უბრალოდ, ახლა რესპუბლიკელები მზად არიან, ბევრი რამ აპატიონ მას, თუ ეს თეთრი სახლიდან ობამას გაგდებას განაპირობებს".** გამოცემა მიიჩნევს, რომ ობამასგან თავის დაღწევის აკვიატებული სურვილი რომნის „დამსახურებათა" სიას გადაწონის.

საგულისხმოა, რომ იმავე კრისტიმ, მიმდინარე საარჩევნო ციკლთან დაკავშირებით, საკუთარი საბოლოო გეგმების გამოცხადებისთანავე ყოფილ კოლეგა-გუბერნატორს დაუჭირა მხარი. ცნობილმა რესპუბლიკელმა, პოლიტტექნოლოგმა ედ როლინსმა კი, რომელიც წინა თვემდე ბაკმანის წინასაარჩევნო შტაბს ედგა სათავეში, ჟურნალისტებს უთხრა, რომ რომნი თითქმის გარდაუვალ კანდიდატად განიხილება.

და ბოლოს, „ვაშინგტონ პოსტის" მტკიცებით, დემოკრატების ბანაკშიც ობამას მრჩეველები სულ უფრო ხშირად ხედავენ რომნის საყოველთაო არჩევნებზე მოქმედი პრეზიდენტის ყველაზე რეალურ მოწინააღმდეგედ. შემთხვევითი არ იყო, რომ ობამას მთავარმა პოლიტსტრატეგმა დევიდ აკსელროდმა რამდენიმე დღის წინ რესპუბლიკელთა ფავორიტის პოლიტიკური პოზიციების კრიტიკული განხილვისათვის სპეციალური ტელეკონფერენცია მოაწყო. ის ძირითადად მთელ რიგ საკითხებში, მათ შორის ჩინეთის მიერ „სავალუტო კურსით მანიპულირების" საკითხშიც, რომნის არათანმიმდევრულობას ეყრდნობოდა.

კონკურენტების უმეტესობისაგან განსხვავებით, რესპუბლიკური მარათონის ლიდერმა უკვე მოასწრო საგარეო პოლიტიკის მხრივ თავისი წინასაარჩევნო სიტყვა წარმოეთქვა. ამ გამოსვლაში რუსეთი პოტენციურ საფრთხეებში მოიხსენიებოდა. გამოსვლის დასაწყისში რომნიმ დასვა რიტორიკული შეკითხვა, თუ როგორი იქნება მსოფლიო ზუსტად ოთხი წლის შემდეგ და ჩამოთვალა პრობლემები, რომლებიც შეიძლება, მისი აზრით, წარმოიქმნას ირანში, ავღანეთში, პაკისტანში, ჩინეთში, რუსეთში, ვენესუელაში, კუბაში, მექსიკასა და სხვა ქვეყნებში მოვლენათა განვითარების შედეგად.

**მომხსენებლის აზრით, რუსეთი ახლა ისტორიულ გზაგასაყარზეა. პრეზიდენტობის პრეტენდენტმა მსმენელებს შეახსენა, რომ ვლადიმერ პუტინი საბჭოთა კავშირის დაშლას XX საუკუნის ერთ-ერთ ტრაგიკულ მოვლენად აღიქვამს და დასვა შეკითხვა: „ხომ არ შეეცდება, შემოაბრუნოს ის, რასაც ტრაგედიას უწოდებს, და ძალით აიძულოს ყოფილი საბჭოთა ქვეყნები, დაემორჩილოს, და დააშინოს ევროპა თავისი ენერგორესურსების ბერკეტის სახით გამოყენებით?"**

რომნი დარწმუნებულია, რომ ეს **„უნდა იყოს ამერიკული საუკუნე". „ღმერთმა შექმნა ჩვენი ქვეყანა არა იმისათვის, რომ ჩვენ ვიყოთ ნაცია, რომელიც სხვებს გაჰყვება. ამერიკის ბედი ის არაა, რომ იყოს ერთ-ერთი რამდენიმე ზესახელმწიფოს შორის. ამერიკა უნდა იყოს მსოფლიოს ლიდერი ან ამას ვინმე სხვა გააკეთებს".**

ამ გამოსვლის წინ რომნიმ თავისი მრჩევლების საგარეოპოლიტიკური გუნდის შემადგენლობა გამოაცხადა. რუსეთის საკითხით ამ გუნდში დაკავდება ამერიკის სამეწარმეო ინსტიტუტის თანამშრომელი ლეონ არონი და ტაფტსის უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევების ფლეთჩერის სკოლის მასწავლებელი უილიამ მარტელი.

ამ გამოსვლის შემდეგ **რომნიმ ინტერვიუ მისცა „ვაშინგტონ პოსტს" და განაცხადა, რომ რუსეთთან დაკავშირებით „გადატვირთვა უნდა დასრულდეს". „ჩვენ ძალა უნდა ვაჩვენოთ,"** — განაცხადა მან.

მსო-ში რუსეთის შესვლასთან დაკავშირებულ კითხვასაც აბსოლუტურად უაპელაციო პასუხი გასცა: **„მსო-ში იმ ადამიანების შეშვება, რომლებიც თაღლითობას აპირებენ, აშკარა შეცდომაა".**

თუმცა, რომნის თავზე გვირგვინის დადგმა ჯერ კიდევ ადრეა. ობამასთან ორთაბრძოლაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად მან ჯერ შიდაპარტიულ ნომინაციაში უნდა გაიმარჯვოს, ეს კი ჯერ გარანტირებული არაა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ადგილობრივი პოლიტოლოგი ჩარლი კუკი წერდა:

**„ძალზე დიდია იმის ალბათობა, რომ რესპუბლიკელ ნომინანტად რომნი ან პერი დასახელდება. რესპუბლიკელი ამომრჩევლის ორი მესამედი ახლა ცენტრიდან დიდწილადაა მარჯვნივ გადახრილი. უწოდეთ მათ რაც გსურთ, თუნდაც „ჩაის" პარტია ან სოციალური კონსერვატორები, მაგრამ მათ სურთ კანდიდატად კონსერვატორის დასახელება. მათ სჭირდებათ ვინმე პერის ან ბაკმანის მსგავსი, მაგრამ დარწმუნებულნი არ არიან, რომ ეს სწორედ პერი უნდა იყოს და, როგორც ჩანს, უკვე გადაწყვიტეს, რომ ბაკმანი ნამდვილად არ აწყობთ. ყოველ შემთხვევაში რესპუბლიკური ისტებლიშმენტის ისეთი ადამიანი, როგორიც რომნია, ამგვარი კანდიდატი ნამდვილად არაა.**

**ახლა ისაა საკითხავი, შეძლებს თუ ვერა პერი, რომ გაიზარდოს და საერთოეროვნულ კანდიდატად იქცეს, ასევე გაუმკლავდეს რიტორიკულ ექსცესებს და გაიმარჯვოს არა მხოლოდ სამხრეთში. თუ შეძლებს, სწორედ ის გახდება ნომინანტი, თუ ვერა — შეიძლება არც გახდეს.**

**რომნი ჭკუისა და კომპეტენტურობის განსახიერებაა და ყველა ახალი დებატების შემდეგ უფრო და უფრო პრეზიდენტულად გამოიყურება. ის სულ უფრო მეტად ემსგავსება ადამიანს, რომელიც საყოველთაო არჩევნებზე ძლიერი ფავორიტი იქნებოდა, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკელების ნომინაციაში გაიმარჯვებს. ეს კი დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, შეძლებს თუ ვერა პერი ტეხასელი კანდიდატიდან საერთონაციონალურ კანდიდატად იქცეს. თუ ვერ შეძლებს, რესპუბლიკელებმა, შესაძლია, ცხვირი აიბზუონ და მხარი დაუჭირონ მას, ვისაც ძალზე კარგი შანსი აქვს, მომავალი წლის ნოემბერში ობამა დაამარცხოს".**

რაც შეეხება მოქმედ პრეზიდენტს, მას შეეძლო სიხარულით ედევნებინა თვალი, თუ როგორ ეთიშებიან ახლანდელ საარჩევნო ციკლს სოლიდური რესპუბლიკელი პოლიტიკოსები და „შვიდი ჯუჯიდან" ერთ-ერთთან ორთაბრძოლას დალოდებოდა. მაგრამ მას საქმე საკმარისზე მეტი აქვს არა მხოლოდ ცოტა ხნის წინანდელი კრიზისით გამოწვეული ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური პრობლემების გამოც. **ახლა, როგორც ჩანს, მისით ყველა უკმაყოფილოა მისივე პარტიის აქტივისტების ჩათვლით. ეს უკანასკნელნი პრეზიდენტს გადამეტებულ პასიურობაში ადანაშაულებენ. ოპოზიცია კი თავს იმ განცხადებით იწყნარებს, რომ მომავალ წელს ობამას არჩევნებს მოუგებს ნებისმიერი, ვისაც კი პულსი ესინჯება.**

ეკონომიკური თვალსაზრისით ამერიკაში მართლაც სავალალო მდგომარეობაა. უმუშევრობასთან ბრძოლაში გარდატეხა არც დამდგარა და არც მოსალოდნელია, უამისოდ კი ამომრჩეველი სულ უფრო მეტად ივსება იმედგაცრუებით, აღშფოთებით და პროტესტით. სხვადასხვა გამოკითხვის მიხედვით, პრეზიდენტის რეიტინგი 42-44 პროცენტია. წინასაარჩევნოდ რეიტინგების 35%-იან ნიშნულს პოლიტოლოგები თეთრი სახლის პატრონისთვის აბსოლუტურად უიმედოდ მიიჩნევენ.

**ობამას ეს ყველაფერი სხვაზე უკეთ ესმის, ამიტომაც ბოლო დროს გაცილებით უფრო შემტევი გახდა. მისი ბოლოდროინდელი პროგრამული გამოსვლები არამც თუ ამშვიდებს, არამედ უფრო მეტად აღელვებს ბაზრებს თავისი კონფრონტაციულობით, მაგრამ პოლიტიკურად ეს მომგებიანია.** ეს აიძულებს რესპუბლიკელებს კონგრესში ან მათთვის იდეოლოგიურად მიუღებელ დათმობებზე წავიდნენ, ან არჩევნების წინ ხალხის წინაშე წამგებიან როლში წარსდგნენ.

თეთრი სახლის ახლანდელ მეპატრონეს სხვა კოზირებიც აქვს. მას არ ჰყავს და არც ეყოლება მოწინააღმდეგე საკუთარ პარტიაში და მასთან ბრძოლაში ძალის, დროისა და ფულის ხარჯვა არ დასჭირდება. მას არ აქვს და არც ექნება ამავე ფულის მოგროვებისა და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტის პრობლემა. სამაგიეროდ აქვს ნებელობა, რამაც ოთხი წლის წინ პოლიტიკური აუტსაიდერიდან სახალხო ბელადად აქცია. ჯერ კიდევ ჰყავს შეკრული და ახლა კიდევ უფრო მეტი გამოცდილების მქონე გუნდი. აქვს არც თუ მცირე პოლიტიკური მიღწევები თუნდაც კრიზისის კუპირების, სამედიცინო რეფორმის კონგრესში გატანის, რუსეთთან ურთიერთობების „გადატვირთვის" და ტერორისტების ოდიოზური მეთაურის — ბენლადენის განადგურების სახით.

**უკანასკნელი გამოკითხვებით, ამომრჩეველთა შორის ობამა თავის ყველა სავარაუდო კონკურენტზე, მათ შორის რომნიზე, პერისა და კეინზე, მეტი პოპულარობით სარგებლობს. პრეზიდენტს ყველაზე მტკიცედ მხარს ამერიკელი ქალები უჭერენ. მოკლედ, ქვეყანაში ნორმალური სიტუაციის შემთხვევაში, ობამას ხელახლა გაპრეზიდენტებასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემა არ ექნებოდა, მით უფრო, რომ ოპოზიციას საყოველთაოდ აღიარებული ლიდერი არ ჰყავს. მაგრამ ამერიკაში სიტუაცია ნორმალურისგან ძალიან შორსაა და მოულოდნელი მკვეთრი გაუარესებებით ხასიათდება.** სწორედ ამაზეა დამოკიდებული ამერიკის მომავალი არჩევნების ბედი და არა — რესპუბლიკელების წინასაარჩევნო რიტორიკაზე ან იმაზე, თუ რომელს აირჩევენ კანდიდატად ისინი თავიანთი „შვიდი ჯუჯიდან".

rodon.org

# დიდი ოცეული რუსეთის მსო-ში გაწევრიანებას მიესალმება

**დიდი ოცეულის წევრი ქვეყნების ლიდერები 2011 წლის ბოლომდე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის შესაძლო გაწევრიანებას მიესალმებიან.** მათი აზრით, აღნიშნული ფაქტი გახდება კონკრეტული და მნიშვნელოვანი სიგნალი რუსეთისა და საერთაშორისო პარტნიორების თანამშრომლობის საკითხში. კანის სამიტის დასასრულს მიღებულ განცხადებაში, რომელიც ვაჭრობის საკითხებს ეხება, ნათქვამია, რომ რუსეთს ეძლევა შესაძლებლობა, მისმა უდიდესმა ეკონომიკამ მსოფლიო ეკონომიკის სისტემაში საკუთარი ადგილი დაიკავოს.

# ობამას სჯერა, რომ ევროპა გამოცდას გაუძლებს

**ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა მიიჩნევს, რომ ევროზონაში შექმნილი კრიზისის მოსაგვარებლად ევროპას სათანადო ბერკეტები გააჩნია.** ამის შესახებ ამერიკის პირველმა პირმა კანში დიდი ოცეულის სამიტის დასრულების შემდეგ განაცხადა. „იმის გათვალისწინებით, რაც ორი დღის განმავლობაში ჩვენი პარტნიორებისგან მოვისმინე, დავრწმუნდი, რომ ევროპელებს გააჩნიათ საშუალება, ამ გამოცდას გაუძლონ. ვიცი, რომ ეს ადვილი არ არის, მაგრამ ეს აუცილებელია. ახლა მსოფლიოს მოქმედება სჭირდება," — აღნიშნა ობამამ.

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ქრისტიანობა და რასიზმი იმდენად შორსაა ერთმანეთისგან, რომ მათი ერთმანეთთან დაკავშირება ვერანაირად მოხდებოდა და, თუ მღვდელი უფლის, ქრისტიანული სწავლების ერთგულია, ის იდეოლოგიურად, მსოფლმხედველობრივად ვერანაირად იქნება რასისტი, რადგან რასისტი მღვდელი არ არსებობს!“



## მამა თეოდორე (გიგნაძე):

# რასიზმი, ფაშიზმთან და ჰომოსექსუალიზმთან ერთად, ადამიანის დაცემული ბუნების ერთ-ერთი გამოვლინებაა და მასაც უნდა ებრძოლო!

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება თბილისის ჯვართამაღლების ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი თეოდორე (გიგნაძე).**

**— მამა თეოდორე, ერთ-ერთ პერიოდულ გამოცემაში თქვენ პირდაპირ გდებენ ბრალს „რასიზმში, ბიბლიის სახელით“. ბიბლიიდან ქამსა და ქანაანელებზე თქვენს განმარტებას არაერთგვაროვანი კომენტარები მოჰყვა. როგორ ფიქრობთ, რატომ მიიჩნევენ, რომ თქვენი ეს ქადაგება რასისტული ელემენტების შემცველი იყო?**

— შეგვეწიოს ყველას უფალი! ვეცდები, ჩვენს საუბარში ნაკლებად გავაკრიტიკო ადამიანები, ვინც თავს ჩვენს ოპონენტად წარმოაჩენს, არც მათ ოპონირებას ვაპირებ. ვეცდები, სრულად წარმოვაჩინო ის სურათი, რამაც გამოიწვია ჩემი ამგვარი პასუხი და, მათ შორის, ჩემი შეცდომებიც დავინახო. როდესაც ჩემი პასუხის მერე, რომელიც ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებთან ლექციაზე გაჟღერდა, ერთი ამბავი ატყდა, დამაბრალეს რასიზმი. გამეცინა, რადგან ვიცი, რომ რასისტი არ ვარ და ძალიან კარგად ვიცი ჩემი დამოკიდებულება ნებისმიერი ადამიანის მიმართ, იმის მიუხედავად, რა სარწმუნოების, რა ეროვნებისა თუ კანის ფერისაა იგი. ჩემთვის ყოველი ადამიანი, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, აღმსარებლობისა და კანის ფერისა, ქრისტეს ხატია. აქედან გამომდინარე, ჯერ გამეცინა, მერე ცოტა გავბრაზდი კიდეც, იმიტომ, რომ ვიფიქრე, ზედმეტი მოსდით, ხომ იციან, რომ არ ვარ რასისტი მეთქი. ამ ემოციებმა რომ გადამიარა და ეს ვნებათაღელვა კიდევ არ შეწყდა, მერე ჩავუფიქრდი, ხომ არ არის აქ ჩემი ბრალეულობა მეთქი და მართლაც აღმოვაჩინე ჩემი შეცდომები, რომლებზეც ახლა მოგახსენებთ.

**პირველ რიგში, შეცდომა დავუშვი, როცა სიტყვა „რასა“ გამოვიყენე. ეს ჩემი მხრიდან არაკორექტული იყო, იმიტომ, რომ, როგორც შემდგომ გავეცანი, თანამედროვეობაში ცდილობენ, არა მხოლოდ „რასიზმი,“ არამედ „რასაც“ კი არ იქნეს გამოყენებული და სავსებით სამართლიანადაც. აღმოჩნდა, რომ სიტყვა „რასა“ ეტიმოლოგიურად „ჯიშს“ ნიშნავს. ჩვენ ათეისტურ ეპოქაში სკოლაში მართლაც გვასწავლიდნენ ასე და ეს სიტყვა შეიძლება, ათეისტური სწავლების ნაწილად მივიჩნიოთ. ადამიანების დაყოფა ჯიშებად ქრისტიანულად მიუღებელია. მე ეს ტერმინი, როგორც ტექნიკური საშუალება, ისე გამოვიყენე, რათა ადამიანთა ჯგუფები დამეხასიათებინა.**

**ქრისტიანობა და რასიზმი იმდენად შორსაა ერთმანეთისგან, რომ მათი ერთმანეთთან დაკავშირება ვერანაირად მოხდებოდა და, თუ მღვდელი უფლის, ქრისტიანული სწავლების ერთგულია, ის იდეოლოგიურად, მსოფლმხედველობრივად ვერ იქნება რასისტი, რადგან რასისტი მღვდელი არ არსებობს! ისევე, როგორც არ შეიძლება არსებობდეს დარვინის მოძღვრების გამზიარებელი ათეისტი მღვდელი.** უკვე აქედანაც ჩანს, რომ ეს ბრალდება ჩემ მიმართ უსაფუძვლოა. უბრალოდ, გაუგებრობას ჰქონდა ადგილი და გაუგებრობის მიზეზი, რა თქმა უნდა, მე ვარ — სიტყვა „რასა“ არ უნდა გამომეყენებინა.

**— მამაო, თქვენი შეცდომა მხოლოდ ისაა, რომ სიტყვა „რასა“ გამოიყენეთ, თუ სხვა შეცდომებიც დაუშვით იმავე ბიბლიის განმარტებაშიც?**

— მხოლოდ ეგ არაა ჩემი შეცდომა. ჩემს პასუხს გარკვეული გენეზისი ჰქონდა კითხვიდან გამომდინარე. კითხვა იყო დასმული ასე: „ადამი თუ თეთრი იყო, რატომ არიან ზანგები შავები“? რა თქმა უნდა, ამაზე ბიბლიური პასუხი არსებობს. როგორც მღვდელი, თავისთავად ცხადია, ბიბლიას დავეყრდნობოდი და ვიტყოდი, რომ, ადამი ერთია, მისი ძირიდან წამოვიდა მთელი კაცობრიობა, ევაც კი მისგანაა შექმნილი, მაგრამ წარღვნის შემდეგ მხოლოდ ნოე და მისი ოჯახი გადარჩა. ნოეს სამი შვილი ჰყავდა და ბიბლიური სწავლების მიხედვით, თითოეული შვილი ადამიანების გარკვეული დაჯგუფების მამამთავარი ხდება. არსებობენ სემიტები, ქანაანელები (ქამიტები) და იაფეტის მოდგმა.

კითხვა უშუალოდ კანის ფერს ეხებოდა და, რადგან იქ ზეპირი კითხვა-პასუხი იყო, ანუ ბლიცრეჟიმი, იქ არ არის იმის შესაძლებლობა, რომ დიდხანს დაფიქრდე, ბიბლია გადაშალო, საკითხს ჩაუღრმავდე. იმ დროს ჩემი გონება იწყებს არასწორი ლოგიკით განსჯას — ეს არასწორი ლოგიკა კი წარმოშვა ფერზე აქცენტმა და ვიფიქრე, რატომ არიან აფრიკელები შავები — აფრიკელები არიან ქამის მოდგმისანი. ქამის მოდგმა დაიწყევლა, ეს წყევლა რას ნიშნავს? წყევლა ნიშნავს, რომ ის უნდა ყოფილიყო მსახურთ-მსახური, თეთრკანიანების მონობაში მყოფი. ისტორია აჩვენებს, რომ ასე ხდებოდა და **ლოგიკური შეცდომა დავუშვი, რაც ბიბლიაში მართლაც არ არის — ასეთი შეცდომა მე, როგორც მღვდელს, არ უნდა დამეშვა — კანის ფერი, როგორც წყევლის შედეგი, ამას პლიუს ჩემ მიერ გამოყენებული სიტყვა — „რასა“ და იმ წამსვე მერგო რასისტი მღვდლის სახელი. ეს ორივე შეცდომა იყო და მე ადრეც ვთქვი და ახლაც ვამბობ, რომ თუ მე რომელიმე აფრიკელს, შავკანიანს ამ ჩემი ნათქვამით გული ვატკინე, შეურაცხყოფა მივაყენე, ყველას შენდობას ვთხოვ. მაგრამ, ამავე დროს, ვინც ამ ვიდეორგოლებს ატრიალებს, ყველას ვეუბნები — თუ მიიჩნევთ, რომ მე იმ ჩემი ნათქვამით ადამიანების გარკვეულ რაოდენობის სულიერ სამყაროს უხეშად შევეხე, მაშინ ამ ვიდეორგოლებს ნუღარ ატრიალებთ. ჩემი ლანძღვით განა რა შეიცვლება?**

**როგორც ქრისტიანი, მღვდელი ასევე შენდობას ვთხოვ იმ ადამიანებსაც, ვისთვისაც ახლა იწყება სულიერი ცხოვრების პირველი ეტაპი, ძიების პროცესშია და ჩემმა ამ გამონათქვამმა დააბრკოლა!**

კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ბიბლიაში პირდაპირი კავშირი, პირდაპირი მინიშნება არ არის ნოეს წყევლასა და კანის გაშავებას შორის, მაგრამ, როცა მაკრიტიკებენ, პრესასა თუ სოციალურ ქსელებში, მეორე უკიდურესობაშივარდებიან და ბიბლიას, მის ღვთისსულიერებას საერთოდ უარყოფენ. აბსოლუტურ მკრეხელობაში ვარდებიან, რაც მე, როგორც ღვთისმსახურს, მტკივა. როცა ამ სტატიის ავტორი ამბობს: **„ჩვენ არ ვიცით, კონკრეტულად რა ცოდვით სცოდა ქამმა — იყო ეს მამისადმი ულირსი მოპყრობა თუ მისდამი სექსუალური ხასიათის დანაშაული“-ო.** ეს უკვე მკრეხელობაზე მეტია! თუ მე რასიზმში მადანაშაულებენ, ბიბლიის სიუჟეტის ამგვარი დანახვა დამახინჯებული ცნობიერების შედეგი მგონია! მე ქამისთვის მსგავსი რამ არ დამიბრალებია, თუმცა, რაც მან დააშავა, ეს მისი ბრალეულობისთვის სავსებით საკმარისია. ასევე წმინდანს, ძველი აღთქმის მამამთავარზე ამბობს, რომ: **„ამის შემდეგ, კაცობრიობის ისტორიაში პირველ ნაბახუსევზე, ანუ მას შემდეგ, რაც გამოფხიზლდა, ნოემ წარმოთქვა წყევლა: „წყეულიმც იყოს ქანაანი! თავისი ძმების მორჩილთა მორჩილი იყოს!“...** აქ რასთან გვაქვს საქმე? რომ ნოემ, რომლის კურთხევა და სიტყვა ღვთის განგებულებას მოასწავებს, ნაბახუსევზე დაწყევლა თავისი შვილი!

აქვე მინდა განვმარტო ბიბლიური წყევლა — ღმერთმა დასწყევლა ადამი და ევა. მაშინ ჩემი ოპონენტების ლოგიკით რა გამოდის? ღმერთისკენ გავიშვირო ხელი, რომ იგი კაცთმოძულეა, რადგან ადამისა და ევას დაწყევლით მთელი სამყარო დაიწყევლა? **ბიბლიური წყევლა დედაბრულ წყევლაკრულვას სულაც არ ნიშნავს. ბიბლიური წყევლა — ეს არის ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის შინაგანი მდგომარეობის სიტყვიერად წარმოჩენა. ეს თითქოს ერთგვარი დიაგნოზია, რომელიც აფრთხილებს მათ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან.**

ერთი ადამიანის დაზიანებული ბუნება მის შთამომავლობაზე გადადის — ადამის ბუნება დაზიანდა. ამიტომ თითოეული ჩვენგანი დაზიანებული ბუნებით იბადება. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რომელიმე ჩვენთაგანი პიროვნულად პასუხს აგებს ადამის ცოდვაზე.

სხვათა შორის, დღეს მართლმადიდებლობას თავს ესხმიან და კათოლიციზმის აპოლოგიას ეწევიან. ნაკლებად აცნობენ ჩვენს საზოგადოებას იმას, რომ სწორედ კათოლიციზმში არსებობს ის საშინელი სწავლება, რასაც ცოდვისა და გამოხსნის იურიდიული გაგება ჰქვია. ტერმინი „პირველქმნილი ცოდვა“ კათოლიციზმში გულისხმობს, რომ ადამმა შესცოდა და თითოეული ადამიანი ადამთან ერთად პასუხისმგებელია ადამის ცოდვაზე, ანუ დამნაშავე გამოვდივარ წინაშე ღვთისა. **მართლმადიდებლობა კი გარკვევით ამბობს, რომ ჩვენი ბუნებაა დაზიანებული, თორემ პიროვნულად ადამის ცოდვაზე პასუხს არ ვაგებთ. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს: ჩვენ სულ ახლახან გამოვიარეთ სამოცდაათწლიანი უღმერთობის პერიოდი. ბევრი ადამიანის წინაპარს ჩადენილი აქვს საშინელი ცოდვა — ტაძრების ნგრევისა, სიწმინდეების შელახვისა. მართლმადიდებლობა ხაზგასმით ამბობს, რომ არც ერთი შთამომავალი ამ ცოდვის ჩამდენისა, პიროვნულად პასუხს არ აგებს ბაბუის ცოდვაზე.** ასევე, ვამბობდი ჩვენს წინა ვრცელ ინტერვიუშიც და ახლაც გავიმეორებ — **ქამის არც ერთი შთამომავალი, ქანაანი, პიროვნულად პასუხს არ აგებს ქამის ცოდვაზე.** დედამიწაზე ყველა ადამიანი, განურჩევლად კანის ფერისა, ღვთის წინაშე პიროვნულად სუფთა იბადება, თუმცა ადამის ცოდვის გამო — დაზიანებული ბუნებით.

**— ამ პუბლიკაციაში არის ფრაზები, რამაც მკითხველთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაურკვევლობაში ჩააგდო, ბევრის კი, უბრალოდ, რისხვა გამოიწვია: „იმ დროს, როცა აღნიშნული ტექსტი დაიწერა, ებრაელებს მტრობა ჰქონდათ ქანაანელებთან. ისინი „გარყვნილებად“ მიიჩნეოდნენ. ისტორიის მანძილზე ქანაანელები არა ერთხელ ქცეულან ებრაელების მონებად. სავარაუდოა, რომ ბიბლიის კონკრეტული თავის ავტორი, სწორედ პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, წყევლის არა კონკრეტულ პიროვნებას — ქანაანს, არამედ მის შთამომავლებს — ქანაანელებს. ბიბლიის ძველ ინტერპრეტაციებში I საუკუნემდე არავითარი მინიშნება „გაშავებაზე“ არ გვხვდება“. მამაო, ამაზე რას გვეტყვით?**

— ამაზე ზემოთაც მოგახსენეთ, რომ კანის ფერის წყევლასთან პირდაპირი კავშირი ბიბლიაში არ არის და ჩემი ამ შეცდომის გამო შენდობა ვითხოვე.

როცა მოსე ქორების მთიდან ჩამოდის, ღმერთთან ურთიერთობის შემდეგ მისი სახე ისე ელვარებს, რომ სახეში ვერ უყურებენ და იგი პირს იბურავს, რადგან თვალისმომჭრელ, ხელთუქმნელ ნათელს ახივებს. რას ნიშნავს ეს? იმასაც, რომ ეს მართლაც ასე იყო და იმასაც, რომ სწავლება იმდენად დიდია, რომ მისი დატევნა არც ისე იოლია. მოსეს ხუთწიგნეული დაწერილია მოსეს მიერ და, როგორც უნდა ეცადონ, რომ იქ მთელი რიგ პასაჟებში პოლიტიკური მიზნები დაინახონ, მის სიდიადეს ჩრდილს ვერ მიაყენებენ. ეს არის დაწერილი იმ ადამიანის მიერ, რომლის ღმერთთან ურთიერთობა ისეთი ხარისხის იყო, რომ მას სახეშიც ვერ უყურებდნენ! **ადამიანი, რომლის ლოცვითაც ზღვა შუაზე იყოფა, რომელსაც ღმერთი უშუალოდ ესაუბრება და სამყაროს შემოქმედი ქვის ფილებზე თვითონ უწერს ათ მცნებას. როდესაც ასეთი ადამიანის მიერ დაწერილ წიგნს კითხულობ და გარკვეულ საკითხებში პოლიტიკურ მიზნებს, გარყვნილ აზრებს ხედავ,** ▶

**«შეუძლებელია, ადამიანის, ერის ცხოვრება ამოვგლიჯოთ პოლიტიკიდან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკაა განმსაზღვრელი საღვთო განგებულებისა. პირიქით, საღვთო განგებულებაა განმსაზღვრელი ყველაფრისა. ეს უკვე მსოფლმხედველობრივი პრობლემაა»**

**„ეკლესია სხვანაირად ეკიდება ამ საკითხს და მას ადამიანის სასარგებლოდ აგვარებს — ჰომოსექსუალიზმს ავადმყოფობად მიიჩნევს. ხელს არ კრავს ჰომოსექსუალისტს და არავის აძლევს უფლებს, არავის მოუწოდებს, რომ ცოდვის გამო ის ცემოს და ფიზიკურად გაუსწოროს."**

## რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ე. წ. ლიბერალები კი უკვე ქრისტიანობას ებრძვიან და ფაქტობრივად, ამ ბრძოლით იმ წისქვილზე ასხამენ წყალს, საიდანაც წარმოიშობა რასიზმიც, ფაშიზმიც, პედოფილიაც, ჰომოსექსუალიზმიც, აბორტიც»

**როცა წმინდანს — ნოეს შეურაცხყოფ, ასეთ ადამიანებთან პოლემიკის სურვილიც არ მაქვს. მე ერთი რამ ვიცი — ყოველი ადამიანი, რომელიც ღმერთს ეძებს, სიწმინდეს მიჰყვება. ჩვენთვის, ქრისტიანებისათვის, ბიბლია წმინდაა.** ბიბლიის კომენტირებას რაც შეეხება, ამაზე ტომებია დაწერილი, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ნებისმიერ ბიბლიოთეკაში ძველი თუ ახალი აღთქმის განმარტებები ნებისმიერ ენაზე ნახოს, თუ მაინცა და მაინც ასე აინტერესებთ, მაგრამ ერთი რამ უდავოა — ამგვარი სიტყვების ავტორი ბიბლიის ღვთივსულიერებას აშკარად უარყოფს!

საერთოდ, ურწმუნო ადამიანს აქვს თვისება, რაც კაცობრიობის ისტორიაში საღვთო განგებულებით ხდება, ამაში ღვთის ხელს, ღვთის განგებას კი არ ხედავს, არამედ ყველაფერს პოლიტიკურ ბატალიებს და რეალიებს მიაწერს. კაცობრიობა ცხოვრობს, არსებობს, ადამიანი ამ სოციუმშია და, რა თქმა უნდა, ეს ურთიერთობები პოლიტიკად იწოდება. **შეუძლებელია, ადამიანის, ერის ცხოვრება ამოვგლიჯოთ პოლიტიკიდან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკაა განმსაზღვრელი საღვთო განგებულებისა. პირიქით, საღვთო განგებულებაა განმსაზღვრელი ყველაფრისა. ეს უკვე მსოფლმხედველობრივი პრობლემაა.** ათეისტები ამბობდნენ — ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას. ქრისტიანები კი მიიჩნევენ, რომ ზე რეალობა, ანუ ღმერთი განსაზღვრავს რეალობას — მეტაფიზიკა განსაზღვრავს ფიზიკას. ეს რწმენის და იმის საკითხია, თუ როგორი მსოფლმხედველობა აქვს ადამიანს. ადამიანს, რომლისთვისაც არაფერს წარმოადგენს წმინდა წერილის ავტორიტეტი, მასთან სარწმუნოებრივ საკითხებზე მსჯელობა პრაქტიკულად წარმოუდგენელია! მე მხოლოდ ის შემიძლია, ამ შემთხვევაში, თავი დავიცვა. მღვდელი ვერ იქნება რასისტი, იმიტომ, რომ მაშინ ის ვერ იქნება მღვდელი. შეცდომისთვის შენდობა ვითხოვე. ამის იქით — ბიბლია ჩემთვის წმიდათაწმიდაა და ამას ვერაფერი შეცვლის!

**— ამავე სტატიაში ცინიკურად არის მოყვანილი თქვენი ფრაზა ჰომოსექსუალებთან დაკავშირებით. მე პირდაპირ მოვიყვან ციტატას: „ინტერვიუში მამა თეოდორე ჰომოსექსუალისტებსაც გადასწვდა და ქრისტიანობისთვის სრულიად შეუფერებელი ცოდვის გაზომვის მეთოდი შემოგვთავაზა: „ჰომოსექსუალიზმი არის სასიკვდილი ცოდვა და ბიბლიაში იგი სასიკვდილო ცოდვადაც კია მიჩნეული, რადგან ეს არის არაბუნებრივი ცოდვა, რომელსაც პრაქტიკულად არანაირი გამართლება არ აქვს". თუ ამოსავალ წერტილად საეკლესიო კანონიკის მიხედვით მკვლელობისა და ჰომოსექსუალური აქტისთვის შეფარდებულ სასჯელს ავიღებთ, მამა თეოდორეს კონცეფცია, უბრალოდ, აბსურდი აღმოჩნდება. შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ ახალგაზრდა მართლმადიდებელი, რომელიც ამგვარი ანტიჰუმანური კონცეფციის წამოყენებისას მიდის ჰომოსექსუალთან, სცემს და ამით მადლის მოხვეჭას ცდილობს — სამყარო ხომ მოსიარულე ცოდვისგან თავისუფლდება. რასაკვირველია, ვერც ერთი მკითხველი ვერ იტყვის, რომ ბიბლია ჰომოსექსუალობას ცოდვად არ მიიჩნევს, მაგრამ ამ საკითხზე საუბრისას აუცილებელია, მღვდელმა განმარტოს, რომ არც ერთი ადამიანი შეურაცხყოფის ან აგრესიის ღირსი არ არის, რასიზმი და ჰომოფობია კი ცოდვაა".**

— უცნაურია! არც ჩემს რომელიმე ქადაგებში და არც თქვენთან საუბრისას არსად მითქვამს მსგავსი რამ! ეს ჩემი სიტყვების შეგნებული დამახინჯებაა. ათ მცნებაში გვიწერია — არა ცილი სწამოო, ამ სტატიის ავტორი (ლევან სუთიძე) ცილს მწამებს. თითოეული ჩვენი სიტყვა ღვთის წინაშეა და, როცა რაიმე გეშლება, ერთია და, როცა ცილს შეგნებულად, წინასწარგანზრახულად სწამებ, ეს მეორეა. **მე არსად არასოდეს მითქვამს, რომ ჰომოსექსუალისტი უნდა სცემო. ეს არ მითქვამს მრავალი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ამას ქრისტიანობა არ გვასწავლის. მე როცა ვთქვი, რომ ჰომოსექსუალიზმი მკვლელობაზე უფრო დიდი ცოდვაა, ახლაც ამასვე ვადასტურებ — ჰომოსექსუალიზმი მკვლელობაზე უფრო დიდი ცოდვაა, იმიტომ, რომ ის არაბუნებრივი ცოდვაა!**

შეიძლება ვინმემ კითხვა შემომიბრუნოს — რა, მკვლელობა ბუნებრივი ცოდვაა? მკვლელობა, თავისთავად ცხადია, არაა ბუნებრივი ცოდვა, მაგრამ, მეორეს მხრივ, როცა ერთი ადამიანი მეორეს კლავს, მას შეიძლება რაღაც მოტივაციები ჰქონდეს — არის მკვლელობის ისეთი სახე, რომელიც შეწყნარებულია ღვთის მიერ და ბიბლიის მიერ, როცა სამშობლოს იცავ, ამ შემთხვევაში მტერი შეიძლება ამ ბრძოლაში მოკვდეს. არსებობს შურისძიება, რომელიც არ არის ღვთისაგან კურთხეული და დაშვებული და დიდი ცოდვაა, მაგრამ შურისმაძიებელ ადამიანს მოტივაცია ის აქვს, რომ სამართლიანობა აღადგინოს, თუ მიიჩნევს, რომ უსამართლოდ მოექცნენ.

ძველ აღთქმაში ამის პრეცენდენტები არის — კბილი კბილის წილ, თვალი თვალის წილ. თუმცა, იქვე იყო ძველ აღთქმაში მცდელობაა იმისა, რომ ადამიანები დაეცვათ, სპეციალურ ქალაქებს აშენებდნენ, სადაც ადამიანებს შეეძლოთ თავის შეფარება. ახალმა აღთქმამ შურისძიება ადამიანებს აუკრძალა, სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ ღვთის ხელშია და ღვთის უფლებამოსილებაში შედის. მაგრამ, რაც შეეხება ჰომოსექსუალიზმს, მას აბსოლუტურად არანაირი გამართლება არ აქვს, გარყვნილებიდან გამომდინარე ცოდვაა. როგორც თვითონ მედიკოსები ამბობენ, ყოველი ასი ჰომოსექსუალისტიდან მხოლოდ სამი შეიძლება იყოს დაბადებიდან დამახინჯებული ფსიქიკით, მაგრამ ეს არის ავადმყოფობა, რომლის წახალისება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან, თუ იმ სამ პროცენტს წაახალისებ და მისცემ გასაქანს, ის იმ ოთხმოცდაჩვიდმეტსაც გარყვნის. წადი და ჰომოსექსუალისტი სცემე-მეთქი მხოლოდ იმიტომაც არ ვიტყოდი, რომ ბიბლია, ქრისტიანობა კატეგორიულად ეწინააღმდეგება ერთი ცოდვის მეორეთი აღმოფხვრას.

**როგორც მღვდელი გეტყვით — ჩემს პრაქტიკაში არც ერთი ჰომოსექსუალისტისთვის, რომელიც ჩემთან სინანულით მოსულა, ხელი არ მიკრავს, თვით ისინიც კი, ვინც ჩემამდე არ მოსულან, მათთან მე მივსულვარ, მისაუბრია და მიცდია, რომ სინანულში ჩამეგდო და ამ ცოდვისთვის თავი დაენებებინათ. არა თუ ხელი მიკრავს, ისინი გულშიც ჩამიკრავს და მათ მიმართ, როგორც მღვდელს, ძმური თანადგომა გამომიხატავს. გარდა ამისა, მქონია შემთხვევები, ეს ცოდვა ჯერ კიდევ ჩანასახის სტადიაში იყო, ადამიანში იწყებოდა ამ ცოდვის გენეზისი და, მადლობა ღმერთს, ჩემი ჩარევის შემდეგ, უფლის მადლით, გადავრჩით და არ განვითარდა ბოლომდე. იყო შემთხვევები, როცა ადამიანი ამ ცოდვაში უკვე იმყოფებოდა, მერე ამ ცოდვას თავი დაანება და ახლა ღრმა სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს. მიხარია, რომ მქონია შემთხვევა, როცა ამ ცოდვაში რეალურად მყოფმა ორმა ადამიანმა, ღვთის მადლით, დასძლია ეს ცოდვა, დაქორწინდა და შვილებიც ჰყავს.**

**საზოგადოების გარკვეული წრეები ამ ადამიანებს უბიძგებენ, რომ ამ ცოდვაში დარჩნენ, ეს ცოდვა განუვითარდეთ! თვითონ არხეინად ცხოვრობენ — ცოლებიც ჰყავთ, ქმრებიც, შვილებიც, სხვებს კი უკიჟინებენ, რომ პრობლემა არ გაქვთ და გააგრძელეთ ასე ცხოვრებაო! ამ დროს ეკლესია სხვანაირად ეკიდება ამ საკითხს და მას ადამიანის სასარგებლოდ აგვარებს — ჰომოსექსუალიზმს ავადმყოფობად მიიჩნევს. ხელს არ კრავს ჰომოსექსუალისტს და არავის აძლევს უფლებს, არავის მოუწოდებს, რომ ცოდვის გამო ის ცემოს და ფიზიკურად გაუსწოროს.**

თუ ამგვარი ლოგიკით უნდათ პოლემიკა და ოპონირება, ეს მათი საქმეა, მაგრამ ისინი ამ შემთხვევაში ცილს გვწამებენ და სიცრუეს ემსახურებიან, რაც, სხვათა შორის, ასევე მძიმე ცოდვაა.

**— თქვენ ჩემთან წინა საუბარში თქვით, რომ ბიბლიაზე დაყრდნობით გაქვთ პასუხი, თუ რატომ იყო შავკანიან ადამიანებზე მონობის უღელი დადგმული ვიდრე XX საუკუნემდე და იმასაც ბრძანებთ, რომ, თუ ვინმეს სხვა პასუხი გააჩნია, ამასაც მოისმენდით. აქვე მინდა დავძინო, რომ ჩვენს წინა საუბარში თქვენ პირდაპირ აღნიშნეთ, რომ არც ერთი ზანგი პიროვნულად პასუხს არ აგებს ქამის მიერ ჩადენილ ცოდვაზე, ის არ არის ქამის ცოდვის გენეტიკური მატარებელი. თქვენს საპასუხო პუბლიკაციაში „პასუხს გცემენ", რატომ იყვნენ შავკანიანები დაჩაგრულები: „შავკანიანების დამონება დიდწილად იმან განაპირობა, რომ საუკუნეების მანძილზე აბრაამიანული რელიგიები მათ წყევლას სწორედ ქამის წყევლის მაგალითით ამართლებდნენ. ამისთვის კი სწორედ იმ ბნელ მითს იყენებდნენ, რომლის მოხმობაც მამა თეოდორემ XXI საუკუნეში გადაწყვიტა. თუ მათი ჩაგვრა ღვთაებრივი ინსტანციით არის დაშვებული, იქნებ სეგრეგაციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაც ღვთის ნების წინააღმდეგ წასვლაა?" — აი, მამაო, დაგანახეს ალტერნატიული პასუხიც...**

— მე არსად მითქვამს, რომ რასიზმი კარგია და მის წინააღმდეგ არ უნდა გავილაშქროთ. „თუ მათი ჩაგვრა ღვთაებრივი ინსტანციით არის დაშვებული, იქნებ სეგრეგაციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაც ღვთის ნების წინააღმდეგ წასვლააო," — ეს თავიდან ბოლომდე დამახინჯებული ლოგიკა და აზროვნებაა. მაგალითად, როცა ადამი დაეცა, ადამის გამო სამყარო იწყევლება, წყევლა, კიდევ ვიმეორებ, ბიბლიური ტერმინია და ნიშნავს არა დედაბრულ წყევლა-კრულვას, როცა ადამიანს ცუდს უსურვებ, არამედ ეს არის ფაქტის, რეალობის სიტყვაში გამოხატვა. **ღვთის მიერ დასმული დიაგნოზია — იცოდე, რა გჭირს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სტიქიურ უბედურებებს, გვალვას, წყალდიდობებს, რომლებიც ამ ყველაფრის შედეგია, ან ადამიანებისთვის მავნებელ ცხოველებს არ ვებრძოლო. ცოდვის შედეგია ასევე ის, რომ ადამიანში არის შური, ანგარება, ეგოიზმი, უსიყვარულობა, სიამაყე, ამპარტავნება, სიძულვილი — ეს ყველაფერი იმის გამოა, რომ მთელი სამყარო, კაცობრიობა იწყევლება ადამის ცოდვის გამო. მაგრამ ქრისტიანობა მეუბნება, რომ ამ ყველაფერს უნდა ებრძოლო. რასიზმი, ფაშიზმთან და ჰომოსექსუალიზმთან ერთად, ადამიანის დაცემული ბუნების ერთ-ერთი გამოვლინებაა და მასაც უნდა ებრძოლო!** თუ უნდა ებრძოლო რასიზმს, რომელიც არის დისკრიმინაცია ადამიანთა ჯგუფისა, კანის ფერის გამო, რატომ არ უნდა ებრძოლო ჰომოსექსუალიზმს, პედოფილიას, რომელიც არის დისკრიმინაცია მოზარდი ბავშვებისა, რომელნიც შეიძლება გარყვნან. რატომ არ უნდა ებრძოლო აბორტს, რომელიც არის ჩვილი ბავშვების დახოცვა მუცელში — ამას ქრისტიანობა სიტყვით ებრძვის, ეს ე. წ. **ლიბერალები კი უკვე ქრისტიანობას ებრძვიან და ფაქტობრივად, ამ ბრძოლით იმ წისქვილზე ასხამენ წყალს, საიდანაც წარმოიშობა რასიზმიც, ფაშიზმიც, პედოფილიაც, ჰომოსექსუალიზმიც, აბორტიც.**

სხვათა შორის, მოვუწოდებ, თუ არ იციან, კარგად წაიკითხონ, როგორ იბრძოდნენ ფაშისტი იდეოლოგები, რომლებიც მესამე რაიხში მუშაობდნენ იმისათვის, რომ მაშინ სკოლებში რელიგიური სწავლება არ ყოფილიყო. რადგან ისინი მიიჩნევდნენ, რომ ბავშვების რელიგიურად აღზრდა ზიანის მომტანი იყო მათი სახელმწიფოსთვის და მათი სახელმწიფოებრიობისთვის. ამას მესამე რაიხის ცნობილი იდეოლოგები ამბობდნენ. ასე რომ, ვინც ეკლესიის წინააღმდეგ ასე იბრძვის, კარგად გაიხსენოს, ვინ ებრძოდა ეკლესიას — კომუნისტები, ლენინის მოდგმა და ფაშისტები! დღეს კი ქრისტიანობის წინააღმდეგ ვინც იბრძვის, ვხედავთ! ასე რომ, თვითონ არიან იმ იდეოლოგიისა და სულის მატარებლები, რასაც ფაშიზმი და კომუნიზმი ჰქვია. რასიზმის საფუძველი კი არის ათეიზმი და არა ქრისტიანობა. ესენი თავიანთი დებულებების გასამართლებლად ყველაფერს კადრულობენ. აგერ ბიბლიის პოლიტიზირების მაგალითიც ვნახეთ. სინამდვილეში კი ათეიზმი და დარვინიზმი არის საფუძველთ-საფუძველი რასიზმისა.

სხვათა შორის, რაც შეეხება ჩემ მიმართ წამოყენებულ ბრალდებებს სხვადასხვა მხრიდან — ულტრანაციონალისტებიდან, ნაციონალისტებიდან, რომლებიც შეიძლება მიიჩნევდნენ, რომ, თუ რომელიმე ქართველ მწერალს აკრიტიკებ, ესე იგი ქართველთმოძულე ხარ; თუ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობ, სოროსელი ხარ. ახლა რაღას იტყვიან, უნივერსიტეტში რომ აღარ ვარ? **ყველაზე გულსატკენი კი ის იყო, რომ მთელ ამ კამპანიაში ჩართული იყვნენ ადამიანები, რომელთაც სასულიერო სასწავლებლები ჰქონდათ დამთავრებული, რომელთაც კარგად იციან სახარება. თუ მათ დაინახეს, რომ რომელიმე მღვდელს, ქრისტიანს შეეშალა, უნდა მოსულიყვნენ და ეთქვათ — მამაო თუ ძმაო, მგონი, აქ რაღაც არასწორად თქვი და მართლა ასე ფიქრობ? მეც შენდობას ვითხოვდი და ამით დამთავრდებოდა. იმ ვიდეორგოლებსაც ამოიღებდნენ.**

„ეძიებდეთ და ჰპოვებდეთო," — ნათქვამია. ვინც რასაც ეძებს, იმას პოულობს. ვინც ცუდს ეძებს, რომ როგორმე ქრისტიანობა ამოძირკვოს, ის, რა თქმა უნდა, მღვდლის კი არა, ქრისტეს სიტყვებში დაინახავს ცუდს. ქრისტეს სიტყვებშიც შეიძლება არატოლერანტობა დაინახონ, როცა ის ეუბნება ფარისევლებს, გველის ნაშობნი ხართო. ამას, სხვათა შორის, ფარისევლები „დიდი წარმატებით" აკეთებდნენ კიდეც — მათი მიზანი ხომ ქრისტეს „დამცირება" იყო. კითხვებსაც ისეთს უსვამდნენ, რომ „გამოეჭირათ" მაცხოვარი. **დღეს კი ცდილობენ, მღვდლების საუბარში იპოვონ ისეთი რამ, რითაც ეკლესიას „დააკნინებენ". ცდილობენ, ყველა სასულიერო პირს როგორმე ტალახი ესროლონ, ჩირქი მოსცხონ. ვინც სასულიერო პირის სიტყვაში ცოცხალ ღმერთს ეძებს, ვისთვისაც ცხოვრების საზრისი და მიზანი ცოცხალ ღმერთთან ურთიერთობა და ადამიანად მოსული ღვთის მოწაფეობაა, ის მღვდელმსახურის სიტყვაში კიდეც იპოვის სულიერ საზრდოს!** ჩვენ თუ რამე შეგვეშლება, გვქონდეს იმის ძალაც, ვაჟკაცობაც და სიმდაბლეც, რომ შენდობა ვითხოვოთ, მაგრამ, მეორეს მხრივ, ჩვენ ჩვენს გზას ვაგრძელებთ!

ქრისტიანობას მტრები არასოდეს დალევია და არც ახლა დაელევა, მაგრამ ჩვენი მიზანი არის ერთადერთი — მთელ სამყაროში ყველას გავაგებინოთ, რომ ცხოვრების მიზანი ცოცხალი ღმერთია, და ჩვენი ბედნიერება არის ცოცხალ ღმერთთან, ადამიანად მოსულ ღმერთთან ურთიერთობა, მასთან ერთობაში ყოფნა, მისი მოწაფეობა და ქრისტეს თვალებით ყურება ამ სამყაროსთვის, რაც არის დასაწყისი მარადიული სიცოცხლისა. ჩვენი მიზანია, ნებისმიერ თემას, რასაც არ უნდა შევეხოთ, მხოლოდ ერთი მიზანი აქვს — ქრისტე ვიპოვოთ და ჩვენი სიტყვით ძე ღმერთი იდიდებოდეს. ვისაც სხვა მიზანი აქვს, ის იმას იპოვის, რაც უნდა. ჩვენ, პირველ რიგში, ვქადაგებთ იმათთვის, ვინც ცხოვრების მიზანს, ცხოვრების საზრისს ეძებს, და ვცდილობთ, რომ ეს საზრისი ყველას ჰქონდეს, მათ შორის — ჩვენს მტრებსაც.

**— თქვენი კრიტიკა და, მე ვიტყოდი, უკვე აკვიატებულიც კი, იქამდე მივიდა, რომ თქვენს წარმომავლობას შეეხნენ — გვარად გიგნაძე კი არაა, კალოვიო...**

— ჩემი წინაპრების საფლავები თბილისშია — ერთი საბურთალოს სასაფლაოზე და მეორე — შავნაბადას მხარეს. წავიდნენ და ნახონ! ამაზე მხოლოდ გავიცინებ და სხვა კომენტარს აღარ გავაკეთებ...

ღმერთი ყველას შეგვეწიოს, ამინ!

ესაუბრა
**შორენა სიხარულიძე**

**«ვინც სასულიერო პირის სიტყვაში ცოცხალ ღმერთს ეძებს, ვისთვისაც ცხოვრების საზრისი და მიზანი ცოცხალ ღმერთთან ურთიერთობა და ადამიანად მოსული ღვთის მოწაფეობაა, ის მღვდელმსახურის სიტყვაში კიდეც იპოვის სულიერ საზრდოს!»**

ჩელიბია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თავადების გაუთავებელმა პარპაშმა არაერთხელ მიიყვანა ქვეყანა დაღუპვამდე და საბოლოოდ საუკეთესო შვილების როლიც საბედისწერო აღმოჩნდა. ვისაც არ ეყო რწმენა, ქრისტესთვის წამებულიყო და ეკლის გვირგვინი დაედგა, „მოღალატეთა“ რიგებში ჩაეწერა და ძალიან ბევრი კითხვა დაგვიტოვა.**



# ვიდრე მამლის ხმობამდე

**„მამამან შენმან აღჰმართა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშენა, და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყვნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი. მამამან შენმან წმიდანი შემოიხვნა სახიდ თვისა, ხოლო შენ დევნი შემოიხუენ. მან ღმერთი ცათაი და ქვეყანისაი აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცგჰყავ. და თუ მრავალი ტანჯვაი მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა“...**

ქრისტეს უარმყოფელი ვარსქენი იმ ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც სარწმუნოებასაც პირადი ინტერესებისთვის იყენებენ და მისთვის სულ ერთია, ცეცხლთაყვანისმცემელი მოკვდება თუ, უბრალოდ, რჯულით ქრისტიანი, მაგრამ მაინც გამყიდველი. **რა უფრო მნიშვნელოვანია — ის, რომ დასაბამიდან ქრისტიანად იწოდები, თუ ის, რომ სულ „სხვაგან“ დაიბადე და წარმომავლობაც კი უარყავი, ოღონდ ქრისტეს ნათელი შეგემოსა. რა აცხოვნებს ადამიანს, მხოლოდ ნათლისღება თუ ნათლისღების შემდეგ მისი თავისუფალი ნება და სარწმუნოებრივი მსოფლგაგება? რა არის რწმენა? ვინ იწოდება მორწმუნედ და რა უნდა ვირწმუნოთ? „რწმენა ნიშნავს ღმერთთან პიროვნულ ურთიერთობას, რომელიც ჯერ არასრული და მერყევია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რეალურია. ეს არის ღვთის ცოდნა არა როგორც თეორიისა ან აბსტრაქტული პრინციპისა, არამედ როგორც პიროვნებისა, რომლის ცნობა ბევრად მეტია, ვიდრე მის შესახებ ფაქტების ცოდნა“.**

უფლის ცნობა და შეცნობა სულიერ ბრძოლასთან და „მიგნებასთან“ არის დაკავშირებული. ხანგრძლივი „მოგზაურობის“ შემდეგ, მივადგებით ჩვენთვის ჯერ არ აღმოჩენილ ბილიკს, რომელიც „უმნიშვნელო“ და გაუკვალავია, თუმცა გვიზიდავს, რადგან ახალი და, შესაბამისად, ალბათ, საინტერესოცაა. მივყვებით ინტერესით ამ ვიწრო საცალფეხო აღმართებს და, რაც უფრო გვიჭირს ასვლა, მით მეტად გვიპყრობს ინტერესი, რაღაც განსაკუთრებულის აღმოჩენისა. ბილიკი იმდენია, რამდენიც მისი აღმომჩენის მსურველი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და ერთი იდეის მატარებელი. ჩვენი ნაფეხურების გარდა, პერიოდულად ვამჩნევთ უფრო გაბედულ და მყარ ნაბიჯებს, თუმცა სახელს ვერ ვარქმევთ, მაინც ვაკვირდებით და გვიკვირს, ან საიდან ჩნდება, ან სად იკარგება. ბოლოს, როცა ყველა ერთად მივადგებით იმ ადგილს, სადაც ის უნდა „დავინახოთ“, რის გამოც ამდენი ვიარეთ, ვხვდებით, რომ საკუთარ თავთან მოგვიხდა შეხვედრა.

ეს გასავლელი ბილიკის რაღაც ეტაპია, სადაც უნდა გადაწყდეს, შევისვენებთ თუ, საკუთარ თავთან შერიგებულები, უფრო დიდი ინტერესით განვაგრძობთ სიარულს, გზა — არა, ბილიკი (რადგან გზამდე ჯერ შორია) უფრო გვიგრძელდება და უფრო მეტი ეკალ-ბარდებია, მაგრამ ის მეორე ნაფეხურები ისევ მოგვდევს და, როცა ვფიქრობთ, რომ მორჩა, ამის იქით „გზა მოგვეჭრა“, მაშინ რაღაც სიხარულით ვივსებით და უფრო გვიადვილდება ულლის ტარება, რომელსაც კონკრეტულ სახელს ვერ ვარქმევთ. თუმცა გულის სიღრმეში, რაღაც იწყებს სისხლთან ერთად მოძრაობას, რაც გზის სიშორესაც გვიადვილებს და განსაცდელის გადატანაც თავისუფლად ხდება. **ეს არის რწმენა, როგორც ადამიანის სულის არსებობის სიმბოლო და საბოლოოდ კი რჩება ბილიკის ბოლოს ახალი გზის დასაწყისი და (უკვე გზა გამოჩნდა) ინტერესი იმისა, გაქრება თუ არა ის ნაფეხურები, „აქამდე“ რომ მოგვაცილა. ეს უფლის ნაფეხურებია, როცა ძალიან გვიჭირდა, ხელში აყვანილს გვატარებდა, რომ ნუგეშად მოსულიყო.**

„მწამს ერთი ღმერთი“ —ასე დაიწყო სამება ერთარსების ძიება და მისთვის თავდადება. სარწმუნოება, როცა ერის იდეოლოგიად იქცევა, იქ ორმაგი პასუხისმგებლობა არსებობს და მტერიც უფრო ფხიზელი გონებით ცდილობს სტატეგიის შემუშავებას. საყრდენ ძალად შიგნით იყენებს მოღალატეს, აწარმოებს გარიგებას და გადადის მორიგ შეტევაზე. **„მაშინ წარვიდა ერთი იგი ათორმეტთაგანი, რომელსა ერქუა იუდა ისკარიოტელი, მღვდელთმოძღვართა მათ და ჰრქუა: „რაი გნებავს მოცემად ჩემდა, და მე მიგცე იგი?“ ხოლო მათ მიუწონეს მას ოცდაათი ვერცხლი. და მიერითგან ეძიებდა ჟამსა მარჯვესა, რაითა მისცეს იგი მათ“.** იუდას როლი ვარსქენმა მოირგო და, ცოლის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიების გატარებით, ქვეყნის ბედიც სამომავლოდ გადაწყვეტილი იყო. ვარსქენმა მამამისის („კაცი პატივცემული და ღმრთისმოყვარე“, რომლის დროსაც „სამარტვილენი“ აშენდა,) ბილიკს გადაუხვია და მამონას გზა არჩია. ჩვენ არ ვიცით, ზუსტად რა სურდა ვარსქენს, რისკენ ისწრაფოდა, მაგრამ ზოგადად მისი პოლიტიკის განსაზღვრა მაინც ხერხდება.

აშკარაა, რომ ვარსქენი იბრძვის ქართლის ცენტრალურ ხელისუფლებასთან. შესაძლოა, იგი იბრძვის თავის სამფლობელოში განმტკიცებისთვის ან სრული შეუვალობის მოპოვებისთვის. არაა გამორიცხული, რომ იგი მეტოქეობას უწევდეს თვით მეფესაც კი. როცა ვარსქენზე ვსაუბრობთ, ვამბობთ, რომ იგი მოღალატეა, რენეგატი, ირანელთა დასაყრდენი ქართლში, რაც თავისთავად სწორი შეფასებაა, მაგრამ ვარსქენი, ალბათ, თავისი გადასახედიდან ცდილობს, ირანი გამოიყენოს. იაკობის თანახმად, ქრისტიანობისგან განდგომაში ინიციატორია თვით ვარსქენი. ირანელების მხრივ, არაფერი გაკეთებულა იმისთვის, რომ ვარსქენი გადაებირებინათ. **„ვინ არა სტიროდის მას, რომელსა არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახვილი, არც პყრობილებაი ქრისტესთვის“,** ანუ ყველაფერი ვარსქენის ინიციატივით ხდება, რადგან ირანის დახმარება სჭირდება, რომ ზურგი გაიმაგროს. ცხადია, თვითონაც რაღაც სამაგიეროს უთუოდ შეჰპირდებოდა, ქართლის „მოქცევა“ ოჯახიდან უნდა დაეწყო და ამით დაამტკიცებდა ირანის წინაშე ერთგულებას. მან სარწმუნოებით დაიწყო ვაჭრობა ირანის სახელმწიფოსთან და ამიტომაც შეუდგა შუშანიკის წამებას.

**„და ვიდრე იგი იტყოდაღა, აჰა, ესერა, იუდა, ერთი იგი ათორმეტთაგანი, მოვიდა და მის თანა ერი მრავალი მახვილებითა და წათებითა მღვდელთმოძღვართაგან და მოხუცებულთა ერისათა. ხოლო მომცემელსა მას მისსა მიეცა სასწაულად და ჰრქუა: „რომელსა მე ამბორს უყო, იგი არს, შეიპყართ იგი“. და მეყსეულად მოუხდა იესუს და ჰრქუა: „გიხაროდენ, მოძღუარ“! და ამბორს-უყო მას. ხოლო იესო ჰრქუა მას: „მოყუასო, ყავ, რომლისათვისცა მოსრულ ხარ?“ მაშინ მოუხდეს და დაასხნეს ხელნი მათნი იესუს ზედა და შეიპყრეს იგი“.** შუშანიკსა და ვარსქენს შორის უთანხმოება ჯერ კიდევ ამ უკანასკნელის ირანში წასვლამდე დაიწყო. ალბათ, ეს უთანხმოება სარწმუნოებრივ ნიადაგზე იყო აღმოცენებული. ვარსქენს, ეტყობა, დიდი ხნის წინ ჰქონდა გადაწყვეტილი რჯულის უარყოფა და ცეცხლთაყვანისმცემლობის მიღება, ირანში ჩასვლა კი ამის უტყუარი შედეგი იყო. ვარსქენის განდგომის ამბავს რომ გაგიგებს შუშანიკის მოძღვარი იაკობი, სასწრაფოდ მივა თავის სულიერ შვილთან. მოწაფესა და მოძღვარს შორის იმართება უაღრესად საინტერესო საუბარი, შუშანიკი მიუგებს: **„ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე საქმეთა და ცოდვათა ვარსქენისთა“.**

მეორე დღეს ვარსქენმა თავისთან დაიბარა ხუცესები, საინტერესოა, რომ ქრისტიანობისგან განმდგარი პიტიახში საჭიროდ სცნობს, პირველი შეხვედრა სწორედ ქრისტიანული ეკლესიის მსახურებთან მოაწყოს, ხუცესებთან, მათთან, ვისაც საქმე აქვს ხალხის ფართო მასებთან. მღვდლები პირდაპირ მიახლიან ვარსქენს, ეს რა ქენი, შენი თავიც დაიღუპე და ჩვენც დაგვღუპეო. აქ უკვე გამოიკვეთა ერისა და ეკლესიის ინტერესები, ვინაიდან ვარსქენი, ქვემო ქართლის პიტიახში, მისი სარწმუნოების შეცვლით ისეთივე საშიში მტერი იყო ქვეყნისთვის, როგორც მაზდეანი ირანი.

**ვარსქენისა და შუშანიკის პიროვნება იმდროინდელი ქართლის რეალური სურათის დასანახად კლასიკური მაგალითია. ერთ მხარეს მარტვილობისთვის გამზადებული შუშანიკი ის ნაწილია, რომელმაც ქალკედონის საეკლესიო კრებაზე ქრისტეს ორი ბუნება აღიარა და მის დაცვასაც შეუდგა; მეორე მხარეს კი ქართლის საზოგადოების ის ფენა დგას, რომელიც ირანელების მიერ ანთებულ სარწმუნოების ცეცხლში ხელებს ითბობს და, დაწინაურების მიზნით, მზად არის, მამაპაპისეული რჯული უარყოს. საბოლოოდ კი ყველაფერი ვახტანგ გორგასლის მიერ 482 წელს ვარსქენის მოკვლით მთავრდება. ირანს სერიოზული საყრდენი გამოეცლება ქართლში ვარსქენის სახით და ამიერკავკასიისთვის ბრძოლაც წარუმატებელია. ყველა ეპოქას, სირთულეების მიუხედავად, უფალი მოუვლენს ჭეშმარიტ გმირებს და სწორედ მათი ძალისხმევით იწყება „ბნელსა შინა მზის გამოჩინება“.**

ერთი შეხედვით, ვარსქენის გამაზმადეანებით ქვეყანაში მდგომარეობა არ შეიცვლებოდა, ვინაიდან ეს გადაწყვეტილება პიროვნულად მიიღო და ამაში საფრთხეს ვერ ხედავდა, სინამდვილეში კი, როგორც აბსოლუტური ძალაუფლებისთვის მებრძოლი, ვარსქენი ირანისგან მხარდაჭერას ვერ მიიღებდა, თუ ერის ხელახალი „მოქცევა“ არ მოხდებოდა. სწორედ ამ დროს წმინდა მეფე ვახტანგმა ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია მოუპოვა, საგარეო პოლიტიკაში წარმატებისთვის, ჯერ შიგნითმყოფი მოღალატეები უნდა დაესაჯა და მერე ეფიქრა მომავალ წინსვლაზე. სწორედ იმ დროს დაარსდა 13 საეპისკოპოსო, აქედან ოთხი ქვემო ქართლში არსებობდა. ეს კუთხე, როგორც სამხრეთის კარიბჭე, მუდმივად მტრის ინტერესების სფეროში შედიოდა. ამიტომ მისი დაცვა არამარტო მეციხოვნეების შემართებაზე იყო დამოკიდებული, არამედ ახლადდაარსებული საეპისკოპოსოების მწემსმთავრებზე. ისე კი, მოღალატურ და მზაკვრულ პოლიტიკას შეეწირა ერთ-ერთი დაწინაურებული ცურტავის ეპარქია, სადაც წმინდა შუშანიკიდან მოყოლებული, ორენოვანი წირვა-ლოცვა აღესრულებოდა, ვითარცა „ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“. სწორედ ამის გამოყენება სურდა ირანს სომხეთსა და ქართლს შორის განხეთქილების ჩამოგდებით.

**ეს ორი მოძმე ერი, არა მარტო პოლიტიკურად და ტერიტორიულად, არამედ რელიგიურადაც დაუპირისპირდა ერთმანეთს. ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ დაირღვა კავკასიის სახელმწიფოების რელიგიური ერთობა.** ▶

**ყველა ეპოქას, სირთულეების მიუხედავად, უფალი მოუვლენს ჭეშმარიტ გმირებს და სწორედ მათი ძალისხმევით იწყება «ბნელსა შინა მზის გამოჩინება»**

მსოფლიო

## სალეხს ოპოზიციასთან მოლაპარაკებები სურს

**იემენის პრეზიდენტი ალი აბდულა სალეხი ოპოზიციას მოლაპარაკებათა მაგიდასთან იწვევს.** „ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია შექმნილი. პასუხისმგებლობა კი იმ პოლიტიკურ პარტიებს ეკისრება, რომლებსაც ხელისუფლებაში არალეგალური მეთოდებით მოსვლა სურთ,“ — აცხადებს სალეხი და ოპონენტებთან ხელისუფლების გადაცემის მექანიზმებზე მოლაპარაკებას გეგმავს. ანტისახელისუფლო გამოსვლები ალი აბდულა სალეხის გადადგომის მოთხოვნით იემენში თებერვლიდან მიმდინარეობს. ამ ხნის განმავლობაში პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის შეტაკებებს ასობით ადამიანი ემსხვერპლა.

## ტაილანდში წყალდიდობას 500 ადამიანი ემსხვერპლა

**ტაილანდში წყალდიდობას უკვე 500-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.** ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ბანგკოკში მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება. ქალაქში კვების პროდუქტებისა და სასმელი წყლის დეფიციტია. დატბორილია დედაქალაქის მეხუთედი. ხელისუფლება ცდილობს, ქალაქის დატბორვა შეაჩეროს და დამცავ ბარიერებს ამონტაჟებენ. ტროპიკული შტორმი ტაილანდს 5 ივლისიდან უტევს. დაზარალებულია 3 მილიონზე მეტი ადამიანი. ზარალი ამ დროისთვის 16 მილიარდ დოლარს აჭარბებს.

**„ხალხს სულიერად სძინავთ, როცა უზრუნველად ხუჭავენ გონების თვალს და სურთ, უმზირონ სახარების ჭეშმარიტ ნათელს, როცა, სიზმარში მეოცნების მსგავსად, ვერ მართავენ თავიანთ აზრებს, ლაგამს ვერ დებენ თავიანთ სურვილებს. იმათ სძინავთ, მტერი კი იპარება ღმრთისა და მისი მცნების დავიწყებისას სიბნელეში და თესავს თავის ღვარძლს“.**

# რელიგია

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «ეშმაკი ღვარძლს სთესს ფარულად, შეუმჩნევლად, როცა ადამიანებს სძინავთ, როცა არასაიმედოდ იცავენ ყანას იქ დადგენილი დარაჯები, ანუ ქვეყნის მესვეურები, როცა თვით მორწმუნენიც ცხოვრობენ უზრუნველად, ზედმეტად მინდობილნი უსმენენ ყოველგვარ თვითმარქვია მასწავლებლებს და თავად იქცევიან ღვარძლად ღვთის ყანაში, ეშმაკის მსახურებად — «ძენი უკეთურისანი»

◀ სომხეთში მონოფიზიტობამ გაიმარჯვა. **განსაკუთრებით გართულდა ვითარება VII საუკუნის დასაწყისში. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ცურტაველი ეპისკოპოსი მოსე, წარმოშობით სომეხი, რომელიც მონოფიზიტობას უჭერდა მხარს, გაიქცა სომხეთში და დახმარება ითხოვა. სომხეთის ეკლესია ქართლის ეკლესიას ბრალს სდებდა რწმენის დამახინჯებაში. ქართლის კათალიკოსი ძალზე ჭკვიანურად და ფრთხილად მოქმედებდა. პოლიტიკური სიტუაცია ქართლისთვის საზიანო იყო. მონოფიზიტ სომხეთის უკან ირანი ედგა, დიოფიზიტური ბიზანტია დასუსტებული იყო დ ანგარიშგასაწევ ძალას აღარ წარმოადგენდა, თუმცა ქართლის კათალიკოსმა წარმატებით გაართვა თავი სომხეთთან რელიგიურ შუღლს, რომელიც საბოლოოდ 608 წელს საეკლესიო განხეთქილებით დასრულდა.**

ეს იყო იმის გაგრძელება, რაც თავის დროზე ვარსქენმა წამოიწყო. როგორც ჩანს, მისი აღმსარებლობა, პიროვნულზე მეტად, ერის ინტერესებზე იმოქმედებდა, რადგან სწორედ მან აღმართა პირველი კედელი მოძმე ერთა შორის, რაც საუკუნოდ შედუღაბდა. შედეგად მოხდა ის, რომ ირანმა სომხეთის ეკლესიას საბოლოო განაჩენი გამოუტანა და ქვემო ქართლშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპარქია „აღიგავა პირისაგან მიწისა“, როგორც სიმბოლო, დიდებულთა პირადი ანგარიშსწორებისა და უფალთან გაუცხოებისა. დაირღვა პირველი მცნება და ღმერთსა და იმდროინდელ ქართულ აზროვნებას შორის არაფერი იყო „საერთო“. **„მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე“. შუშანიკი-ქართლი, ვარსქენი-ირანი, ანუ იგივე გაყიდული ქართლი, ერთმანეთთან ჭიდილში გაუცხოვდა, გაიცა და დაიხლიჩა. მოწამე აფოცს და ჯოჯიკს ასე მიმართავს: „კაცნო ბრძენო, თქუენ კეთილად იტყვით, გარნა ნუ დაგიჯერებიეს, თუმცა მე მისა ცოლადღა ვიყავ. მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი ჭეშმარიტი აღიაროს, და აწ მე მაიძულებთ ამას ყოფად? ნუ იყოფინ ესე ჩემდა!“**

შუშანიკმა იცის, რომ იგი **„ვითარცა ყვავილი ისე დაჭკნება“,** მაგრამ უფალს ვერ უღალატებს და ადვილად ვერ მოექცევა ირანის გავლენის ქვეშ; ისიც კარგად იცის, რომ ისეთ ხელშია, რომლის საფუძველია ძალადობა. დიახ, **„ყვავილი ჩემი დააჭნო, შუენიერებაი სიკეთისა ჩემისაი დააბნელა და დიდებაი ჩემი დაამდაბლა“.** დედოფალმა გაიგო ვარსქენის განდგომის ამბავი, შუშანიკი აფასებს მომხდარს: **„ჩემდა მარტოისა არიან ჭირნი ესე“!** რატომ მხოლოდ მისი ჭირი, ნუთუ ვარსქენის განდგომას ეკლესიისთვის და ქვეყნისთვის არავითარი შედეგი არ უნდა გამოეღო, ამის საწინააღმდეგოდ იაკობი ამბობს: **„ჭირი შენი ჭირი ჩვენი არს და სიხარული შენი სიხარული ჩვენი არს“.** ამიტომ ეუბნებიან ვარსქენს ხუცესები: **„წარსწყმიდე თავი შენი და ჩვენცა წარგუწყმიდენ“. ამ სიტყვების ჭეშმარიტებას მაშინ ვწვდებით, როცა ვიწყებთ ცურტავის ეპარქიის მოძიებას და ის მხოლოდ წარსულიდან გვიმზერს „ჩამოხეული“ ისტორიით, სწორედ ვარსქენის მიერ გამოგონილ „თამაშებს“ შეეწირა მისი სიდიადე.**

**თავადების გაუთავებელმა პარპაშმა არაერთხელ მიიყვანა ქვეყანა დაღუპვამდე და საბოლოოდ საუკეთესო შვილების როლიც საბედისწერო აღმოჩნდა. ვისაც არ ეყო რწმენა, ქრისტესთვის წამებულიყო და ეკლის გვირგვინი დაედგა, „მოღალტეთა“ რიგებში ჩაეწერა და ძალიან ბევრი კითხვა დაგვიტოვა.** რატომ გახდა ტაშისკარის გმირი მეფის „ორგული“ და ქვეყნის „გამყიდველი“? რატომ მოჰყვა მარტყოფს (გამარჯვება) მარაბდა? (ისევ ღალატი) ვინ მოაწყო ბაზალეთის ტრაგედია? რას ერჩოდა აბელს კაენი?

სინამდვილეში **„თავადთა და დიდებულთა ქართლისათა და რომელიცა არა იყო მოურავის მოყვარე იწყინეს და დაუწყეს ბეზღობა მოურავსა... და უმეტესად სუფრაჯმან შადიმან ბარათაშვილმან, დაუცადებლად დაუწყო ბეზღობა მოურავსა“.** თუ ქეთევანობა ერის ჯვარია, შადიმანობაც გვიტვირთავს და კარგადაც გამოგვსვლია, **„თუ ჭკვიანი კაცი გამოგვერია, ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“.** შადიმანს მეფეზე „შესტკიოდა“ გული და სააკაძეს მეფის ღალატს აბრალებდა, ლუარსაბისგან დედოფლის განშორებასა და სააკაძის მოკვლის დასტურს ითხოვდნენ — **„დალაცათუ არა ენება მეფესა მოურავის გამომეტება, არამედ დიდად აიძულეს“.** ამის შემდეგ მეუღლესაც გააშორეს — **„დიდად უბრალო იყო მეფე და არა სწადოდა განტევებაი ღმრთისაგან მოცემულისა მეუღლისა, დიდად მიაჭირვეს სიტყვითა, და დაჰყვა მეფე რცევასა მათსა და უბრძანა განტევებაი“.**

საბოლოოდ კი ასე მოტყუებით მეფის ბედიც უნდა გადაეწყვიტათ „შადიმანებს“. ირანის შაჰმა თავისთან დაიბარა ლუარსაბის გამზრდელი შადიმან ბარათაშვილი და უთხრა: მომიყვანე ლუარსაბი, არაფერს დავუშავებო; მეფე სვიმონის შვილიშვილს და მეფე გიორგის შვილს ავსა და ურიგოს როგორ ვკადრებო, პირიქით — თავისსასაც დავუბრუნებ და სხვისსასაც დავუმატებო; დაიჯერა შადიმანმა, **„მეფე ლუარსაბს ყაენი დიდს წყალობას უზამსო და კიდეც შეირიგებსო“.** მან შადიმანს თავისი ერთგული ხოჯა გააყოლა და თან წერილი და ოქროთი მოოჭვილი ხმალი გაატანა ლუარსაბთან „მეგობრობისა და პატივისცემის“ ნიშნად. **„ემსგავსა სასუფეველი ღმრთისაი კაცსა, რომელმან დასთესა თესლი კეთილი აგარაკსა თვისა. და ვითარცა დაიზინეს კაცთა მათ, მოვიდა მტერი მისი და დასთესა ღვარძლი შორის იფქლსა მას და წარვიდა. და ოდეს აღმოსცენდა ჯეჯილი იგი და ნაყოფი გამოიღო, მაშინ გამოჩნდა ღუარძლი იგი.Mმოვიდეს მონანი იგი და უთხრეს სახლისა უფალს მას და ჰრქუეს: უფალო, ანუ არა თესლი კეთილი დასთესეა აგარაკსა შენსა? ვინაი აღმოსცენდა ღუარძლი? ხოლო მან ჰრქუა: მტერმან კაცმან ჰყო იგი. ხოლო მონათა მათ ჰრქუეს მას: გნებავსა, რაითა მივიდეთ და გამოვარჩიოთ იგი? ხოლო მან ჰრქუა მათ: არა ნუუკუე შეკრებასა ღუარძლისასა აღმოჰფხურათ იფქლიცა. აცადეთ იგი თანააღორძინებად ურთიერთას, ვიდრე ჟამამდე მკისა, და ჟამსა მკისასა უბრძანო მომკალთა მათ: შეკრიბეთ პირველად ღვარძლი იგი და შეკართ ძნეულად, რაითა დაიწუას იგი; ხოლო იფქლი იგი შეკრიბეთ საუნჯესა ჩემსა“... „ღვარძლნი იგი არიან ძენი უკეთურისანი; ხოლო მტერი იგი, რომელმან დასტესა იგი, ეშმაკი არს“.**

**„ეშმაკი,** — წერს წმინდა იოანე ოქროპირი, — **ვიდრე ვერ ხედავს, რას მიემსგავსოს, არაფერს იწყებს; ისიც კი არ იცის, საქმეს როგორ შეუდგეს. ამიტომაც ახლაც, შეამჩნევს რა, რომ დათესილსა და ფესვგადგმულის მოტაცებას ვერ შეძლებს, ვერ ჩაახშობს, ვერ დაწვავს, იგონებს სხვა სახის სიცრუეს, კერძოდ თესავს საკუთარ თესლს“.** იგი ღვარძლს სთესს ფარულად, შეუმჩნევლად, როცა ადამიანებს სძინავთ, როცა არასაიმედოდ იცავენ ყანას იქ დადგენილი დარაჯები, ანუ ქვეყნის მესვეურები, როცა თვით მორწმუნენიც ცხოვრობენ უზრუნველად, ზედმეტად მინდობილნი უსმენენ ყოველგვარ თვითმარქვია მასწავლებლებს და თავად იქცევიან ღვარძლად ღვთის ყანაში, ეშმაკის მსახურებად — „ძენი უკეთურისანი“.

**„ხალხს სულიერად სძინავთ, როცა უზრუნველად ხუჭავენ გონების თვალს და სურთ, უმზირონ სახარების ჭეშმარიტ ნათელს, როცა, სიზმარში მეოცნების მსგავსად, ვერ მართავენ თავიანთ აზრებს, ლაგამს ვერ დებენ თავიანთ სურვილებს. იმათ სძინავთ, მტერი კი იპარება ღმრთისა და მისი მცნების დავიწყებისას სიბნელეში და თესავს თავის ღვარძლს“.** განცხრომაში მყოფი ქართველი დიდებულები ადვილად ახდენდნენ გარიგებას მტრებთან და დაუფიქრებლად შეეძლოთ გაეყიდათ თუნდაც თავიანთი აღზრდილი მეფეები. ნეტავ, რამდენად ფასობდა ოცდაათი ვერცხლი, რომ ყველაფერი მისი სახელით იყიდებოდა. **„უკეთუ კეთილ არს წინაშე თქუენსა, მოეცით, აღწონეთ სასყიდელი ჩემი, ანუ უკუნ თქვით. და აღწონეს სასყიდელი ჩემი ოცდაათი ვერცხლი“.** მღვდელმთავრებთან წარმდგარი იუდა მაშინვე გამოთქვამს თავის ანგარებიან სურვილს. შეიყვანეს თუ არა დარბაზში, სადაც შეიკრიბა რამდენიმე წევრი სინედრიონისა, იუდამ მიმართა და **„ჰრქუა: რა გნებავს მოცემად ჩემდა, და მე მიგცე იგი?“** პირდაპირ გააცხადა, რომ მას სურდა ფული და ფულის გამო მზად იყო, გაეცა თავისი მასწავლებელი. **„იგი არ ითხოვს რაიმე განსაზღვრულ ფასს, რათა, რაც შეიძლება მეტად გაეყიდა უფალი,** — ამბობს ნეტარი იერონიმე, — **არამედ ფასის დადებას უტოვებს მსყიდველთ, ისე თითქოს ყიდდა მონას საძულველს“.**

**„რა გნებავს მოცემად ჩემდა, და მე მიგცე იგი“...**

**როგორი უგუნურობაა! რისთვის ისურვე, მითხარი მე? რა ბრალისთვის, დიდისა თუ პატარისთვის გასცემ მასწავლებელს? იქნებ იმისათვის, რომ მან მოგცა უფლება დემონებზე? იქნებ იმისათვის, რომ მან მოგანიჭა შენ სნეულებათა განკურნების მადლი, კეთრისგან განწმენდის უნარი, მკვდრების აღდგინების ნიჭი? ოი, უგუნურება ან, უკეთ თუ ვიტყვით, ოი, ვერცხლისმოყვარეობავ, რამეთუ ყველა ბოროტება მისგან არის შობილი, მას დემონებზე უფრო მეტად მოჰყავს სული მძვინვარებაში. როცა ეუფლება, აიძულებს, დაავიწყოს ყველაფერი — თავიც, მოყვასიც და ბუნების კანონებიც, ართმევს გონებას და კაცს სულელსა ხდის“** (წმ. იოანე ოქროპირი). წაერთვა გონება შადიმანს და მისი აღზრდილი მეფე მტარვალს გადასცა საწამებლად, აკი „უფრთხილდებოდა“ მის სამეფო წარმომავლობას და სააკაძის და მისთვის ეცოტავებოდა, ვინაიდან ერთი უბრალო აზნაური იყო. არა მგონია შადიმანის დანაშაულზე მეტი სიმძიმის ყოფილიყო ლუარსაბის სიყვარული გიორგის დისადმი.

**„განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიახში მუნ, სადა იგი არა არს თვალღებაი წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაისა და მეუფისა მის მეუფეთაისა, სადა არა არს რჩევაი მამაკაცისა და დედაკაცისაი, სადა მე და მან სწორი სიტყუაი ვთქვათ წინაშე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეისა... და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის. ხოლო მე აწ ამას ვჰმადლობ ღმერთსა, რამეთუ ტანჯვითა მისითა მე ლხინებაი ვპოო და გვემათა და თრევათა მისთათვის მე განსვენებასა მივემთხვიო, და უგულისხმოებისა და უწყალოებისა მისისათვის მე წყალობასა მოველი, იესუ ქრისტეის მიერ უფლისა ჩემისა“...**

**მამა პეტრე**
**(კვარაცხელია)**

**განცხრომაში მყოფი ქართველი დიდებულები ადვილად ახდენდნენ გარიგებას მტრებთან და დაუფიქრებლად შეეძლოთ გაეყიდათ თუნდაც თავიანთი აღზრდილი მეფეები. ნეტავ, რამდენად ფასობდა ოცდაათი ვერცხლი, რომ ყველაფერი მისი სახელით იყიდებოდა**

## კალათბურთის მატჩს 8 ადამიანი შეეწირა

**მექსიკაში კალათბურთის მატჩზე შეიარაღებულ თავდასხმას 8 ადამიანი ემსხვერპლა, ათამდე დაჭრილი კი ადგილობრივ საავადმყოფოებში გადაიყვანეს.**

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, მატჩის მიმდინარეობისას მოედანზე ნიღბიანები შეიჭრნენ და შეიარაღებულ პირებს მიუთითებდნენ, ვისთვის ესროლათ. მსხვერპლი არის როგორც სპორტსმენებს, ისე მაყურებლებს შორის. სინალოას შტატის პროკურორის თქმით, დანაშაული ადგილობრივი დანაშაულებრივი დაჯგუფებების დაპირისპირების მორიგი ეპიზოდია.



## ლუკაშენკო: ნატო ფაშისტებზე უარესად მოიქცა

**ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო აცხადებს, რომ ნატო მუამარ კადაფის იმაზე უარესად მოექცა, ვიდრე ფაშისტები იქცეოდნენ ომის პერიოდში.** „ნატოს სპეცდანიშნულების რაზმებმა ქვეყნის ხელისუფალი ხელში ჩაიგდეს, აწამეს, შეურაცხყოფა მიაყენეს, ცინიკურად მოექცნენ, დაჭრილს ესროლეს, გააუპატიურეს, თავი მოუგრიხეს, ხელები გადაუგრიხეს და გააწამეს იმაზე უფრო უარესად, ვიდრე ფაშიტები იქცეოდნენ თავის დროზე,“ — განაცხადა ლუკაშენკომ. მისივე თქმით, ლიბია, როგორც სუვერენული სახელმწიფო, განადგურებულია.

## ევროპამ აშშ-ს უნდა მიბაძოს

**დიდი ოცეულის სამიტის დახურვისას საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ კიდევ ერთხელ მოუწოდა ყველას, არ შეწყვიტონ ძალისხმევა „ევროპისა და ევროს“ დასაცავად.** აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ მისმა ქვეყანამ ორი წლის წინ აქტიური ღონისძიებები გაატარა ფინანსური კრიზისის დასაძლევად და ევროპას მოუწოდა, აშშ-ს მიბაძოს. დიდი ოცეულის ლიდერები შეთანხმდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რესურსების გაზრდის თაობაზე. კონკრეტული გეგმა ამ მიმართულებით მომავალი წლის თებერვლისთვის უნდა მომზადდეს.

მოკლედ

## პაპანდრეუს მთავრობა გადარჩა

**საბერძნეთის პარლამენტმა მხარი დაუჭირა პრემიერ-მინისტრის — გეორგიოს პაპანდრეუს მთავრობას.** შესაბამისად, პარლამენტში პაპანდრეუსს მთავრობისადმი ნდობის გამოცხადების საკითხი ამჟამინდელი პრემიერის სასარგებლოდ გადაწყდა. პარლამენტის სხდომაზე პრემიერმა განაცხადა, რომ საბერძნეთისთვის ევროკავშირისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან ფინანსური დახმარების გამოყოფა დიდი მიღწევა იყო და რომ ქვეყანაში ვადამდელი არჩევნების ჩატარება კატასტროფის ტოლფასი იქნება.



## სირიაში შეტაკებები გრძელდება

**სირიაში სამხედროებსა და დემონსტრანტებს შორის დაპირისპირება გრძელდება.** სამხედროების მიერ ქალაქ ხომსზე მიტანილი იერიშის შედეგად 19 ადამიანი დაიღუპა. BBC-ის ინფორმაციით, ქალაქი ტანკებიდან იბომბებოდა. ხომსის საავადმყოფოში აცხადებენ, რომ მათთან ათობით დაჭრილი და დაღუპული შეიყვანეს. ბოლო დღეების განმავლობაში ქვეყნის მეთაური დათანხმდა ქალაქიდან სამხედრო ძალების გაყვანას, თუმცა შემდგომი მოვლენები ცხადყოფს, რომ ის საკუთარ პირობას არ ასრულებს.

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოსკოვის ქართული ახალშენის კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრება კიდევ უფრო ინტენსიური გახდა 1725 წლიდან, როდესაც ვახტანგ VI დიდი ამალით მოსკოვს ჩავიდა. მომავლის იმედით ჩრდილოეთისკენ გამგზავრებულ ქართველობას „უთუოდ ჰქონდა დასახული, სამხედრო-პოლიტიკურის გარდა, აგრეთვე, სასწავლო-კულტურული ამოცანები, რუსული კულტურის მიღწევათა ადგილზე გაცნობა და შეთვისება. უამისოდ გაუგებარი იქნებოდა იმდენად განათლებული კაცის ისე შორს გამგზავრება“.**

# ქართული მწერლობის კერები რუსეთსა და უკრაინაში

**XVII-XVIII საუკუნეები მრავალმხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. პოლიტიკური ორიენტაციის ხანგრძლივი ძიება საქართველოს რუსეთთან დაკავშირების გზით წარიმართა, რამაც გააზშირა ამ ორ ქვეყანას შორის მიმოსვლა და ურთიერთობა. საგარეო პოლიტიკის გართულებების გამო კი საქართველოს მმართველი წრეების წარმომადგენლებს თავიანთი მხლებლებით ხშირად უხდებოდათ ამ მხარეში არა მარტო გამგზავრება, არამედ ხანგრძლივად ყოფნა და ცხოვრება.**

ვახტანგ VI



არჩილ მეფე



სამშობლოს მოცილებული ქართველობა შორეულ მხარეშიც განაგრძობდა ლიტერატურულ-შემოქმედებით და მეცნიერულ საქმიანობას. ასე თანდათანობით ეყრებოდა საფუძვლები ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ კერებს რუსეთსა და უკრაინაში: მოსკოვში, პეტერბურგში, ასტრახანში, კრემენჩუგში, მირგოროდში, ლისკოვოში (ნიჟნი-ნოვგოროდში), მოზდოკში, ყიზლარში და სხვ. ამ კერებში სხვადასხვა დროს კულტურულ-ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და მოღვაწეები, ცნობილი სასულიერო პირები, მთარგმნელები და კალიგრაფები. ასე წარმოიქმნა XVIII საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა.

**ქართული ემიგრანტული მწერლობის წარმოშობა რუსეთსა და უკრაინაში ერთგვარი მოვლენა იყო ქართული აზროვნების ისტორიაში და წარმოადგენდა ქართული ლიტერატურის კანონზომიერი განვითარების ახალ საფეხურს.**

რუსეთში არსებულ ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ კერებს შორის თავისი საქმიანობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა მოსკოვის ქართული ახალშენი (კოლონია), რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XVII საუკუნის შუა წლებში, როდესაც იქ ჩავიდა კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ერეკლე ბატონიშვილი (ანუ, როგორც მას რუსეთში ეძახდნენ, ნიკოლოზ დავითის ძე). ქართველი ბატონიშვილის ამალის ზოგიერთი წევრი სამუდამოდ დარჩა მოსკოვში საცხოვრებლად და რუს დიდებულებს დაუმოყვრდა.

XVII საუკუნის მიწურულში მოსკოვში გაემგზავრა არჩილ მეფე. თავისი ოჯახითა და მახლობლებით იგი სამუდამოდ დასახლდა იქ და სათავეში ჩაუდგა ქართულ ახალშენს.

**რუსეთის ხელისუფლებამ ერთგულება აღუთქვა ქართველ ემიგრანტებს, გამოუყო საცხოვრებელი ადგილები და ფულადი დახმარება მისცა. პეტრე პირველის ზრუნვა ქართველობაზე გამოწვეული იყო გარკვეული პოლიტიკური მიზნებით. ქართველი ემიგრანტები დაუახლოვდნენ რუსეთის სამეფო კარს, ურთიერთობა დაამყარეს მოწინავე რუს პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან. მოსკოვის მახლობლად მდებარე ვსესვიატსკოეში მათ დააარსეს ქართული ახალშენი, რომელიც შემდეგში ერთგვარი თავშესაფარი გახდა საქართველოდან ჩასულთათვის.**

მოსკოვში მცხოვრები ქართველებისთვის კულტურის კერას თავდაპირველად წარმოადგენდა წმ. ნიკოლოზის ბერძნული მონასტერი, ხოლო როდესაც პეტრე I-მა არჩილს განკარგულებაში გადასცა დონის მონასტერი, არჩილმა იქ მიიზიდა განათლებული ქართველი საეკლესიო პირები, რომლებთან ერთად იგი ეწეოდა დაუცხრომელ და მრავალფეროვან მოღვაწეობას. შემდეგში კი, არჩილის სიცოცხლეშივე, ქართველების კულტურულმა საქმიანობამ თანდათანობით გადაინაცვლა სოფ. ვსესვიატსკოეში ანუ, როგორც მათ შეარქვეს, „სესენწკაში“ თუ „ვსესეწკაში“, ხოლო არჩილის გარდაცვალების შემდეგ ქართული სტამბაც აქვე იქნა გადმოტანილი. მოსკოვის ქართული კოლონიის წევრები მრავალმხრივ კულტურულ-ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ, ძირითადად კი, მათი საქმიანობა მთარგმნელობით მუშაობაში გამოიხატებოდა. ალექსანდრე არჩილის ძე, პეტრე ნექაძე, გაბრიელ ჩხეიძე, მელქისედეგ კავკასიძე, ბაგრატ სოლოღაშვილი, დავით თურქესტანიშვილი და ქართული ახალშენის სხვა წევრები, არჩილის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით, აქტიურად ჩაებნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ წამოწყებულ ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობაში. თვითონ არჩილი ენერგიას არ იშურებდა ქართული კულტურის განვითარებისთვის. მან საფუძველი ჩაუყარა მოსკოვში წიგნის ბეჭდვის საქმეს, რედაქციას უკეთებდა წიგნებს და თარგმნიდა რუსული ენიდან. არჩილმა შეაგროვა ქართული ბიბლიის სხვადასხვა ნუსხა, შეუდარა ისინი სლავურ ტექსტს და იქიდან ხელახლა გადმოთარგმნა ისო ზირაქისა და მაკაბელთა წიგნები, რომლებიც ქართულ ენაზე არ აღმოჩნდა. მისი დამზადებული მასალა შემდეგ საფუძვლად დაედო ბიბლიის ბაქარისეულ გამოცემას (1743 წ.). **1705 წელს არჩილმა სახაზინო სტამბაში დააბეჭდვინა ქართული „დავითნი“. არჩილმა რუსულიდან თარგმნა პეტრე მოგილას „მართლმადიდებელი აღსარებაი სარწმუნოებისა“, „ხრონოღრაფის“ მეორე ნაწილი (პირველი ნაწილი ბერძნულიდან გადმოიღო მღვდელ-მონაზონმა ბაგრატ სოლოღაშვილმა, ათონის ივერიის მონასტრის მოღვაწემ, რომელიც არჩილს საქართველოდან მოსკოვში გაჰყვა) და „ალექსანდრიანი“. არჩილ მეფეს თუ მის შვილს ალექსანდრეს რუსულიდან გადმოუთარგმნია ასკეტურ-მისტიკური ხასიათის კრებული — „წიგნი სასურველი“, რომელიც შედგენილი ყოფილა რუსთა მეფის — მიხეილ თევდორეს ძის დროს და მისი ინიციატივით. ალექსანდრე ბატონიშვილმა რუსულიდან თარგმნა სიმეონ პოლოცკის თხზულება და „ტესტამენტი“; გაბრიელ ჩხეიძემ 1707 წ. რუსულიდან გადმოიღო დიმიტრი როსტოველის (ტუპტალოს) თხზულება და ა.შ.**

**მოსკოვის ქართული ახალშენის კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრება კიდევ უფრო ინტენსიური გახდა 1725 წლიდან, როდესაც ვახტანგ VI დიდი ამალით მოსკოვს ჩავიდა. მომავლის იმედით ჩრდილოეთისკენ გამგზავრებულ ქართველობას „უთუოდ ჰქონდა დასახული, სამხედრო-პოლიტიკურის გარდა, აგრეთვე, სასწავლო-კულტურული ამოცანები, რუსული კულტურის მიღწევათა ადგილზე გაცნობა და შეთვისება. უამისოდ გაუგებარი იქნებოდა იმდენად განათლებული კაცის ისე შორს გამგზავრება“.**

ვახტანგთან ერთად საქართველოდან რუსეთში ჩავიდნენ საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, მეცნიერები, პოეტები, მწერლები, მთარგმნელები, კალიგრაფები, საეკლესიო პირები. ერთი სიტყვით, იმდროინდელმა რჩეულმა ქართული ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა რუსეთში მოიყარა თავი. **მათ შორის იყვნენ: სულხან-საბა ორბელიანი და მისი ძმები — ნიკოლოზ, დიმიტრი და ზაალ-ზოსიმე ორბელიანები, ვახუშტი და ბაქარ ბაგრატიონები, ონანა ქობულაშვილი, გაბრიელ გელოვანი, ოტია ფავლენიშვილი, მამუკა და თომა ბარათაშვილები და სხვ. შემდეგ მათ კვალს მიჰყვნენ დავით გურამიშვილი (1729 წ.), დიმიტრი სააკაძე (1734 წ.), ვახტანგ ორბელიანი (1737 წ.) და ა.შ.** ამრიგად, მოსკოვის ქართული ახალშენი შეივსო და გაიზარდა ახალი შემოქმედებითი ძალებით. ახალშენი თითქმის XIX საუკუნემდე განაგრძობდა შევსებას სამშობლოდან გადახვეწილთა ახალ-ახალი თაობებით.

ვახტანგისა და მისი თანამოღვაწეების მოსკოვში ჩასვლის შემდეგ ვსესვიატსკოე ქართველებისთვის კულტურის ძლიერ ცენტრად იქცა. აქ ფართოდ გაიშალა კულტურულ-ლიტერატურული და სამეურნეო მუშაობა. ლიტერატურის სიყვარულისა და მეცნიერული მუშაობის მაგალითს თვითონ ვახტანგი იძლეოდა. პოლიტიკაში დამარცხებული მეფე-პოეტი მთელ თავის ცოდნასა და დაუღალავ ენერგიას ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების აყვავების საქმეს ახმარდა. **ვახტანგმა მოსკოვში გალექსა ერასტი თურქესტანიშვილის მიერ რუსულიდან გადმოთარგმნილი აპოვთეგმების კრებული — „მოკლედ სიტყვის გება სოკრატისი“, რომელსაც „სიბრძნე მალაღობელი“ უწოდა. აქვე გალექსა მან დიდაქტიკური თხზულების „ამირნასარიანის“ პროზაული ვერსია, რომლის სპარსულიდან გადმოთარგმნა მასვე ეკუთვნის. იქ, რუსეთშივე დაწერა ვახტანგმა ლექსების დიდი ნაწილი.**

უშუალოდ ვახტანგის მითითებებით, ხოლო ზოგჯერ კი მისივე თანამონაწილეობით, მიმდინარეობდა სამეცნიერო-ტექნიკური შრომებისა და მხატვრული ნაწარმოებების შეთხზვა ან თარგმნა. ასეთ თხზულებებს საგანგებო წარწერაც აქვთ ხოლმე: „ოდეს მობრძანდა მეფე ვახტანგ ქალაქსა მოსკოვს, მან მიბრძანა და თვითონვ მანვე ქართულის ენით გაასწორა და ვრცლად დასწერაო“.

**ვახტანგის დავალებით მამუკა ბარათაშვილმა გალექსა პოემა „ჯიმშედიანი“ და დაწერა პირველი ქართული პოეტური ნაშრომი — „ლექს სწავლის წიგნი“ („ჭაშნიკი“), ერასტი თურქესტანიშვილმა რუსულიდან თარგმნა „აპოვთეგმატა“, მიხეილ ელივიჩმა თარგმნა „სივაკის ზომა ანუ პლანიმეტრია“, მელქისედეგ კავკასიძემ გადაწერა ვახტანგის თხზულებათა შემცველი ცნობილი ხელნაწერი და სხვ.**

**თავიანთი შრომებითა და თარგმანებით ქართველმა ემიგრანტმა მწერლებმა გაამდიდრეს ქართული მეცნიერული ლიტერატურა და ქართველებისთვის ხელმისაწვდომი გახადეს მოწინავე რუსული მეცნიერების იმდროინდელი მიღწევები.**

ვახტანგ VI-ის გარდაცვალების (1737 წ.) შემდეგ მალე ქართველი ემიგრანტების „ბედნიერებას“ ფრთები შეეკვეცა. ვახტანგის სახით მოსკოვის ქართველობამ დაკარგა არა მარტო ყოველგვარი კულტურულ-ლიტერატურულ წამოწყებათა სულისჩამდგმელი, მეთაური და ორგანიზატორი, არამედ ის დიდი იმედიც, რომელიც მათ ანუგეშებდა, მომავლისადმი რწმენას უნერგავდა და სამშობლოში დაბრუნებას ჰპირდებოდა. გარდა ამისა, რუსეთის მთავრობამ ქართველ ემიგრანტებს შეუწყვიტა ის ნივთიერი დახმარება, რომელსაც მანამდე აძლევდა და აიძულა ისინი რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღოთ.

**1738 წ. ჩამოყალიბდა ქართველ ჰუსართა შენაერთი, რომელიც შემდეგ პოლკად გადაკეთდა. რუსეთის მთავრობის სამხედრო და სამეურნეო ინტერესებმა განაპირობა ქართველების დასახლება უკრაინაში. სამხედრო სამსახურში შესულ ქართველებს რუსეთის ხელისუფლებამ უკრაინაში გამოუყო სამოსახლო ადგილები, რის გამოც ისინი უკრაინის ქალაქებში დასახლდნენ. მოსკოვში დარჩნენ ძირითადად ის ქართველები, რომლებმაც უარი განაცხადეს სამხედრო სამსახურში შესვლაზე. რუსეთის ხელისუფლებამ მათ ნივთიერ დახმარებაზე უარი უთხრა. ამიტომ ქართველი ემიგრანტები შემდგომში დიდ ეკონომიურ სივიწროვეს განიცდიდნენ.**

ერთის მხრივ, ვახტანგის გარდაცვალებამ, ხოლო მეორეს მხრივ, ქართული ემიგრაციის მიმართ რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, უარყოფითად იმოქმედა მოსკოვის ქართულ ახალშენზე. ვახტანგის გარდაცვალებით გამოწვეულ ემიგრანტთა სულიერ კრიზისს დაემატა მათი ძირითადი ბირთვის დაქსაქსვა-დანაწილება და რუსეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეში, უმეტესად უკრაინაში, გაფანტვა. ყოველივე ამან დაასუსტა ახალშენის შემოქმედებითი ძალები. მიუხედავად ამისა, მოსკოვის ქართულმა ახალშენმა მაინც შეინარჩუნა თავისი სახე, არ დაიშალა და, მართალია, შედარებით სუსტად, მაინც ძველი ▶

ისტორია

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მოსკოვის ქართული ახალშენი განაგრძობდა არსებობას საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც. „ქართული კოლონია მოსკოვში ამის შემდეგაც (რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ. — რედ.) დიდხანს არსებობდა როგორც ქართული კულტურის კერა და წარმატებით აგრძელებდა თავის საქმიანობას. ამ კოლონიის შემწეობით რუსული განათლებული საზოგადოება ეცნობოდა საქართველოს წარსულსა და აწმყოს. კოლონიის განსწავლული მოღვაწენი შემდგომშიაც განაგრძობდნენ მშობლიური კულტურისადმი სამსახურს“.

# ქართული ახალშენი მოსკოვში ნამდვილი ცენტრი იყო პოლიტიკური ემიგრანტი-პატრიოტებისა, რომლებიც დაუცხრომლად იბრძოდნენ თურქი და სპარსი მოძალადეებისგან სამშობლოს გასათავისუფლებლად

◀ საქმიანობა განაგრძო. მოსკოვის ახალშენი არსებობას განაგრძობდა სხვადასხვა დროს საქართველოდან გადახვეწილი, მოსკოვში სხვადასხვა მოვალეობისთვის ჩასული თუ იქ დაბადებული ქართველების შევსებით.

ვახტანგის შემდეგ ქართული ემიგრაციის საქმიანობას სათავეში ჩაუდგნენ მისი მემკვიდრეები:

ბაქარი, ვახუშტი და გიორგი ბაგრატიონები. ისინიც, სახელოვანი მამის მსგავსად, ძალ-ღონეს

არ ზოგავდნენ ქართული მეცნიერების, კულტურისა და ლიტერატურის აღორძინებისთვის.

ამ პერიოდში მოსკოვის ქართული ახალშენის კულტურული საქმიანობის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული სტამბის ამუშავება.

**1737-1744 წწ. ამ სტამბაში დაიბეჭდა თერთმეტი დიდტანიანი წიგნი, რომელთაგან ოთხი რუსულიდან არის ნათარგმნი. მოსკოვის ქართული სტამბის გამოცემებიდან აღსანიშნავია: „დავითნი“ (1737), „ტესტამენტი“ (1739), ბიბლია (1743), იოანე დამასკელის „გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა“ (1744), სტეფანე იავორსკის „კლდე სარწმუნოებისა“ და სხვ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წიგნების შემკულობანი ნასესხებია რუსული სტამბის გამოცემებიდან.**

მოსკოვის ქართული ახალშენის საგამომცემლო მუშაობა წარიმართა ბაქარ ბატონიშვილის უშუალო მეთვალყურეობით. სასტამბო-საგამომცემლო სამუშაოებში კი აქტიურად მონაწილეობდნენ ამ საქმის გამოცდილი პირები და მდივან-მწიგნობრები: **იოსებ თამაზის ძე ქობულაშვილი (იოსებ სამებელი), ქრისტეფორე გურამიშვილი, მელქისედეგ კავკასიძე, ბაქარის კარის მღვდელი ფილიპე, არქიმანდრიტი გერმანე და სხვ.**

1745 წლიდან მოსკოვის ქართული სტამბის მუშაობა დროებით შეწყდა. 1762 წ. კი თბილისის მიტროპოლიტის — ათანასე ამილახვარის ინიციატივითა და ხარჯით მოსკოვში განახლდა ქართული წიგნის ბეჭდვა. 1762-1768 წლებში აქ დაიბეჭდა ცხრა გამოცემა. განახლებულ ქართულ სტამბაში წიგნები იბეჭდებოდა დიმიტრი ციციშვილის „ზედამხედველობითა და მოურნეობითა“ და „ხელითა მესტამბე აბრამ ურიაყოფილისათა“.

მოსკოვის ქართული გამოცემების ანდერძები მდიდარ კულტურულ-ისტორიულ მასალას წარმოადგენს და მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის შესასწავლად.

**მოსკოვის ქართული ახალშენი განაგრძობდა არსებობას საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც. „ქართული კოლონია მოსკოვში ამის შემდეგაც (რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ. — რედ.) დიდხანს არსებობდა როგორც ქართული კულტურის კერა და წარმატებით აგრძელებდა თავის საქმიანობას. ამ კოლონიის შემწეობით რუსული განათლებული საზოგადოება ეცნობოდა საქართველოს წარსულსა და აწმყოს. კოლონიის განსწავლული მოღვაწენი შემდგომშიაც განაგრძობდნენ მშობლიური კულტურისადმი სამსახურს“.**

მოსკოვის ქართული ახალშენის დაარსებას დადებითთან ერთად უარყოფითი მხარეებიც ჰქონდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, რუსეთში გადასახლდა იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი. ამასთან, ვახტანგის ამალამ საქართველოდან გაიტანა მდიდარი სამეფო ბიბლიოთეკა, უამრავი ქართული ხელნაწერი და თბილისის სტამბის ნაწილები. ყოველივე ამან კი დიდი ხნით საგრძნობლად შეაფერხა საქართველოში გაჩაღებული კულტურულ-მეცნიერული და შემოქმედებითი მუშაობა.

სამაგიეროდ, სამშობლოს ბედის მაძიებლებს უცხო მხარეშიც არ შეუნელებიათ სასარგებლო და ნაყოფიერი მუშაობა. „სთარგმნიდნენ რუსულიდან სამეცნიერო-სასწავლო წიგნებს, კვლავ აღადგინეს არჩილის მიერ გამართული სტამბა, სადაც ბეჭდავდნენ ქართულ წიგნებს, განაგრძობდნენ სამშობლოში დაწყებულ სამეცნიერო შრომებს, თხზავდნენ ლექსებს და სხვ. მაგრამ მათი ეს მოღვაწეობა საქართველოს შედარებით მცირეს რგებდა. მათი ნამუშევრები სამშობლოში მცირედ აღწევდა და აქ კულტურული მოღვაწეობის მოდუნების გამო ვერც სათანადო გამოძახილს პოულობდა და, რაც უმთავრესი იყო, დიდი ინტენსიური მუშაობის შედეგად შექმნილი ქართული კულტურის ეს კერა იქ, რუსეთში გადახიზნული, უმემკვიდრეოდ გადასაშენებლად იყო განწირული.

საქართველოს ნიადაგს მოწყვეტილი მოსკოვის კოლონია მშობლიურ კულტურულ მოღვაწეთა ახალ თაობებს არ ქმნიდა. მიუხედავად ამისა, ქართველთა კოლონიის დადებითი მნიშვნელობა მაინც დიდი იყო. მან ძლიერად შეუწყო ხელი საქართველოს კულტურულ დაახლოებას რუსეთთან“. გარდა ამისა, **ქართული ახალშენი მოსკოვში ნამდვილი ცენტრი იყო პოლიტიკური ემიგრანტი-პატრიოტებისა, რომლებიც დაუცხრომლად იბრძოდნენ თურქი და სპარსელი მოძალადეებისგან სამშობლოს გასათავისუფლებლად.**

მოსკოვის ქართული ახალშენის შემდეგ ქართული კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა ყველაზე უფრო გაჩაღებული იყო ასტრახანში. მოსკოვ-პეტერბურგში მიმავალ ქართველებს გაჩერება უხდებოდათ ქ. ასტრახანში („აშთარხანში“ თუ „აშტარხანში“), სადაც ილებდნენ გამგზავრების ნებართვას. ასტრახნის გეოგრაფიული მდებარეობა მეტად მოსახერხებელი იყო რუსეთის შიდა მხარეებში ნაოსნობისათვის. ამასთან, ქართველებისთვის ასტრახანი წარმოადგენდა ხელსაყრელ ადგილს რუსეთთან ვაჭრობის გასაძლიერებლად. ყოველივე ზემოთქმულის გარდა, რაც მთავარია, „ქართველ ემიგრანტთა პოლიტიკური ინტერესები მოითხოვდა სისტემატური ცოცხალი ურთიერთობის შენარჩუნებას საქართველოსთან. ასტრახანი იყო ის პუნქტი, საიდანაც ხორციელდებოდა ეს ურთიერთობა. ამიტომ არ შეიძლებოდა ასტრახანში ქართველთა გარკვეული ნაწილი არ ყოფილიყო დამაგრებული“.

1682-1685 წლებში ასტრახანში მოუხდა ცხოვრება რუსეთში მიმავალ არჩილ მეფეს. მან აქ გააჩაღა აქტიური შემოქმედებითი მუშაობა და დაწერა შემდეგი თხზულებანი: **„საქართველოს ზნეობანი“, „სიტყვა სანათლისღებო“, „სამიჯნურონი“, „რვათა გვამისა ასოთა“ და სხვ. ასტრახანშივე დაასრულა არჩილმა „გაბაასება თეიმურაზ პირველისა და რუსთველისა“.**

დაახლოებით ოთხი ათეული წლის შემდეგ რუსეთში გაემგზავრა ვახტანგ VI. ლტოლვილი მეფე თავისი ამალით ასტრახანში ჩავიდა 1724 წ. 8 ნოემბერს, ხოლო აქედან, ყველაზე უფრო ახლობლებით, 1725 წ. 2 თებერვალს პეტერბურგს გაემგზავრა. ვახტანგის ასალის დიდი ნაწილი კი, რუსუდან დედოფალთან ერთად, დროებით ასტრახანში დარჩა.

ასტრახნიდან ვახტანგის გამგზავრების შემდეგ იქ დარჩენილ მეფის ამალას ადგილობრივმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყურადღება მიაკლეს და ეკონომიური პირობებიც გაუუარესეს. რუსუდან დედოფლის წასაყვანად პეტერბურგიდან ჩასული ოფიციალური პირი საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი წარგზავნილ ცნობაში წერდა: „Наги и голодни, которые себе пропитание имеют работою у Астраханских обывателей, на что князья их и архиерей не уважают“ ამალის ერთ-ერთმა წევრმა, ნიკოლოზ ორბელიანმა, დაწერა იამბიკო, რომელშიც აღწერილია ასტრახანში მყოფი ქართველების მძიმე მდგომარეობა. იგი პეტერბურგში მყოფ ვახტანგს ატყობინებს, რომ არა გვაქვს „არ წამალ სენთა, არ საზრდელ გვამთაო“, „გვხმობენ ქირდებით და ვიბრუნებთ სულსა ესრეთ მცირით დიდებითო“. ასეთი მდგომარეობის გამო იგი უსაყვედურებს ვახტანგს: „თუ სულიერ ხარ, ესრეთ ვითარ ვისჯებითო“. გამწარებული ასეთი ცხოვრებით, ნიკ. ორბელიანი დასძენს: „მქები წაწყმდეს აქ უცხოთ შეწყნარებისაო“.

მიუხედავად იმისა, რომ ასტრახანში ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობისთვის სათანადო პირობები არ იყო შექმნილი. იქ დარჩენილ ამალის წევრებს, უსაქმოდ ყოფნის გამო და სამშობლოს დატოვებისგან გამოწვეული კაეშნის გასაქარვებლად, განუგრძვიათ სამშობლოში დაწყებული ინტენსიური ლიტერატურულ-კულტურული მუშაობა. აკი აცხადებს მამუკა ბარათაშვილი „წამებულში“: „ცუდ ყოფით, ფიქრით შეკრულმან და უსაქმობით მარემან, მაშ, რა ქმნას მწირმან მწირს ალაგს... არც იკითხოს და არც წეროს?“

ასტრახანში დარჩენილ ქართველობას პოლიტიკურ და კულტურულ ხელმძღვანელობას უწევდა უფლისწული ვახუშტი. **ასტრახნის ლიტერატურულ წრეში ამ დროს ირიცხებოდნენ: ონანა ქობულაშვილი, ნიკოლოზ და დიმიტრი ორბელიანები, მამუკა და თომა ბარათაშვილები, ოტია ფავლენიშვილი, ჯავახიშვილი და სხვები. ქართული კულტურის ეს უანგარო მოამაგენი დიდი მონდომებით ამრავლებდნენ ძველ ქართულ ხელნაწერებს, მრავლად თარგმნიდნენ ლიტერატურულ-მეცნიერულ წიგნებს, თხზავდნენ მხატვრულ ნაწარმოებებს. ონანა ქობულაშვილმა გალექსა „ბარამგულიჯანიანი“, მამუკა ბარათაშვილმა აქ მიიღო თავისი პირველი პოეტური ნათლობა და დაწერა „წამებული“, ნიკოლოზ ორბელიანმა შეთხზა იამბიკო, იოსებ კლიმიაშვილმა გადანუსხა იოანე დამასკელის „მოკლე წინამძღვარი“ და ა.შ. უფრო მოგვიანებით ასტრახანში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ გაიოზ რექტორი (გარდ. 1821), ალექსანდრე დიმიტრის ძე ამილახვარი (1750-1802), ზაქარია გაბაშვილი (გარდ. 1783) და გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი (1789-1830).**

**ნაყოფიერი ლიტერატურული მუშაობა მიმდინარეობდა უკრაინის ქალაქ კრემენჩუგში. აქ 1785-1790 წლებში მოღვაწეობდა გაიოზ რექტორი. კრემენჩუგში დაწერა მან „გრამატიკა“, „ქრისტიანობრივი სწავლა, ანუ ჭეშმარიტი სიტყვა ღმრთისა“ და რუსულიდან თარგმნა ამბროსი მედიოლანელის თხზულებანი, „საეკლესიო ისტორია“, „დილის ლოცვანი“ და სხვ.**

**1787-1789 წლებში კრემენჩუგში იმყოფება ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი), რომელიც გენერალ პოტიომკინთან იყო წარგზავნილი იმერეთის მეფე დავითის მიერ. აქ ბესიკს არ შეუნელებია ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობა და დაუწერია ლექსები.**

ქართლ-კახეთის საქმეებთან დაკავშირებით 1787 წელს კრემენჩუგში ჩავიდა **მირიან ბატონიშვილიც** (1767-1834). სწორედ აქ, კრემენჩუგში, მას უნდა შეხვედროდა მირგოროდიდან ჩამოსული დავით გურამიშვილი, რომელმაც მიართვა თავისი ნაწერების კრებული; პოეტი და მწიგნობრობის მოყვარული უფლისწული უახლოვდება კრემენჩუგში მყოფ ბესიკსა და გაიოზ რექტორს და მათთან ერთად აქტიურად ებმება ლიტერატურულ საქმიანობაში. ამ ამაგდარი სამეულის გარდა, კრემენჩუგში მოღვაწეობდნენ სხვა ქართველებიც, რომელთა საქმიანობაც, უმთავრესად, მთარგმნელობით-კალიგრაფიული ხასიათისა იყო.

საგამომცემლო-ლიტერატურული მუშაობა გაჩაღებული იყო ქ. მოზდოკშიც, სადაც ახლად დაარსებულ ეპარქიას (1793 წ.) განაგებდა **გაიოზ რექტორი**. მან თავისი ცხოვრება უმეტესად რუსეთში გაატარა. იგი ცხოვრობდა მოლდავეთში, პეტერბურგში, სარატოვში, ასტრახანსა და პენზაში. ამიტომ გაიოზის ლიტერატურული საქმიანობა რუსული მწერლობის ზეგავლენით წარიმართა. მისი თანამედროვის სიტყვით, „ესე იყო ფრიად განსწავლული რუსულისა... ამან თარგმნა რუსულიდან უმრავლესი წიგნნი ვითარცა სამოქალაქო, აგრეთუე საეკლესიონი, ვიდრე 400-მდე“.

დასასრული შემდეგ ნომერში



გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» ოცდამესამე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად ღირებული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეგვიპტური ლაბირინთის შესასვლელში არის წარწერა: „სიგიჟე ან სიკვდილი — აი, რას იპოვის აქ სუსტი და მანკიერი, მაგრამ ზოგიერთი ძლიერი ადამიანი აქ სიცოცხლესა და უკვდავებს ჰპოვებს“. ბევრი უგუნური, წინდაუხედავი ადამიანი შესულა ამ კარში, მაგრამ უკან ველარ დაბრუნებულა. ეს უფსკრულია, რომელიც უკან მხოლოდ უშიშრებსა და შეუპოვართ დააბრუნებს.**



# ლაბირინთის საიდუმლო

**დედამიწაზე არ არსებობს უფრო იდუმალი ნაგებობა, ვიდრე ლაბირინთია. ის იზიდავს, გზას უბნევს, აშინებს ადამიანს და შეიძლება სასოწარკვეთამდეც კი მიიყვანოს. არსებობს არაერთი თქმულება, რომლის მიხედვითაც, ლაბირინთი შიგნით შეტყუებულებს გარეთ აღარასდროს უშვებს და, როგორც კი მსხვერპლი გასასვლელს მიუახლოვდება, რაღაც ამოუცნობი ძალით კვლავ თავის ხლართებში კარგავს...**



თავიდანვე უნდა ითქვას, რომ არ შეიძლება ყველა ჩახლართულ გორგალს ლაბირინთი ვუწოდოთ. კლასიკურ ვარიანტს აქვს 7 კონცენტრული ხაზი, და მათგან თითეული მჭიდროდაა შემოხვეული ლაბირინთის ცენტრალურ ბირთვს. შესასვლელი მხოლოდ ერთია. გრძელი გზა აუცილებლად მის ცენტრამდე მიგვიყვანს. ლაბირინთის გზები არსად იკვეთება და არსად უკავშირდება ერთმანეთს. ცენტრის დატოვება შეიძლება მხოლოდ ერთი გზით — რომლითაც იქამდე მოვედით. სხვა გასასვლელი ლაბირინთს არ აქვს.

**სხვაგვარადაა მოწყობილი ლაბირინთის ინგლისური ვერსია, მეიზი. მეიზის სტრუქტურა უფრო დახვეწილი და რთულის ფორმისაა, ვიდრე კლასიკური. როგორც წესი, ასეთ თავსატეხებში მიზნის მისაღწევად რამდენიმე გზა არსებობს, ორი ან უფრო მეტი შესასვლელ-გასასვლელია. გზები უკავშირდება ერთმანეთს და წარმოქმნის გზაგასაყარებს. მეიზის თავსატეხის გადაჭრა ადვილი არ არის...** შემქმნელებმა რთული დავალების წინაშე დაგვაყენეს: ავირჩიოთ სწორი შესასვლელი, გამოვიცნოთ გზაგასაყართან სწორი გზა ან არ მოვხვდეთ ერთსა და იმავე ადგილზე რამდენიმეჯერ. მეიზების იდეა მომდინარეობს შუასაუკუნეებიდან და მათემატიკური მეცნიერების განვითარების შედეგს წარმოადგენს.

მარტივივი ლაბირინთების უამრავი მოდიფიკაცია არსებობს. იმისათვის, რომ შეეცვალათ კლასიკური ლაბირინთი, ავტორები ამცირებდნენ ან ზრდიდნენ გზების რაოდენობას, აკეთებდნენ კვადრატული ფორმის ლაბირინთს, მართკუთხედის ფორმისას, წრიულს და ასე შემდეგ, თუმცა ყველა ეს მოდიფიკაცია მომდინარეობდა კლასიკური ვარიანტისაგან, რომელიც მთელ მსოფლიოშია გავრცელებული და დღესაც შეუცვლელია.

**ყველაზე ძველი ლაბირინთი ეგვიპტეში, ტბა ბირკეტ კა რუნის მახლობლად, მდინარე ნილოსის დასავლეთით მდებარეობს. ლაბირინთის საერთო ფართობი შეადგენდა 70 000 კვადრატულ მეტრს. დამთვალიერებლებს ნებას არ რთავენ, დაათვალიერონ მიწისქვეშა სივრცეები და ლაბირინთები, იქ განთავსებულია ფარაონებისა და ნიანგების – ეგვიპტისთვის წმინდა ცხოველების სამარხები.**

ეს არის გრანიტის კოლოსალური ოთხკუთხა ნაგებობა, რომელიც სამი მასიური კორპუსისგან შედგება, შიგნით მათი სიგრძე 200 მეტრია, სიგანე — 170 მეტრი. მეოთხე მხარე პირამიდას ებჯინება. შემოსაზღვრულ სივრცეში რამდენიმე შიდა ეზოა, თავად შენობებში კი უამრავი ოთახი და დერეფანია, რომლებიც ნაწილობრივ მიწისქვეშაა განლაგებული. მაგრამ ეს ყველაფერი, ანუ ის, რაც ჩვენს დრომდე შემორჩა, ლაბირინთის პირვანდელი სახის წარმოდგენის შესაძლებლობასაც არ იძლევა. დერეფნების, დარბაზებისა და ოთახების რთული სისტემა იმდენად ჩახლართული იყო, რომ გამცილებლის გარეშე უცხო ადამიანი გზას ვერასდროს გაიგნებდა.

ლაბირინთის დიდი ნაწილი სრულად ჩაბნელებული იყო, კარებების გაღებისას კი მათი ჭრიალი საშინლად ისმოდა.

ისტორიკოსების აზრით, ლაბირინთი იყო ცენტრი, რომლიდანაც ფარაონები ქვეყანას მართავდნენ, მაგრამ ის ძირითადად რელიგიურ მიზნებს ემსახურებოდა. ეს იყო სატაძრო კომპლექსი, სადაც ეგვიპტის ყველა ღმერთს მსხვერპლს სწირავდნენ, მსხვერპლთა შორის კი არც თუ იშვიათად ადამიანებიც იყვნენ. ასე სცემდნენ თაყვანს მათ ღმერთს, სებეკს – უზარმაზარ ნიანგს. ძველმა ხელნაწერება შემოინახოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლაბირინთში ნამდვილად სახლობდნენ ნიანგები, რომელთა სიგრძეც 30 მეტრს აღწევდა.

**ეგვიპტური ლაბირინთის შესასვლელში არის წარწერა: „სიგიჟე ან სიკვდილი — აი, რას იპოვის აქ სუსტი და მანკიერი, მაგრამ ზოგიერთი ძლიერი ადამიანი აქ სიცოცხლესა და უკვდავებს ჰპოვებს“. ბევრი უგუნური, წინდაუხედავი ადამიანი შესულა ამ კარში, მაგრამ უკან ველარ დაბრუნებულა. ეს უფსკრულია, რომელიც უკან მხოლოდ უშიშრებსა და შეუპოვართ დააბრუნებს.**

**ყველაზე ცნობილი მინოსის ლაბირინთი კი კუნძულ კრეტაზე მდებარეობს. ის ეგვიპტური ლაბირინთის ზუსტი ასლია, რომელიც ათენელმა მოქანდაკემ დედალოსმა კუნძულ კრეტას მეფის, მინოსის დავალებით ააგო.**



თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე კუნძულ კრეტას ლაბირინთი რამდენიმეჯერ გაანადგურეს, მაგრამ მას ყოველთვის აღადგენდნენ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1380 წელს საბოლოოდ განადგურდა და მიტოვებულ იქნა, სანამ ინგლისელმა არქეოლოგმა არტურ ევანსმა არ აღმოაჩინა ძველი საიდუმლო იეროგლიფური წერილი ოქსფორდის მუზეუმში. წერილში საუბარი იყო უძველეს ლაბირინთზე. 1900 წელს არქეოლოგი კრეტაზე გაემგზავრა და გათხრები დაიწყო.

არტურ ევანსი თითქმის 30 წლის განმავლობაში აწარმოებდა გათხრებს და აღმოაჩინა არა ქალაქი, არამედ სასახლე, რომლის ფართობიც მთელი ქალაქის ფართობს უდრიდა. სწორედ ეს იყო მინოსის ცნობილი ლაბირინთი, რომლის საერთო ფართი 22 000 კვადრატულ მეტრს შეადგენდა. მინოსის ლაბირინთი არქიტექტურის ნამდვილი საოცრებაა.

**ლეგენდის თანახმად, მინოსის ლაბირინთში ბინადრობდა მინოტავრი — ადამიანი ხარის თავით, რომელსაც ყოველ თვე 7 გოგონასა და 7 ვაჟს სწირავდნენ მსხვერპლად. ეს საშინელი რიტუალი შეწყდა უმამაცესი ტე სეუს წყალობით, რომელმაც გაბედა, შევიდა ლაბირინთში და მონსტრი გაანადგურა.**

ევანსმა მითიური ცხოველის კვალს ვერ მიაგნო, მაგრამ რაღაც მაინც მეტყველებდა ძველი ლეგენდის სასარგებლოდ. ერთ-ერთი დარბაზი შემკული იყო ფრესკით, რომელზეც გამოსახული იყო გიგანტი ხარის თავით. ამ დარბაზში გრანიტის ფილების ქვეშ აღმოჩენილ იქნა უამრავი ადამიანის ძვლები. ეს მინოტავრისთვის შეწირული ადამიანების ძვლები იყო.

**ქალაქ პომპეიში, რომელიც განადგურდა ვულკანი ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად, ასევე მდებარეობდა ორი ლაბირინთი.** ერთ-ერთი მათგანი, „სახლი ლაბირინთთან“, ცნობილია გასაოცარი მოზაიკური იატაკით, რომელზეც გამოსახული იყო თესევსისა და მინოტავრის ბრძოლა.

**ჩინეთში ლაბირინთებს ყოველი ქალაქისა და სახლის შესასვლელში აშენებდნენ. მოსახლეობას სჯეროდა, რომ ლაბირინთები მათ ავი სულებისგან დაიცავდა. მათი წარმოდგენით, დემონებს ფრენა მხოლოდ პირდაპირი მიმართულებით შეუძლიათ და, თუ სახლის შესასვლელს ლაბირინთის პრინციპით ააშენებდნენ, შეძლებდნენ, საცხოვრებელი ბოროტი სულებისაგან დაეცვათ.**

სკანდინავიაში, ბალტიის ზღვის სანაპიროზე, 600 ზე მეტი ქვის ლაბირინთი მდებარეობს. ბევრი მათგანი აგებულია ადგილობრივი მეთევზეების მიერ, რომელთაც სჯეროდათ, რომ ამ ლაბირინთების გავლის შემდეგ, კარგად ითევზავებდნენ და შინაც მშვიდობით დაბრუნდებოდნენ.

**რუსეთშიც აქვთ საკუთარი ლაბირინთები. სოლოვეცკის კუნძულებზე დაახლოებით 30 ლაბირინთი, 1000-ზე მეტი მიწაყრილი და სხვადასხვა სიმბოლური ნახატი მდებარეობს. ეს კონსტრუქციები დღემდე მსოფლიოს ერთ-ერთ იდუმალ ადგილად ითვლება. მათზე არ არის მცენარეული საფარი, გარდა ხავსისა და კენკრისა. ამ ადგილებზე დარგული მცენარეები და ხეები ხმება, ხოლო ცხოველები აქაურობას გაურბიან.**

ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად, თანდათანობით შეიცვალა ლაბირინთის ძველი წარმართული დატვირთვა და ალეგორიულად ღმერთამდე მიმავალ ადამიანის ეკლიან გზად იქცა. დღესდღეობით ლაბირინთების უფრო და უფრო რთული ვარიანტები იქმნება, რაც დაფუძნებულია მათემატიკურ მოდელებსა და თეორიებზე. სპეციალურად მოწყობილ პარკებსა და ტურისტულ მარშრუტებში ლაბირინთები თავბრუდამხვევ ინტელექტუალურ გასართობს წარმოადგენს და საოცარ განცდებს იწვევს.

მთავარ გადაუჭრელ ამოცანად დღეისთვის ისევ რჩება ლაბირინთების წარმოშობის ისტორია. მრავალი ჰიპოთეზა გამოითქვა ამ თემასთან დაკავშირებით, მაგრამ საბოლოო ახსნა მაინც ვერ მოიძებნა.







# წლის საუკეთესო საპირფარეშო

**აშშ-ში „წლის საუკეთესო საპირფარეშო“ გამოავლინეს. პრიზის მფლობელი ჩიკაგოს მუზეუმში მდებარე საპირფარეშო გახდა.** საპირფარეშოში დიდი ფართი, ეკოლოგიურად სუფთა საშრობები, ლამაზი გაფორმება, დივნები და დედაშვილისთვის განკუთვნილი ოთახია. **მეორე ადგილი** არიზონას შტატში, ქალაქ სკოტსდეილში, თეატრალური ხელოვნების ცენტრში მდებარე საპირფარეშომ მოიპოვა. მისი იატაკი მოზაიკით არის მოპირკეთებული, განათება კი ფერს იცვლის. **მესამე ადგილი** პრეზიდენტისთვის განკუთვნილმა მოძრავმა საპირფარეშომ დაიკავა. ის ამჟამად ვირჯინიის შტატშია. ეს საპირფარეშო სპეციალურად ბარაკ ობამას ინაუგურაციისთვის ააშენეს 2009 წელს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ორთავა გველი

**ფლორიდაში ბიცეფსის სინდრომიანი, ანუ ორთავა გველი დაიბადა. ასეთი ქვეწარმავლის დაბადების შანსი 10 000-დან ერთია.** გველის მფლობელი ფლორიდის ცენტრალური უნივერსიტეტის პროფესორი-ბიოლოგი დანიელ პარკერია. ორთავა გველის რაციონი მწერებისგან, ჩიტებისგან, ხვლიკებისა და პატარა ძუძუმწოვრებისგან შედგება. წელს მსგავსი ანომალია პირველი შემთხვევა არ არის. სლოვაკეთში ორთავა კუ დაიბადა. ჩინეთის ჩრდილოეთით, დეშენგტანგის ფერმაში კი ორდინგა ღორი გაჩნდა; 2011 წელს ჩინეთში — გენეტიკური გადახრით ძროხა-მარტორქა, უყურო კურდღელი და ორსახიანი ღორი.



# 10 წლის პოლიგლოტი

**10 წლის ტაივანელმა გოგონამ სონია იანმა მასწავლებლები გააოცა. ის 10 ენაზე თავისუფლად საუბრობს.**

სონია ტაივანში დაიბადა, თუმცა ცოტა ხნის წინ ინგლისში გადავიდა სასწავლებლად. თავდაპირველად გოგონა, მშობლიური ენის გარდა, საუბრობდა ინგლისურად, ჩინურად და იაპონურად. ინგლისში გადასვლის შემდეგ სონია ფრანგულს, გერმანულს, ესპანურს და პორტუგალიურს დაეუფლა. ბოლო ორი ენა, რომელიც პოლიგლოტმა გოგონამ შეისწავლა, ყაზახური და უგანდის რესპუბლიკის ნაციონალური ენები იყო. აღსანიშნავია, რომ სონიას მათ შესასწავლად სულ რამდენიმე კვირა დასჭირდა. ამჯერად სონია ბრიტანეთის ნაციონალურ ლინგვისტურ კონკურსში იღებს მონაწილეობას.



# ჯვრისწერის თითები

**ჯილიან ჰაიდმა და კლაივ მატიასმა ჯვრისწერისას მარადიული სიყვარულის სიმბოლოდ ბეჭდების ნაცვლად თითები გაცვალეს.**

ეს გენიალური იდეა თავში ჯილიანს მოუვიდა — მარადიული ქორწინების გარანტიად მან რაღაც უფრო მნიშვნელოვანი მოითხოვა, ვიდრე უბრალოდ ოქროს ბეჭედია.

შეყვარებულ მამაკაცს შემოთავაზება მოეწონა და დათანხმდა კიდეც. შესაბამისად, წყვილმა ტაძარში ბეჭდების გაცვლის ნაცვლად საავადმყოფოში ერთმანეთის არათითები გადაინერგა.



# გეი-ტურიზმის მსოფლიო დედაქალაქი

**საერთაშორისო ასოციაცია Gay & Lesbian Travel-ის ყოველწლიურ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მადრიდი 2014 წლის გეი-ტურიზმის მსოფლიო დედაქალაქი გახდება. ამ ტიტულის მოსაპოვებლად, მადრიდის გარდა, სტოკჰოლმი, ციურიხი და კანიც იბრძოდნენ.**

მადრიდს ამ წოდებისთვის ბრძოლაში ქალაქის ადმინისტრაციამ, ასევე რამდენიმე კერძო კომპანიამ, საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ და ტურისტულმა ასოციაციამ დაუჭირა მხარი, რადგან ითვლება, რომ აღნიშნულ მოვლენას როგორც მადრიდში, ასევე მთელ ესპანეთში ტურიზმის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება.

**ასოციაცია Gay & Lesbian Travel მსოფლიოს 160 ქვეყნის 5000-მდე კომპანიასა და სხვადასხვა სახის დაწესებულებას აერთიანებს და ერთადერთი ასოციაციაა გეი-სამყაროში, რომელიც საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციების რიცხვში შედის.**



# გამჭვირვალე ეკლესია

**პროექტი, რომლის მიხედვითაც გამჭვირვალე ეკლესია აშენდა, ორ ახალგაზრდა არქიტექტორს — პეტერიან გისს და არნოუტ ვან ვერენბერგს ეკუთვნის. უცნაური შენობის მშენებლობას ფოლადის 100 ფირფიტა დასჭირდა. ეკლესია სიმაღლეში 10 მეტრს აღწევს.**

გამჭვირვალე ეკლესია, რომელიც ახალგაზრდა ენთუზიასტებმა ფოლადის ფილებისგან შექმნეს, მოსახლეობაში ძალიან პოპულარულია. ის ავსტრალიაშია განთავსებული.



# ყველაზე ბინძური მდინარე

**ინდონეზიაში, კუნძულ იავაზე, მსოფლიოში ყველაზე ბინძური მდინარე ჩამოედინება. ეს ციტანუმია. არადა, სულ რაღაც 20 წლის წინ ეს ადგილი სილამაზითა და სისუფთავით გამოირჩეოდა. ახლა ციტანუმის წყლები სავსეა ნაგვით. გარდა ამისა, მასში კანალიზაციაც ჩაედინება.**

ადრე ამ მდინარეში ადგილობრივები თევზს იჭერდნენ და შემდეგ ყიდდნენ. ახლა უფრო მომგებიანი საქმიანობა წყლიდან ანკესით ამოღებული ნაგვის შეგროვება და მისი გაყიდვაა.

გარდა ციტანუმისა, მსოფლიოს ყველაზე ბინძური მდინარეებია იამუნა (ინდოეთი), ბურიგანა (ბანგლადეში), ყვითელი მდინარე (ჩინეთი), მდინარე მარილაო (ფილიპინები), განგა (ინდოეთი), შონგუა (ჩინეთი), მისისიპი (აშშ), სამეფო მდინარე (ავსტრალია) და სარნო (იტალია).



# ორსახა კატა

**ფრანკენლოუი ბუნების უიშვიათესი გამონაკლისია. ის მასაჩუსეტსის შტატში, მელბურში ცხოვრობს. კატას სიცოცხლის მანძილზე საოცარი არაფერი შემთხვევია, ის თავიდანვე ორი სახით დაიბადა.**

როგორც წესი, ამგვარი კატები სულ რამდენიმე დღეს ცოცხლობენ, მაგრამ ფრანკენლოუი ამ მხრივაც გამონაკლისი აღმოჩნდა. უჩვეულო ცხოველმა სულ ახლახან აღნიშნა თავისი მე-12 დაბადების დღე და გინესის რეკორდების წიგნშიც შევიდა. ფრანკენლოუი ძალიან პოპულარულია ვიდეოპორტალებზე. მისი ცხოვრების ამსახველ ვიდეორგოლებს ათასობით ადამიანი ადევნებს თვალს.

# ფასიანი ყეფა



**ლოს-ანჯელესის მთავრობამ მიიღო ახალი კანონი, რომლის მიხედვით ძაღლების პატრონები დაჯარიმდებიან, თუ მათი შინაური ცხოველი გაბმულად 10 წუთზე დიდხანს იყეფებს. ყოველი გადაცდენილი წუთი ძაღლების პატრონებს 1000 დოლარი დაუჯდებათ.**

ახალი კანონის ინიციატორი ლოს-ანჯელესში მცხოვრები ჰერი ლეონარდია. მას მოსვენებას უკარგავდა მეზობლის ძაღლი, რომელიც მთელი დღის განმავლობაში ყეფდა. შეწუხებულმა ამერიკელმა ცხოველთა კონტროლის ადგილობრივ დეპარტამენტში სარჩელი შეიტანა. სასამართლომ მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა და ადგილობრივ მთავრობას ახალი კანონის მიღება მოსთხოვა.

## გენერალი სოლტან კაბოლოვი:

# ომს საშინელი სახე აქვს



**გაზეთის „ვეჩერნი თბილისი“ კორესპონდენტი ივა ანდრონაკმა ვლადიკავკაზში ინტერვიუ ჩამოართვა ავიაციის გენერალ-მაიორ სოლტან კაბოლოვს, რომელიც ცხინვალში 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს, ოსეთისა და რუსეთის მშვიდობისმყოფელთა გაერთიანებულ კონტინგენტს მეთაურობდა.**

## «სტალინი კაცობრიობის ისტორიაში სამუდამოდ დარჩება როგორც უდიდესი შემოქმედი»

**— შეიძლება თუ არა ქართველი და ოსი ხალხების შერიგება იმ ყველაფრის შემდეგ, რაც მოხდა?**

— სიტუაცია ძალიან რთულია. ორივე მხრიდან ბევრი სისხლი დაიღვარა იმ ომებში, აქ რომ გაიმართა. გაჩნდნენ ლტოლვილები. დიდია წყენა და პრეტენზიაც უამრავია. **სამხრეთ ოსეთში მცხოვრები თუ საქართველოს მოქალაქეებად იყვნენ მიჩნეული, განა შეიძლებოდა საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ სარაკეტო-საზენიტო დანადგარებისა და უახლესი იარაღის გამოყენება?! უეჭველია, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა თავს ვერაფრით დაიცავდა. მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა, რუსი სამხედროები რომ არ დახმარებოდნენ. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ერთმანეთთან დალაპარაკება აუცილებელია. ეს უეჭველია. საუბარი უნდა წარიმართოს რეალური ვითარებისა და ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით.**

**— თქვენი აზრით, ვისი ბრალია, რომ ორი მოძმე ხალხი ერთმანეთს დაუპირისპირდა, როგორც ჩანს, დიდი ხნით?**

— ჩვენი ხალხები ერთმანეთს წაუსისიანეს. ომი კავკასიაში ხელს აძლევდა საბჭოთა ხალხის ისეთ მტრებს, როგორებიც იყვნენ ელცინი, გორბაჩოვი, შევარდნაძე და ამერიკელები. უწინ ადამიანებს აზრადაც არ მოსვლიათ ტერიტორიის დანაწილება, ერთმანეთის დაყოფა ეროვნული ნიშნით. როდის იყო, რომ ეთქვათ: „ოსეთი — ოსებისთვის“, ან „საქართველო — ქართველებისთვის“?!

**— როცა საბჭოთა კავშირს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა, მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი დაირაზმა და ღირსეული პასუხი გასცა აგრესორს. როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ჩვენს დროს მსგავსი რამ რომ მომხდარიყო?**

— მაშინ, მართლაც, ყველა ხალხი, როგორც ერთი, აღდგა აგრესორისგან სამშობლოს დასაცავად, ამიტომ მოვიპოვეთ საერთო გამარჯვება. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მაშინ იყო სტალინი. იგი სახელმწიფოებრივად აზროვნებდა და სახელმწიფო ინტერესებით ხელმძღვანელობდა. შემდეგ რა მოხდა? ყველა ხელმძღვანელი მხოლოდ თავის ჯიბეზე ფიქრობდა. ამიტომ იყო, რომ კორუფციამ შიგნიდან წარყვნა ყველაფერი. შედეგად, საბჭოთა კავშირი დაიშალა, და ახლა ძნელია ლაპარაკი საყოველთაო პატრიოტიზმსა და შეკავშირებაზე.

**— გამოდის, რომ ხალხის გამოსაფხიზლებლად და მომავალზე დასაფიქრებლად საჭიროა ომი?**

— არავითარ შემთხვევაში. ვეტერანებმა კარგად იციან, რა არის ომი, რა დიდი უბედურების მომტანია. საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებდნენ ჩვენი წინაპრები პარიტეტს კავკასიაში. რა თქმა უნდა, იყო ომებიც, კონფლიქტებიც, მაგრამ იყო წესრიგიც, რომელსაც ისტორიული რეალობა განაპირობებდა. ამიტომ **ყოველთვის უნდა ვეძებოთ ყველა პრობლემის მშვიდობიანად გადაწყვეტის გზები.**

**— რას ფიქრობთ სტალინზე, მის როლზე მსოფლიო ისტორიაში?**

— საბრძოლო დიდების ჩვენს ქალაქში — ვლადიკავკაზში — არის დიდების მემორიალი, სადაც სტალინის ბიუსტი ცენტრალურ ადგილზეა მოთავსებული. რაც გინდა ილაპარაკონ, იგი გამარჯვებული იყო. გამარჯვებულებს კი, ცნობილია, არ ასამართლებენ. მან ქვეყანა ნანგრევებიდან წამოაყენა და შეძლო დიადი ქვეყნის აშენება, რომელსაც დემოკრატიის ოკეანისგაღმელი „დამცველები“ ხან „იმპერიას უწოდებდნენ“, ხან „ხალხთა საპყრობილეს“, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ მაშინ არ იყო ისეთი არეულობა, კორუფცია, როგორიც ამჟამადაა, არ იყო ეთნიკური დაპირისპირებანი. **სტალინი კაცობრიობის ისტორიაში სამუდამოდ დარჩება როგორც უდიდესი შემოქმედი, განსხვავებით სხვებისგან, რომლებიც ანგრევენ ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებათ.**

**— საქართველოში კი მოშალეს სტალინის ძეგლი... ამ ფაქტს როგორ აფასებთ?**

— ვფიქრობ, რომ ხალხისთვის უნდა ეკითხათ. რეფერენდუმი უნდა ჩაეტარებინათ. დარწმუნებული ვარ, რომ ხალხი არ დაუშვებდა თავისი ისტორიის მიმართ ასეთ უდიერ დამოკიდებულებას.

**— თქვენთვის ტრიბუნა რომ მოეცათ, რას ეტყოდით ქართველ ახალგაზრდობას?**

— ახალგაზრდებს ვეტყოდი, რომ ომს საშინელი სახე აქვს. რომ ისინი, ვინც ომისკენ მოგიწოდებთ და ომის გამჩაღებელია, თვითონ არასოდეს წავლენ საომრად, სასიკვდილოდ სხვის შვილებს გააგზავნიან. ომი საშინელებაა, რომელიც ადამიანს მთელი ცხოვრება თან გაჰყვება, მიუხედავად იმისა, გამარჯვებულ მხარეს განეკუთვნება, თუ დამარცხებულს.

**— თქვენთან როგორ ზრუნავენ ომის ვეტერანებზე?**

— ვეტერანების პრობლემებს დაუყოვნებლივ წყვეტენ. ისინი გადიდებულ პენსიას იღებენ. რეგულარულად ვაგზავნით დასასვენებლად, სამკურნალო რეაბილიტაციისთვის სანატორიუმებში და ა.შ.

**— ქართველ ვეტერანებთან შეხვედრა რომ გამართულიყო, რაზე დაელაპარაკებოდით?**

— რომ გითხრათ, შეხვედრა მშვიდობიანი და მეგობრული იქნება მეთქი, მოგატყუებთ. ჩვენ ერთმანეთისთვის ბევრი რამ გვაქვს სათქმელი და საუბარი მკაცრი იქნება, ვიტყოდი — კაცური. **მინდა, დავიჯერო, რომ ეს იქნება მშვიდობიანი თანაარსებობისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი, რათა ჩვენს მრავალტანჯულ მიწაზე ბოლოს და ბოლოს დამყარდეს მშვიდობა, პრობლემები იარაღის ძალით კი არ გადაწყდეს, არამედ, როგორც უწინ — სტუმართმოყვრულ სუფრასთან მადლიანი ქართული ღვინით და ოსური ხაბიზგინით.**

ესაუბრა
**ივა ანდრონაკი**




pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (599)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru

# საქართველოს პრეზიდენტმა გვარი გამოიცვალა

**პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია, რომლიდანაც ვიგებთ, რომ მიხეილ სააკაკაშვილმა და მიშელინ კალმი-რემ რუსეთის მსო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. ჩვენი კორექტურა არ გეგონოთ, პრეზიდენტის გვარს სწორედ ასე – სააკაკაშვილი მიუთითებს მისივე ოფიციალური ვებგვერდი. მთავარ გვერდში გამოტანილ ლიდშიც და ვრცლად მოცემულ ინფორმაციაშიც.**




რაკი 31 ოქტომბრიდან დღემდე, ანუ ერთი კვირის განმავლობაში გვარი არავინ გაასწორა, უნდა მივიჩნიოთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა გვარი გამოიცვალა და სააკაშვილის ნაცვლად სააკაკაშვილი გახდა.

საკითხავი აქ მხოლოდ ის არის, სააკაშვილმა სააკაკაშვილზე უკეთესი გვარი ვერ მოძებნა, თუ იმის ხაზგასმა უნდოდა, რომ იგი ქართველებისთვის „კაკა“ პრეზიდენტია?

# გიხაროდენ! სააკაშვილმა გვარი დაიბრუნა

**ჩვენთვის მისივე ოფიციალური ვებგვერდიდან გახდა ცნობილი; მთავარ გვერდზეც და ვრცელ ინფორმაციაში მისივე ადმინისტრაცია პრეზიდენტს სააკაკაშვილად მოიხსენიებდა 31 ოქტომბრიდან 7 ნოემბრამდე. 16 საათსა 09 წუთზე ჩვენს მიერ გავრცელებულ ამ ინფორმაციას ქართულ ინტერნეტსივრცეში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა.**

დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალს პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდს და აი, სულ რაღაც ერთი კვირისა და 5 საათის შემდეგ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ შეცდომა გაასწორა. გიხაროდენ! სააკაშვილის გვარი გასწორდა და იგი აღარ მოიხსენიება სააკაკაშვილად!

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge